

ნიკოლოზ ჯაფი



სოციალისტური
თავისთვის
სურთმემკვიდრეობა



საბჭოთა • თბილისი • 1983

წიგნში განხილულია ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ხუროთ-
მოძღვრების ჩამოყალიბებისა და განვითარების გზა 1921 წლიდან
1934 წლამდე, გაანალიზებულია ცალკეული მნიშვნელოვანი ნაწარმო-
ებები, დახასიათებულია მათი მხატვრულ-სტილისტური და ტექნი-
კურ-ეკონომიკური ასპექტები. წიგნის ბოლო ნაწილში წარმოდგე-
ნილია თბილისის ქალაქთგეგმარების მეცნიერული საფუძვლები,
გაკვირვებით მოთხრობილია დედაქალაქის უახლოეს მომავალზე.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი :

საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი,
არქიტექტურის კანდიდატი, პროფესორი ნოდარ მგალობლიშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი ნიკოლოზ ჭავჭავაძე

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი :

საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი, შოთა რუსთაველის
სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი შოთა ჭავჭავაძე

გულწრფელ მადლობას ვუხდით „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტის დირექტორს, საქარ-
თველოს სსრ დამსახურებულ არქიტექტორს თ. თევზაძეს, საქართველოს სსრ დამსახურ-
ებულ არქიტექტორებს: ვ. აბრამიშვილს, ო. კალანდარიშვილს, ინსტიტუტის ფოტოლაბორა-
ტორიის გამგეს ს. თევზაძეს, ლაბორანტს შ. ყაბინას, საქალაქმშენსაპროექტის ინსტიტუტის
დირექტორს თ. ბოკერასს, „კავკასიონის“ ინსტიტუტის დირექტორს ლ. ქვარცხავას,
საქართველოს სსრ დამსახურებულ ინჟინერს დ. იოსაიას, თბილქალაქპროექტის უფროსს
ი. მელქაძეს, ეურნალისტებს: ბ. ბოლქვაძეს, ზ. მისაიას, საქართველოს სსრ კულტურის
დამსახურებულ მუშაკებს: გ. ვახტანგაძეს, შ. გოჭაძეს, ი. დავითაშვილს, ფოტოეურნალისტებს:
ი. დვალს, ი. ილიასოვს, ს. ჩალკატრაიანს, რეცენზენტებს, რედაქტორს იმ დახმარებისათვის,
რომელიც მათ გამიწიეს წიგნისათვის საჭირო მასალების შეგროვება-სისტემატიზაციით და
სათანადო რჩევა-დარიგებებით.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. 1958 წლის ოქტომბერში თბილისისა და მთელი რესპუბლიკის მშრომელებმა აღნიშნეს თავიანთი დედაქალაქის 1500 წლის თავი. 1983 წელს მთელმა ჩვენმა რესპუბლიკამ, მისმა დედაქალაქმა უდიდესი ზეიმით აღნიშნეს რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი მანიფესტის — გეორგიევსკის ხელშეკრულების ხელმოწერის მე-200 წლისთავი. თბილისის მთელი ისტორია განუყრელად არის დაკავშირებული საქართველოს ისტორიასთან, ქართველი ხალხის ისტორიასთან. თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე თბილისმა 40-ჯერ განიცადა მტრის შემოსევა და 26-ჯერ იმყოფებოდა უცხოელი დამპყრობლების — ბიზანტიელების, ხაზარების, არაბების, ხვარაზმელების, მონღოლების, სპარსელების, თურქ-სელჩუკების, თურქ-ოსმალთა და სხვათა ხელში, რომლებმაც გაანადგურეს და გაძარცვეს ქალაქი, გაულიტეს მისი მოსახლეობა. მაგრამ თბილისი ფენიქსის მსგავსად არაერთხელ აღმდგარა ფერფლისა და ნანგრევებისაგან, მამაცურად იშუშებდა კრილობებს და მუდამ ინარჩუნებდა საქართველოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და კულტურული ცენტრის სახელს.

ცნობილია ლეგენდა, რომლის თანახმად მეფე ვახტანგ გორგასალმა უღრან ტყეში ნადირობისას ირემი დაჭრა; სისხლისაგან დაცლილი ირემი თბილ გოგირდოვან წყაროში შევიდა, კრილობა მოიბანა, სწრაფად წამოხტა და თვალს მიეფარა. თბილისის დამაარსებელმა გამოიკვლია წყარო, სამკურნალოდ მიიჩნია იგი და ბრძანა ეს ადგილი დაესახლებინათ. ქალაქ თბილისის სახელწოდება გადმოცემით წარმოდგარია გოგირდოვანი წყლის თბილი წყაროებისაგან. არქეოლოგიური მონაცემებით თბილისის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში ცხოვრობდნენ ადამიანები; ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნის მატრიანეში თბილისი უკვე მოხსენიებულია, როგორც „გამაგრებული ქალაქი“. ქართველმა ხალხ-

მა გაუძლო ისტორიული წარსულის ყველა განსაცდელს — დამანგრეველ ომებსა და მრავალრიცხოვან ბარბაროსულ შემოსევას და შეინარჩუნა თავისი მაღალი კულტურა, დაიცვა თავისი ხელოვნება და არქიტექტურა.

თბილისის საბჭოთა არქიტექტურის შექმნას წინ უსწრებდა ანტაგონისტური საზოგადოებრივეკონომიკური ფორმაციების პირობებში ქართველი ხალხის კულტურისა და ხელოვნების განვითარების მრავალსაუკუნოვანი პერიოდი. უძველესი დროიდან ნიჭიერი ქართველი ხალხი ქმნიდა თვითმყოფადი ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ნიმუშებს.

ძველი ქართული არქიტექტურის ისეთი ძეგლები, როგორც არის ანჩისხატის ბაზილიკა (VI ს.) და სიონის კათედრალური ტაძარი (VII ს.) თბილისში, ჯერის მონასტერი (VI—VII სს.) და სვეტიცხოვლის ტაძარი (XI ს.) მცხეთაში, „ლურჯი მონასტერი“ (XII ს.), მეტეხის ციხესიმაგრე (XIII ს.) თბილისში და სხვები მონუმენტური ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ნაწარმოებებია და ფასდაუდებელი წვლილია ქართული და მსოფლიო კულტურის საგანძურში.

XIX საუკუნის გარიყრაჟზე თბილისის ისტორიაში დაიწყო ახალი პერიოდი, რომლისთვისაც დამახასიათებელია შედარებით მშვიდობიანი განვითარება. საქართველო შეუერთდა რუსეთს, რამაც უზრუნველყო ქვეყნის ტერიტორიული გაერთიანება და ფეოდალური დაქსაქსულობის ლიკვიდაცია.

რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითმა შეერთებამ იხსნა ქართველი ხალხი განადგურებისაგან, ხოლო მისი თავისთავადი, მრავალმხრივი, უნიკალური ეროვნული კულტურა — დაღუპვისაგან.

„... რუსეთი ქვეშაობითად ასრულებს პროგრესულ როლს აღმოსავლეთის მიმართ... რუსეთის ბატონობა ასრულებს ცივილიზატორულ როლს შავი და კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზი-

ისათვის...“— წერდა ფ. ენგელსი 1851 წლის 23 მაისს კ. მარქსს.

რუსეთთან საქართველოს შეერთებას, იმის მიუხედავად, რომ მაშინ რუსეთს სათავეში ედგნენ მეფე და ნებანულეები. უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის შემდგომი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის.

რეთი ისტორიული ფაქტები, როგორც არის რუსეთთან კულტურული კავშირის განმტკიცება, რუსეთის პროგრესულ რევოლუციურ მოღვაწეებთან ურთიერთობა, რუს ხალხთან სიახლოვე ხელს უწყობდა საქართველოსა და მთელი კავკასიის მატერიალური და სულიერი კულტურის ზრდას, ნელაძე ბიძგი იყო ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის გაჩაღებისათვის; ქართველმა ხალხმა სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი რუსეთის ხალხთა ბედს. რუსული კულტურის ბევრი მოწინავე წარმომადგენელი ყოფილა, უფრო ხშირად კი დიდხანს უცხოვრია საქართველოში, ვერძოლ, თბილისში და მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქართულ კულტურის პროგრესულ მოღვაწეებთან, ასევე საქართველოს ბევრი საზოგადო მოღვაწეც ცხოვრობდა რუსეთში და უშუალო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის მოწინავე მოღვაწეებთან. თბილისი — საქართველოს გული, მისი ძირითადი კულტურული და პოლიტიკური ცენტრი, იყო აგრეთვე რუსეთ-საქართველოს კულტურული კავშირების ცენტრიც.

რუსეთთან ამიერკავკასიის შეერთების შემდეგ სულ უფრო ვითარდება ქართველი ხალხის კულტურული კავშირი აზერბაიჯანისა და სომხეთის მოძვე ხალხებთან, ხოლო თბილისი მთელი ამიერკავკასიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი ხდება.

რუსეთის მოწინავე კულტურასთან კავშირმა, დიდ რუს ხალხთან ქართველი ხალხის მეგობრობამ, საუკუნეთა მანძილზე რომ ღრმავდებოდა, კეთილსასურველი გავლენა მოახდინა ქართული კულტურის და, კერძოდ, არქიტექტურის განვითარებაზე.

XIX საუკუნის დამდეგის რუსული კლასიციზმის გავლენით თბილისის არქიტექტურულ-სამშენებლო პრაქტიკა პროგრესულა ნიშნითვისებები შეიძინა და რეალურ ქალაქის განაშენიანება ქალაქთმშენებლობის წესების შესაბამისად: გაჩნდა საზოგადოებრივი ნაგებობათა ახალი ტიპები (სასწავლო დაწესებულებები, ადმინისტრაციული შენობები, თეატრები და ა. შ.), საცხოვრებელი შენობების არქიტექტურაში იჭრება რუსული კლასიციზმის ელემენტები, რომლებიც ხალხური ხუ-

როთმოდგერების ტრადიციებთან შერწყმით სახლებს თავისებურ იერსახეს ანიჭებენ.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დამდეგს თბილისი — მეფის რუსეთის კოლონიური განაპირა მხარის ტიპური ადმინისტრაციულ-სავაჭრო ცენტრი, კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენციაა. საქართველო კაპიტალისტური განვითარების საერთო კალაპოტში ექცევა.

იმ ხანებში, ვ. ი. ლენინის თქმით, რუსეთის კაპიტალიზმი ითრედა კავკასიის საქონლის მოფლიო საქონელმომოქცევაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის*. საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ვითარდება ქალაქი თბილისიც. იზრდება სამრეწველო საწარმოთა რიცხვი, ფართოვდება ვაჭრობა. თბილისში იქმნება მექანიკური, თუჯის ჩამომსხმელი, ტყავის, ღვინისა და კონიაკის, საპნის ქარხნები, საფეიქრო ფაბრიკა. 1865 წელს შენდება ამიერკავკასიის რკინიგზა, ხოლო 1883 წელს თბილისში იხსნება რკინიგზის სახელოსნოები, დეპო, ჩნდება მუშათა კლასი. საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობასთან ერთად წარმოშობილი საქართველოს პროლეტარიატი ვითარდებოდა როგორც რუსეთის მუშათა კლასის განუყოფელი ნაწილი, როგორც მისი ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი.

ძველი თბილისი, ფეოდალიზმის ეპოქის ქალაქი, რომელიც ასახავდა პატრიარქალურ კარჩაკეტილობას და იყო საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მთავარი ადმინისტრაციულ-სავაჭრო ცენტრი, კაპიტალისტური ქალაქისთვისებებს იძენდა. თბილისი სწრაფად იცვლის იერსახეს; აქ იქმნება მთავარი მოედანი და მაგისტრალი. თანდათან ისახება მთავარი გუნების მოედნის (ამჟამად ამ მოედანზე მთავრობის სასახლე) კონტურები. XIX საუკუნეში ამ მოედნის ირგვლივ და ქალაქის მთავარ მაგისტრალზე გოლოვინის ქუჩაზე (ამჟამად რუსთაველის პროსპექტი) იგება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი შენობები რუსული კლასიციზმის სულისკვთებით: სასულიერო სემინარია (ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი); კავკასიის არმიის ჯარების შტაბი, კავკასიის მეფისნაცვლის სასახლე, მოგვიანებით რენესანსის სტილში რეკონსტრუირებული (ამჟამად ბ. ძნელაქის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე), პაუპტვახტი, გიმნაზია და სხვები.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის თბილისის ბევრი შენობის არქიტექტურა განიცდიდა კლასი-

* ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტომი 3. გამოცემა მეოთხე. საბელგამი. პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი. 1955, გვ. 704.

* კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი. მეორე გამოცემა, ტ. 27, 1962, გვ. 241 (რუსულ ენაზე).

ციზმის გავლენას. „საერთოდ მშენებლობაში ახლის შემოტევამ დათარგუნა კლასიციზმის (აგრეთვე ამპირის) სხვადასხვა ელფერი. არქიტექტურაში ფართო ნაკადით იჭრება ეკლექტიკა. მმართველი კლასი როგორც სახელმწიფო, ისე კერძო შენობებში, იმეორებს წინა პერიოდის ყველაზე უფრო რეპრეზენტატულ ნაგებობათა ფორმებს. ამ შენობებში, რომლებიც გათვალისწინებული იყო როგორც ბურჟუაზიის პირადი სარგებლობისათვის (ცალკე მდგომი სახლები), ასევე საზოგადოებრივი დანიშნულებისათვის (სათათბირო, სასამართლო, მუნიციპალიტეტი და ა. შ.), მკვეთრად გამოვლინდა მისწრაფება კლასიციზმის პრინციპების კონსერვაციისაკენ, იმ დროს როდესაც კომერციულ მშენებლობაში სუფევდა ძირითადად ეკლექტიკისა და სტილიზაციის სტიქია“*.

დიდი საზოგადოებრივ-ადმინისტრაციული შენობების არქიტექტურას XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს ცვლის შემოსავლიანი სახლებისა და ბანკების, სხვადასხვა საავტოსამრეწველო დაწესებულებათა ეკლექტიკური არქიტექტურა. იმ დროს, ცალკეული მიღწევების მიუხედავად (ახალი ტიპის შენობების გაჩენა, სამშენებლო ტექნიკის წარმატებები და ა. შ.), რაც განპირობებული იყო კაპიტალიზმის განვითარებით, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მკვეთრად ეცემა თბილისის არქიტექტურის ღონე.

მაგრამ თბილისისა და მის გარეუბნებში ყალბი მორთულობისა და ეკლექტიკის მომძლავრების პირობებში, საბინაო მშენებლობაში გზას იკაფავდა უპირატესად ადგილობრივი მხატვრული ტრადიციები ხალხური ხუროთმოძღვრების ხერხებისა და ფორმების სახით, რომელთა თავისუფალი და ფართო განვითარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

XX საუკუნის დამდეგს თბილისში მრეწველობის მუშები უფრო ნაკლები იყვნენ, ვიდრე ჭარისკაცები და პოლიციელები. რუსეთის მოზრდილ ბაზრებთან სუსტმა კავშირმა, მკვეთრ კლასობრივ შტრატეგიათა არარსებობამ თბილისის უძრავობის დალი დაასვა.

ხალხისათვის საძულველი მენშვიკური რეჟიმისა და უცხოელი ინტერვენტების ბატონობის პირობებში ცხოვრების უკიდურესმა, მძიმე პირობებმა თვალნათლივ დააჩქმუნეს თბილისის, მთელი საქართველოს მშრომელნი, რომ მხოლოდ რუს ხალხთან მჭიდრო კავშირში შესძლებდნენ მიეღწიათ განთავისუფლებისათვის.

საბჭოთა რუსეთმა, წითელმა არმიამ დახმარე-

ბის ხელი გაუწოდეს ამიერკავკასიის ხალხებს. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქის — თბილისის თავზე წითელი დროშა აფრიალდა. საქართველოს მშრომელებმა დიდი რუსი ხალხის, გმირი წითელი არმიის ძმური დახმარებით საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. იმ სასიამოვნო, თბილისის, მთელი საქართველოს მშრომელებისათვის ისტორიულ დღეს მოსკოვში, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის სახელზე გაიგზავნა დეპუტა ს. ორჯონიკიძის ხელმოწერით — „თბილისში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ ამ მგზნებარე სიტყვებმა, რომლებიც გამარჯვების ჰიმნად გაისმა, ცხადყვეს, რომ დაიწყო ძირეული შემობრუნება თბილისის, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიაში, ახალი ეპოქის, მშრომელი მასების სოციალური და ეროვნული განთავისუფლების, მათი ნამდვილი ეკონომიკური და კულტურული აღორძინების ეპოქის დასაწყისი.

საბჭოთა საქართველომ, სოციალისტურმა თბილისმა — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირშემოებმა — საბჭოთა ხელისუფლების წლებში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, თბილისი ისე მძლავრად განვითარდა, როგორც მას არ ახსოვს მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

საგუბერნიო, მეფის რუსეთის სავაჭრო მოხელეთა ქალაქიდან თბილისი უდიდეს სამრეწველო, სამეცნიერო და კულტურულ ცენტრად, რესპუბლიკის ნამდვილ დედაქალაქად გადაიქცა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქალაქის ტერიტორია ორჯერ და უფრო მეტად გაფართოვდა. მოსახლეობა ოთხჯერ და უფრო მეტად გადიოდა და 1983 წლის პირველი იანვრის მონაცემებით 1 125 200 კაცს მიაღწია.

თბილისში აგებულია ათობით მოზრდილი სამრეწველო საწარმო. ქალაქის სამრეწველო წარმოების ღონემ 1981 წელს 256-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის ღონეს, ხოლო 1981 წელს მარტო მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა რიცხვი 3-ჯერ აღემატებოდა 1922 წელს მთელს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობას. გაჩნდა მრეწველობის ადრე არარსებული დარგების საწარმოები.

უკაცრიელი ადგილების, ძველი ქოხმახებიანი ყოფილი განაპირა მხარეების ნაცვლად წამოიშარა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, სააპქროთა, ქარხნებისა და ფაბრიკების მოზრდილი კორპუსები, განაშენიანებული ახალი სამრეწველო რაიონები, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კვარტალები, მსხვილი საცხოვრებელი მასივები. დიდი ცელი-

* მსოფლიო არქიტექტურის ისტორია თორმეტ ტომად. ტომი 10. XIX—XX სს. დასაწყისის არქიტექტურა. მოსკოვი, 1972, გვ. 8 (რუსული გამოცემა).

ლებები მოხდა ქალაქის ადრე განაშენიანებულ ნაწილში — რეკონსტრუირებული, გაფართოებული და კეთილმოწყობილი მოედნები, პროსპექტები და ქუჩები, ისინი დამშვენდა ახალი დიდებული, მონუმენტური შენობებით. ახალი წყალსადენის აგებამ თბილისის მშრომელებს საშუალება მისცა 1982 წელს დაეხარჯათ 24-ჯერ მეტი სასმელი წყალი, ვიდრე 1940 წელს, ხოლო დაახლოებით 66-ჯერ მეტი, ვიდრე 1921 წელს, რაც ერთ მცხოვრებზე გაანაწილებია 12-ჯერ მეტს შეადგენს.

ძირეული ცვლილებები განიცადა საქალაქო ტრანსპორტმა. ვიწროლიანდაგიანი ტრამვაისა და ცხენიანი ეტლების ნაცვლად თბილისში ყოველდღიურად ფართოლიანდაგიანი გზით დაქრის ასობით ტრამვაის ვაგონი, ტროლეიბუსი, ავტობუსი და ტაქსი, ხოლო მიწისქვეშა ცისფერ ექსპრესებს ყოველდღიურად ათასობით მგზავრი გადაჰყავს. მარტო 1966 წელს — გახსნის წელს — თბილისის მეტროპოლიტენმა გადაიყვანა 21,5 მილიონი მგზავრი. მიწისქვეშა ექსპრესის წილი საქალაქო ტრანსპორტის მოცულობაში მაშინ შეადგენდა 5,9 პროცენტს, 1982 წელს — 22,9 პროცენტს, ხოლო 1983 წელს მან 23,3 პროცენტი შეადგინა. არნახულად შეიცვალა თბილისის მწვანე სამოსი. 1921 წლამდე მწვანე ნარგავები იყო ქალაქის მხოლოდ ბურჟუაზიულ კვარტალებში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქუჩებსა და სახლების ეზოებში დაირგო მილიონობით ხე და ბუჩქი, გაშენდა ათობით ახალი კეთილმოწყობილი პარკი, ბაღი, სკვერი.

თბილისი ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი მსხვილი კულტურული და სამეცნიერო ცენტრია. აქ არის 11 უმაღლესი სასწავლებელი, 189 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 99 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 14 თეატრი, 1 ცირკი, 65 კინოთეატრი, 46 საკლუბო დაწესებულება, 17 მუზეუმი, ყველა სახეობის 126 ბიბლიოთეკა, სპორტის სასახლე, 11 სტადიონი, 20 საფეხბურთო მოედანი (მათ შორის 5 საფეხბურთო მოედანი 1500-ზე მეტ მაყურებელზე), ტანვარჯიშის დარბაზები, საცურაო აუზები, სხვა სასპორტო ნაგებობები, სამკურნალო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები.

საქართველოს სსრ დედაქალაქის სოციალისტური მშენებლობა ხორციელდებოდა ჩვენი ქვეყნის მსხვილი ქალაქების რეკონსტრუქციის შესაბამისად. იგი იყო იმ უდიდესი მუშაობის შემადგენელი ნაწილი, რომელმაც 30-იან წლებში ფართო გაქანება პოვა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქალაქ თბილისის აყვავება სოციალისტური წყობილების უპირატესობის, ლენინური ეროვნული პოლიტი-

კის გამარჯვების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიდი ხელმძღვანელი და წარმართველი როლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია.

საბჭოთა საქართველოს, სოციალისტური თბილისის ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობა იმის ნათელ სურათს იძლევა, თუ ქვემოთ ჩოვრად როგორ თვალსაჩინო წარმატებებს შეუძლია მიაღწიოს კაპიტალისტური მონობის უღლისაგან განთავისუფლებულ ხალხს. ქართველი ხალხის კულტურა მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე პირველად ჩადგა მშრომელთა სამსახურში, უხვად აკმაყოფილებს მათ მუდმივად მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს.

საბჭოთა ხელისუფლებამ უფართოესი პერსპექტივები გადაშალა არქიტექტურის განვითარებისათვის. სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით იწყება ქართული კულტურის ნამდვილი აღორძინება, სოციალისტური კულტურის, არქიტექტურის განვითარება და აყვავება.

საბჭოთა სოციალისტური კულტურა კანონზომიერი მემკვიდრეა ყოველივე იმ საუკეთესოსი, რაც წინამორბედმა თაობებმა შექმნეს. არქიტექტურა, როგორც კულტურის დარგი, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის პარამონიულ ერთიანობას წარმოადგენს. თავის ნაწარმოებებში იგი ასახავს ხალხის ეკონომიკური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ორგანიზაციის ფორმებს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისება, რომელიც ძირეულად განასხვავებს საბჭოთა არქიტექტურას ანტიკონსტრუქციულ საზოგადოებრივი ფორმაციების არქიტექტურისაგან, მათ შორის კაპიტალისტური ქვეყნების თანამედროვე არქიტექტურისაგან, არის მისი ნამდვილი ხალხურობა.

საბჭოთა არქიტექტურისათვის უცხოა ყოველგვარი ისეალებე, ზიზილ-პიპილურობა, პრეტენზიულობა, მდარე ფორმები, ყოველივე ის, რაც დამანასიათებელია ყოველგვარი სახის ფორმალიზმისათვის.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამალღებინათვის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული პროგრამა ქვემოთ ჩოვრად განადიოზულია. ამ პროგრამის შესრულებას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება, ჩვენი ქვეყანა ყველა ხალხს უჩვენებს ადამიანის მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების ნამდვილად სრული და ყოვლისმომცველი დაკმაყოფილების მაგალითს.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამალღების ყველაზე მწვავე პრობლემა საბინაო პრობლემა, ამიტომ პარტია ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბინაო მშენებლობას. „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მი-

ნისტრთა საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის ცნობილი დადგენილების შემდეგ სულ უფრო ფართო გაქანებას პოულობს ჩვენს ქვეყანაში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა.

მილიონობით მშრომელი შედის ახალ, კეთილმოწყობილ სახლებში. ავიღოთ თუნდაც უკანასკნელ წლებში თბილისის საბინაო მშენებლობის გამოცდილება. 1981 და 1982 წლებში აქ საქსპლუჰატციოდ გადაიცა 1 142 339 კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი. ამ ხნის მანძილზე თბილისელთა 20 770 ოჯახმა მიიღო ახალი კეთილმოწყობილი ბინა. 1982 წელს ახალი ბინით დაკმაყოფილდა 2-ჯერ მეტი ოჯახი, ვიდრე 1960 წელს. საბინაო მშენებლობის ასეთი ტემპები არ ახსოვს სოციალისტური თბილისის ისტორიას.

სსრ კავშირში ჭეშმარიტად არანახული გაქანება პოვა საბინაო მშენებლობამ. საბინაო მშენებლობის მოცულობითა და ტემპებით ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. სსრ კავშირში მოსახლეობის ათას კაცზე გაანგარიშებით შენდება 2-ჯერ მეტი ბინა, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში, 2-ჯერ და უფრო მეტი, ვიდრე ინგლისსა და იტალიაში. კიდევ უფრო სწრაფი ტემპით ხორციელდება საბინაო მშენებლობა 1964—1983 წლებში.

1961—1970 წლებში სსრ კავშირში აიგო არანაკლებ 32 მილიონი ბინა, ე. ი. მეტი, ვიდრე ევროპის ყველა კაპიტალისტურ ქვეყანასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთად აღებული. 1971—1980 წლებში ჩვენს ქვეყანაში აიგო დაახლოებით 50 მილიონი ბინა. ამაში კიდევ ერთხელ თვალნათლივ ვლინდება პარტიისა და მთავრობის ნამდვილი დაუღალავი ზრუნვა საბჭოთა ხალხის

საარსებო მოთხოვნებზე, სოციალიზმის ძირეული უპირატესობა კაპიტალიზმთან შედარებით.

სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის შესრულება უზრუნველყოფილი იქნება მშენებლობის სრული ინდუსტრიალიზაციითა და, უწინარეს ყოვლისა, ასაკები რკინაბეტონის კონსტრუქციების მრეწველობის, მსხვილპლანელიანი სახლმშენებლობის განვითარებით.

საქართველოს სსრ და მისი დედაქალაქ თბილისის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულება გამოდინარეობს სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებიდან.

1981—1990 წლებში თბილისში გათვალისწინებულია ფართო საბინაო მშენებლობა. საბინაო მშენებლობის გეგმა ისეა შემუშავებული, რომ ყოველ მოქალაქეზე მოდიოდეს საშუალოდ 1985 წელს 10,3 კვადრატული მეტრი, ხოლო 1990 წელს 11,2 კვადრატული მეტრი, ნაცვლად 1980 წლის 9,4 კვადრატული მეტრისა: კეთილმოწყობილ ბინებში შესახლება 5 996 ოჯახი, ანუ თითქმის 23 300 მოსახლე, რომლებიც ამჟამად ბარაკებში, ავარიულ სახლებსა და სარდაფებში ცხოვრობენ.

საბინაო მშენებლობაზე მეტერთმეტე ხუთწლედში ქ. თბილისში გათვალისწინებულია დაინახოს 481,1 მილიონი მანეთი, ყოველწლიურად ექსპლუატაციაში ჩაბარდება 560—600 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, მეტერთმეტე ხუთწლედში აშენდება 2 750 100 კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი. მეტერთმეტე ხუთწლედში ჩვენს დედაქალაქში ყოველწლიურად ჩაბარდება 630 ათასი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი.

სახალხო მუშაკთა კავშირების აღდგენის, სოციალისტური ინფრასტრუქტურისა და ხუთწლედის (1921—1923 წლები) პერიოდის ხუროთმოძღვრება

§ 1. საბოთა ხელისუფლების პირველი წლების არქიტექტურა

სოციალისტური თბილისის არქიტექტურამ თავისი არსებობის პერიოდში განვითარების რთული გზა განვლო. მისი პირველი ნაბიჯები გაუბედურდა, ხშირად მცდარი იყო.

არქიტექტურა, რომელიც ძველი წყობილებიდან გამდრეკილად დაიწყო, საველად სურათს წარმოადგენდა. ევროპულ მოდერს, რომელიც გაბატონებული იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის არქიტექტურულ პრაქტიკაში და დამკვიდრდა კაპიტალისტურ რუსეთში, არ შეიძლებოდა თავისი დაღი არ დაესვა მისი ეროვნული განაპირა მხარეების, მათ შორის საქართველოს, თბილისის არქიტექტურის განვითარებაზე.

კაპიტალიზმის ეპოქაში, განსაკუთრებით მის იმპერიალისტურ სტადიაში, არქიტექტურა ხდება ყიდუ-გაყიდვის ობიექტი, იგი ბატონ არისტოკრატებისა და ბურჟუაზიის გემოვნებისა და აზიერებულობის, მოდისა და ჟინიანობის გავლენას განიცდის. როგორც იმდროინდელ რუსეთის არქიტექტურაზე, ისე თბილისის არქიტექტურაზე, თავისი გავლენა იქონია საერთო ევროპულმა ეკლექტიკამ.

თბილისის არქიტექტურული ნაწარმოებების (რომლებიც იმ ეპოქას განეკუთვნებიან) აბსოლუტურ უმეტესობაში „გადამღერებულა“ ყოველგვარი სახით ყველა არსებული სტილი; არქიტექტორები ბაჰავენ კლასიკას, არაკრიტიკულად მიმართავენ ბიზანტიის არქიტექტურას, გოთიკას, ძველ რუსულ და ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებას, ამკვიდრებენ მავრიტანული არქიტექტურის, ისლამის ხუროთმოძღვრების ფორმებსა და ხერხებს და ა. შ.

არქიტექტურულ ნაგებობათა გადაქცევამ საქონლად, მშენებლობაც. ჩაითარა რეკლამის გავ-

ლენის სფეროში, რაც ასახავდა კაპიტალისტური საზოგადოების ჩარჩულ სულსიკვეთებას. ეს გავლენა შეიმჩნეოდა არამარტო შემოსავლიანი სახლების ფასადების ბუტაფორული დეკორაციით ანდა მალაზიების ინტერიერებში უგემოვნო ნაძერწით*.

კავკასიასა და ამიერკავკასიაში ცნობილი გახდა, ეგრეთ წოდებული „მავრიტანული“ სტილის არქიტექტურული სკოლა. მისი კანონებით აიგო ყოფილი სახაზინო თეატრის შენობა (ამჟამად ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი); ყოფილი საქალაქო სათათბირო (ამჟამად საქალაქო საბჭოს აღმასკომი) და სხვა. თბილისში აიგო შენობები აგრეთვე გოთიკურ სტილში (ყოფილი ქალთა მესამე გიმნაზია), ირანულ სტილში (ყოფილი კავკასიის მუზეუმი), „მოდერნის“ სტილში (ყოფილი მედიკ აზარიალის სახლი).

იმ დროის უმეტესად უსახო, ეკლექტიკური არქიტექტურის სულსიკვეთებით აგებულ ნაგებობათაგან მხოლოდ ცალკეული მოზრდილი შენობები გამოირჩეოდა შესრულების ოსტატობით. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ყოფილი ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობა (ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), რომელიც არქიტექტორ ს. კლდიაშვილის პროექტით აიგო; ყოფილი ქართული სათავადაზნაურო ბანკის შენობა (ამჟამად კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა), რომელიც არქიტექტორმა ა. კალგინმა დააპროექტა; ყოფილი სასტუმრო „მაქსტიკის“ შენობა (ამჟამად სასტუმრო „თბილისი“), რომელიც დააგეგმარა არქიტექტორმა გ. ტერ-მიქელიძემ.

* მხოლოდ არქიტექტურის ისტორია თორმეტ ტომად. ტომი 10. მოსკოვი, 1972, გვ. 27 (რუსულ ენაზე).

ყოფილი ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში ნიჭიერმა ქართველმა ხუროთმოძღვარმა ს. კლდიაშვილმა ოსტატურად გამოიყენა რუსული კლასიკის ფორმები და მოტივები. მან კარგად გადაწყვიტა არქიტექტურულ-დაგეგმარებითი ამოცანაც, დასაბამი მისცა სინტერესო არქიტექტურულ ანსამბლს. შენობა ამჟამადც გამოირჩევა როგორც დომინანტი ქალაქის ამ ნაწილის მთელი განაშენიანების საერთო ფონზე.



საქართველოში მენშევიკების სამი წლის ბატონობამ მოშალა კომუნალური მეურნეობა, თბილისის არქიტექტურა დაცემამდე მიიყვანა. კეთილმოწყობის თვალსაზრისით იმდროინდელი თბილისი სავალალო სურათს წარმოადგენდა. ქუჩები და მოედნები ჩახერგელი იყო. ქალაქის ცენტრალური მაგისტრალებიც კი უკეთეს შემთხვევაში რიყის ქვებით იყო დაფარული. ყოველგვარ საფარს მოკლებული ქუჩებისა და ქუჩაბანდების უმეტესობა წვიმიან ამინდში ჰაობად იქცეოდა და ხშირად გაუვლელი ხდებოდა. ბევრი მცირე სიმძლავრის თბოელექტროსადგური უმოქმედოდ იდგა საწვავის უკმარისობისა და სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო, რის შედეგადაც ქალაქი, განსაკუთრებით მისი მუშათა კვარტალები, დამლამობით წყვილიაღში იყო ჩაფლული. მოსახლეობა წყლის მწვევე ნაკლებობას განიცდიდა; 1887 წლის აგებული ავქალის წყალსადენი სრულიად უვარკისი აღმოჩნდა. საბოლოოდ მოიშალა ტრამვაის მეურნეობა. ქალაქში დადიოდა სულ რაღაც სამი ათეული მოძველებული ვაგონი, რომლებსაც უნარი არ შესწევდათ, თუნდაც მინიმალურად დაეკმაყოფილებინათ მოსახლეობის მოთხოვნილებები.

განსახლების კლასობრივი ხასიათის დროს ქალაქის უმეტესი ნაწილი, განსაკუთრებით მისი გარეუბნები, სილატაქის თავშესაფარს წარმოადგენდა. აქ, ნახევრად დანგრეულ, შუქს, კანალიზაციასა და წყალსადენს მოკლებულ ქოხნახებში შევუქული იყო მშრომელი ადამიანი; გარეუბნებიდან ტალახი და ანტისანიტარია თანდათან მთელს ქალაქში ვრცელდებოდა. ყველაზე კეთილმოწყობილი იყო შეძლებული კლასის ცენტრალური რაიონები, იქვე იყო განლაგებული მთავრობის დაწესებულებები.

რაიმე სერიოზულ არქიტექტურულ წამოწყებასა და ღონისძიებებზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. „ქალაქის მამები“ იმდენად ქალაქის კეთილმოწყობაზე არ ზრუნავდნენ, რამდენადაც თავიანთ ანგარებით ინტერესებსა და თავიანთი კლასის ინტერესებს უფრო ხილდებოდნენ და იცავდნენ. ყო-

ყოფილი ქართული სათავადაზნაურო ბანკის შენობის (საჭარო ბიბლიოთეკა) დაპროექტებისა და აგებისას ა. კალგინმა დიდი ოსტატობით გამოიყენა ძველი ქართული არქიტექტურის ხერხები, ფორმები და მოტივები.

სასტუმრო „მაცესტიკის“ („თბილისი“) შენობის არქიტექტურაში გ. ტერ-მიქელევმა უნარიანად გამოიყენა რენესანსისა და რუსული კლასიციზმის ფორმები და მოტივები.

ველგვარი, თუნდაც მცირე ცდა, რაიმე წამოწყვით ქალაქის კეთილმოწყობისათვის, კერძოდ მფლობელთა, კაპიტალისტთა გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ქართველი მენშევიკების მთავრობის მიერ წამოწყებულმა საქართველოს მუზეუმის ფსადის რეკონსტრუქციის კონკურსმა (1920 წ.) ეკონომიკური გაჩანაგების პირობებში არავითარი ნაყოფი არ გამოიღო.

საქართველოში ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე ძნელი ამოცანა დადგა — აღედგინა სრულ დაცემამდე მისული საქალაქო მეურნეობა, კეთილმოწყვო საქართველოს, მთელი ამიერკავკასიის დედაქალაქი — თბილისი.

ამ საქმის წარმატებას ხელს უწყობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე მიღებული დეკრეტები: მიწის კერძო საკუთრების მოსპობისა და მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ (1921 წლის 6 აპრილი, № 17 დეკრეტი), საცხოვრებელი შენობებისა და მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ (1921 წლის 15 ივნისი) და სხვები.

საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა წარმოების საშუალებათა განსაზოგადოება, მოსპო ექსპლუატატორული სისტემა და შექმნა მეურნეობის სოციალისტური ფორმები. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისში იწყება საწარმოო ძალების სწრაფი განვითარება.

სოციალისტური მშენებლობის — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის, აგრეთვე, კულტურული რევოლუციის ლენინური გეგმის განხორციელებამ განსაზღვრა ქალაქებისა და სოფლების განვითარება, მათი ძირეული შეცვლა სოციალისტურ საფუძველზე, უზრუნველყო მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მდიდართა ყოფილი სასახლეები და სახლები, კერძო სანატორიუმები მშრომელთა სამსახურში გადავიდა; დაიწყო ბინების მასობრივი გადანაწილება, მუშათა ოჯახებს ყოფილი მემამულეების ფაბრიკანტებისა და ვაჭრების კეთილმოწყობილ ბი-

ნებში ასახლებდნენ. დიდი ყურადღება ეთმობოდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ქალაქის მუშათა გარეუბნებში.

თბილისის მშრომლები პარტიული ორგანიზაციის ხელშეწყობით საპკოთა რუსეთისა და სხვა ნაპვე რესპუბლიკების უდიდესი დახმარების შედეგად წარმატებით არაშედეგდნენ თავს ჩამორჩენის, სოციალისტური რევოლუციის, თბილისის ახალ, სოციალისტურ ყარდაზე კეთილმოწყობისა და რეკონსტრუქციის ამოცანას.

სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში საქართველოს მშრომლებს ფასდაუდებელ მუშა დახმარებას უწყევდა საბჭოთა რუსეთი. ვ. ი. ლენინის მიზანმიმართულ რუსეთ-საქართველოსათვის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დახმარებით დატვირთული ემელონები. ამ დახმარების მეშვეობით საქართველოს სს რესპუბლიკაში უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დაიწყო 20 მიწარდილი სამრეწველო საწარმოს, მათ შორის საქართველოს სოციალისტური ენერგეტიკის პირმშოს — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის (ზაპესი) მშენებლობა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტების კვალდაკვალ გაიშალა ღონისძიებები თბილისის კეთილმოწყობისა და არქიტექტურული რეკონსტრუქციისათვის. არქიტექტურულ რეკონსტრუქციას საფუძვლად დაედო ახალი პრინციპები — მუშათა დაბების მილიანი დაგეგმარება, რომელშიც რეგულარული საბინაო განაშენიანება შეარწყმული იყო საზოგადოებრივ შენობათა კომპლექსთან. მწვანე მასივების შექმნა და ა. შ. დიდ ყურადღება დაეთმო მუშებით დასახლებულ გარეუბნებს.

1923 წელს აიგო პლენაროვის სახელობის მუშათა კლუბი ლენინის რაიონში. 1924 წელს დაიწყო შეაბაზის ქუჩის (ამჟამად ლესელიძის ქუჩა) გაფართოება; 1925 წელს განხორციელდა ვაგზლის ქუჩის პირველი რეკონსტრუქცია; ჩაიდგა მშენებლობა ქალაქის ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის რაიონებში — საბურთალოსა და განსაკუთრებით ვაკეში, სადაც დაისახა მთავარი მაგისტრალის — უნივერსიტეტის ქუჩის მიმართულება; რეკონსტრუქციას განიცდიან ქალაქის ცენტრალური ქუჩებიც. დაიწყო მთაწმინდის გატყობანება. 1921 წლამდე მწვანე ნარგავები იყო მხოლოდ გოლოგინის (ამჟამად რუსთაველის) და მიხაილოვის (ამჟამად პლენაროვის) პროსპექტებზე. 1922 წლიდან ხეებს უკვე რგავდნენ სხვა ქუჩებზეც.

ამ პერიოდში მთელი სიმწვავეით დადგა საბინაო საკითხი. 1923—1932 წლებში აიგო საცხოვრებელი სახლები ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მუშათა დასახლებაში, ერთ-ორსართუ-

ლიანი საცხოვრებელი სახლები ორჯონიკიძის რაიონში („ფიქრის გორა“) სტამბებისა და გამოცემლობათა მუშებისათვის, სახლები საქალაქო ტრანსპორტის მუშებისათვის (ტრამვაელთა), რკინაგზალებისათვის — ვაგზლის ქუჩასა და ლენინის რაიონში, მაუდის ფაბრიკის მუშებისათვის — დიდუბის რაიონში, დამკვერელებისა და სპეციალისტებისათვის — საბურთალოში და ა. შ. თბილისში საბინაო მშენებლობის გაქანებაზე შემდეგი მონაცემები მეთყველებენ:

1923 წლიდან 1933 წლამდე განვილი პერიოდში თბილისში აიგო 208 772 კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, მათ შორის 4 წელიწადში (1928—1931) — 75 ათასი კვადრატული მეტრი, ხოლო მომდევნო ორ წელიწადში (1932—1933 წლები) — 94,1 ათასი კვადრატული მეტრი*.

მასობრივმა საბინაო მშენებლობამ თბილისსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში 1926—1928 წლებში ახალი არქიტექტურული საწყისები შეიტანა კვარტალების დაგეგმარებაში. ძველი თბილისის კვარტალები იგებოდა საერთო გეგმის გარეშე, სტიქიურად; შემდგომში კი მშენებლობა ხორციელდებოდა საერთო არქიტექტურული პროექტით, შენდება საცხოვრებელი კვარტალების მთელი კომპლექსები შიდაკვარტალური გამწვანებით, სპეციალური მოედნებით, მომსახურე ნაგებობებითა და ა. შ.

მშენებლობის ეკონომიკის საკითხებს 20-იან წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომ მასობრივი საბინაო მშენებლობის არქიტექტურაში წარმოებდა მეტისმეტად გამართლებული ფორმები და განაშენიანების ერთფეროვანი ხერხები. ეს გამოწვეული იყო აგრეთვე იმით, რომ აუცილებლად დაჩქარებულიყო მშენებლობის ტემპი, რათა უმოკლეს ვადაში შესუსტებულიყო საბინაო კრიზისი.

თბილისის საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობის განვითარებაზე დადებითი გავლენა მოახდინა მოსკოვის ისეთი მუშათა საცხოვრებელი მასივების მშენებლობის გამოცდილებამ, როგორც არის უსაჩოვკა, დუბროვკა, დანგაუეროვკა და სხვები. ეს პროგრესული არქიტექტურული ნაწარმოებები თვალნათლივ ცხადყოფდნენ იმას, თუ რა საუელისბმო შესწორებები შექმნიდა მშენებლობის პრაქტიკას თეორიულ კონცეფციებში**.

ბევრი ნაკლოვანების მიუხედავად (უმეტესად ბინების უხეირო დაგეგმარება, ძირითადად მხოლოდ უტილიტარული ამოცანების გადაწყვეტა და ა. შ.) 1926-28 წლების საბინაო მშენებლობა

* ქურ. „მეურნეობის სოციალისტური მეურნეობა“, 1934, № 10, გვ. 83 (რუსულ ენაზე).

** მსოფლიო არქიტექტურის ისტორია თორმეტ ტომად. ტომი 12, წიგნი I, მოსკოვი, 1975, გვ. 11 (რუსულ ენაზე).

მოლიანად თბილისში იყო წინადადგმული ნაბა-
ჯი მუშათა დაბების ერთიან დაგეგმარებაში, რო-
მელიც აწესრიგებდა მშრომელთა ყოფა-ცხოვრე-
ბასა და რეგულარულ განაშენიანებას უხამებდა
შიდაკვარტალური კეთილმოწყობის ელემენტებს
(ზაპესის, ფიჭის გორას დასახლება და სხვები).
ყოველივე ეს მნიშვნელოვანი რამ იყო თბილისის
საცხოვრებელი ბინების არქიტექტურის ჩამოყა-
ლიბებაში. თანდათანობით კვარტალის გადაწყვე-
ტის პრობლემა გადაიზარდა რაიონის, როგორც
ქალაქის ნაწილის პრობლემაში (დამკერვლების,
სპეციალისტების სახლები საბურთალოში, რკინი-
გზელთა სახლები ლენინის რაიონში და ა. შ.).

ერთდროულად ხორციელდება დიდი სამუშაო-
ები სამრეწველო და საზოგადოებრივი ნაგებობე-
ბის მშენებლობისათვის. უკვე 1924 წელს ქალა-
ქის სამრეწველო საწარმოებმა 38 პროცენტით გა-
დააჭარბეს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების
1921 წლის დონეს. 1926 წელს იწყება თბილისის
მაუდ-კამეოლის ფაბრიკის მშენებლობა და ზო-
ლოგიური პარკისათვის ფართობის ათვისება.
ხორციელდება არსებულ სამრეწველო საწარმოთა
სრული რეკონსტრუქცია და ელექტრიფიკაცია,
მწყობრში დგება მსხვილი ინდუსტრიული საწარ-
მოები, 1927-30 წლებში ხორციელდება საქართვე-
ლოს მუზეუმის ფასადის რეკონსტრუქცია, შენ-
დება ტუბერკულოზის დისპანსერიის შენობა მელი-
ქიშვილის ქუჩაზე, ამერკავკასიის რკინიგზის სამ-
მართველოს ახალი კორპუსის, საქართველოს სახ-
კინზრეწვის, ვეტერინარული ინსტიტუტის შენო-
ბები; 1929 წელს საექსპლუატაციოდ გადაიქცა ამი-
ერკავკასიის სახალხო კომისიართა საბჭოს შენობა
(ამჟამად საქართველოს კომპარტიის თბილისის
საქალაქო კომიტეტის შენობა), პურის პირველი
ქარხანა და აბრეშუმის საქარავი ფაბრიკის ახალი
კორპუსები, დაიწყო სომხური დრამის თეატრის
მშენებლობა და ა. შ. 1926 წელს ძმები ნიკიტინე-
ბის ცირკის ხის შენობის ადგილას საფუძველი
ჩაეყარა „ზარია ვოსტოკას“ რედაქციისა და გა-
მომცემლობის შენობას. 1930-იანი წლებიდან სა-
ქალაქო მეურნეობის რეკონსტრუქციამ და გან-
ვითარებამ კიდევ უფრო დიდი გაქანება პოვა.

სოციალისტური თბილისის არქიტექტურის ჩა-
მოყალიბებისა და განვითარების მნიშვნელოვანი
ფაქტორი იყო ჩვენი პარტიისა და მთავრობის პო-
ლიტიკა, რომელიც საბჭოთა წყობილების სასი-
ცოცხლო საფუძველს წარმოადგენს. დიდი შემოქ-
მედებითი ამოცანების გადაწყვეტის გარეშე შე-
უძლებელი იქნებოდა ისეთი არქიტექტურის შე-
ქმნა, რომელსაც უნარი ექნება აღზარდოს ახალი
ადამიანის — სოციალისტური საზოგადოების მშე-
ნებლის ამაღლებული, კეთილშობილი გრძნობები,
დაამშვენოს მისი ცხოვრება, დაამყაროს მისი
სიზარდი მოთხოვნილებები.

საბჭოთა არქიტექტურას შემოქმედებითი ამო-
ცანების გადაწყვეტა უხდებოდა ბურჟუაზიულა
იდეოლოგიის რეციდივებთან, არქიტექტურაში
ყოველგვარ ფორმალისტურ დამახინჯებასთან გა-
აფთრებულ ბრძოლაში.

თბილისს, როგორც საქართველოსა და ამიერ-
კავკასიის დედაქალაქს, რამდენიმე თავისებურება
ქონდა, რომლებიც განასხვავებდა მას საბჭოთა
კავშირის ბევრი რესპუბლიკისა და მხარის სხვა
ქალაქისაგან. ეს თავისებურებები გამოიხატებოდა,
უწინარეს ყოვლისა, სამეურნეო ამოცანებისა და
ეროვნული საკითხის გადაწყვეტის სირთულეში.

1922 წელს, როცა რუსურ-ში პროლეტულტი-
სა და მისი იდეოლოგიის მანქანა საქმიანობა უკვე
აღკვეთილი იყო (მათი გამანადგურებელი კრიტი-
კა მოგვცა ვ. ი. ლენინმა), ამიერკავკასიაში და,
კერძოდ, თბილისში პროლეტულტიის წარმომად-
გენლები განაგრძობენ აღრინდელ აქტივობით
გამოსვლას. როგორც პრესაში, ისე ტრიბუნებიდან,
ისინი ქადაგებდნენ კულტურისა და ხელოვნების
განვითარებაზე ნიჰილისტურ შეხედულებებს, ავ-
რცელებდნენ ყოველი ჭურის დასავლეთ ევროპის
დეკადენტური ხელოვნების არსებობიდან ნასეს-
ხებ ფორმალისტურ „სიახლებს“, ცდილობდნენ
მუშებისათვის ჩაენერგათ უსუსური, მახინჯი, ფუ-
ტურისტული გემოვნება.

1922 წლის მაისში თბილისის სამხატვრო აკა-
დემიის დაარსება (მასთან არქიტექტურის განყო-
ფილებით) და თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტთან არქიტექ-
ტურის სპეციალურის გახსნა (1928 წელს ეს ფა-
კულტეტი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტი-
ტუტს შეუერთდა) საბჭოთა ხელისუფლების ძალ-
ზე მნიშვნელოვანი აქტები იყო, რადგანაც რევო-
ლუციამდე საქართველოში არ ყოფილა უმაღლე-
სი სასწავლებელი, რომელიც მოამზადებდა უმაღ-
ლესი კვალიფიკაციის არქიტექტორებს.

სოციალისტური თბილისის არქიტექტურის ჩა-
მოყალიბებაში დიდ აქტუალობას იძენდა საბჭო-
თა არქიტექტორთა კადრების მომზადების სა-
კითხი. თბილისში არქიტექტურული განათლების
ორგანიზაციასთან ერთად ეს საკითხი პერსპექტი-
ვაში გადაწყვეტილია, მაგრამ დრო არ ითმენდა.
საჭირო იყო დაუყოვნებლივ შევედგომოდით საქ-
მეს: თბილისში სახალხო მეურნეობის აღდგენის
პერიოდში, ხოლო მოგვიანებით — სოციალისტუ-
რი ინდუსტრიალიზაციის პერიოდში მშენებლობის
გრანდიოზული პროგრამა ხუროთმოძღვრებს გა-
დაუღებელ ამოცანებს უსახავდა.

თბილისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარე-
ბის მომენტისათვის. თველებოდა დაახლოებით 2-
ათეული არქიტექტორი, რომლებმაც სპეციალუ-
რი არქიტექტურული განათლება რევოლუციამდე
დიდი ხნით აღრე მიიღეს, უმთავრესად, პეტერ-

ბურგის სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტში. არქიტექტორთა ამ მცირე ჯგუფს წილად ზედა პატივი ახალი სოციალისტური წყობილების პირობებში პირველად შესდგომოდა დიდ მუშაობას ობიექტის რეკონსტრუქციისა და არქიტექტორთა ახალი კარგების აღზრდისათვის.

უფროსი თაობის არქიტექტორები მ. ბუზოლი, მ. კალანდოვი, კ. კალგინი, კ. ლეონტიევი, ნ. მაღალოვი, მ. მაკვაჩიანი, მ. ნებრინცევი, ნ. სევეროვი, გ. ტერ-მიქელოვი, დ. ჩისლიევი და სხვები ჩაებნენ სოციალისტურ მშენებლობაში და თანდათანობით თავისუფლებდნენ თავიანთ მემკვიდრეობაში ყოველივე იმისგან, რაც ხელს უშ-

ლიდა არქიტექტურაში რეალისტურ ტენდენციების გამოვლინებას.

ახალი ეპოქის არქიტექტურის ნაწარმოების შექმნის პირველი, თუმცა გაუბედავი ცდა ეკუთვნით ა. კალგინსა და გ. ტერ-მიქელოვს — მოსკოვში 1923 წელს საქავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოყენებისათვის საქართველოს პავილიონის პროექტის ავტორებს. პავილიონის არქიტექტურაში ჯერ კიდევ საქამოდ არასრულყოფილი სახით გამოიხატა ხუროთმოძღვრების მისწრაფება, აესახათ ხალხური მხატვრული ტრადიციები, კერძოდ, გამოყენებინათ XIX საუკუნის თბილისის ხალხური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურის მოტივები.

§ 2. ზემო აპალოს ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგური (ზაპესი)

საპარტიველონ მუხუჟუმის რეკონსტრუქცია

ქართული საბჭოთა არქიტექტურის შენაძენია ზემო აპალოს ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის (ზაპესის) შენობა, რომელიც აგებულია თბილისის ჩრდილო-დასავლეთით მე-17 კილომეტრზე, საქართველოს ძველი დედაქალაქის — მცხეთის რაიონში. დღია ამ ნაგებობის მნიშვნელობა საერთოდ ქართული საბჭოთა არქიტექტურის და, განსაკუთრებით, სამეცნიერო არქიტექტურის განვითარებაში.

ზაპესის მშენებლობა წარმოადგენდა გოელრას ცნობილი ლენინური გეგმის განუყოფელ რგოლს, რომლის შედგენის პერიოდში (1920 წ.) საქართველოში, თბილისში, მენშევიეები ბატონობდნენ. კომუნისტურმა პარტიამ, ვ. ი. ლენინმა გაითვალისწინეს ამიერკავკასიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და გადაწყვიტეს კავკასიის ელექტრიფიკაციის საერთო გეგმის შედგენა.

ახერბაქანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიულთა რესპუბლიკის კომუნისტებისადმი წერაღში ვ. ი. ლენინი 1921 წლის 14 აპრილს წერდა: „ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყეთ ელექტრიფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები“*.

ამიერკავკასიაში პირველი ჰიდროელექტროსადგურის — ზაპესის მშენებლობამ სათავე დაუდო ქვეყნის ელექტრიფიკაციის საფუძველზე სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ ვ. ი. ლენინის მითითებათა შესრულებას.

ზაპესის აგების თაობაზე მთავრობის გადაწყვეტილება 1922 წელს განეკუთვნება. იმავე წლის მაისში ვ. ი. ლენინის ინიციატივით დაიწყო

ზაპესის მშენებლობა, რომლის წარმატებით განხორციელებისათვის რსფსრ ბიუჯეტიდან გამოიყო 1 მილიონი 700 ათასი მანეთი ოქროთი. მშენებლობა საყოველთაო-სახალხოვ გამოცხადდა. 1922 წლის 10 სექტემბერს ზემო აპალაში მოეწყო ისტორიული კვირაობა, რომელშიც მონაწილეობდა თბილისის მშრომელთა და საგარეუბნო სოფლების დაახლოებით 4500 წარმომადგენელი, მათ შორის კომუნისტური პარტიის თვალსაზრისით მოღვაწე ს. ორჯონიკიძე. კვირაობის მონაწილეებმა დაიწყეს მეთაური არხის თხრა, ელექტროსადგურის კაშხლის მოწყობა და ა. შ. ზაპესი პირველი ჰემმარიტად სახალხო მშენებლობა იყო საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში.

ჰიდროელექტროსადგურის ნაგებობათა არქიტექტურული პროექტის ავტორების წინაშე მცირე სიძნელეები როდი იდგა: უპირველეს ყოვლითა, ესოდენ რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობა პირველად იგებოდა საქართველოში; მეორე, კაპიტალისტური ქვეყნების ანალოგიური საწარმოების საპირისპიროდ, ამ ნაგებობას არა მარტო პასუხი უნდა გაეცა ფუნქციონალური მოთხოვნებისათვის, არამედ უზრუნველყო მუშათა და სპეციალისტთა შრომის საუკეთესო პირობები; მესამე, ზაპესის შენობათა კომპლექსი ისეთნაირად უნდა გადაწყვეტილიყო, რომ საინჟინრო ნაგებობა ერთდროულად ყოფილიყო საბჭოთა არქიტექტურის ნამდვილი მშვენიება, და ბოლოს, საჭირო იყო ჰიდროელექტროსადგურის არქიტექტურის გარემომცველ ლანდშაფტთან — წყლის ზედაპირზე მთის რელიეფთან, მწვენი ზოლთან ორგანული კავშირის შექმნა. განსაკუთრებით მხედველობაში მისაღები იყო ამ მხრივ მშენებლებისათვის შერჩეული ადგილი. ზაპესის ნაგებობათა კომპლექსიდან უშუალო სიახლოვეს მდებარეობს ქალაქი

* ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტ. 22. გამოცემა მეორე. სახელგამო. პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი. 1952, გვ. 397.

მცხეთა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი შედევრებით, როგორც არის ჯვრის მონასტერი (VI—VII საუკუნეები), კათედრალური ტაძარი სვეტიცხოველი (XI ს.), სამთავროს ტაძარი (XI ს.), თავდაცვითი ნაგებობანი და ა. შ.

ზაქესის შენობათა პროექტების შედგენაში მონაწილეობდნენ ა. კალგინი, მ. მაჭავარიანი და კ. ლეონტიევი. ამ შემოქმედებით თანამეგობრობაში წაყვანი რელი ექუთვონდა ა. კალგინს.

ზაქესის ნაგებობათა კომპლექსის დაპროექტებისას ავტორებმა, ბუნებრივია, გაითვალისწინეს მისი არქიტექტურული გარემოცვა, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ტრადიციები, რაც გამოიხატება არქიტექტურის ობიექტის ადგილობრივ პირობებთან შეხებაში, ნაგებობის სვადასხვა მხრიდან დანახვის გათვალისწინებით, შექმნეს მთლიანი არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც კარგად ერწყმის ლანდშაფტს.

ნაგებობათა მთელი ანსამბლი შედგება ძირითადად 5 ობიექტისაგან: ა) კაშხალი ვ. ი. ლენინის მონუმენტური ძეგლით, ბ) წყალსარინი არხი, გ) საწნეო აუზი, დ) საგენერატორო შენობა და ე) დახურული განმანაწილებელი მოწყობილობის შენობა.

1923 წელს შედგენილი თავდაპირველი პროექტი ითვალისწინებდა საგენერატორო შენობის მთლიან არქიტექტურულ გადაწყვეტას დახურული განმანაწილებელი მოწყობილობის შენობასთან, რაშიც, ტექნიკურ-ეკონომიკური და ფუნქციონალური თვალსაზრისით, ამ პროექტის უპირატესობა ნათელი იყო, თუმცა გეგმებისა და ფასადების გადაწყვეტას არსებითი ნაკლოვანებები ჰქონდა. ამან გამოიწვია საგრძნობი გადახვევები თავდაპირველი პროექტიდან, რაც ნაკარნახევი იყო აგრეთვე განაშენიანების ნაკვეთის ზომებით.

ნაგებობის ავტორები ცდილობდნენ, მისი სამარეწველო ხასიათის წარმოჩენასთან ერთად, შენობის არქიტექტურა გადაეწყვიტათ ეროვნულ ფორმებში, ხაზი გაესვათ ადგილობრივი კოლორიტისათვის.

საგენერატორო სადგურის მონუმენტური შენობა თავისი მარტივი მთლიანი მოცულობით გამოირჩეოდა საერთო განაშენიანების ფონზე. იგი წამოწეულია საწნეო აუზის გასწვრივ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მხრიდან დაგვირგვინებულია ცილინდრული კოშკით.

გამომსახველობით საშუალებათა სიმარტივე, სიმკაცრე და ზომიერება შენობას ანიჭებენ ინდუსტრიული ხასიათის არქიტექტურული ნაგებობის სახეს. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფასადები გაცხოველებულია ისრისებური მოზრდილი თალებით. მონუმენტური თალოვანი ფანჯრები ჰარმონიულად ერწყმის გარემოს ლანდშაფტს.

საგენერატორო სადგურის შენობის ინტერი-

ერი გადაწყვეტილია აგრეთვე სადა, მკაცრ ფორმებში. იგი სასვეა სინათლითა და ჰაერით, რაც მომსახურე პერსონალისათვის უზრუნველყოფს მუშაობის ფრიად ხელსაყრელ პირობებს. საგენერატორო შენობის გეგმა მარტივია, ლაკონური და სასვეებით შეესაბამება ფუნქციონალურ მოთხოვნებს. ვრცელი ნათელი დარბაზი განათებულია თალოვანი ლობებით. უკანასკნელ ხანებში საგენერატორო შენობის მთავარი ფასადი მოპირკეთდა და ნაგებობამ ნაწილობრივ დაჰკარგა არქიტექტურული გამომსახველობის თავდაპირველი ელვარება.

ზაქესის ნაგებობათა კომპლექსში შედის აგრეთვე საცხოვრებელი სახლები ელექტროსადგურის მუშა-მონაშახურებისათვის. საცხოვრებელი სახლები, როგორც წესი, ერთსართულიანი, კოტეჯის ტიპისაა, ორი და სამოთახიანი ბინებით. ერთერთი სახლი (ჰიდროელექტროსადგურის უფროსისა) ორსართულიანი, ერთბინიანია, ოთხი ოთახით (ორ-ორი ოთახი ყოველ სართულზე), აივნებით. სახლები აგურისაა, მოუპირკეთებელი.

საგენერატორო შენობის არქიტექტურაში სადასვა მრგვალი კოშკი სამხრეთ-აღმოსავლეთ შენასვლელთან, ეგრეთ წოდებული „სათვალთვალო კოშკურა“. ფორმებითა და დეტალებით ეს ცილინდრული კოშკი მოგვაგონებს ძველ ქართულ ციხისმაგრეთა არქიტექტურის სახეებს და არქაული ფორმებით დისონანსი შეაქვს სადა და მკაცრ სამარეწველო ნაგებობის იერსახეში.

დახურული განმანაწილებელი მოწყობილობის შენობა, რომელიც საგენერატორო სადგურისაგან განცალკევებულ ნაგებობას წარმოადგენს, მოკლებულია მთლიანობას. შთაბეჭდილების ერთობლიობას არღვევს ფასადების გადაწყვეტის განსხვავებული ხასიათი.

თავისი მკაფიო და ნათელი მოცულობითა და პლასტიკური ფორმებით ზაქესის ნაგებობათა მთელი კომპლექსი კარგად ერწყმის იქვე ახლოს, მცხეთაში განლაგებულ ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლებს.

სამარეწველო ხასიათის არქიტექტურულ ნაგებობათა რთული ანსამბლი ოსტატურად ერწყმის ლანდშაფტს და ეროვნული მონუმენტური ხუროთმოძღვრების ძეგლები აღიქმება აქ, როგორც ერთიანი კომპოზიციური მთლიანობა.

ჰიდროელექტროსადგურის კაშხალთან აგებულია ვ. ი. ლენინის — პროლეტარული რევოლუციის დიდი ბელადის, ელექტრიფიკაციის გრანდიოზული გეგმის შემოქმედის ძეგლი, რომლის პირშეო საქართველოსა და ამიერკავკასიაში იყო ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური.

ვ. ი. ლენინის ბრინჯაოს ქანდაკება დადგმულია გრანიტის მძლავრ კვარცხლბეკზე (ქანდაკების ავტორია ი. ივანოვ-შჩადრი, ძეგლის არქიტექ-

ტურული ნაწილის ავტორი — ს. ჩერნიშოვი). ვლადიმერ ილია ძის ფიგურა წარმოდგენილია მთელი სიმაღლით, წინ, წყლის ზედაპირისაკენ ვაშკერითა ხელით, რაც ზუსტად მიგვითითებს ვირობაზე საბჭოთა აღმავანებისა, რომლებმაც დამორჩილეს მთის ჩქარი მდინარე და მისი ენერჯია ამოკლეს მატერიალური და კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილებას მოახმარეს.

ვ. ი. ლენინის საზემოცეპელია რეალისტურად, დანაწევრად და აღსავსეა რეალისტური რომანტიკით. მასში ხორციელდება სოციალისტური მშენებლობის პათოსი.

ვ. ი. ლენინის ძველი ზაქსის კომხალთან იმ დროისათვის იყო ყველაზე გრანდიოზული საბჭოთა კავშირში (სიმაღლე 17 მეტრი). იგი აღმართულია თვალწარმატებელი მთაგუნების — ჯვრის ისტორიული მონასტრით დამშვენებულ ბორცვის ფონზე.

ქართული საბჭოთა ხელოვნებისათვის ვ. ი. ლენინის ეს ძეგლი გახლდათ ქანდაკებაში ბელადის თქმის პირველი და ყველაზე წარმატებული ხორცშესახა, ხელოვნებათა სინთეზის სერიოზული ცდა, მონუმენტური პროპაგანდის ლენინური იდეის პრაქტიკული განხორციელების დასაწყისი. ი. შჩადრის ამ ნაღმეუკარმა მას დამსახურებული სახელი მოუტანა და გამოჩენილი საბჭოთა მოქანდაკეების მოწინავე რიგებში წარმოაჩინა.

ვლადიმერ ლენინის შემდეგ ზაქსი იყო იმ დროისათვის სიდიდით პირველი ჰიდროელექტროსადგური სსრ კავშირში. ზემო ავქალის ჰიდროელექტროსადგურის აგება გახლდათ ლენინური ეროვნული პოლიტიკის მკაფიო პრაქტიკული გამოხატულება, რომელიც მიმართულია საქართველოს, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის განუხრელი აღმავლობისაკენ.

ზაქსის გახსნა 1927 წლის 26 ივნისს საყოველთაო-საბაზრო ზეიმიდ იქცა. სადამოს საქართველოს დედაქალაქში აყიფდა ათასობით ელექტრონათურა. ზაქსის გაშვების შემდეგ ქალაქში დაიხურა 30-ზე მეტი მცირე სიმძლავრისა და არაეკონომიკური თბოელექტროსადგური, რომლებიც ძირითადად ნავთობზე მუშაობდნენ. ხორციელდებოდა სამრეწველო სპარამოთა სრული რეკონსტრუქცია და ელექტრიფიკაცია, მწყობრში დგება ახალი ქარხნები და ფაბრიკები.

ზაქსის არქიტექტურულ ნაგებობათა კომპლექსი, არსებითად, ქართული საბჭოთა ხელოვნომოძღვრების პირველი ნაწარმოებია იყო, რომელიც რეალისტური არქიტექტურის პრინციპებს ეყრდნობოდა.

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ზაქსის ნაგებობები მოკლებული იყოს ნაკლოვანებებს. ავტორების მიერ გამოყენებული ზოგადი მოტივები და ელემენტები სადავოა. საგენერატორო შენობის

კომპის არქაულობაზე ზემოთ უკვე ითქვა. აქ აუცილებელია შევეხოთ ისეთ კომპოზიციურ მოტივს, როგორც არის თალი. თაღს თავისთავად, მის ფორმას, მოსახულობას (ნახევარწრიული, ნახლისებური, ისრისებური და ა. შ.) არ შეუძლიათ „გამოხატონ“ რაიმე იდეა. მსოფლიო ხელოვნომოძღვრების ისტორიაში (განსაკუთრებით ძველი რომის დროიდან) თალი იყო ღიობების გადახურვის ერთ-ერთი ყველაზე მიზანშეწონილი არქიტექტურულ-კონსტრუქციული საშუალება. ამ თვალსაზრისით ზაქსის შენობათა ავტორების მიერ ისრისებური თაღის გამოყენებაში (ცალკეულ შემთხვევაში ნახევარწრიულთან ერთად) არაფერია მიუღებელი. ძველ ქართულ არქიტექტურაში გვხვდება უმთავრესად ტრადიციული ნახევარწრიული თალი და მხოლოდ XVI—XVII საუკუნეების ძეგლებში მასთან ერთად გამოიყენება ისრისებური მოხაზულობის თალი, რაც ირანის არქიტექტურის გავლენაზე მიგვიითებს. რით აიხსნება, რომ ქართულ ხელოვნომოძღვრებაში ტრადიციული ნახევარწრიული თაღის ფართოდ გავრცელების მიუხედავად, ზაქსის შენობებში გვხვდება ისრის ფორმის თალიც, რაც არ არის ტიპური ქართული არქიტექტურის ძეგლებისათვის?

საბჭოთა ხელოვნომოძღვრების განვითარების პირველ ეტაპზე არქიტექტურის ისტაბებს შორის გავრცელებული იყო აზრი, თითქოს XIII—XVII საუკუნეების ირანული არქიტექტურა აღმოსავლეთის კლასიკა ყოფილიყოს, რომელმაც პროგრესული გავლენა მოახდინა ამიერკავკასიის ხალხთა არქიტექტურაზე და, უწინარეს ყოვლისა, სომხეთის და საქართველოს არქიტექტურაზე. ფაქტები არ ადასტურებენ ამ აზრს.

საქართველოს XVI—XVIII საუკუნეებში არაერთხელ განუცდია უცხოელ დამპყრობთა თავდასხმა. იმ პერიოდში საქართველოს ლიტერატურასა და ხელოვნებაში იჭრება აღმოსავლური მოტივები; არქიტექტურაში ჩნდება ირანული მხატვრული ელემენტები, გამოიყენება თაღებისა და გუმბათების ისრისებური ფორმა, დამახასიათებელი სტალაქტიტები; ჩნდება აგური არა მარტო როგორც სამშენებლო მასალა, არამედ როგორც დეკორატიული მორთულობის საშუალება და ა. შ.

თუ გავითვალისწინებთ ცალკეულ დადებით მომენტებს (აგურის ფართოდ გამოყენება, ნაგებობათა ზოგიერთი ახალი ტიპის გამოჩენა და ა. შ.), უნდა აღინიშნოს, რომ ირანის არქიტექტურის გავლენა საქართველოს არქიტექტურაზე, ისევე როგორც სომხეთისაზე, საერთოდ არ იყო პროგრესული მოვლენა, პირიქით, მან გამოიწვია არქიტექტურული ნაწარმოებების ხარისხობრივი ღონის საგრძნობი დაქვეითება.

მაგრამ მაინც, არქიტექტორთა ნაწილს, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის პერიოდში მიაჩნ-

და, რომ თაღის ისრისებური ფორმა, აღმოსავლეთის არქიტექტურის მოტივით, ყველაზე უფრო შეესაბამება ამიერკავკასიაში აშენებულ ნაგებობებს.

ეს თვალსაზრისი, რომელიც ეკლექტიკისაკენ უბიძგებდა არქიტექტორებს, ხშირად პრეტენზიული იყო, „ეროვნულ“ სტილად საღებოდა (ყოფ. სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შენობა თბილისში, საცხოვრებელი სახლი ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების გასაყართან და სხვა).

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების პირველ ეტაპზე ახალი გზების ძიების დანებებით მაგალითად შეიძლება ჩითვალოს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მთავარი ფასადის არქიტექტურული რეკონსტრუქცია (1929 წ., არქიტექტორი ნ. სევეროვი).

კავკასიის მუზეუმი 1912 წლამდე წარმოადგენდა კლასიკურ სტილში ნაგებ მცირე სამსართულიან შენობას ოთხსვეტიანი პორტიკით მეორე და მესამე სართულზე. შენობა განლაგებული იყო რუსთაველის პროსპექტისა და ნ. ვაჩნაძის ქუჩას შორის მდებარე მონაკვეთზე. რუსთაველის პროსპექტისა და ფურცელაძის ქუჩის კუთხე ეკირა აღმოსავლურ სტილში ნაგებ საჯარო ბიბლიოთეკის მომკრე ერთსართულიან შენობას. მუზეუმსა და ბიბლიოთეკას შორის ძველი დატოვებული ხეების სიმწვანეში მოთავსებული იყო ქალთა ყოფილი პირველი გიმნაზიის ეზო, პროსპექტის მხრიდან შემოღობილი ლითონის ცხელით. მცირე მოცულობის გამო გადაწყდა აგებულიყო მუზეუმის ახალი შენობა რუსთაველის პროსპექტის გასწვრივ ნ. ვაჩნაძის ქუჩიდან, ა. ფურცელაძის ქუჩამდე მდებარე მონაკვეთის მთელ მანძილზე.

პროექტი შეადგინა არქიტექტორმა კ. ტატიშჩევმა და შესაბამისმა ორგანოებმა დაამტკიცეს 1910 წლის 12 ნოემბერს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მუზეუმის ახალი შენობის მშენებლობა არ განხორციელდა.

1912 წელს მუზეუმის ახალი შენობის დაპროექტებისათვის მოიწვიეს არქიტექტორი მ. ნეპრინცევი. კავკასიის ყოფილი მუზეუმის (ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი) შენობის პროექტი შედგენილი იქნა 1913 წელს, იმ პერიოდში, როცა მეფის რუსეთის არქიტექტურულ პრაქტიკაში ბატონობდა ეკლექტიზმი.

არქიტექტორმა მ. ნეპრინცევმა კავკასიის ყოფილი მუზეუმის შენობის პროექტი გადაწყვიტა სპარსული ხუროთმოძღვრების სტილში. შენობის შავად აგება დასრულდა 1917 წელს. მთავარი ფასადი გაყოფილი იყო სამ რიზალიტად ისრის ფორმის სამი პორტალური თალით. ცენტრალურ პორტალს ორივე მხრიდან აგვირგვინებდა მრგვალი

მინარეთი. შენობა უფრო საკულტო ნაგებობას მოგვაგონებდა, ვიდრე მუზეუმს.

საქართველოს მუზეუმის სამსართულიანი შენობა გეგმაში წაგრძელებული ჩაკეტილი სწორკუთხედი, რომელიც მოიცავს მთელ კვარტალს ფურცელაძის ქუჩიდან ნ. ვაჩნაძის ქუჩამდე, რუსთაველის პროსპექტის გასწვრივ და კეცხოველის ქუჩიდან რუსთაველის პროსპექტამდე. შენობის მოცულობები ქმნიან საკმაოდ ვრცელ სწორკუთხა ეზოს. პირველი ორი სართული მთავარი ფასადის მხრიდან განათებულია ფანჯრებით, მესამე სართული კი — ზევიდან ფანჯრების მეშვეობით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში (1923—1926 წლები) გადაიდგა პირველი ნაბიჯები მუზეუმის მთავარი ფასადის რეკონსტრუქციისათვის. შეიქმნა შენობის რეკონსტრუქციის სპეციალური სამშენებლო კომიტეტი. მთავარი ფასადის რეკონსტრუქციის პროექტზე გამოცხადდა ღია კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ არქიტექტორები: ა. კალგინი, მ. ნეპრინცევი, ნ. სევეროვი და სხვები. არსებული შენობის ავტორის მ. ნეპრინცევის (1923 წ.) საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტი ცვლიდა შენობის ფასადს და ეკლექტიკურად იმეორებდა გოთიკური და მაკრიტაიკური არქიტექტურის მოტივებსა და ელემენტებს.

კონკურსის შედეგად საფუძვლად მიიღეს ნ. სევეროვის პროექტი, რომელიც გამოირჩეოდა შენობის ფასადის არქიტექტურული კომპონენტების გადმოცემის სიახლით.

კომპეტი, მინარეთებს რომ მოგვაგონებდნენ, მოიხსნა. მუზეუმის ფასადის რეკონსტრუქციისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო კედლების ღობების განლაგება და ა. შ.

მთავარი ფასადის რეკონსტრუქციის პროექტის პირველი ვარიანტი (1926 წ.) გადატვირთულია. ავტორი (ნ. სევეროვი) კვლავ იყენებს ისრისებურ თაღს, უხამებს მას ნახევარწრიულს. რიზალიტებს შორის კედლებზეორისებრი ძალზე დანაწევრებულია, დეკორატიული თაღები პილასტრებად (ზემოთ) და შევილით (ქვემოთ) ქმნიან მძაფრი დანაწევრების შთაბეჭდილებას. იმისათვის, რომ ხაზი გაესვა შენობის ცენტრალური ნაწილისათვის, ავტორმა რამდენადმე წამოსწია იგი საერთო ღონიდან, რიზალიტები დაასრულა მცირე ფრონტონებით. ცხოველთა ნიღბებისაგან შემდგარ კრონშტეინზე ლავგარდანი ორფართიანი თაღებებით, თუმცა მოგვაგონებდა ეროვნული მემკვიდრეობის მოტივებს (ბოლნისის სიონი), მაგრამ, საერთოდ, უხეიროდ იყო შესრულებული და არ იყო თავისუფალი ეკლექტიკურობისაგან.

ამ ვარიანტში, მ. ნეპრინცევის ეკლექტიკური პროექტისაგან ძირეული განსხვავების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ შეიმჩნევა ის კომპოზიციური

მთლიანობა. რომელიც იგრძნობა მეორე ვარიანტში და განსაკუთრებით კი რეკონსტრუირებულ შენობაში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატსა და 1927 წლის 9 აგვისტოს დაამტკიცა მუზეუმის მთავარი ფასადის რეკონსტრუქციის პროექტის ნ. სევეროვის მეორე ვარიანტი, რომელიც კომპოზიციის მთლიანობით გამოიჩინოდა.

ავტორი გახაზრდა თავის პროექტის სრულყოფაზე მუშაობას. 1928 წლის დამდეგს სანშენებლო კომიტეტმა განიხილა საბოლოო, მესამე ვარიანტი და რეკომენდაცია მისცა, დეტალებს დაეშვა მისი არ ყოფილიყო გადახვევა დაქუცავალი ვარიანტისაგან. გადაწყდა შეერილება, ლავარდანები, პილასტრები, სვეტისთავები და სხვა დეტალები დაეშვა დებინათ ბუნებრივი ქვისაგან, ფასადის დანარჩენი ნაწილები კი — ბათქაშით. ამის გამო მუზეუმის შენობის საერთო სახემ საგრძნობლად წააგო.

მესამე ვარიანტი მეორისაგან მხოლოდ დეტალებში განახლებდებოდა: ამ საბოლოო ვარიანტში ნ. სევეროვმა შეძლო წარმოეჩინა საქართველოს მუზეუმის მთლიანი სახე, რომლის კედლებში უნდა დაეკლავა ქართული ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის უძვირფასესი ექსპონატები.

მთავარი ფასადის სავარძლები სიგრძე (დაახლოებით 100 მეტრი) არქიტექტორის წინაშე სახვდა ამოცანას, ეპონა შენობის სიგრძის ილუზორულად შესამცირებელი პროპორციები და მასშტაბი. ამ შთაბეჭდილების მისაღწევად ავტორი გამოიყენა შენობის ცენტრალურ ნაწილს, რომელიც შეესაბამება მუზეუმის მთავარ შესასვლელს, გვერდით ნაწილებს კი უფრო მარტივად წყვეტს.

ნ. სევეროვმა ფასადის დამუშავებაში გამოიყენა ძველი ქართული არქიტექტურის ფორმები, ხერხები და დეკორატიული ელემენტები სრულიად ახლებურად, გააზრებულად, გარდაქმნილი სახით. ამას საგრძნობლად უწყობდა ხელს პროექტის ავტორის მიერ ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების კარგი ცოდნა, რომელიც აზომვასა და დეტალურ შესწავლაზე იგი დიდხანს მუშაობდა.

ნ. სევეროვი დღენიადავ სრულყოფდა თავის ოსტატობას, თანდათან თავისუფლდებოდა ამა თუ იმ არქიტექტურული ფორმის გადაწყვეტისადმი სტილიზატორული მიდგომისაგან. საქართველოს მუზეუმის ფასადის რეკონსტრუქციის პროექტის პირველ ვარიანტში (1926 წ.) ნ. სევეროვი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ცალკეული ფორმების თითქმის კოპირებას ახდენს (მაგალითად, ცენტრალური რიზალიტის გვერდითა თაღებში თითქმის უცვლელად იყენებს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის ორიგინალურ ორნამენტულ მორთულობას — მარიათავეთ

გადაშლილი სხივების დეკორატიული მოტივის სახით). პროექტის საბოლოო ვარიანტში ავტორი უარს ამბობს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ფორმებისა და ელემენტების ასლგადაღებაზე, გადმოგვცემს მათ სადად, ლაკონურად, მსხვილი მასშტაბით.

ცენტრალური და ორი გვერდითი რიზალიტით დანაწევრებული მუზეუმის მთავარი ფასადის მასხვი, რომლებიც გადაწყვეტილია მსხვილი ნახევარად წრიული თაღებით, ქმნიან ერთიან კომპოზიციას და ურთიერთდაკავშირებულია მომიჯნავე სიბრტყეებზე განლაგებული დეკორატიული თაღებით, რაც შენობას მთლიან სახეს ანიჭებს. თაღებიანი რიზალიტები აერთიანებენ სამი ძირითადი სართულის ფანჯრებს, ხაზს უსვამენ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის მასშტაბს. ძველი ქართული არქიტექტურის ტრადიციული ხერხი, რომელიც სამი და ხუთი თლის შერწყმაში გამოიხატება, აქ ძირითად კომპოზიციურ მოტივად არის გამოყენებული. რიზალიტები, რომლებიც მთავარ ელემენტებს, ფასადის დამაწვერებლებს წარმოადგენენ, აღმართული არიან ჯდლის საერთო დონის თავზე, რითაც მიღწეულია ფასადის ყველა ნაწილის დაკავშირება. ამით იჩქმლება სიგრძე. დეკორატიული თაღებით გაფორმებულ რიზალიტებში უშუალოდ ეცენტრში დამშვენებულია როზეტებით. არქივოლტებისა და როზეტების ნახატში გამოყენებულია ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მოტივები. თავიანთი ნახატით საინტერესოა ახლებურად გადმოცემულ რიზალიტების საფეხურიანი ლავარდანები, ბოძპილასტრების კაბიტელები, სტილიზებული დოქის სახით გადაწყვეტილი დეკორატიული თაღების იმპოსტები, ლავარდანების პროფილირება და ა. შ. საქართველოს მუზეუმის არქიტექტურის დეტალები და ელემენტები, მოტივები და ხერხები ნასესხებია ეროვნული ხუროთმოძღვრების მდიდარი მემკვიდრეობიდან. გააზრებულად, ლოგიკურად, გარდაქმნილი სახით გამოყენებულნი, ისინი ქმნიან არქიტექტურულ ეირსახეს, რომელიც შეესაბამება შენობის დანიშნულებას.

შენობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს მთავარი ფასადის რამდენიმე სიბრტყობრივი გადაწყვეტა, განსაკუთრებით მისი ხილვისას ჩვეულებრივ დიდი რაყურის დროს. რიზალიტების ლავარდანები არ არის დაკავშირებული ძირითად ლავარდანთან კრონშტეინზე, საკმაოდ გამომსახველად არ არის დამუშავებული შენობის ფრთები და ა. შ.

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად, საქართველოს მუზეუმის შენობის მთავარი ფასადის არქიტექტურულმა რეკონსტრუქციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში, როგორც საბჭოთა ხუროთმოძღვრებაში ეროვნული მემკვიდრეობის პროგრესულ-

ლი ხერხებისა და ელემენტების წარმატებით გამოყენების გამოცდილებამ. არსებითად, საქართველოს მუზეუმის ფსადის რეკონსტრუქცია წარმოადგენდა არქიტექტურის ეროვნულ ფორმებში გადმოცემის მეორე დადებით მაგალითს (ზაპისის შენობის შემდეგ), რომელიც შეესაბამებოდა ახალ შინაარსს, ქართველი ხალხის ცხოვრების ახალ წესს.

§ 8. ფორმირებისა და ზრდის სიძნელეები

განსახილველ პერიოდში თბილისის არქიტექტურა ვითარდებოდა რეალისტური პრინციპებისათვის, ყოველგვარი ფორმალისტური დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პირველ ეტაპზე ზოგიერთი არქიტექტორი ფორმალისმის გავლენას განიცდიდა და ვერ გაერკვა საბჭოთა არქიტექტურის შემოქმედებით ამოცანებში. ეროვნული მემკვიდრეობის გამოყენება არაიშვიათად შეზღუდულ ხასიათს ატარებდა, გამოიხატებოდა წარსული ეპოქების არქიტექტურის ფორმებისა და სახეების საბჭოთა სინამდვილეში მექანიკურად ასლგადაღებასა და გადატანაში. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია არქიტექტორი დ. ჩისლიევის პროექტით 1926—1928 წლებში თბილისში ტელმანის ქუჩისა და პლენარის კუთხეში აგებული საცხოვრებელი შენობების კომპლექსი ტრამეის მუშებისათვის. სამსართულიანი შენობების (8 სახლი) კომპლექსის მშენებლობა თავისთავად პროგრესული მოვლენა იყო ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში. ავტორი ცდილობდა შეექმნა თითქმის ერთი კვარტალის ფარგლებში საცხოვრებელი სახლების ანსამბლი ტრამეული მუშებისათვის.

მაგრამ ავტორმა თავი ვერ გაართვა საბჭოთა საცხოვრებელი სახლის ტიპის შექმნის ამოცანას. მის მიერ აგებული სახლები ვერ აკმაყოფილებს ჩანსადი, მოხერხებული საცხოვრებლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სახლის დაგეგმვა თავისი კონფიგურაციით გართულებულია, ცალკეული ოთახები მოუხერხებელია. ცენტრალური ნაწილი კიდეების მიმართ შეწყველია, სახლის გამოწეული ნაწილების, ისევე როგორც კიდეების კუთხეები, ჩამოჭრილია და რვაფახანაგოვანია. ამიტომ თითქმის ყოველ ბინაში არის მოუხერხებელი ხუთკუთხიანი ოთახები. არასასურველია სახლის ორიენტაციაც. პორიზონტის ყველაზე ხელსაყრელ მხარეს — სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმართულია კიბის უჯრედები, ბინებში ოთახები ვიწროა და მოუხერხებელი. ოთახების უმეტესობა მიმართულია არახელსაყრელ მხარეს (ჩრდილო-დასავლეთისაკენ — დასავლეთისაკენ). რიგითი სექციის ბი-

თავისი არქიტექტურითა და ეროვნული მემკვიდრეობის გამოყენებით საინტერესოა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მეორე კორპუსი (1930 წ., არქიტექტორი ნ. მადათოვი). ბუნებრივი ქვის (არტიკის ტუფი) გამოყენებამ ხელი შეუწყო ამ შენობის არქიტექტურის ეროვნული კოლორიტის გამოვლენას.

ნებში განიაცება ხორციელდება სამზარეულოს მეშვეობით. სახლებში არ არის არც სააბაზანო, არც საშხაპო ოთახები. მონაკვეთზე არ არის გათვალისწინებული სათამაშო მოედნები; ცოტაა სიმწვანე; ხუროთმოძღვრის ცდა, ფართოდ გამოყენებინა თბილისის სამხრეთულ კლიმატში ტრადიციული აივნები და ტერასები მთელ რიგ სიძნელეებს გადაეყარა, რომელთა დაძლევა ავტორმა ვერ შეძლო. ამასთან აივნებმა (2,0×0,8 მ.) საკმარებლად გააძვირეს მშენებლობა.

შენობების ცალკეული კომპონენტების გაფორმებაში დ. ჩისლიევი ცდილობდა გამოეყენებინა ეროვნული ფორმები, მოტივები და ელემენტები, მაგრამ ეს გამოიხატა მხოლოდ მათ მექანიკურ ასლგადაღებაში. პლენარის პროსპექტზე გამოშვებული კორპუსების ლოჯია-ტერასები ორგანულად არ არიან დაკავშირებული შენობებთან, ლოჯიების მასიურ ბოძებს არსებითად არავითარი სიმძიმე არ აწვებათ, გაუმართლებელია მათი ზომები და ფორმებიც. სტილიზატორობა და ეკლექტიზმი იგრძნობა აივნების ცალკეული ფორმების გადაწყვეტაში. როგორც ჩანს, ავტორის სურდა გამოეყენებინა XIX საუკუნის საბინაო მშენებლობის ზოგიერთი სახლური ტრადიცია. მასალის ტექტონიკიდან გამომდინარე იმ დროის ხელმარჯვე სახალხო ოსტატები ქმნიდნენ ხის უნიკალური თაღოვანი აივნების შესანიშნავ ნიმუშებს აუტრული მორთულობით. ავტორმა ბრძალ მისდია ხალხურ ტრადიციას და უღალატა მას. ქვაში გაიმეორა სამფარფლიანი თაღები, ფორმით მოუხერხებელი, მოკლებული ყოველგვარ მიმზიდველობას.

საბჭოთა აღაშიანების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების აშკარა გაუგებრობა გამოავლინა არქიტექტორმა ვ. იაკუბოვიჩმა, რომელმაც ლენინისა და მელნიქოვილის ქუჩების კუთხეში ააგო (1928—1929 წლები) სამსართულიანი საცხოვრებელი შენობა*.

ავტორი ხელმძღვანელობდა ფორმალური მო-

* ამჟამად ამ ადგილზე აგებულია საქართველოს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის მონუმენტური შენობა (1971 წ., არქიტექტორი ი. ჩხენკელი).

საზრუნველობა და საცხოვრებელი სახლის გეგმას მიანიჭა არაბუნებრივი, უცნაური ფორმა. რამაც უარყოფითად იმოქმედა საცხოვრებლის ფუნქციურ შინაარსსა და სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებზე. თუმცა ზოგიერთ ბინაში ნაწილობრივ გათვალისწინებული გახლდათ კლიმატური პირობები (სოფლებელი იყო ვაშკოლი განიავება, ბინებს ჰქონდათ სანეულნო-საყოფაცხოვრებო ეერანდები), მაგრამ მთლიანად ბინების დავეგმარება ნა-ნაკ იყო მოხერხებულნი. არქიტექტურული ნორმულბანი (სამფარვლიანი თაღები, ფანჯრების მასიური ბოძები და ა. შ.) აუარესებდნენ საცხოვრებელი ოთახების განათებასა და ინსოლაციას. სანიტარულ-საზარეულო კვანძის გადაწყვეტა არადაპაემყოფილებელი გახლდათ, არ ჰქონდათ სააბაზანო და საშხაპო, მკვეთრად იყო შემცირებული სამზარეულოსა და მისაღების ზომები (3,8 კვ. მ.). კუთხურ სექციებში ბინების განიავება ხორციელდებოდა სამზარეულოს მეშვეობით. შენობა თავისი არქაული ფორმებით, საყოფაცხოვრებო პირობების დაბალი დონით, ვიწრო ფანჯრებით უფრო ფეოდალური ეპოქის ციხესიმაგრეს მოგვაგონებდა, ვიდრე საბჭოთა ადამიანის საცხოვრებელ სახლს.

არანაკლები არქაიზმითა და ფორმალზმით განორჩევა საქართველოს სახკინრწევის ფაბრიკა-ატელიეს შენობა (ავტორი არქიტექტორი მ. ბუზოლი), რომელიც 1929-30 წლებში აიგო. ამ შენობის დაპროექტებისას ავტორმა შექანიურად გააშეორა როვნული ხუროთმოძღვრების ფორმები და მოტივები, შენობის კედლის სიბრტყეები დეკორაციად გადააქცია, არქიტექტურულ ფორმას დაუქვემდებარა ნაგებობის მიზანშეწონილი ფუნქციური მხარე. ვიწრო, დაგრძელებული ფანჯრები, მოცულობათა უსისტემო გროვა, ვრცელი ყრუ სიბრტყეები, უხეშად პროფილირებული პორტალები — ანეთია ამ ნაგებობის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

ამ შენობაში ყველაზე პარადოქსულია ისეთი მოცულობის გამოყენება, რომელიც საქართველოს მთიანი რაიონების (სვანეთი, ხევსურეთი, მთის რაჭა) ციხესიმაგრეთა არქიტექტურის კოშკს მოგვაგონებს. კბილანებს, სათოფურებს ფეოდალიზმის ეპოქაში ლოგეკური აზრი ჰქონდათ, მაგრამ ახალ პირობებში, არქაიზმზე მტყვევლებდნენ. კინოფაბრიკის შენობაში ფეოდალური არქიტექტურის ფორმები და მოტივები განსაკუთრებით ძლიერად ვლინდება და არაფრით ვერწყმის ქუჩის განაშენიანებას, მკვეთრად უპირისპირდება ქართული საბჭოთა არქიტექტურის სულიკვეთებას.

ეგრეთ წოდებული „ფსევდოქართული“ სტილით არის ნაგები აგრეთვე ყოფილი ტუბერკულოზის დისპანსერის — შემდეგ თბლისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატის

შენობა (1928—1930 წლები, არქიტექტორი კ. ლენტიევი) მელიქიშვილის ქუჩაზე და სხვა.

თბლისის არქიტექტორები ხანგრძლივი დროის მანძილზე არ იყვნენ გაერთიანებულნი შემოქმედებით ორგანიზაციაში. ნაწილობრივ ეს მათი მცირერიცხოვნებით იყო გამოწვეული. გარდა ამისა, არქიტექტორთა უმეტესობა შედიოდა მშენებელთა კავშირში, რომელიც საინჟინრო-ტექნიკურ ძალებს აერთიანებდა.

თბლისის არქიტექტორთა გაერთიანებისაკენ პირველი ნაბიჯები გადაიღა 1927 წელს სამხატვრო აკადემიის ინიციატივით. ამავე წელს სამხატვრო აკადემიაში გაიმართა სპეციალური კრება, რომელმაც ქართველ არქიტექტორთა საზოგადოების დაარსების გადაწყვეტილება მიიღო და ორგანიზაციულ ღონისძიებათა შემუშავებისათვის შექმნა კომისია — არქიტექტორების: მ. მაქავარიანის, ნ. სვეეროვის, მ. კალაშნიკოვის, ა. კალგინის, დ. მადათოვისა და გ. ტერ-მიქელოვის შემადგენლობით*, მაგრამ კომისიის მუშაობამ შედეგი არ გამოიღო. 1928 წლის ზაფხულში ა. კალგინმა დასვა საკითხი სამხატვრო აკადემიასთან არქიტექტორებისა და მხატვართა საზოგადოების შექმნის შესახებ**.

ყველა ჯურის ფორმალისტები, „მარცხენა ფრაზებს“ ამოფარებულნი, გაყვიროდნენ ხელოვნების წარმოებასთან შერწყმაზე, მხატვარი დაჰყავდათ ხელოსნის, ყოველდღიური მოხმარების საგნების მკეთებლის როლამდე. საბჭოთა ადამიანი თავისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებებით უკვალოდ ქრებოდა მათი თვალსაწიერადან.

ამ „მიმდინარეობათა“ გავლენით 1928 წლის იანვარში სამხატვრო აკადემიის ყველა ფაქულტეტის უფროსი კურსების სასწავლო გეგმაში შეიტანეს ხელოვნების სოციოლოგიის კურსი; იმავე წლის ზაფხულში ადგილობრივი პრესის ფურცლებზე გაჩაღდა დისკუსია სამხატვრო აკადემიის რეფორმის საკითხებზე. დისკუსიამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო 1929 წელს, როცა სოციალისტურ საწყისებზე სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის შესახებ ფრაზებს ამოფარებულმა ფორმალისტებმა შეძლეს დროებით თავიანთ მხარეს გადაებირებინათ შემოქმედებითი ინტელიგენციის ნაწილი, რომლებსაც მთლიანად არ ჰქონდათ შეგნებული, ეგრეთ წოდებულ „ხელოვნებაში“ მემარცხენე რევოლუციური მიმართულების ლაყბობის უსუსურობა.

გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ სარედაქციო სტატიის „აკადემია თუ გზუტინი?“, რომელიც გამოხატავდა საქართველოს განათლების სახალხო

* გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, 1927 წ., 18 მაისი.

** გაზეთი „ზარია ვოსტოკა“. 1928 წ., 4 ივლისი.

კომისარიატის ხელოვნების მთავარი სამმართველოს ფორმალისტთა შეხედულებებს, 1929 წლის 26 სექტემბერს წერდა:

„ძირეულმა რეორგანიზაციამ, მუშაობის ტრადიციული მეთოდების მსხვერველად, აკადემიის წინაშე დასახულმა ახალმა ამოცანებმა და ახალმა მიზნებმა რაღაც ერთ წელიწადში განუზომლად წინ წასწია იგი განყენებული („წმინდა“) ხელოვნების იდეისა და აკადემია ჩააყენა სოციალისტური მშენებლობის სამსახურში. თვით სახელწოდებამ აკადემია შეწყვიტა მის ახალ არსთან შესაბამისობა“*. შემდეგ გაზეთი მიუთითებდა, რომ აკადემიის უმაღლეს სამხატვრო-ტექნიკურ ინსტიტუტად გადაკეთების და მის „საწარმოო ხელოვნების“ დანერგვის კერად გადაქცევის საკითხი უნდა მივიჩნიოთ სწორად და დროულად. არქიტექტურის ფაკულტეტზე სტუდენტებს კონსტრუქტივიზმს სთავაზობენ, როგორც საბჭოთა ხელოვნების მოძღვრების ახალ, ინდუსტრიულ სტილს. სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნაშუაგვრების გამოფენაზე ნათქვამია, რომ საუკეთესო შთაბეჭდილებას სტუდენტებს არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტთა ნაშუაგვრები: „აქ ჩანს სერიოზული მუშაობა და თანამედროვე არქიტექტურის განვითარების ფორმებისა და მისწრაფებების საფუძვლიანი ცოდნა“**.

1930 წლის დამდეგისათვის თბილისის სამხატვრო აკადემია რეორგანიზებულ იქნა საქართველოს „ვხუტეინად“***.

სამხატვრო აკადემიის რეორგანიზაციამ, როგორც ეს მალე გამოვლინდა, სერიოზული ზიანი მიაყენა რესპუბლიკაში სამხატვრო განათლებას. არქიტექტორთა კადრების მომზადებამ იმ დროიდან (1930 წ.) თავი მოიყარა საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტში, რომელიც მოგვიანებით საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს შეუერთდა.

მალე, 1933 წლის დამდეგს მოწინავე საზოგადოების დაყენებითი მოთხოვნით (ი. ნიკოლაძე, ე. ლანსერე და სხვები) თავის უფლებებში აღდგა თბილისის სამხატვრო აკადემია და მასთან შეიქმნა საშუალო სამხატვრო სასწავლებელი.

პირველი ხუთწლედის დამდეგს განეკუთვნება აგრეთვე ზოგიერთი არქიტექტორის ცლა პრაქტიკაში დაენერგა, ე. წ., ახალი მიმართულება არქიტექტურაში — კონსტრუქტივიზმი. კონსტრუქტივიზმის გავლენა ქართულ საბჭოთა არქიტექტურაზე საგრძნობი იყო 1929—1932 წლებში.

რეალურ მშენებლობაზე გადასვლამ ცხადყო,

* გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, 1929 წ., 26 სექტემბერი.

** გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, 1929 წ., 8 ოქტომბერი.

*** გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, 1928 წ., 4 ივლისი. პროფ.

ა. კალგინის სტატია — „მშენებლობა და სამხატვრო აკადემია“ (საქართველოს სამხატვრო აკადემიის რეფორმისათვის).

რომ კონსტრუქტივიზმის თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების მიერ წამოყენებული არაერთი წინადადება აღმოჩნდა ნაადრევი და მოწყვეტილი მიმდინარე მშენებლობის შესაძლებლობებსა და მოთხოვნებებს. მათი თეორიული წინაარსი ჰალზე აბსტრაქტული იყო, რამდენადაც ქალაქის, საცხოვრებელი სახლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობის პრობლემა განიხილებოდა უფრო ხშირად მჭკრეტელობითა, ზეარეულ, კონკრეტულ ეკონომიკასთან, ქვეყნის ტექნიკურ პოტენციალსა და მშრომელი მასების ესთეტიკურ იდეალებთან კავშირის გარეშე*.

თბილისში კონსტრუქტივისტული არქიტექტურის დამახასიათებელ ნიმუშს წარმოადგენდა კავშირგაბმულობის სახლი რუსთაველის პროსპექტზე (1932—1933 წლები), რომლის პროექტი ეკუთვნოდა არქიტექტორ კ. სოლომონოვს**.

ავტორმა მეტ-ნაკლებად გაითვალისწინა ასაშენებელი საზოგადოებრივი შენობის ფუნქციონალური მხარე და შექმნა ნაგებობა, რომელიც ორი ათეული წლის მანძილზე არღვევდა დედაქალაქის მთავარი პროსპექტის შესანიშნავ ანსამბლს, მასში დისპარმონია შექმნდა. ფანჯრის ლიობების გრძელი ზოლები, კიბის უჯრედის კომპლექსი წმინდა სიბრტყეობრივი ხასიათი ფანჯრების ვერტიკალით არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა.

კავშირგაბმულობის სახლი აიგო რუსთაველის პროსპექტის იმ მონაკვეთზე, სადაც ქუჩა ერთგვარად მოხვეულია. ქალაქმშენებლობის პრინციპებს ავტორისათვის უნდა ეყარინახა წითელი ხაზიდან ერთგვარი შეწყვეტი შენობის აგების აუცილებლობა, რათა შეემსუბუქებინა მოსახვევი წინამდებარე სასტუმრო „თბილისის“ შენობის განლაგების გათვალისწინებით. მაგრამ ავტორმა დაარღვია პროსპექტის ხაზი და თანდათან შლადი პერსპექტივის მშვიდი მთლიანობა.

კონსტრუქტივიზმის სულისკვეთებით არის აგებული აგრეთვე თბილისში პურის პირველი ქარხანა (1928—1930 წლები, არქიტექტორი ი. ნესტეროვი) და ზოგიერთი სხვა***.

ცალკეული არქიტექტორები ცდილობდნენ თავიანთ ნაწარმოებებში „შეერიგებინათ“ ორი მიმდინარეობა ზოგად კონსტრუქტივისტულ სქემაში ეროვნული ხერხებისა და ელემენტების ჩართვის გზით; ეტყობა, ვარაუდობდნენ, რომ სწო-

* მსოფლიო არქიტექტურის ისტორია. თორმეტ ტომად ტ. 12, წიგნი I, სსრ კავშირის არქიტექტურა, მოსკოვი, 1975, გვ. 10.

** კავშირგაბმულობის სახლის ფასადი 1953—1955 წლებში რეკონსტრუირებული და ხელახლა გაფორმებული იქნა არქიტექტორ ი. ჩვენჯელის პროექტით.

*** უკანასკნელ ხანს პურის ქარხანა საგრძნობლად იქნა რეკონსტრუირებული.

რედ კონსტრუქტივიზმის პრინციპებთან ეროვნულ თავისებურებათა „შერწყმა“ არის ქართული საბჭოთა არქიტექტურის საძიებელი გზა.

ამ თვალსაზრისით საჯულისხმოა 1926 წელს გამოცხადებული კონკურსი „ზარია ვოსტოკას“ რედაქციისა და გამოკვეთლობის შენობის პროექტზე. ბევრმა ავტორმა (ნ. სევეროვი, ა. კალგინი, კ. ლენტიევი, დ. ჩისლევი და სხვები) წარადგინეს იმ დროისათვის საკმაოდ საინტერესო არქიტექტურული გადაწყვეტანი. არქიტექტორმა დ. ჩისლევიმა პროექტის პირველი ვარიანტი შექმნა საზღვარკარეთის კლასიკის ეკლექტიკურ ფორმებში, მაგრამ იმ დროისათვის კონსტრუქტივიზმის გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ არჩევანი შეაჩერეს მისი პროექტის მეორე ვარიანტზე, რომელიც გადაწყვეტილი იყო კონსტრუქტივიზმის სულისკვეთებით და თითქმის ითვალისწინებდა ცალკეულ ეროვნულ თავისებურებებს. ასეთ „ეროვნულ“ მოტივად ზოგიერთს მიაჩნდა ისრისებური თაღები.

1929 წელს აგებულ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციისა და გამოკვეთლობის შენობაში (არქიტექტორი დ. ჩისლევი) ნაგებობის კუთხის ნაწილის მხებუთე სართულის ისრისებური თაღები უზარმაზარი, ღრმა ფანჯრის ღიობებით გათვალისწინებული იყო იმისათვის, რომ შეენიღა შენობისა სქემატურობა. ფასადი რუსთაველის პროსპექტის მხრიდან წარმოადგენს თითქმის მთლიანად შემინულ ზედაპირს, რაც შენობაში მომუშავეთათვის ზაფხულის პერიოდში ძალზე შემაწუხებელია.

კონსტრუქტივიზმის გავრცელების პერიოდში აიგო ისეთი შენობები, როგორც არის ამიერკავკასიის სახალხო კომისარათა საბჭოს სახლი (ახლა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის აპარატის შენობა, 1929—1930 წლები; არქიტექტორი ნ. სევეროვი, მ. კალაშნიკოვის მონაწილეობით), საცხოვრებელი სახლები ბანკის დაწესებულებათა მუშაკებისათვის ჭონქაძის ქუჩაზე (არქიტექტორი გ. ტერ-მიქელოვი, 1929 წ.) და სხვები.

ამ შენობათა ავტორებმა კარგად გაითვალისწინეს ფუნქციონალურ-შატატრული ამოცანა, თავიდან აიცილეს იმ დროისათვის ფართოდ გავრცელებული პრაიმტივიზმი, უნარიანად გამოიყენეს ახალი საშენი მასალები და კონსტრუქციები. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ აგებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის (ამჟამად პარტიის თბილისის კომიტეტის შენობა) თავისი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი, კონსტრუქციული და მშატატრული თვისებებით დღესაც გამოირჩევა თბილისის ბევრ ნაგებობას შორის. საცხოვრებელი სახლი სახბანკის მუშაკებისათვის განლაგებულია მეორე ხარისხო-

ვან ქუჩაზე (ჭონქაძის, № 10), მამადავითის მთის პირში. სამსართულიან საცხოვრებელ სახლს აქვს სწორკუთხედის ფორმა და შედგება ორი სექციისაგან. მთავარი ფასადით სახლი გადის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეზე. საცხოვრებელი ოთახები მიმართულია პორიზონტის ყველაზე ხელსაყრელი მხარისაკენ (ჩრდილო-აღმოსავლეთი), ხოლო უარესი მხარისაკენ (სამხრეთ-დასავლეთი) — კიბის უჯრედები, დამხმარე სათავსები და თითო საცხოვრებელი ოთახი ყოველ ბინაში. ქუჩის მხრიდან აგებულია ღრმა ლოჯიები. გამოკლი განიავების მქონე ყველა ბინა თავისი დაგეგმარებით მოხერხებულია, გამოირჩევა გარკვეული კომფორტით. ოთახების უმეტესობა დამოუკიდებლად არის წარმოდგენილი საერთო მისაღებით. ბინების ძირითად ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ვერანდების უქონლობა ეზოს მხრიდან, რაც თავის მხრივ დაიცავდა შენობის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს გადახურებისაგან.

იმ პერიოდში ადგილობრივ პრესაში („ზარია ვოსტოკა“, „რაზოჩაია პრავდა“ და სხვები) დაიწყო კამპანია, ეგრეთ წოდებული ახალი, სოციალისტური ყოფის, სახლ-კომუნების დაპყვიდრებისათვის. ცალკეული ავტორები არასწორად, გაუბრალოებულად განმარტავდნენ პარტიის მითითებას ყოფის სოციალისტურ საწესებზე გარდაქმნის შესახებ და პრესაში აშკარად გამოთქამდნენ მცდარ შეხედულებებს, მოუწოდებდნენ ყოფის დაუყოვნებლივ განზოგადებასა და ინდივიდუალბინებიათი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შეწყვეტას. მათ აცხადებდნენ „უხამსობად, რასაც უნდა მოღებოდა ბოლო“. სტატიაში „როგორ ვაშენოთ ახალი სახლები მუშებისათვის?“ ავტორი აცხადებდა: „მუშები მოითხოვენ გავათავისუფლოთ ისინი ძველი მეშჩანური ყოფის „სიკეთებისაგან“ — ცალკეული პატარა ბინებისაგან, საკუთარი სამზარეულოებით, აივნებით და ა. შ.“

პარტიამ მკვეთრად დაგმო ამ ცრუ თეორეტიკოსების ნახევრად ფანტასტიკური და ფრიალ მავნე მტკიცებანი, რომლებიც ფაქტობრივად ყოფაცხოვრების სოციალისტურად გარდაქმნის თვითიღის დისკრედიტაციას ახდენდნენ.

საკ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის ივნისის პლენუმმა თავის გადაწყვეტილებებში მითითა:

„ახალი, სოციალისტური ყოფის ორგანიზაციის საკითხებში საჭიროა გადამკრელი ბრძოლა როგორც მემარჯვენე ოპორტუნისტთან, რომელიც გამოდის სოციალისტური მეურნეობის განვითარების ბოლშევიკური ტემპების წინააღმდეგ, მუშათა და კოლმეურნე მოსახლეობის კულტურულ-

* გაზეთი „რაზოჩაია პრავდა“, თბილისი, 1930 წ., 5 აპრილი.

საყოფაცხოვრებო მომსახურების გარდაქმნის წინააღმდეგ, ისე „მემარცხენე“ თეორიისტიკური ფრაზიოლოგიის გადახვევებთან, რომლებიც გამოდიან ყოველგვარი პროექტორული წინადადებებით (ინდივიდუალური სამზარეულოების იძულებითი ლიკვიდაცია, საყოფაცხოვრებო კომუნების ხელოვნური დანერგვა და ა. შ.).

პარტია გადაჭრით გასცემს საკადრის პასუხს როგორც მემარჯვენე თეორიისტიკებს, რომლებიც უკან გვეწვიან და ცდილობენ ჩაშლონ ჩვენი მშენებლობა, ისე „მემარცხენე“ ფრაზიოლოგებს, რომლებიც არ ითვალისწინებენ ახლანდელი პერიოდის კონკრეტულ პირობებს და სინამდვილეში მემარჯვენეებს ეხმარებიან**.

იმ წლებში, როგორც ცნობილია, პარტიას გადამჭრელი ბრძოლა მოუხდა საბჭოთა ქალაქთმშენებლობაში როგორც ურბანისტული, ისე დეზურბანისტული დამახინჯებების წინააღმდეგ. გარკვეულწილად ეს დამახინჯებანი შეიმჩნეოდა თბილისის რეკონსტრუქციის საკითხებშიც. ცალკეული თეორეტიკოსები (მ. ილინა და სხვები) იღვწენ დეზურბანისმის პოზიციებზე და მიაჩნდათ, რომ თბილისი უნდა განაშენიანდეს არაუმეტეს ორსართულიანი სახლებითო**.

პროლეტარულ არქიტექტურა საკავშირო გაერთიანების მაგალითისამებრ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში 1929—1930 წლებში შექმნილი პროლეტარულ არქიტექტურა გაერთიანებული აკრიტიკებდნენ ფორმალისტებსა და ეკლექტიკოსებს, ცდილობდნენ გადმოეცათ თავიანთი პროგრამა, პროლეტარული არქიტექტურის პროგრამა, მაგამ ზოგადი ფრაზების იქით საქმე არ წაწეულა.

იმ პერიოდში პრესაში გაჩნდა პროლეტარულ არქიტექტურა გაერთიანებების წარმომადგენელთა ცალკეული სტატიები, რომლებშიც არქიტექტურულ სტილზე მსჯელობა ნაკლებად გამოირჩეოდა კონსტრუქტივისტ-ფორმალისტების „თეორიული“ დოგმებისაგან.

1930 წლის 17 მარტს საქართველოს პროლეტარულ არქიტექტორთა გაერთიანებამ გამოაქვეყნა დეკლარაცია სათაურით: „ლოზუნგიდან ზელოვნება — მასებს“ — „მასების ხელოვნებისაკენ“, რომელშიც ნათქვამი იყო:

„პროლეტარიატის კლასობრივმა ინტერესებმა კულტურული რევოლუციის პირობებში, კერძოდ, ყოფაცხოვრებაში რევოლუციის პირობებში არ-

* „მოსკოვის საქალაქო მუერნობისა და სსრ კავშირის საქალაქო მუერნობის განვითარების შესახებ“, საქ. კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის ივნისის პლენუმის რეზოლუცია. საქ. კ(ბ) ცენტრალური კომიტეტი. ყრილობათა, კონფერენციებისა და პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწილი II, მე-7 გამოცემა, 1953 წ., გვ. 668—669 (რუსული გამოცემა).

** გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, 1930 წ., 29 მარტი.

ქიტექტორების წინაშე დასახა ახალი ამოცანები, არქიტექტურა გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღი კოლექტიური ყოფაცხოვრებისათვის.

ჩვენი ყოფაცხოვრების ძირითადი ტენდენცია — მისწრაფება კოლექტივიზაციისაკენ, საერთო ცხოვრების, შრომისა და დასვენების ჯანსაღი, რაციონალური პირობების შექმნისაკენ. არქიტექტორის წინაშე პრაქტიკული ამოცანები დგას: არა წერილობესაკუთრული ხასიათის, არამედ კომუნალური ტიპის საცხოვრებელი ბინების, ფაბრიკების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა, კლუბების, გონივრული დასვენებისა და მასების კომუნისტური აღზრდისათვის დასასვენებელი სახლების, სკოლების მშენებლობა და ა. შ. ყველა ეს ამოცანა უმთავრესად უნდა გადაწყდეს შენობის ფართო სოციალური მნიშვნელობის თვალსაზრისით.

არქიტექტორი უნდა იყოს პროპაგანდისტი, აგიტატორი, შრომისა და ყოფაცხოვრების ახალი ფორმების ორგანიზატორი, იგი უნდა იყოს პროლეტარული მოძრაობის ავანგარდში.

ჩვენ მხარს ვუჭერთ პროლეტარულ, კლასობრივ არქიტექტურას, კონსტრუქციულად და ფორმალურად მთლიან, ჯანსაღ, ბრძოლისა და შრომისათვის მასების ნებისყოფის დამარაზველ ხელოვნებას. ჩვენ ფორმის შინაარსისა და ფორმის კონსტრუქციისაგან მოწყვეტის წინააღმდეგი ვართ, მხარს ვუჭერთ მათ ორგანულ ერთიანობას. ჩვენთვის ფორმის ეფემერული როლია, არამედ საშუალება. ჩვენ მხარს ვუჭერთ წარსულის კულტურის დაუფლებას, მის შესწავლას მარქსისტული ანალიზის მეთოდით, მაგრამ არა მიბაძვისა და მექანიკურად ასლგადღობით, არამედ ისტორიული გამოცდილების კრიტიკული გამოყენებისათვის პროლეტარული არქიტექტურის შექმნის პროცესში. აღვადგინოთ მკვდარი „ეროვნული“ სტილები, მათი არქიტექტურული ფორმები — ეს ნიშნავს პროლეტარიატი ჩამოვაშროთ მის კლასობრივ ამოცანებს.

ჩვენ არქიტექტურულ შემოქმედებაში ფორმის, ფერის შესახებ და ა. შ. თანამედროვე მეცნიერების ყველა მიღწევის დიალექტიკური გამოყენებისა და დანერგვის მომზადება ვართ.

პროლეტარული არქიტექტურა არ უნდა შემოიფარგლოს სპეციალისტთა ვიწრო წრით, იგი უნდა იქცეს მილიონობით მასების კულტურულად, იქმნებოდეს მათი მონაწილეობით. შემოქმედება და შეიფასებთ.

პროლეტარული არქიტექტურის გზა არის ლოზუნგიდან „ხელოვნება — მასებს“, „მასების ხელოვნებისაკენ“ — ეს კანონების მეცნიერის გზა როლია, არამედ აქტიური საზოგადოებრივი მუშაისა და მუშათა კლასის საქმისათვის მებრძოლის გზაა**.

* გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, 1930 წ., 17 მარტი.

ამ დეკლარაციაში საქართველოს პროლეტარული ანტიტრაქტორის გაერთიანებულ წევრ-დამაარსებლებმა მართებული შეფასება მისცეს რესტრუქტურული სულისკვეთების ფორმალიზმს, ძირითადად სწორად დასვეს საკითხი წარსულის მეგვიდრობის დაუფლების აუცილებლობაზე. იმავე დროს, დაუშვეს რამდენიმე შეცდომა და ვულგარული გაუბრალოება, რაჰის სულისკვეთებით ასწავს მარქსისტულ-დიალექტიკური მეთოდი. დეკლარაციაში ვამოსკვივის ყოფა-ცხოვრების განზოგადების („არა წერილმესაკუთრული ხასიათის, არამედ კომუნალური ტიპის საცხოვრებელი ბინების მშენებლობა“) და არქიტექტორთა კადრების მოწოდების საკითხის გაუბრალოებულ გაგების მიწვევებზე („ლოზუნგიდან „ხელ-ლონება — მასებს“, „მასების ხელოვნებისაკენ“). ყოველივე ამის გამო, გასაგებია, თუ რატომ ვერ შეძლო საქართველოს პროლეტარულ არქიტექტორთა ასოციაციამ შეექმნა ისეთი შემოქმედებითი ჯგუფი, რომელიც გაერთიანებდა საბჭოთა საქართველოს ყველა არქიტექტორს.

1931 წლის ზაფხულში გაიმართა საქართველოს პროლეტარულ არქიტექტორთა ასოციაციის („სპარაკ“) დამფუძნებელი კრება, რომელმაც აირჩია ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოები. „სპარაკში“ წამყვანი როლი ეკუთვნოდათ არქიტექტორებს მ. ჩხიკვაძესა და გ. ხიმშიაშვილს, მოქანდაკე კ. მერაბიშვილს. ასოციაციის შექმნის მიუხედავად, თბილისის არქიტექტურული ძალები ჯერ კიდევ დაქსაქსილი იყო, თბილისიელ არქიტექტორთა უფროსი თაობის წარმომადგენლები განზე იდგნენ „სპარაკს“ მოღვაწეობისაგან.

საკავშირო კონკურსი თბილისში კულტურის სასახლის პროექტის შესადგენად (1931—1932 წლები) თითქმის ერთადერთი მოზრდილი ღონისძიება იყო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს პროლეტარულ არქიტექტორთა ასოციაციამ. არქიტექტორების მ. ჩხიკვაძისა და გ. ხიმშიაშვილის მიერ შედგენილი „სინთეზური თეატრის“ პროექტი ასახავდა კონსტრუქტივისტული მიზნობრივობის სულისკვეთებას.

საქ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ „ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“ ბოლო მოუღო ჯგუფობრიობას, წრეობრივ კარჩაკეტილობას, ლიტერატურულ-მხატვრულ ორგანიზაციებში თანაბლკოვების პოლიტიკური ამოცანებისაგან მოწყვეტას და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეთა ერთიან შემოქმედებით კავშირებად ნამდვილ გაერთიანებაში.

1932 წლის ზაფხულში იქმნება საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირი. 1933 წლის დამდეგს რესპუბლიკაში მიმდინარეობს საბჭოთა მხატვრე-

ბისა და საბჭოთა კომპოზიტორების ყრილობები; შესაბამისად აქ იქმნება საქართველოს საბჭოთა მხატვართა და საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორთა კავშირები.

საქართველოს არქიტექტორთა პირველი ყრილობა გაიმართა 1934 წლის 15 თებერვალს. შეიქმნა საქართველოს საბჭოთა არქიტექტორთა კავშირი და ჩამოყალიბდა კავშირის გამგეობა. საბჭოთა არქიტექტორთა კავშირის გამგეობაში აირჩიეს არქიტექტორები ნ. სევერაოვი, ა. კალგინი, ი. ყირქესალი, ი. ჟიტკოვსკი, მ. შავიშვილი, მ. ნეპრინცევი, მოქანდაკე კ. მერაბიშვილი და სხვები.

თუ რევოლუციამდე თბილისში ორ ათეულამდე არქიტექტორი ითვლებოდა, ამჟამად საქართველოს საბჭოთა არქიტექტორთა კავშირი აერთიანებს 800-მდე წევრს, რომელთა უმეტესობამ განათლება საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში მიიღო.

მეორე და მესამე ხუთწლიელების მანძილზე ჩამოყალიბდა არქიტექტორთა ძირითადი ბირთვი, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით ხელი შეუწყვეს ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარებას. უფროსი თაობის არქიტექტორებთან ერთად ზურთომოდვეართა ამ პლეადაში შედიოდნენ ახალგაზრდა არქიტექტორები, რომლებმაც სპეციალური განათლება 30-იან წლებში მიიღეს.

თბილისის — საქართველოსა და ამიერკავკასიის დედაქალაქის — არქიტექტურული რეკონსტრუქციის ამოცანის გადაწყვეტისა და ქართული საბჭოთა არქიტექტურის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის საბჭოს მუშაობის განხილვას სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე 1932 წლის 7 ოქტომბერს. თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ თავის დადგენილებაში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ აღნიშნა თბილისის მშრომელების მიერ მიღწეული დიდი წარმატებები სოციალისტური მშენებლობის დარგში პარტიის გენერალური ხაზისა და ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე, რის შედეგადაც „თბილისი გახდა ამიერკავკასიის მშრომელთა მრავალეროვანი ფედერაციის კულტურულ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი“.

ამასთან სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა აღნიშნა ზოგიერთი ნაყოფანებები და, უყინარეს ყოვლისა, საქალაქო მუშაობის ცალკეული დარგების ჩამორჩენა მოსახლეობის მოთხოვნილებათა ზრდისა და მშრომელთა კულტურული მოთხოვნების განვითარებისაგან (მაგალითად, საბინაო-კომუნალური მშენებლობის ჩამორჩენა და ა. შ.).

* გაზეთი „ტფლისკი რაბოჩი“, 1932 წ., 2 ნოემბერი.

თბილისის არქიტექტურის განვითარების პირველი ეტაპისათვის, რომელიც მოიცავს სახალხო მეურნეობის აღდგენის, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და პირველი ხუთწლედის პერიოდს (1921—1932-33 წწ.) და დაახლოებით 10—11 წელიწადს ითვლის, დამახასიათებელია ფორმებისა და საშუალებების ძიებათა მრავალრიცხოვანი მაგალითი, ფორმირებისა და ზრდის სიძნელეები.

განვითარების პირველ ეტაპზე სოციალისტური თბილისის არქიტექტორთა უმრავლესობა არაერთ წინააღმდეგობას წააწყდა, რაც გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით:

თბილისის ეროვნულ ხუროთმოძღვრებას მდიდარი ტრადიციები ჰქონდა, მაგრამ თითქმის არ ჰყავდა არქიტექტორთა კადრები. სპეციალისტები, რომლებმაც არქიტექტურული განათლება რუსეთსა და საზღვარგარეთ მიიღეს, ოქტომბრის რევოლუციამდე დიდი ხნით აღრე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე შეუდგნენ საღამო სამშენებლო სამუშაოებს, თუმცა ჯერ კიდევ სითანადოდ არ ჰქონდათ გაზარებული ახალი შემოქმედებითი ამოცანები. ისინი ახალი სოციალისტური წყობის შესატყვისი არქიტექტურის ძიებაში ტაბუტით მიიწვედნენ წინ წინასწარი გათვალისწინების გარეშე.

იმხანად საბჭოთა არქიტექტურაში ფართო გავრცელება პოვეს „თეორიებმა“, რომლებიც ნაწილობრივ წინამორბედი წყობილებისაგან მემკვიდრეობით იყო მიღებული, ნაწილობრივ კაპიტალისტური დასავლეთის მიერ იყო ექსპორტირებული.

განვითარების პირველ ეტაპს განეკუთვნება თბილისის ზოგიერთი არქიტექტორის ცდები კონსტრუქტივიზმის ფართოდ გავრცელების პირობებში შემოქმედებითად გაეზარებინათ მსოფლიო და ეროვნული არქიტექტურის მემკვიდრეობის ფორმები და გარდაექმნათ ისინი ახალი პირობების შესაბამისად.

ამ ამოცანის გადაწყვეტა მეტ-ნაკლებად შეძლეს თბილისის არქიტექტორთა უფროსი თაობის წარმომადგენლებმა — ა. კალგინმა, მ. მაჭავარიანმა, ნ. სევეროვმა, გ. ტერ-მიქელოვმა და სხვებმა.

სოციალისტური თბილისის არქიტექტურის პირველ ეტაპზე დაპროექტებისა და მშენებლობის პრაქტიკაში შეიმჩნეოდა ნაკლოვანებები და შეცდომები, რომლებიც აიხსნებოდა ფუნქციონალური, საინჟინრო-ეკონომიკური და ესთეტიკური ამოცანების კომპლექსურად გადაწყვეტის უუნარობით. ეს შეცდომები ხდებოდა ან წარსული წლების არქიტექტურული სახეების იდეალიზაცი-

ის შედეგად, რაც ეწინააღმდეგებოდა ახალი დროის სულისკვეთებას (ნაგებობანი, ეგრეთ წოდებულ „ფსევდოქართულ“ სტილში), ან მსოფლიო და ეროვნული არქიტექტურული მემკვიდრეობის უარყოფის შედეგად. ორივე შემთხვევაში ჯერონად არ სწავლობდნენ და ითვალისწინებდნენ ცხოვრების მოთხოვნებს, ახალ საშენ მასალებს, გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებს და ა. შ. პირველი ეტაპი იყო უკიდურესი ექსპერიმენტების პერიოდი და მისთვის დამახასიათებელია რეალურ პროექტებსა და ნაგებობებთან ერთად პროექტორული იდეები და წინადადებები.

არქიტექტურა ვითარდებოდა საინჟინრო-სამშენებლო საქმესთან, საინჟინრო ხელოვნებასთან უშუალო კავშირში და თავისი არსებობის მანძილზე შეიმუშავა გარკვეული კომპოზიციური ხერხები, კონსტრუქციული და სხვა ხასიათის გარკვეული გადაწყვეტანი, რომელთა ბაზაზე იშვა და ჩამოყალიბდა საბჭოთა არქიტექტურა, მათ შორის სოციალისტური თბილისის არქიტექტურაც.

თბილისის არქიტექტორების წინაშე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა შემდეგი ამოცანები:

გაეზარებინათ ახალი პირობები; ახალი პერსპექტივები, რომლებსაც არქიტექტურის წინაშე საბჭოთა წყობილება სახავდა;

შეესწავლათ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მდიდარი მემკვიდრეობა და გამოეყენებინათ მისი პროგრესული ელემენტები საბჭოთა არქიტექტურაში;

მოეშაადებინათ არქიტექტორთა კვალიფიციური ეროვნული კადრები, რომლებსაც უნარი ექნებოდათ წინ წაეწიათ საბჭოთა არქიტექტურა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე თბილისში ლაპარაკიც ზედმეტი იყო ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების სეროოზულ ღრმა შესწავლაზე ხალხური ოსტატების მდიდარი გამოცდილების, მიმდინარე მშენებლობაში მათი პროფესიული ოსტატობის შემდგომი გამოყენებით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ დიდი და საჭირო საქმის განვითარებისათვის ყველა წინაპირობა შეიქმნა.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში და, განსაკუთრებით, სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე, რომელსაც არქიტექტურის სპეციალობა დაერთო, აკადემიკოს ი. ჭავჭავაძის აქტიური ხელშეწყობით, პროფესორ გ. ჩუბინაშვილის, არქიტექტორების ნ. სევეროვის, ა. კალგინის, მ. კალაშნიკოვისა და სხვათა მონაწილეობით გაჩაღდა დიდი მუშაობა ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლების დეტალურად შესწავლისათვის, რამაც კეთილსასურველი გავლენა

მოახდინა თბილისის არქიტექტურულ პრაქტიკაზე.

არქიტექტორები. რომლებიც ცდილობდნენ აელორქინებინათ ფეოდალური ხუროთმოძღვრების ეროვნული სახეები. არსებითად უვლუბელყოფდნენ მშრომელი მასების ესთეტიკურ იდეალებს.

არქიტექტორები, რომლებიც ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების პრაქტიკაში კონსტრუქტივიზმს წერგავდნენ კონსტრუქციების სახეცვლილებით ან მასში, ეგრეთ წოდებულ ეროვნულ თავისებურებათა შეტანით, არსებითად უსახურა ხდოდნენ საბჭოთა არქიტექტურას.

აბეთ რთულ, წინააღმდეგობრივ პირობებში მემდინარეობდა თბილისელ არქიტექტორთა მუშაობა განსახილველ პერიოდში. მათ შემოქმედებაში აინახა ძველი, დრომოქმული ფორმების დაძლევის ცდები და ახლის ძიებანი.

სოციალისტური თბილისის არქიტექტურის პირველ მკაფიო დადებით მაგალითად უნდა ჩათვალოს ზაქესის შენობათა კომპლექსი, რომელიც უპირისპირდება როგორც შეზღუდული ეროვნული ხასიათის, ეგრეთ წოდებული „ფსევ-

დოქართული“ სტილის ნაგებობებს, ისე კონსტრუქტივიზმის არქიტექტურას.

პარტიის ყოველდღიურმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყო თბილისის არქიტექტორთა საქმიანობის შემოქმედებითი დონის ამაღლება და შექმნა ყველა პირობა საბჭოთა არქიტექტურის კვალიფიციური კადრების აღზრდისათვის მათი ძალდონის გაერთიანებისათვის ისეთი ხუროთმოძღვრებისათვის ბრძოლაში, რომლებიც დააკმაყოფილებდნენ ხალხის მატერიალურ, კულტურულ და ესთეტიკურ მოთხოვნილებებს.

სოციალისტური თბილისის არქიტექტურის განვითარების პირველ ეტაპზე ხუროთმოძღვრები პოულობდნენ მეგკიდრეობაში პროგრესული ფორმებისა და ელემენტების გამოყენების სწორ საშუალებებს.

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესწავლისათვის დიდმა, გულმოდგინე მუშაობამ ახალი ამოცანების ღრმად გაგების საფუძველზე საბჭოთა არქიტექტურის ადგილობრივი კადრების მომზადებასთან ერთად შექმნა მტკიცე საძირკველი, რომელზედაც გაიფურჩქნა სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღვრება.

მეორე და მესამე ხუთწლედების (1933—1941 წლები) არქიტექტურა

§ 1. დედაქალაქის სოციალისტური რეკონსტრუქცია. კონკრეტი მთავრობის სახლზე, „ღინაფოს“ სტადიონზე

სოციალისტური თბილისის არქიტექტურის განვითარების მეორე ეტაპისათვის დამახასიათებელია შენობებისა და ნაგებობათა ხარისხობრივი დონის ამაღლება, არქიტექტურით პროფესიული ოსტატობის ზრდა, ეროვნული მემკვიდრეობის ფორმებისა და ხერხების შედარებით უფრო ღრმად ათვისება.

სოციალისტური თბილისის არქიტექტურის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა: საკ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 16 მაისის დადგენილებას „ყოფა-ცხოვრების გარდაქმნისათვის მუშაობის შესახებ“, საკ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის ივნისის პლენუმის დადგენილებას „მოსკოვის საქალაქო მეურნეობისა და სსრ კავშირის საქალაქო მეურნეობის განვითარების შესახებ“, საბჭოების სასახლის მშენებლობის საბჭოს 1932—1933 წლების დადგენილებებს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 10 ივლისის დადგენილებას „ქალაქ მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შესახებ“ და ა. შ. სახელმძღვანელო მითითებებში, რომლებსაც ეს დოკუმენტები შეიცავდნენ, განაპირობებს თბილისისა და მთელი საქართველოს არქიტექტურული ცხოვრების ძირითადი გარდატეხა.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის წარმატებებმა, ახალი სამრეწველო კერების წარმოშობამ გამოიწვია ქალაქების სწრაფი ზრდა, დაბებისა და რაიონული ცენტრების გარდაქმნა სოციალისტურ ქალაქებად, ახალი სამრეწველო ცენტრების მშენებლობა.

მეფის რუსეთის უკიდურესად ჩამორჩენილი საქალაქო მეურნეობა, იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებისა და ინტერვენციის წლებში კიდევ

უფრო მეტად დაეცა. საქართველოს საქალაქო მეურნეობა ძლიერ დაზარალდა ჯერ კიდევ მენშევიკების ბატონობის პერიოდში. 1928—1929 წლებიდან, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენის შემდეგ, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის კვალდაკვალ დაიწყო რესპუბლიკის ქალაქების რეკონსტრუქცია.

საქართველოსა და ამიერკავკასიის დედაქალაქ თბილისში გაჩაღდა დიდი არქიტექტურულ-სამშენებლო სამუშაოები. წარსულში არქიტექტურული დაგეგმარების კომპლექსური პროექტის უქონლობის გამო თბილისი სტიქიურად, ხშირად უსისტემოდ შენდებოდა. საქართველოს კ (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1933 წლის სექტემბერში მოწოდებულმა გაერთიანებულმა პლენუმმა თავის რეზოლუციაში „საქალაქო მეურნეობის შესახებ“ აღნიშნა ქალაქის დაგეგმარების პროექტ-სქემის სასწრაფოდ შედგენის უზრუნველყოფის აუცილებლობა. ნაერაუღვევი იყო პროექტის ერთ-ერთი ვარიანტის დამტკიცების შემდეგ, საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეექმნათ არქიტექტურულ-დაგეგმარებით ბიურო ქალაქის ცალკეული რაიონებისა და კვანძების დეტალური პროექტების შედგენისათვის*.

თბილისის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა შეადგინა ხარკოვის ქალაქების დაპროექტების ინსტიტუტმა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტექნიკურ განყოფილებასთან ერთად 1933-34 წლებში და ფართოდ განიხილა საზოგადოებრიობაში. საქართველოს საბჭოთა არქიტექტურითა კავშირის თბილისის პირველმა კონფერენ-

* „საქალაქო მეურნეობის შესახებ“ — საქართველოს კ (ბ) თბილისის კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის გაერთიანებული პლენუმი. 23.IX.1933 წ. „ზარია ვოსტოკა“, 1933 წ. 2 ოქტომბერი.

ციამ იჩინებენ მშენებლებსა და მხატვრებთან ერთად დეტალურად განიხილა თბილისის დაგეგმარების გენერალური სქემა (1934 წლის დეკემბერი).

მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმარების პროექტი შეიცავდა არსებით ნაკლოვანებებს (რეკონსტრუქციის გვიანდობა ვადები, საექვოდ განხილვის მისი განხორციელების რეალურობა, ზოგიერთი მოედნისა და მაგისტრალის არქიტექტურის პრაქტიკულად გამართლებული გადაწყვეტა და ა. შ.), მას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა როგორც დოკუმენტი, რომელიც ითვისისწინებდა თბილისის არსებობის მთელი ხნის მანძილზე პირველად, მის გვეგზავნებოდა განვითარებას. რაც ემყარებოდა საბჭოთა ქალაქმშენებლობის პრინციპებს. თბილისში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში, ისტორიაში პირველად აღმოიფხვრა განსახლების კლასობრივი ხასიათი, დარბოქტა სოციალისტური ტიპის კვარტალები, რაიონები.

სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის წარმატებათა შედეგად შეიცვალა ჩვენი ქალაქების იერსახე. ბურჟუაზიული ქვეყნების მოზრდილი ქალაქების გარდღევალი დანაშაუნი, როგორც ცნობილია, არის ქოხნაბები, ევრეთ წოდებული მუშათა კვარტალები ქალაქის გარეუბნებში, რომლებიც წარმოადგენენ ჩაბნელებულ, ნესტიან, უმეტესად სარდაფულ, ნახევრად დანგრეულ სათავსებს. დიდი ოქტობრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად სსრ კავშირში გაქრა ქოხნაბები, მათ ნაცვლად გაჩნდა ახლად აგებული კარგი და ნათელი მუშათა კვარტალები.

მეორე და მესამე ხუთწლეულების მანძილზე თბილისში მწყობრში დგება მოზრდილი სამრეწველო საწარმოები: კირივის სახელობის ჩარხსამშენებლო, ფოლადუქსასხეული და ავტომშემკეთებელი ქარხნები, სართავ-სატრავო და წისქვილომბინაბები, ფეხსაცმლის, ჩაის საწონი ფაბრიკები, შამპანური ღვინოების ქარხანა და ა. შ. მოკლე ხანში თბილისი მოწინავე ინდუსტრიულ ქალაქად გადაიქცა. მსხვილი საქალაქო მრეწველობის პროდუქცია ხუთწლეულებს მანძილზე თითქმის სამჭერ გაიზარდა, მუშათა კრეჭი — ორმაგად.

მეორე და მესამე ხუთწლეულებში პარტია აძლიერებს ყურადღებას მასობრივი საბინაო მშენებლობის საკითხებზე. თბილისის არქიტექტორებმა, რომლებიც ასრულებდნენ პარტიის მიზნობებს, გააჩაღეს ბრძოლა საცხოვრებელ ფართობზე მწვავე ნაკლებობის დასაქვლად. მკერე-სართულიან სახლებთან ერთად თბილისში შენდება რამდენიმე დიდი მრავალსართულიანი შენობა (ასბინიანი საცხოვრებელი სახლი, საცხოვრებელი სახლები პლენანოვის პროსპექტზე, ვაკეში და ა. შ.).

საბინაო მშენებლობას საფუძვლად დაედო

სექციები ცალკეული ბინებით. დიდი ყურადღება ეთმობა ბინების დაგეგმვისა და მოწყობის მოხერხებულობას, ტიპური საცხოვრებელი სექციები მუშავდება ადგილობრივი ყოფითი და კლიმატური პირობების, აგრეთვე ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით. მალღდება მშენებლობის ტექნიკური კულტურა და არქიტექტურის ხარისხი. თბილისში იგება რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. მათ გარეგან იერსახეში კლასიკური არქიტექტურული ფორმების გამოყენებით (სახლი პლენანოვის პროსპექტზე № 147, არქიტექტორი მ. კალაშნიკოვი; სახლი რუსთაველის პროსპექტზე № 1/3, არქიტექტორები ს. ყუბანიევილი, ა. ქურდიანი და მ. მელია) და ა. შ.

იმხანად აგებული გაუბრალოებულ-პრიმიტიული არქიტექტურის მქონე საცხოვრებელი სახლების ფონზე (სახლი ვაგზლის მოედანზე, სპეციალისტთა და დამკვერელების სახლები საბურთალოში და სხვა), ახალი საცხოვრებელი სახლები წარმოადგენდნენ შემოქმედებითად წინ გადადგმულ ნაბიჯს. ისინი გამოირჩეოდნენ მიზანშეწონილი დაგეგმვით, ბინების მოხერხებული მოწყობით და მიმზიდველი იერით. საცხოვრებელ სექციებში თბილისის ხუროთმოძღვრება ადგილობრივი კლიმატური პირობების, ეროვნული ტრადიციების, ხალხური შემოქმედების ხერხების გათვალისწინებით გარკვეული შესწორებანი შეიტანეს.

ამ პერიოდში საცხოვრებელი სახლის გარეგანი იერსახისადმი გადაჭარბებულ ყურადღებას არქიტექტორები ზოგჯერ შინაგანი დაგეგმარების, მოხერხებულობის, მოპირკეთების ხარისხისა და გადაწყვეტათა ეკონომიკურობის საკითხების მიჩქმალვისკენ, გაფორმებაში ზედმეტობისა და ექსტრემალდ მიჰყავდა.

პარტიამ დროულად გააფრთხილა არქიტექტორები, რომ ყოველ მშრომელს სჭირდება მოხერხებული, ჰიგიენური საცხოვრებელი, რომ ბინის, საცხოვრებლის ვარგისიანობა განისაზღვრება უფრო მეტად მისი სწორი და საზრიანი დაგეგმარებით. სამწუხაროდ, ჩვენი არქიტექტორები ყოველთვის როდი ითვისისწინებდნენ საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის ამ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რის შედეგადაც უკვე მრავალი წლის შემდეგ დაშვებული იქნა დიდი შეცდომები და ნაკლოვანებები, რომლებიც საყოველთაოდ დაგმეს მშენებელთა მეორე სრულიად საკავშირო თათბირზე 1954 წელს.

საქართველოს არქიტექტორებისა და მშენებლების წინაშე წამოიჭრა განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანები, მაგრამ ომმა ხელი შეუშალა საცხოვრებელი სახლის არქიტექტურის განვითარებას, რაც უკვე შეიმჩნეოდა ომამდელ წლებში.

მეორე და მესამე ხუთწლეულების მანძილზე ხორციელდებოდა თბილისის ინტენსიური არქიტექტურული რეკონსტრუქცია და ჩატარდა დიდი ღონისძიებები ქალაქის კეთილმოწყობისათვის.

იმ წლებში ამოქმედდა ნატახტარის წყალსადენი, რომელმაც საგრძნობლად გააუმჯობესა ქალაქის მომარაგება სასმელი წყლით, დაიწყო ზაქეისის მეორე რიგის, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობის, მთავრობის სახლის, ბალნეოლოგიური კურორტის საბაზანო შენობის, მტკვრის სანაპიროს მეორე რიგის, როგორც კეთილმოწყობილი სატრანზიტო მაგისტრალის მშენებლობა, შენდებოდა ჩელიუსკინელთა ხიდი, დაჩქარდა სამუშაოები კალიაევის აღმართის აგებისათვის 26 კომისრის სამრეწველო რაიონსა (ყოფილი ავლაბარი) და ქალაქის ცენტრს შორის კავშირის გაუმჯობესების მიზნით.

ყოფილი კალიაევის აღმართი (ამჟამად ბართაშვილის სახელობის აღმართი) გაფართოვდა 8-დან 24 მეტრამდე. კარლ მარქსის სახელობის ხიდის რაიონში სანაპიროს აგებით მიღწეულ იქნა მდინარე მტკვრის მარჯვენა ტოტის დაშრობა, რაც ადრე ნავაგსაყრელი იყო და მას ანტისანტარისა და მალარიის ბუდედ აქცევდა. ზოოპარკის რაიონში ბორცვების შუაზე გაკრამ და ჩელიუსკინელთა სახელობის ხიდის მშენებლობამ (1932), აგრეთვე, ლენინის ქუჩის ახალი მონაკვეთის გაყვანამ, ხელი შეუწყო ფრიალ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას — ვაკისა და საბურთალოს რაიონების შეერთებას ქალაქის მარცხენა ნაპირსა და ვაგზალთან. შეიქმნა ახალი — საბჭოთა კავშირის გმირთა სახელობის მოედანი, ხორციელდება ვ. ი. ლენინის, კარლ მარქსის მოედნების, რუსთაველისა და პლუხანოვის პროსპექტების რეკონსტრუქცია. ამ მაგისტრალებიდან იღებენ ტრამვანის ხაზებს, რუსთაველის გამზირი ვანაშენიანდა ახალი მონუმენტური შენობებით (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობა, მთავრობის სახლი, კინოთეატრი „რუსთაველი“ და ა. შ.). მეორე და მესამე ხუთწლეულების მანძილზე ქალაქ თბილისმა დიდად იცვალა სახე, იგი, მართლაც, ღირსეულად ატარებდა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის სახელს.

სოციალისტური თბილისის არქიტექტურის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა არქიტექტორთა შემოქმედებითა შეკიბრებებმა, აგრეთვე კონკურსებმა მოსკოვისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების თვალსაჩინო ობიექტების მონაწილეობით. გამოცხადდა კონკურსები მთავრობის სახლის, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის, „დინამოს“ სტადიონის, ხელოვნების მუზეუმის „მეტეზის“ და სხვა ობიექტების პროექტებზე. ყველა ეს კონკურსი

უშუალოდ იყო დაკავშირებული თბილისის სოციალისტური რეკონსტრუქციის სამუშაოებთან.

საქართველოს მთავრობის სახლისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ფილიალის პროექტების კონკურსები ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მათ შორის, რომლებმაც ფართო არქიტექტურული საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრეს და დიდი როლი შეასრულეს ქართულ საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის საპროექტო დავალების შედგენა იმ დროს განეკუთვნება, როდესაც მოსკოვში საბჭოების სასახლის პროექტზე ღია კონკურსი გამოცხადდა. ამ კონკურსმა, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა არქიტექტორთა შემოქმედებით ზრდაში.

1931 წლის დამლევს, საქართველოს სსრ სახლხო კომისართა საბჭომ დაადგინა, თბილისში აგებულყოფილი მთავრობის სახლი, რომელშიც ნავარაუდები იყო საბჭოების ყრილობების მოწყობა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების — ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, სახლხო კომისართა საბჭოს, სახელმწიფო სადგომო კომიტეტის, სახლხო კომისარიატებისა და სხვა სადირექტივო დაწესებულებათა განლაგება.

საქართველოს სსრ სახლხო კომისართა საბჭოსთან შექმნილმა მთავრობის სახლის მშენებლობის კომიტეტმა დაამტკიცა საპროექტო დავალება და მშენებლობისათვის გამოყო მონაკვეთი, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე გადიოდა მანამდე აღებული სამხედრო ტაძრის ადგილზე.

1932 წლის დამლევს მშენებლობის კომიტეტმა მოსკოვში გამოაცხადა დახურული კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდა დედაქალაქის ცნობილი ხუროთმოძღვრების სამი ჯგუფი: პროფესორ ვ. კოკორინის, პროფესორ ს. ჩერნიშოვის, აკადემიკოს ი. ჟოლტოვსკის ჯგუფები.

კონკურსის შედეგად რეკომენდებულ იქნა ვ. კოკორინის პროექტი. მშენებლობის კომიტეტმა ავტორის შესთავაზა, დაემუშავებინა მოწონებული ვარიანტის საფუძველზე მთელი კომპლექსის საბოლოო პროექტი, რომელიც დამთავრდა კიდევ 1933 წლის ივლისში და საქართველოს სსრ სახლხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა 1933 წლის 15 სექტემბერს. 1933 წლის 17 ოქტომბერს საფუძველი ჩაეყარა კომპლექსის ერთ-ერთი კორპუსის რკინა-ბეტონის კარკასს (მოცულობა 136 000 კუბური მეტრი).

მთავრობის სახლის პირველი კორპუსის მთელი კომპლექსი მშენებლობის დამთავრებამდე რუსთაველის პროსპექტზე გაშლილი იყო კურდონერით.

შენობის გეგმა რუსულ ასო II-ს მოგვაცონებდა. რომლის საფუძვლად მიღებულია დერეფნული სისტემა. ზედა კორპუსი ათარბეგოვის ქუჩის მხრიდან 7 სართულიანია. ცენტრალური ნაწილის მესამე და მეხუთე სართულზე მოწყობილია სხდომათა ორმხრივგანათებული დარბაზები. ამ კორპუსში განლაგებულია საქართველოს სსრ მთელი რიგი სამინისტროები.

შენობის კონსტრუქციული სქემა კარკასულია. მთავრობის სახლის ზედა კორპუსი იყო ერთ-ერთი პირველი მოზრდილი ნაგებობა, სადაც ფართო მასშტაბით გამოიყენეს მსუბუქი რკინა-ბეტონი. შენობის რკინა-ბეტონის კარკასი შეესებოდა პეშხა-ბეტონის ბლოკებით (შენობის მთავარი კონსტრუქტორი პროფ. მ. იაკუბოვიჩი), პირველად იქნა გამოყენებული ჩარჩოები მსუბუქი რკინა-ბეტონისაგან. მთავრობის სახლის მშენებლობისას შემუშავდა კონსტრუქციის ფილემბით ექსპონირებული მსუბუქი რკინა-ბეტონით გადახურვის ახალი კონსტრუქცია. ახალი კონსტრუქციებისა და საშენი მასალების ფართოდ გამოყენებამ შექმნა საკარანობი ეკონომიკური ეფექტი.

ჩვენი ეპოქის შესაბამისი მონარქის ახალი არქიტექტურული ფორმების ძიებაში დიდი როლი შეასრულა კონსტრუქციის გაგრძელებამ მთავრობის სახლის მთავარ კორპუსზე (რაც რუსთაველს პროსპექტზე გადიოდა), გადაწყვედა, გაეგრძელებინათ მთავარი კორპუსის ფასადის დამუშავება, კონსტრუქციის ადგილობრივი არქიტექტორები და მხატვრები ჩაებათ ვ. კოკორინის პროექტის გათვალისწინებით და მის მშენებარე კორპუსთან შერწყმეს. ათი კოლექტიური და ინდივიდუალური ავტორის (პროფ. ვ. კოკორინის, არქიტექტორები: მ. ნეპრინცევის, მ. კალაშნიკოვის, შ. თულაშვილის, ნ. თოიძის, მ. ჩხიკავაძის, ლ. ჭანელიძის, მხატვარ ვ. სიდაშინ-ერისთავის და სხვათა) პროექტები გულდასმით განიხილეს 1934 წლის მაისში არა მარტო არქიტექტორების, არამედ ხელოვნების სხვა სახეობათა ოსტატების მონაწილეობით.

მშენებლობის კომიტეტმა პროექტების განხილვის შედეგად აღნიშნა, რომ არც ერთი წარმოდგენილი პროექტი მთლიანად არ წყვეტს დასახულ ამოცანას და შესაძლებლად მიიჩნია, შეჩერებულავენ სამ პროექტზე (არქიტექტორ კოკორინის, არქიტექტორ ჭანელიძის და არქიტექტორების კალაშნიკოვისა და ნეპრინცევისა), როგორც შემდგომი დამუშავებისათვის რუსთაველის პროსპექტზე ფასადის არქიტექტურული გაფორმების საჭირო მასალაზე.

კომიტეტმა აღნიშნულ ავტორებს დაავალა, გაეგრძელებინათ მუშაობა, მათ წინაშე დასახა, როგორც ძირითადი ამოცანა, შენობის არქიტექტურაში გამოეხატათ მთავრობის სახლისათვის დამა-

ხასიათებელი სიდიადის, მონუმენტურობისა და სიმშვიდის იდეა.

საბოლოო პროექტებმა, რომლებიც შეადგინეს პროფ. ვ. კოკორინმა არქიტექტორ გ. ლევაეის მონაწილეობით, არქიტექტორებმა ლ. ჭანელიძემ და მ. ნეპრინცემა, დაასრულეს საბჭოთა საქართველოს მთავრობის შენობის არქიტექტურული იერსახის ხანგრძლივი ძიებანი.

მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის პირველი ვარიანტი (ავტორი ვ. კოკორინი) წარმოადგენდა ირანული და დასავლეთევროპული არქიტექტურის ელემენტების აშკარა აღრევას საბჭოთა არქიტექტურისათვის უცხო ეგზოტიკით.

მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის ყველა საკონკურსო პროექტისათვის საერთო იყო მიწვრთვა — მთავრობის შენობისათვის მიენიჭებინათ მონუმენტურობა და გამოიყენებინათ კლასიკური და ეროვნული მემკვიდრეობის ხერხები და ფორმები.

მთავრობის სახლის კონკურსებმა გარკვეულწილად განსაზღვრეს მოზრდილი საზოგადოებრივი შენობების დაპროექტებისა და მშენებლობის საკითხები, ისინი იქცნენ როგორც უფროსი თაობის ხელოვანთა, ისე ნიჭიერი არქიტექტურული ახალგაზრდობის შემოქმედებით სრულყოფის სკოლად.

სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღვართა ათწლიანი მოღვაწეობის შედეგები ექსპონირებული იყო 1935 წელს სახელმწიფო სამხატვრო გალერეის შენობაში არქიტექტურის დიდ გამოფენაზე. გამოფენამ ცხადყო, რომ ბევრი თბილისელი ხუროთმოძღვარი სწორ გზაზე იდგა, თავისუფლდებოდა ძველი ქართული არქიტექტურის ფორმებისა და ელემენტების ბრმა ასლგადღებისაგან, ისწრაფოდა შემოქმედებითად გაეაზრებინა მსოფლიო, რუსული და ეროვნული ხუროთმოძღვრების მდიდარი მემკვიდრეობა.

„დინამოს“ სტადიონის მშენებლობა (1934–1938 წლები, არქიტექტორი ა. ქურდიანი, კონსულტანტი — პროფ. ა. კალგინი) გარკვეული ნაბიჯი იყო სოციალისტური თბილისის არქიტექტურის განვითარებაში.

სტადიონი სპორტული ასპარეზობისათვის, ფიზკულტურული ზეიმებისა და დემონსტრაციებისათვის სრულიად ახალი თემა გახლდათ ქართული არქიტექტურისათვის, რადგანაც საქართველოში რევოლუციამდე მსგავსი ნაგებობა არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

თბილისში კეთილმოწყობილი სტადიონის მშენებლობის საკითხი დაისვა ჯერ კიდევ 20-იანი წლების დამლევის. ხელსაყრელი კლიმატური პირობები, რომლებიც საშუალებას იძლევიან წელიწადში 9–10 თვის მანძილზე თბილისში ღია ცის ქვეშ მოეწყოს ფიზკულტურული მუშაობა, დაბე-

ჯითებით მეტყველებდნენ სტადიონის მშენებლობის აუცილებლობაზე.

1933—1934 წლებში მოეწყო თბილისის „ღინაშოს“ სტადიონის პროექტის დახურული კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ არქიტექტორები — ი. ეტიკოვსკი, მ. კალაშნიკოვი, ა. ქურდიანი, ლ. მელეგი, გ. ტერ-მიქელი, დ. ფომინი, მხატვარი პ. გრინევიჩი და სხვები. კონკურსის შედეგად მიღებულ იქნა ა. ქურდიანის პროექტი (კონსულტანტი ა. კალგინი).

თბილისის სტადიონის არქიტექტურული იერსახის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში დაგროვილი მასობრივ-სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის მდიდარმა გამოცდილებამ.

საპროგრამო დავალებით სტადიონი გათვალისწინებული გახლდათ სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეჯიბრებების, მასობრივ-სპორტულ ასპარეზობების და დემონსტრაციების მოსაწყობად და ნაგარაუდვეი იყო 15—20 ათასი მაყურებლისათვის.

სტადიონი აიგო ქალაქის თვალწარმტაც რაიონში, ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკთან ახლოს, მთავარი შესასვლელით ტელმანის ქუჩის მხრიდან.

სტადიონის დამპროექტებლის წინაშე ძნელი ამოცანა იდგა: ძალზე შეზღუდულ მონაკვეთზე (8 ჰექტარი ფართობი) აეგო უდიდესი სპორტული ნაგებობა, ფიზკულტურული კომპლექტი. არქიტექტურული ობიექტის არსებითი ნაკლოვანება სწორედ ეს გახლდათ — ნაკვეთის არასწორი შერჩევა, რაც სამართლიან საყვედურს იწვევს და, რამაც განაპირობა სტადიონის გენერალური გეგმის წარუმატებელი გადაწყვეტა და ამას არც შეიძლებოდა, უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა საერთო მოკულობით-სივრცობრივ ამოცანის გადაწყვეტაზე. სტადიონი თითქოსდა შევიწროებულია ქალაქის ნაგებობებით. ირგვლივ თავისუფალი სივრცის უქონლობა ხელს უშლის ადამიანთა ნაკადების დატვირთვისა და ევაკუაციის მოხერხებულობას.

სტადიონის პროექტის ავტორს უნდა გადაეწვიტა შემდეგი შემოქმედებითი ამოცანა — არქიტექტურის საშუალებებით, ადგილმდებარეობის ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით სპორტული ნაგებობის არქიტექტურაში აესახა ჩვეს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობა, ხალხურობა.

სტადიონზე ფეხბურთის მიწდერის გარდა, არის სარბენი ბილიკი, ადგილები სიმაღლესა და სიგრძეში ხტომისათვის, ბადროს, ბირთვის ტყორცნისათვის და ა. შ. ტრიბუნებქვეშა შექმნილი სივრცე გამოყენებულია ტანვარჯიშის დარბაზის, ზამთრის საცურაო აუზის, დასვენების ოთახების,

რესტორნის, ბუფეტების, კლუბის, ადმინისტრაციულ-სამოსამსახურო და სხვა სათავეების განლაგებისათვის. ტრიბუნებქვეშა სივრცის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში პანდუსს მიყვავართ მიწისქვეშა შესასვლელისაკენ, რომლითაც სარგებლობენ სპორტსმენები სტადიონის მიწდორზე გასასვლელად.

მიეღი ნაგებობა შედგებოდა თითქოსდა ოთხი სექტორისაგან. სამხრეთი მხრიდან აგებული იყო პორტალი თალის სახით მასობრივი სპორტული მსვლელობისათვის; აქედან მაყურებლის წინაშე იშლებოდა სტადიონის შიგნითა ხედი, მარცხნიდან — მარჯვნივ თალიდან ელიფსურად გადაიშლებოდა მისი გარეგანი კედლები*.

სტადიონის არქიტექტურულ გადაწყვეტაში ძირითადი კომპოზიციური ელემენტი იყო სხვადასხვა ვარიაციის ნახევარწრიული თალი. ეს ძირითადი ელემენტი ავტორმა გამოიყენა პორტალურ თალშიც და დაბალი თალების ჯაჭვშიც, ხოლო ალაგ-ალაგ, როგორც კედლების სიბრტყეების დეკორატიული გაფორმება (დასავლეთი და აღმოსავლეთი ტრიბუნები) და ზედა იარუსის დამამთავრებელი თალოვანი ფრიზის სახით.

სტადიონის არქიტექტურაში ძირითად კომპოზიციურ მოტივად ავტორის მიერ გამოყენებული ნახევარწრიული თალები ქმნიდნენ გარკვეულ რიტმს, ერთმანეთთან აკავშირებდნენ ნაგებობის ცალკეულ ნაწილებს, ხელს უწყობდნენ სტადიონის კედლების ვრცელი სიბრტყეების შემსუბუქებასა და გაცხოველებას.

სტადიონის ყველაზე გამომახველი ფასადი იყო სამხრეთისა უშაში, პორტალური თალითურთ, რომელიც მოქცეული გახლდათ მასიურ პილონებს შორის და მთავრდებოდა ნახევრად ღია გალერეით.

თალის პორტალების პილონების კუთხეები დამუშავდა პილასტრების კონის სახით (ქართულ ხუროთმოძღვრებაში გავრცელებული ხერხი), რომლებიც მთავრდებოდა კარგად მოხაზული სვეტისთავებით. თეთრი ქვისაგან შესრულებული პილასტრები მკვეთრად გამოირჩეოდნენ პილონების ღია ყვითელ ფონზე, ქმნიდნენ ფასადის ამ ნაწილის სიმყარისა და მთლიანობის შთაბეჭდილებას.

კაპიტელების, დეკორატიული თალების, ლავგარდანების, ფლაშტოკების ქვეშ, მოაჯირების, კონსოლებისა და სხვა არქიტექტურული დეტალების დამუშავების დროს გამოყენებული იყო სხვადასხვა ბეტონი (რომელიც იძლევა თეთრი ქვის იმი-

* „ღინაშოს“ სტადიონის არქიტექტურული ანალიზი ნოტანილია წარსულ დროში იმიტომ, რომ 1971—1976 წლებში მოხდა მისი ძირითადი რეკონსტრუქცია-განახლება, რომლის შედეგად ძველი მხატვრულ-კომპოზიციური ხერხებიდან ძალზე ცოტა რამ დარჩა.

ტაციას). იგი კარგად შესრულებულ ბათქაშთან შეხამებაში ქნინდა ექვეტურ ფაქტურას.

პორტალური თალი მთავრდება ორნამენტირებული უბრალო პროფილის ლავგარდანიით. თაღის არქივოლტის ორნამენტული მოტივი ავტორის მიერ ნახესხენია ეროვნული ხუროთმოძღვრების საუნჯიდან, რაც კესონურ გუმბათთან შერწყმით მკვეთრად გამოყოფდა სტალიონის ცენტრალურ შესასვლელს და აღვირებდა კომპოზიციის საერთო ვანოსახველდას.

უფრო სტატუა იყო შექმნილი სტალიონის ჩრდილოეთის ფასადი. ნაგებობის ძირითად გასწვრივ ღერძა (ჩრდილო-სამხრეთი) ჩრდილო ნაწილში ეხასხებოდა მოცულობა, რომელიც ეხმინებოდა ცენტრალურ თაღს, მაგრამ დამუშავებული იყო უფრო ზომიერი საშუალებებით. სარკმლების ღიობების ორმალნი თაღის მოტივი ორი რიგით ზემოთ ცუდად ერწყმოდა ჩრდილოეთის ტრიბუნის ფასადების დამუშავების ხასიათს.

მაგრამ ავტორის ყველა ხერხი ერთნაირად წარმატებული როდი იყო; მაგალითად, სტალიონის ტრიბუნული თაღის ზედა გალერეის სვეტისთავეებით დაგვირგვინებული დაწვილებული ბოძები ნოვაგონებდნენ მცხეთაში ჭვრის მცირე ეკლესიის სამხრეთის პორტიკის ბოძებს, მაგრამ ბურთულის მსგავსი კაპიტელის ნაცვლად არქიტექტორმა აქ გამოიყენა წაჭრილი პირამიდის მსგავსი კაპიტელი მცენარეული ორნამენტით, რომელიც წარმოადგენდა სტალიონის პირველი სართულის სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-და-

სავლეთი გალერეების ბოძების კაპიტელების ვარიაციას. თავიანთი ნახაზით აქ კაპიტელები და ორნამენტები უხეში იყო და არ ერწყმოდა პორტალური თაღის საერთო ხასიათს.

სტალიონის დასავლეთ ფასადზე ავტორი ცდილობდა ახლებურად წარმოედგინა სართულების სიმალეზე ავიმული სვეტები. მეორე სართულის დონეზე ხუთმალნი თაღები (ტრიბუნების პირველი იარუსი) გაყოფილი გახლდათ და მოწოდებული იყო, შეექმნა დამაკავშირებელი რგოლი თაღების ორივე ნაწილისათვის. თუმცა, ამოცანის ესოდენ თავიანთი გადაწყვეტა ქნინდა სვეტების კონების გამჭოლი გაგრძელების მოჩვენებითობას, მაგრამ ლოჯიასთან სვეტების ურთიერთკავშირის გადაწყვეტილმა ხერხმა აქ ვერ პოვა მკაფიო გამოხატულება.

იმისათვის, რომ ხაზი გაესვა ძირითადი კომპოზიციური მოტივისათვის სტალიონის ფასადების გადაწყვეტაში და ერთმანეთთან დაეკავშირებინა ნაგებობის ცალკეული ნაწილები, არქიტექტორმა გამოიყენა მიღებული კიბეების გაფორმებისათვის მცირე ზომის პროპორციების დეკორატიული თაღები. მაგრამ მთლიანად თითქოსდა კარგად ჩაფიქრებულმა გადაწყვეტამ აქ ვერ პოვა შესაბამისი ხორცშესხმა.

როგორც ზემოთ ითქვა, რამდენიმე წლის წინათ განხორციელდა სტალიონის ძირეული რეკონსტრუქცია, რამაც მთლიანად უცვალა სახე. ამჟამად იგი 80 ათას მსყურებელს იტევს.

§ 2. მარკსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საპროექტო ფილიალის შენობა

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში მნიშვნელოვან მოკლენად უნდა ჩაათვალიან მარკსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობა, რომელიც აიგო არქიტექტურის აკადემიკოსის ა. შჩუსევის პროექტით 1933—1938 წლებში*.

არქიტექტურის დიდმა ოსტატმა ა. შჩუსევმა თავისი ნაწარმოებით დასახა საბჭოთა არქიტექტურაში კლასიკური და ეროვნული მემკვიდრეობის კომპოზიციური ხერხებისა და ფორმების სინთეზური გამოყენების ახალი გზა.

მიუხედავად იმისა, რომ შენობის დაპროექტება მიმდინარეობდა საბჭოთა არქიტექტურის ჩამოყალიბების პირველ წლებში, ავტორმა შეძლო თავი დაეღწია მემკვიდრეობისადმი მიმბაძველური მიდგომისაგან და ნოვატორულად გადაწყვიტა შენობის არქიტექტურა.

* აკადემიკოს ილქსა ვიქტორის ძე შჩუსევის ამ შენობის არქიტექტურისათვის 1941 წელს სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ამ მონუმენტური არქიტექტურული ნაგებობის მშენებლობას წინ უსწრებდა 1933 წელს გამოცხადებული დახურული კონკურსი. კონკურსში მონაწილეობდნენ არქიტექტურის აკადემიკოსები დ. ფომინი და ა. შჩუსევი, არქიტექტორები ვ. კოკორინი, ა. ვლასოვი, ნ. სევეროვი და მ. კალაშნიკოვი. კონკურსის შედეგად მიღებულ იქნა აკადემიკოს ა. შჩუსევის პროექტი.

მარკსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობის ფილიალის მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთი (90×60 მ) ფორმით სწორკუთხედს წარმოადგენდა, რომელიც დედაქალაქის მთავარ მაგისტრალზე — რუსთაველის სახელობის პროსპექტზე გამოდიოდა. მონაკვეთის აღმოსავლეთი მხარე მიმართულია გერცენის ქუჩის (ყოფილი კურსანტების ქუჩა) მხარეს, ჩრდილოეთისა — პროსპექტის პარალელური კვალის ქუჩის მხარეს, საიდანაც მონაკვეთს აქვს ბუნებრივი დახრილობა. ნიშნულის სხვაობაა 6 მეტრი (ამის გამო შენობამ კვალის ქუჩის მხარეს შეიძინა დამატებითი ლიბოს

სარკულ). იმისათვის, რომ შენობისათვის მთლიანი მოცულობით-სივრცობრივი გადაწყვეტა მიენიჭებინა, ა. შჩუსევმა დააპროექტა დასავლეთის მხარეს 9 მეტრის სიგანის ფეხით მოსიარულეთა გასასვლელი — კიბე.

მოცემულ მონაკვეთზე დაპროექტების სიძნელე იმაში გამოიხატებოდა, რომ თავისი წინა ფასადით დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე გამოწვეული შენობის იერსახე საჭირო იყო შეხამებული პროსპექტის ანსამბლს. შედარებით ვიწრო ქუჩებისაკენ მიმართული სამი სხვა ფასადის კომპოზიციური ერთიანობის დაურღვევლად. უნდა ითქვას, რომ ამ ამოცანას ა. შჩუსევმა კარგად გაართვა თავი. ყველა ფასადის გამაერთიანებელი მნიშვნელოვანი კომპოზიციური მოტივია დაწყვილებული ფანჯრები. მთავარი ფასადი წარმოადგენს დიდებულ პორტიკ-ლოჯიას, რომელსაც შესაბამება ჩრდილო-დასავლეთის ფასადის დიდი პორტიკი გასასვლელი კიბის მხარეს და ცენტრალური ნახევარწრიული შევრილი კვალის ქუჩიდან ფასადზე გვერდითი რიხალიტებოთ. ეს რიხალიტები შეესაბამება კედლებს — მთავარი ფასადის პილონებს.

აკადემიკოსმა ა. შჩუსევმა შენობის დაგეგმვრებით და მოცულობით-სივრცობრივ გადაწყვეტას საფუძვლად დაუდო მთავარი ფასადის მხრივ ბკაცი სიმეტრიის პრინციპი, ეს მით უფრო გამართლებულია, რომ არც ერთ მიმდებარე ქუჩას, რუსთაველის პროსპექტის გარდა, არა აქვს განვითარების დიდი პერსპექტივა. ამ თვალსაზრისით ყველა გადაწყვეტა ფასადის კუთხოვრებივით დამუშავებით არ იყო ფუნქციონალურად მიზანშეწონილი და, ბუნებრივია, არ მიიღო კონკურსის ეიურიმ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობის აგებამ მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო ქალაქ თბილისის საუკეთესო ქუჩის რეკონსტრუქციას.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობა შედგება 4 ძირითადი მოცულობისაგან: გვერდითი ფრთების შემავრთბელი ცენტრალური ნაწილის, კვალის ქუჩის მხარეს ორი სართულით დადაბლებული ორი გვერდითი და ეზოს მხარეს ნახევარწრიული მოცულობებისაგან. მთავარი ფასადი დამუშავებულია უფრო სიმბრტყობრივად, ვიდრე ეზოსი. ეს გამოწვეულია იმით, რომ იგი გადის მზიან მხარეს, ხოლო ეზოსი — ჩრდილოეთ, ჩრდილოვან მხარეს. იმისათვის, რომ დასავლეთის ფასადისათვის უფრო გამომსახველი სახე მიეცა და უზრუნველყო მისი შორეული წერტილებიდან კარგად დანახვის შესაძლებლობა, ავტორმა იგი შეასრულა მკვეთრად გამოჩენილი გვერდითი რიხალიტებისა და ცენტრალური ნახევარწრიული მოცულობებისაში. ეს გადაწყვეტა ნაკარნახევია სათავსების ურ-

თიერთგანლაგების ფუნქციონალური მიზანშეწონილობით, მთელი შენობის შიდა დაგეგმვრებით.

შენობის გეგმა თავისი კონფიგურაციით რუსულ ასო Π-ს მოგვაგონებს, იგი სიმეტრიული, მარტივია, ზუსტად ითვალისწინებს ხალხის ნაკადის მოძრაობის თანმიმდევრობას. შენობაში შესასვლელზე განლაგებულია ოთხი მხრიდან: მთავარი ფასადის მხრიდან, გერცენისა და კვალის ქუჩებიდან და ფეხით მოსიარულეთა ქუჩა-კიბის მხრიდან. ცენტრის სათავსები კარგად არის შერწყმული შენობის ყველა დანარჩენ ნაწილთან.

შენობის გეგმის კონფიგურაციამ უზრუნველყო ფრთების კარგი კავშირი ცენტრალურ ნაწილთან. განსაკუთრებით აუდიტორიასა და სამკითხველო დარბაზთან. ყველა სათავსი კარგად არის განათებული. წიგნთსაცავი ნათდება ზედა შუქით, სამკითხველო დარბაზსა და სარდაფთან შეერთებულია სამუშაო ლიფტით. ეზოს მხრიდან წიგნი სკდება სარდაფულ სართულზე, აქ ახარისხებენ, ხოლო შემდეგ ლიფტით აწვდიან წიგნთსაცავს.

შენობის შიდა კომპოზიციის ცენტრია მთავარი ევსტაზიული, რომლის ირგვლივ დაჭრუხებულია შენობის ცენტრალური მოცულობის ყველა სათავსი აუდიტორიის ნახევარწრიული ამფითეატრით.

ფასადების არქიტექტურულ-მხატვრულ კომპოზიციაზე მუშაობის პროცესში ა. შჩუსევმა მიაღწია ერთმანეთს შორის მოცულობათა ურთიერთშეხამებას. აქ თავი იჩინა კარგად მოფიქრებულმა, მკვეთრად ორგანიზებულმა გეგმამ, რომელიც ფასადების მოცულობით გადაწყვეტასთან ორგანულ კავშირშია.

მთავარი ფასადი მიმართულია თითქმის მთელი დღის მანძილზე მზის სხივებით გაჩახჩახებული პროსპექტის სამხრეთ-დასავლეთი მხარისაკენ. ამან ავტორს უკარნახა შენობის ზედმეტი გადზხურებისაგან დამცველი ლოჯია-პორტიკის შექმნა, რითაც უპასუხა ფუნქციონალურ-უტილიტარულ მოთხოვნებს.

26,5 მეტრის სიმაღლის შენობა (მთავარი ფასადის ცენტრალურ ნაწილში) სტილობატზეა. მთავარი ფასადის მთელი სიბრტყე დაყოფილია ვერტიკალური დანაწევრებით თითქოსდა 7 ნაწილად, რომელთაგან 5 ქმნის პორტიკს, ათი 17-მეტრიანი თორმეტკუთხა დაწყვილებული სვეტებით. გაპრილებული მუქი რუხი ტემენით მოპირკეთებული სვეტები გამოიყოფა კედლების ნათელ, ოქროსფერ ფონზე და ხაზს უსვამს მთავარი ფასადის ცენტრალურ ნაწილს. ფასადის კედლები მოპირკეთებულია ყვითელ-ვარდისფერი ბოლნისის ტუფით.

მთავარი ფასადის კომპოზიციური წყობა დაფუძნებულია პილონების სიმბრტყეებიდან ცენტრისაკენ თანდათანობით გადასვლაზე. კრონშტეინებ-

ზე გამორჩენილი ლევაზიანი. თავის ფასადთან მასშტაბური შეფარდებით. მოლინად მთელ კომპოზიციას დასრულებულ სახეს ანიჭებს.

პორტიკის სვეტები ვანდავებულია წყვილ-წყვილად სხვადასხვა ინტეროლუმნიებით. დაწყვილებული სვეტები ქართული ხალხური ხერხით მოაღვრებას ტრადიციებიდან მოჭდნარეობენ. მიუხედავად იმისა, რომ დღი რძდერის კომპოზიციის სვეტებზე მიღებულია კლასიკური ხერხა, ხილი კაპიტელები ფორმით ემსგავსება კორინთელს. მათი ვადაწყვეტა არ იმეორებს ცნობილ სვეტებს. კომპოზიციის დეტალები დამუშავებულია ახლებურად. ისტაბურად და შესრულებულია მატერიაში მალახარისხოვნად.

ა. შენებლის დასახლებება შენობის არქიტექტურაში ერთგულად მოტყუების, ფორმებისა და დეტალების ავოლოვ რწმანენტული ფოლკლორის ტენაინა გამოყენება. ისევე როგორც ორნამენტულ მომუდღობაში შენობის არქიტექტურული ნიჭიერების საუკეთესო პროგრესული მოტივების სწორი შერჩევა და დამუშავება.

შენობისა და მისი ნაწილებისთვის კომპოზიციური მთლიანობის მისანიჭებლად, ა. შრუსევი დღე ორდერთან ერთად იყენებს მცირე ორდერს, რომელიც ანაწევრებს მთავარი ფასადის პილონებს.

აღზე დამახასიათებელია მცირე ორდერის ლევაზანის ორნამენტაცია, რომელიც ვარს ერტემის თითქმის მთელ შენობას და თითქოსდა აერთიანებს მის მოცულობებს. შენობის გადაწყვეტაში ავტორი იყენებს ხელოვნებათა, განსაკუთრებით, ქანდაკებისა და არქიტექტურის სინთეზს.

ჭენო შეხედულებით, სადავო გვერდითი პილონების გაყოფა პილასტრებით, რომლებიც პარპონელად არ ერწყნიან პილონების მასივს და აწვდენ მათ მთლიანობას. გარდა ამისა, ფასადი შედარებით დიდი გაბარიტისაა, პორტიკ-ლოჯიის სიღრმე კი საკმაოდ არაა.

მარქსიზმ-ლენინიზმი ინსტიტუტს აშენებდა ამიერკავკასიის სახალხო კომისარათა საბჭოსთან არსებული ტრესტი „ზაკატროი“. მშენებლობის სამუშაოებსა და ტექნიკურ პროექტებს ხელმძღვანელობდა „ზაკატროის“ მთავარი არქიტექტორი, პროფესორი ნ. სევეროვი. შენობის კონსტრუქცია დაპროექტდა რკინა-ბეტონისაგან, 30—40 სანტიმეტრის სისქის კედლების პემზა-ბეტონის შეესებით. შენობა მთლიანად აგებულია უბრალო და დარმატურებულ პემზა-ბეტონისაგან, რომელიც გამოყენებულია მშენებლობის რაციონალიზაციისა და გათვლების მიზნით. დარმატურებული პემზა-ბეტონის ფართო მასშტაბით გამოყენების სიახლის გამო ამიერკავკასიის სამშენებლო ტრესტმა ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტის სამეცნიერო-საინჟინრო ძალების დახმარებით სამ-

შენებლო მოედანზე მოაწყო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა პემზა-რკინა-ბეტონის გაანგარიშებისა და კონსტრუირების მეთოდების გამოსავლინებლად.

მოპირკეთების სამუშაოების წარმართვისათვის შეიქმნა ბოლნისის ტუფის სპეციალური ქვის სამტეხლო. გრანიტის. ბაზალტისა და მარმარილოს მასპირკეთებელი ქანები მალახარისხოვნად დაამუშავეს ადგილობრივმა ისტაბებმა.

მშენებლობა მთლიანად დამთავრდა 4 წელიწადში და 1938 წელს ნაგებობა გადაიკა საექსპლუატაციოდ. შენობის მოცულობაა 75 ათასი კუბური მეტრი. ღირებულება — დაახლოებით 14 მილიონი მანეთი (ფასების ძველი მასშტაბით).

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის მთავარი ფასადის მოპირკეთებაში ბუნებრივი ქვების (ბოლნისის ტუფი, ეკლარის კირქვა, ტეშენიტი, მარმარილო და ა. შ.) გამოყენებამ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ეროვნული ტრადიციები ქვის არქიტექტურის კლასიკური ქვეყნის — საქართველოს ხუროთმოძღვრებისა, რომლის სახალხო ისტაბებმა შექმნეს შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობანი, მოპირკეთების მაღალი ხარისხით, ფორმების პლასტიკურობით და ორნამენტის სიმდიდრით რომ გამოირჩევიან. არქიტექტურისა და ქანდაკების სინთეზის თვალსაჩინო ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ ამ შენობაზე თამარ აბაკელიას რელიეფური ფიზი, რომლის ხუთი კომპოზიციის საქართველოში რევოლუციის გამარჯვებასა და ხალხის გმირულ შრომას ასახავს დი ორი პორელიეფი, რომელთა ავტორია მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე.

ჩრდილო-დასავლეთის ფასადის კუთხეში აგებულია მცირე ზომის პორტიკი — შენობის დამატებითი შესასვლელი, რომლის სვეტები იმეორებენ მთავარი ფასადის პილონების მცირე ორდერის მოტივებს.

გერცენის ქუჩის მხრიდან ფასადი თითქოსდა ჩრდილო-დასავლეთის კომპოზიციური წყობის მსგავსია. მის არქიტექტურულ გადაწყვეტაში ავტორი საფუძვლად იღებს პილონების მცირე ორდერის ქვედა იარუსის სისტემას, რითაც აერთიანებს ამ ფასადს მთავართან. გერცენის ქუჩაზე ფასადის ცენტრალური ადგილი უჭირავს მცირე ზომის პორტალს (ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის შესასვლელი).

კვალის ქუჩაზე ფასადის დამუშავებაში ავტორი იმეორებს დაწყვილებული ფანჯრების კომპოზიციურ მოტივს. მცირე ზომის ფანჯრებშორის სვეტები ლამაზი კაპიტელებით წარმოადგენენ ეროვნული არქიტექტურული ტრადიციების შემოქმედებით განვითარებას. ავტორი ინტერირების არქიტექტურული გადაწყვეტისას გამოდიოდა

არქიტექტურის, ქანდაკების, ფერწერისა და ხალხური შემოქმედების სინთეზიდან.

მთავარი ვესტიბიული, როგორც მთელი შენობის ცენტრალური ნაწილი. ამათთან შიდა სივრცის მარგანიზებული მთავარი სათავსოა. ამას ხელს უწყობს როგორც ვესტიბიულის ადგილმდებარეობა. ისე მისი კომპოზიციური გადაწყვეტა. მთავარ ვესტიბიულს ორი სართული უჭირავს, მათთან არის დაკავშირებული სადარბაზო კაბეები და შემოსასვლელი გაღვრვა მეორე იარუსზე. კესონური ჭერის ცისფერ ფონზე მკაფიოდ გამოიყვანა მცენარეული ორნამენტის თვისარსობრივი ჭერის შევებვის ტონი ვიზუალურად აღიღებს ვესტიბიულს. ქმნის ფართო სივრცის შთაბეჭდილებას. მთავარი ვესტიბიულიდან მომავალი საპარალო კიბით ხვდება ვესტიბიულის მეორე იარუსზე, ევრეთ წოდებულ შემოსასვლელ გაღვრვაზე, რომელიც შენობის ცენტრს აკავშირებს ბრბლითეთვის სამკითხველო დარბაზსა და მცირე აუტორიასთან.

მთავარი ვესტიბიულის მთლიან არქიტექტურულ გადაწყვეტაში არ არის ხელგამყვანი კიბეების საპარალო ხასიათი: კიბეები სათანადოდ არ არის განათებული და, გარდა ამისა, დაბნელებულია მარშების შორის გამჭოლი ყრუ ტიხარით.

მესამე სართულზე, შენობის ნახევარწრიულ ნაწილში, განლაგებულია კონფერენცდარბაზი 550 კაცზე. იგი წარმოადგენს დიდ, ვრცელ სათავსს, ამფითეატრის სახით, რომელსა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ინტერიერის სივრცობრივ-კომპოზიციურ გადაწყვეტაში, როგორც მისი ადგილმდებარეობით, ისე შესაბამისი არქიტექტურული დამუშავებით.

იმისათვის, რომ შეემსუბუქებინა კედლების მასივის სიდიდის შთაბეჭდილება. ავტორმა თითქმის ამფითეატრის ზედა რიგის დონეზე განაღდა სამმაგი ფანჯრების მთლიანი ლენტა. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე სკენის მოწყობა ნიშში. კონფერენცდარბაზის არქიტექტურულ დამუშავებაში

ფართოდ არის გამოყენებული ხის ძვირფასი ჯიშები (მუხა, კაკალი, წაბლი და სხვა), ხის კესონური ჭერი რადიალური და კონცენტრული გამზიდებით ამსუბუქებს გადახურვას და ამაღლებს დარბაზის აკუსტიკურ მახასიათებლებს.

დარბაზის ავეჯი დამზადებულია ხელმარჯვე სახალხო ოსტატების მიერ, ა. შუხსევის სპეციალური პროექტით. კონფერენცდარბაზის ინტერიერი გამოირჩევა საერთო კოლორიტის ნათელი, ოქროსფერი ტონით.

კონფერენცდარბაზს ერთვის ვრცელი ფოიე კულუარებით, რომლებიც გვერდით ლოჯიებზე გადიან. საექვოდ მიგვაჩინა ფოიეს ჭერის დამუშავება შენობის სისტემის დიაგნოსტიკურად გადამკვეთი კოქებით, ჭერის ასეთი გადაწყვეტა არ არის დაკავშირებული ინტერიერებში მიღებულ გადახურვის ფორმებთან და კონტრასტს ქმნის: ფოიეს სიმაღლე შედარებით მცირეა, ამიტომაც დიაგნოსტიკური კოქების სიუხვე ღლის თვალს და ვიზუალურად ამცირებს შენობის სიმაღლეს.

ფერწერულ და სკულპტურულ საბუშაოებში, ავეჯის მოპირკეთებასა და მხატვრულად დამუშავებული კარების ფოლადის სახელურების ქედურობაში ა. შუხსევმა ჩააბა გამოცდილი სპეციალისტები, ცნობილი მხატვრები და სახალხო ოსტატები:

ფოლადის სახელურები გამოქედეს ეროვნული ორნამენტისათვის დამახასიათებელი სახით ფოლადსა და ძვირფას ლითონებზე ქედვის გამოცდილმა ადგილობრივმა ოსტატებმა.

ბოლო წლებში ჩარქისიმ-ლენინისის ინსტიტუტის გვერდით აიგო ფოსტა-ტელეგრაფის გრანდიოზული, არსებითად საინჟინრო შენობა (1978 წ. არქიტექტორები: ვ. ალექსანდრევილი და თ. მიქაშვილი), რომლის მასშტაბებმა და მოპირკეთებამ ნაწილობრივ დაჩაღილეს აკადემიკოს ა. შუხსევის მიერ შექმნილი დღევანელი ნაგებობის იერსახე.

§ 8. სხვა საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობების დარბაზები და მუშაობა

თბილისის ზოგიერთი არქიტექტორი, განსაკუთრებით 1935—1940 წლებში, საბჭოების სახალის მშენებლობის საბჭოს დადგენილების მიითებებიდან გამომდინარე, უპირატესობას ანიჭებდა მსოფლიო კლასიკის ფორმებს. მის პრინციპებსა და ხერხებს იყენებდა საცხოვრებელ და საზოგადოებრივ ნაგებობათა არქიტექტურის გადაწყვეტისას. ამგვარად აგებულ შენობათა რიცხვს განეკუთვნება: წიგნის სახლი (1939 წ., არქიტექტორები: გ. მიქაელაძე და ნ. ბარათაშვილი), საცხოვრებელი სახლი რუსთაველის გამზირზე

(1939 წ., არქიტექტორები: ს. ყუბანეიშვილი, ა. ქურდიანი, მ. მელია), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ქიმიის კორპუსის შენობა (1949 წ., არქიტექტორი მ. შავიშვილი), სახელმწიფო ცირკის შენობა (1940 წ., არქიტექტორები: ნ. ნუბრინცევი, ს. სატუნცი და ვ. ურუშაძე) და სხვები.

ამ შენობებმა დადებითი როლი შეასრულეს ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში, მაგრამ მათში შეიმჩნეოდა ცალმხრივი მიდგომა კლასიკის მეგვიდრეობის გამოყენებისად-

მი, ეროვნული მემკვიდრეობის სათანადოდ შეუ-
ფასებლობა ან უცნაურად აღვილონ, ადგილობრივი
გეოგრაფიული, კლიმატური და სხვა თავისებურე-
ბების, აგრეთვე საინჟინრო-სამშენებლო საქმის
მიღწევათა არაჯეროვნად გათვალისწინება.

ნაგებობათა აქ ჯგუფში დამახასიათებელია
1935—1940 წლებში აგებული თბილისის სახელ-
მწიფო ცირკის შენობა (არქიტექტორები ნ. ნე-
პოინცევი, ვ. ურუნაძე, ს. სატუნცი). იგი განლა-
გებულია ბორცვზე ჩელოუსკინელების ქუჩისა და
სანაპიროს გადაკვეთის ადგილზე და თავისი ღია
კიბეებით გადის საბჭოთა კავშირის გმირთა მო-
ედანზე. ბორცვიდან იშლება ქალაქის შესანიშნა-
ვი პანორამა.

თბილისის ცირკი, რომლის ასაშენებლად გა-
მოყენებულია იმ დროისათვის გაბედული ნოვა-
ტორული საინჟინრო კონსტრუქციები (დარბაზურ
მისი ნავებობებისათვის ჩვეულებრივი შიდა სა-
ყარდენების უქონლობა, 44 მეტრის დიამეტრისა
და 25 მეტრის სიმაღლის დარბაზის გუმბათის ლი-
თონის გადახურვა, კონსტრუქციის გაანგარიშება
გკუაუნის ინჟინერ მ. სლოვინსკის) ფუნქციონა-
ლური გადაწყვეტით ერთ-ერთი საუკეთესო იყო
ჩვენს ქვეყანაში. არქიტექტორებმა ბევრი იმუშა-
ვეს იმაზე, რომ მასურებლებსა და მსახიობებში
სათვის მაქსიმალურად მოხერხებული პირობები
შექმენათ. მასურებელთა დარბაზისაგან პირველი
შთაბეჭდილება — ეს არის სივრცის გრძობა. ინ-
ტერიერისა და ფასადების არქიტექტურული ფორ-
მებისა და დეტალების გადმოცემაში ავტორები
მხოლოდ და მხოლოდ კლასიკას ბაძვდნენ.

გეგმაში მრავალი საციკრო შენობის ცენტრა-
ლური ბირთვი ხაზგასმულია მოედნის მხარეს მი-
მართული კორინთული ორდრის 8-სვეტიანი
პორტიკით. შენობის უკანა მხარეს განლაგებულია
სამოსამსახურო ოთახები — მსახიობთა საპირფა-
რეშოები, სათავსები ცხოველებისათვის და ა. შ.

ამფითეატრის სარბიელს ვარს აკრავს მასურე-
ბელთა ადგილების 17 რიგი და ლოჟები. სულ
ციკრში დაახლოებით 2000 ადგილია. მასურებელთა
და დარბაზის დატვირთვა ბორციელდება სამი
მსრიდან, ორ დონეზე. მის ირგვლივ განლაგებულ-
ია ფოიე (მეორე სართულზე), ვესტიბული და
ჯარჯერობები (პირველ სართულზე). დარბაზის
როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება,
ხორციელდება გუმბათის ცენტრში მოწყობილი
ფარათი. შენობა გვირგვინდება კონუსისმაგვარი
გუმბათ-ფარანით. ცირკის ინტერიერები გაფორ-
მებულია ზონიერად და მარტივად.

ნ-სართულიან საცხოვრებელ სახლს (რუსთა-
ველის პროსპექტი № 1) აქვს (ავტორები: ს. ყუ-
ბანეიშვილი, ა. ქურდიანი, ნ. მელია, 1939) სწორ-
კუთხოვანი ფარამა, განვითარებული გვერდითი
სქემით. ყველა ბინა უზრუნველყოფილია გამ-

ჭოლი განიავებით, როგორც წესი, საცხოვრებელი
სათვისის ვალებით. ეზოს მხრიდან ბინებს აქვს სა-
კუქნაო და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ვერანდე-
ბი. დაგეგმვის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ვერან-
დის სამზარეულოსა ან სასადილოსთან უშუალო
კავშირის უქონლობა, ოროთახიან ბინაში შესას-
ვლელის ძალზე დიდი დადაბლება და ა. შ. შენო-
ბის გარეგან არქიტექტურაში გამოყენებულია
კლასიკური მემკვიდრეობის ხერხები და ფორმე-
ბი, ამასთან მორთულობით მანერით.

თბილისის არქიტექტურულ-სამშენებლო პრაქ-
ტიკაში თითქმის იმავე დროს გაჩნდა მაგალითები,
როცა კლასიკა ერწყმოდა ეროვნული ხუროთმო-
ძღვრების მოტივებს. ასე აშენდა, კერძოდ, დიდი
საცხოვრებელი კომპლექტი, ეგრეთ წოდებული
„ასბინიანი სახლი“, საბჭოთა კავშირის გმირთა
მოედანზე (1938 წ., არქიტექტორი მ. კალაშნიკო-
ვი, არქიტექტორ ნ. სევეროვი მონაწილეობით)
და საცხოვრებელი სახლი ბარათაშვილის ქუჩაზე
(1941 წ., არქიტექტორები: ს. დემინელი, გ. ჯან-
დიერი და ა. ქურდიანი), რომლებშიც თავისებუ-
რად არის გამოყენებული თანამედროვე საცხოვ-
რებელ სახლებში ძველი თბილისის ღია აივნების
ხერხი. ასეთივე სულისკვეთებით არის აგებული
კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობა (1939 წ., არ-
ქიტექტორი ნ. სევეროვი), ბალნეოლოგიური კუ-
რორტის სააბაზანო შენობა (1937 წ., არქიტექტო-
რები: ი. ჟიტკოვსკი, ბ. კარბინი, მ. კალაშნიკოვი)
და სხვები.

ექვსსართულიანი საცხოვრებელი სახლი ბარათა-
შვილის ქუჩაზე გეგმაში სწორკუთხოვანი ფორ-
მისაა. შენობის მთავარი ფასადი სამხრეთ-აღმოს-
ავლეთის მხარეს გამოდის. ასეთ ორიენტაციაში
გეგმური გადაწყვეტა სრულიად დამაკმაყოფილე-
ბელია. ორმხრივი ბინების საცხოვრებელი ოთა-
ხების უმეტესობა, აგრეთვე ერთმხრივი ბინები,
განლაგებულია უფრო ხელსაყრელ მხარეს (ჩრდი-
ლო-აღმოსავლეთი), დამხრე სათავსები და ყო-
ველ ორმხრივ ბინაში თითო საცხოვრებელი ოთა-
ხი, აგრეთვე კიბის უჯრედები, განლაგებულია
ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ამ სახლში ბინები საკ-
მოდ კომპაქტურია, მათში შედარებით სრულად
არის გათვალისწინებული კლიმატური თავისებუ-
რებები, მიღწეულია საცხოვრებელი ოთახების
უმეტესობის ხელსაყრელი ორიენტაცია.

კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობა (არქიტექ-
ტორი ნ. სევეროვი, 1939 წ.) აგებულია თბილისის
ცენტრალურ ნაწილში, რუსთაველის პროსპექტი-
სა და ფურცელაძის ქუჩის კუთხეში. განაშენიანე-
ბის მცირე მონაკვეთი; რომელიც წინათ ჰაუბტ-
ვახტის ყოფილ შენობას ეჭირა, მაქსიმალურად
არის გამოყენებული. კინოთეატრში შესასვლელი
რუსთაველის პროსპექტიდანაა, ხოლო გამოსას-
ვლელი — ფურცელაძის ქუჩიდან. შესასვლელთან

მოწყობილია საკმაოდ მოზრდილი ვესტიბული სალაროებით. 4-სართულიანი შენობის ზედა სართულზე მოთავსებულია ფოიე. სამ ზედა სართულზე განლაგებული დარბაზი გაანგარიშებულია ათს მაყურებელზე.

კინოთეატრის დარბაზის განტვირთვა სწრაფად ხდება, რასაც ხელს უწყობს დამოუკიდებელი კიბეები, რომლებიც ვესტიბულამდე არ უერთდებიან ერთმანეთს. მოპირკეთებული და მუქყვითლად შეღებილი შენობის ფასადები გადაწყვეტილია უბრალოდ, კლასიკის მოტივების თავისუფალი ინტერპრეტაციით.

გოგირდოვანი წყაროების რაიონში განლაგებულ ბალნეოლოგიური კურორტის სამსართულიან სააბაზანო შენობას უჭირავს 60×130 მეტრის ფართობის ნაკვეთი. შენობის დაპროექტებისას ავტორებმა გამოიყენეს ჩვენს ქვეყანაში ტალახითა და წყლებით სამკურნალო კერების მშენებლობის მდიდარი გამოცდილება. შენობის მარჯვნივ-ზეველი ცენტრია ორმუქოვანი ვესტიბული-პოლი, რომლისკენაც მიყვავართ კოლონადას — მთავარი ფასადის ეზოს. ცენტრალური კვანძისა და შიდა გამწვანებული ეზოების ირგვლივ განლაგებულია სააბაზანო ოთახები, სამკურნალო და სამოსამსახურო სათაესები. ყველა ჩამოთვლილ ნაგებობაში არქიტექტორთა ჩანაფიქრი წარმატებით როდი იყო განხორციელებული, ყველა ავტორმა ვერ შეძლო ეპოვნა შესაბამისი არქიტექტურული გადაწყვეტა, მაგრამ ამ შენობებმა გარკვეული როლი შეასრულეს სოციალისტური თბილისის არქიტექტურის განვითარებაში.

ძნელია წარმოვიდგინოთ თბილისი, მამადავითის მთის გარეშე, თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით, როგორც დომინანტი ქალაქის სიერცობრივ დახასიათებაში. მამადავითის პლატოზე ფუნიკულორის ზედა სადგურისა და კულტურისა და დასვენების პარკის პირველდაწყებითი პროექტი შეადგინა პროფესორმა მ. გინზბურგმა (1935 წ.). ავტორის აზრით, პორიზონტალს (რესტორანი — კაფე), ვერტიკალს (რუსთაველის ქანდაკება) და კუბს (ფუნიკულორის სადგური) უნდა განესაზღვრათ ნაგებობის არქიტექტურა. პროექტი თავისი იდეით, დაგეგმარებითა და მოცულობით-სიერცობრივი ამოცანების გადაწყვეტით მთაში შეჭრილი, სიღრმეში — მიწაში ათ მეტრამდე ჩაღრმავებული რესტორნით (კაფე და ეზო-ქა) გაკრიტიკებული იყო თბილისის არქიტექტურული საზოგადოებრიობის მიერ.

განსახორციელებლად მიღებული ფუნიკულორის ზედა სადგურისა (700 მეტრი ზღვის დონიდან) და პარკის ახალი პროექტი შეადგინეს არქიტექტორებმა ზ. და ნ. ქურდიანებმა (თანაავტორი ა. ვალაბუევი, დენდროლოგი ე. ციციშვილი, კონსულტანტი — პროფესორი ა. კლდინი, პრო-

ექტის დამუშავებაში მონაწილეობდნენ არქიტექტორები: გ. კანდელაკი, ა. თევზაძე, ა. პეტროვი და ლ. ხარაშვილი).

თვით გეგმაში ფუნიკულორის ზედა სადგურის შენობა წარმოადგენს წამოწეულ (მთის ფერდობის გასწვრივ) სწორკუთხედს. შენობაში განლაგებულია კაფე-რესტორანი, სამკითხველო, დასვენების, ბავშვთა ოთახები და ა. შ. სარდაფულ სართულში, რომელიც მთაშია შეჭრილი, ფუნიკულორის სამანქანო განყოფილებაა.

პავილიონს სამი მხრიდან აკრავს ტერასები, საიდანაც იშლება ქალაქ თბილისის თავისი სილამაზით განსაცვიფრებელი პანორამა. ტერასები დამშვენებულია მსუბუქი თაღებით კონუსისებური ფორმის მაღალი სვეტებზე და ვადახურულია რკინა-ბეტონის გამოჭრილი ბადით, რომელიც თაღებთან შეხამებით მთელს ნაგებობას სიმსუბუქესა და აუტრულობას ანიჭებს. შიშით ან ელექტრონით განათებისას შუქის სხივები, ვადახურვის ბადისა და თალის გავლით, შუქჩრდილის მდიდარ გამას ქმნიან.

ფუნიკულორის ზედა სადგური თბილისში, რომელიც ქვედა სადგურიდან 240 მეტრის სიმაღლეზეა, კარგად ჩანს ქალაქის ყველა კუთხიდან, ამიტომ მისი შენობის გადაწყვეტა უნდა მომხდარიყო ქართული ხუროთმოძღვრების მოწინავე ტრადიციებიდან, კერძოდ, ბუნებასთან არქიტექტურის შერწყმით საუკუნეების მანძილზე შემუშავებული ხერხებიდან გამომდინარე, რაც, სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ყოველთვის არ შეიმჩნევა.

მთის მწვერვალზე შენობის განლაგებისას არ არის გათვალისწინებული ნაგებობის ახლო და შორი წერტილებიდან ხილვადობის ფრიალ მნიშვნელოვანი ფაქტორი. ჩვეულებრივ ქალაქის ყველა რაიონიდან და რკინიგზის თუ საგზატრავილო გზით ქალაქთან მიახლოებისას ფუნიკულორის ზედა სადგურის შენობა ქვემოდან მოჩანს. სადგურის ძველი შენობა პატარა ზომისა იყო და ამის გამო მთასთან შეფარდებით მასშტაბური ჩანდა.

ფუნიკულორის ზედა სადგურის არქიტექტურაში ფართოდ არის გამოყენებული ეროვნული მეგვიდრეობის ფორმებიც, მაგრამ ზოგიერთი ნაწილების გადაწყვეტაში არის ხარვეზები. მაგალითად, გვერდითი ფასადების ცენტრში სიდიდით პატარა ზომის ისრისებური თაღები ცუდად ერწყმის შენობის კომპოზიციის საფუძვლად მიღებულ ნახევარწრიულ თაღებს. სათანადოდ არ არის გააზრებული პავილიონიდან გამოსასვლელი, მოუხერხებელია ბოძებ-სვეტები პარკის შესასვლელთან და ა. შ. ფუნიკულორის პლატოზე 1956 წელს დააყენეს 189-მეტრიანი სატელევიზიო კოშკი. შემდგომში იგი რეკონსტრუირებულ იქნა.

თბილისის არქიტექტურულ პრაქტიკაში იყო სინამდვილისაგან მოწყვეტის, ქალღმრთელ დაბრუნებით მხარით გატაცების შემთხვევები. ყველა ამ მოვლენას შემოქმედებითი ამოცანების ფორმალისტურ გაგებად, სტილიზატორობად, ქართული და დასავლეთ ევროპის არქიტექტურის ძველი ფორმების მექანიკურ ასლგადაღებად, ეკლექტიკად მივყავდით.

ერთ-ერთ ასეთ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს საცხოვრებელი სახლი კარლ მარქსის მოედანზე (არქიტექტორი გ. ხიმშიაშვილი, 1935 წ.) ამ სახლის მშენებლობისას განხორციელდა შესაბამისი სარეკონსტრუქციო ღონისძიებები, რის შედეგადაც ყოფილი ვორონცოვის მოედანი თითქმის 5-ჯერ გაფართოვდა. რამდენიმე პატარა სახლისა და ქოხნახების აღების ადგილზე მოედნის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს აიგო ხუთსართულიანი სახლი.

საცხოვრებელი სახლი თავისი ფორმით ეკლექტიკურია, მოუხერხებელია დაგეგმარებით. იგი საში სექციისაგან შედგება და გეგმაში აქვს რუსული ასო П-ს მსგავსი ფორმა. ერთი კიდურით შენობა მოედანზე გადის, ძირითადი ფასადით კი — პლენანოვის პროსპექტზე. საცხოვრებელი ოთახებითა და დამხმარე სათავსებით ფართობი ზოგიერთ ბინაში საგრძნობლად გადიდებულია, ბინების თითქმის ნახევარს არა აქვს სააბაზანო ან საშაპო, გამჭოლი განიავება უმთავრესად ხორციელდება დამხმარე სათავსებიდან (სამზარეულო, სანატარიული კვანძი).

ავტორი ფორმალურად მიუღდა არქიტექტურ-

რული მემკვიდრეობის ათვისების პრობლემას, გამოავლინა ფსევდონოვატორობა, ფასადს „მიაწება“ შენობის სხვა ნაწილებთან შესაბამის კოლონადა ლოტოსის მსგავსი კაპიტელებით.

პლენანოვის პროსპექტის № 147 საცხოვრებელ სახლში (არქიტექტორი მ. კალაშნიკოვი, 1935 წ.) მემკვიდრეობის შემოქმედებით გამოყენებას ცვლის კლასიკის არქიტექტურული ფორმების მექანიკური წარმოსახვა. შენობის დაპროექტებისას ავტორმა არ გაითვალისწინა ქალაქის კლიმატური თავისებურებანი და არქიტექტურული იერსახე. სექციების დაგეგმარება ისეთნაირია, რომ საცხოვრებელი ოთახების უმეტესობა ორიენტირებულია პორიზონტის არახელსაყრელ მხარეს (სამხრეთ-დასავლეთი), ჩრდილო-დასავლეთისაკენ არის მიმართული კიბის უჯრედები, დამხმარე სათავსები და თითო საცხოვრებელი ოთახი. ბინები უზრუნველყოფილია გამჭოლი განიავებით, უმთავრესად საცხოვრებელი ოთახებიდან, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ვერანდებით ეზოს მხრიდან. ეზოს დაგეგმარება დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. იმისათვის, რომ შენობის ცენტრში თალი მოეწყო, ავტორმა დაარღვია საცხოვრებელი სახლის ცალკეული სათავსების ურთიერთგანლაგების კომპაქტურობა და მიზანშეწონილობა. ზოგიერთ ბინაში სააბაზანოსთან კავშირი ხორციელდება მხოლოდ საძინებელი ოთახით.

ყოფითი და კულტურულ მოთხოვნილებათა, ნაგებობათა ეკონომიკურობის უგულვებელყოფა, ფასადით, გარეგანი მოჩვენებითი მხარით გატაცება ზიანს აყენებდა არქიტექტურას, მის მიზანდასახულობას.

მეორე და მესამე ხუთწლეულები იყო სოციალისტური თბილისის არქიტექტურითა ინტენსიური მუშაობის, მათი დოკუმენტების ზრდის პერიოდი. არქიტექტორები უფრო ვადაჭრით გამოხენ პრიმიტივიზმს, ისწრაფვიან შექმნან მშრომელთა ფართო მასებისათვის გასაგები და ხელმისაწვდომი მოხერხებული ნაგებობები.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს მთავრობის სახლისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის პროექტების შესაქმნელად გამოცხადებულმა კონკურსებმა.

სოციალისტური თბილისის არქიტექტურის განვითარების მეორე პერიოდი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ქართული საბჭოთა სურათმოდერნ-

ბა ძირითადად სწორად ითვალისწინებდა ცხოვრების მოთხოვნებსა და რეალურ მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობებს, უფრო სრულფასოვნად წყვეტდა არქიტექტურულ-პროფესიულ ამოცანებს, კრიტიკულად ითვისებდა მემკვიდრეობას. ამასთან ომის წინა წლებში ცალკეულ ნაგებობებში შეიმჩნეოდა ეროვნული და კლასიკური მემკვიდრეობის საკითხებისადმი არასწორი, მორთულდებითი მიდგომა.

მეორე და მესამე ხუთწლეულების მანძილზე თბილისის სურათმოდერნების განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა მთელი საბჭოთა არქიტექტურის, საბჭოთა სიანიჟინო-სამშენებლო საქმის მიღწევებმა.

სურთომოდვრება ომის შემდგომ პირველ ოცწლეულში (1946 — 1964 წლები)

§ 1 დღაქალაქის შემდგომი რაონსტრუქცია, მთავრობის სახლის მთავარი კორპუსი

თბილისის არქიტექტორები, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ხუროთმოძღვრები, სამამულო ომის მრისხანე წლებში მთელს ხალხთან ერთად, საკუთარ ძალებს არ იშურებდნენ მტრის გასანადგურებლად, ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის.

დიდმა სამამულო ომმა დროებით შეაჩერა სოციალისტური თბილისის არქიტექტურის ნორმალური განვითარება, მაგრამ თბილისის არქიტექტორთა შემოქმედებითი მუშაობა არ წყდებოდა.

ომის მრისხანე წლებში (1944 წ.) თბილისთან ახლოს დაიწყო ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისა და მასთან სოციალისტური ქალაქის — რუსთავის მშენებლობა. თბილისში იგება რამდენიმე საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობა. თბილისელი არქიტექტორები მონაწილეობდნენ კავკასიის დამცველთა მონუმენტის პროექტისათვის გამოცხადებულ კონკურსში და სხვა შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტაში.

თბილისს, ისევე როგორც ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების დედაქალაქებს, არ განუცლია მტრის უშუალო თავდასხმა, მაგრამ ომმა მასაც დაამჩნია თავისი კვალი.

დიდი სამამულო ომი საბჭოთა ხალხის სრული გამარჯვებით დამთავრდა. უკვე ომის შემდგომი ხუთწლეულის მესამე წელს (1948) აღდგენილი და გადაჭარბებულ იქნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ომამდელი დონე.

სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ სოციალისტური თბილისის არქიტექტურამ, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა არქიტექტურამ, თავისი განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო.

თბილისელი არქიტექტორები, რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად, აქტიურად ჩაებნენ ომის შემდგომი ხუთწლეულების გეგმების განხორ-

ციელების, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის, თბილისის შემდგომი რეკონსტრუქციისათვის ბრძოლაში, რომელსაც სათავე ჩერ კიდევ ომამდე დაედო.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1951—1955, 1956—1960 წლების ხუთწლიანი გეგმები ითვალისწინებდნენ მშენებლობის ფართოდ გაშლას ქალაქებსა და სოფლებში, კომუნალური მეურნეობის შემდგომ განვითარებას, ქალაქების კეთილმოწყობის გაუმჯობესებას, უკრორტების აღდგენას, განვითარებასა და შემდგომ ზრდას. კულტურულ-საგანმანათლებლო, სამედიცინო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას, საბავშვო ბაგების, ბაღების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკების, კლუბებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა შენობათა მშენებლობას. ხუთწლიან გეგმებში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა საკავშირო მასშტაბის სამრეწველო საწარმოთა მშენებლობას — ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისა ქალაქ რუსთავში და ქუთაისის საავტომობილო ქარხნისა დაბითურთ.

ფართო გაქანება პოვა საბინაო მშენებლობამ. ახალი საცხოვრებელი შენობების, მთელი საცხოვრებელი კომპლექსების, დაბებისა და ქალაქების მშენებლობამ განსაზღვრა მშრომელთა საბინაო პირობების საგრძნობი გაუმჯობესება.

სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებას ხელი შეუწყო საშენ მასალათა მრეწველობის რაციონალიზაციის ღონისძიებებმა.

რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის კეთილმოწყობისა და არქიტექტურული რეკონსტრუქციისათვის ინტენსიური მუშაობა გაჩაღდა 1947 წლიდან. იწყება სანაპიროს მეორე რიგის მშენებლობა მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ხორციელდება რუსთაველისა და მარჯანიშვილის მოედნების რეკონსტრუქცია, ფართოვდება სატრან-

სპორტო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მაგისტრატები — ბარათაშვილის, მელიქიშვილის ქუჩები. 1953 წელს ვაგზლის ქალაქთან დამაკავშირებელი ვიწრო ქუჩის ნაცვლად იკმნება ვრცელი ფართო მაგისტრალი — ჩელიუსკინელთა ქუჩა, ფართოვდება ვაგზლის მოედანი, რომლის ცენტრალური ადგილი უჭირავს ვაგზლის რეკონსტრუირებულ შენობას (1953 წ., არქიტექტორი გ. ტარ-მიქელავი *). იგება ახალი ხიდეები მდინარე მტკვარზე. მოკლე ხანში აიგო 4, მეტეხისა (1950 წ., არქიტექტორი ს. დემინელი, ინჟინერი გ. ჩომახიძე), ვერისა (1953 წ., არქიტექტორი მ. მელია, ინჟინერი გ. ჩომახიძე), დიდუბისა (1954 წ., არქიტექტორი ა. ჭურდიანი, ინჟინერი მ. დიდიძე), 300 არაკველისა (1956 წ., არქიტექტორები: თ. ბაგრატიონი, თ. მარგველაშვილი). ომის შემდეგ პერიოდში თბილისის კეთილმოწყობის რეკონსტრუქციული სამუშაოებისათვის დამახასიათებელია მელიქიშვილის ქუჩის გაფართოება და ახალი განაშენიანება. იგი ქალაქის ცენტრს ვაკის რაიონთან აკავშირებს, რომელიც არსებითად შექმნილია ომამდელ ხუთწლეულებში. ამ რაიონშია განლაგებული უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა, სტუდენტთა ქალაქი, ახალი პარკი, სტადიონთან ერთად და სხვა. 1949 წელს რეკონსტრუქციის შემდეგ ქუჩა ორმაგად გაფართოვდა და უზრუნველყოფდა ამ მაგისტრალზე საქალაქო ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობას. აქ აიგო ახალი შენობები (ადმინისტრაციული, საცხოვრებელი სახლები და სხვა).

დიდი სამუშაოები ხორციელდება საბურთალოს რაიონის განაშენიანებისათვის. აპბინიანი სახლის გვერდით აიგო: საცხოვრებელი სახლები (1949—1950 წლები, არქიტექტორი ა. გოგვაძე), ხორციელდება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის როგორც ახალი, ისე ჭერ კიდევ ომამდელ დროს დაწყებული კორპუსების მშენებლობა (1947—1956 წლები, არქიტექტორი მ. შაიშვილი). მთავრდება ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალი კორპუსის ორჯონიძის სახელობის ახალ მოედანზე (1956—1958 წლები, არქიტექტორი ნ. ნებრინცევი).

საბურთალოში ციხის წინა პლატოზე კონკურსის შედეგად გამარჯვებულ არქიტექტორ გ. ლევეას პროექტით დიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქალაქის მშენებლობა. იგი მოიცავს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ლაბორატორიების, სხვა შენობების კომპლექსს. ვაკეში ხორციელდება ზოოვეტერინარუ-

* 1920 წელს დიწყო და ახლაც მიმდინარეობს თბილისის ახალი ვაგზლის მშენებლობა (არქიტექტორები: რ. ბაბირაშვილი, ა. ჯიბლაძე, გ. შავედია, ი. ყაველაშვილი). ნიშნული ნიშნულზე რაიონის დეგემარება-განაშენიანება.

ლი ინსტიტუტის შენობის რეკონსტრუქცია (1954 წ. არქიტექტორი ს. რევიშვილი); იგება ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის შენობა (1956 წ. არქიტექტორი ი. კასრაძე). შენდება ახალი სასკოლო შენობები, კინოთეატრები, საბავშვო ბალები, საზოგადოებრივი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტები.

ქალაქ თბილისის მწვენივ სამოსმა იმხანად 3000 პექტარს მიაღწია. ვაკეში გაშენდა დიდი პარკი, ხოლო პარკში აიგო ახალი სტადიონი (1956 წ., არქიტექტორი ქ. დგებუაძე).

გამარჯვების სახელობის (ვაკის) კულტურისა და დასვენების პარკს უჭირავს ი. ჭავჭავაძის პროსპექტსა და კუს ტბას შორის განლაგებული ტერიტორია. ავტორებმა (არქიტექტორი ქ. დგებუაძე, დენდროლოგი ე. ციციშვილი) პარკი დაავგებარეს 120 პექტარზე, რომლის ტერიტორია მოგვიანებით 160 პექტარამდე გაფართოვდა მთის ფერდობის ხარჯზე. ამ პარკის მშენებლობა დაიწყო 1946 წელს, მის გაშენებაში აქტიურად მონაწილეობდნენ თბილისის მშრომელები.

ვაკეში პარკის გაშენების სქემა გადაწყვეტილია ადგილმდებარეობის რელიეფის შესაბამისად. თავისი რელიეფით პარკის ტერიტორია იყოფა ორ ნაწილად: დაბლობად და მთა-ბორცვებად. დაბლობ ნაწილში დაპროექტებულია რეგულარული პარკი თავისუფალი მოძრაობისათვის გზების მოხერხებული განლაგებით.

პარკის მთელი დაბლობი ნაწილი განლაგებულია ჭავჭავაძის პროსპექტის ნიშნულზე რამდენიმე დაბლა. დაპროექტებულია პარკის ცენტრთან დამაკავშირებელი ქვის საზეიმო კიბეები.

აქ არის აგებული საზაფხულო კინოთეატრი, საბავშვო მოედნები, დასვენებისა და კულტურისაგანმანათლებლო მუშაობის მოედნები, წყნარი დასვენების კუთხეები, კაფე-რესტორანი, ფარდულეები, პერგოლები და სხვა საპარკო ნაგებობანი, რომელთა დაპროექტება და მშენებლობა ხორციელდება 1956 და 1957 წლებში (ავტორები ზ. თავართქილაძე, ნ. ჯობაძე, ვ. აბრამიშვილი და გ. ხიზანიშვილი).

მთა-ბორცვიანი ნაწილი გადაწყვეტილია როგორც ლანდშაფტური პარკი, რომლის გაბარიტებში ჩართულია კუს ტბა საწყლოსნო სადგურის, პლიჟისა და წყნარი დასვენების ზონის მოწყობით. გზების ხაზებზე მუხამებულია რეგულარულ პარკსა და ადგილმდებარეობის რელიეფთან. დასვენების ადგილები ისეა შერჩეული, რომ ყოველი მხრიდან კარგად ჩანს მთელი პარკი, ქალაქი და მისი შემოგარენი.

დიდი ყურადღება ეთმობა კუს ტბის ირგვლივ ფერდობების გამწვანებას. მთის ტბა პარკში რეგულარული ნაწილის შემდეგ მეორე კომპოზიციური ცენტრია.

რეგულარული ნაწილის ასორტიმენტი მდიდარია, იგი განაგარიშებულია პარკის მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებისათვის. ამის გამო ხეების მარადმწვანე ჩიშები საერთო ასორტიმენტში 40 პროცენტამდეა აყვანილი.

პარკის ლანდშაფტურ ნაწილში მცენარეთა ასორტიმენტი უფრო ღარიბია. აქ დაპროექტებულია აბორიგენული ჩიშების დიდი მერქნიანი მასივები, რომლებიც პარკის საბოლოო საზღვრებთან ერწყმიან გარემომცველი მთების ტყის მასივებს.

პარკის მშენებლობა სამ რიგად იყო დაყოფილი: პირველ ორ წელიწადს (1946—1947) შენდებოდა 20 ჰექტარის ოდენობის მისი რეგულარული ნაწილი, მომდევნო ორ წელიწადს — 40 ჰექტარიანი მთის პარკი, დანარჩენი ნაწილის — მთის ფერდობები — კუს ტბის ნაპირები — მშენებლობა დღესაც გრძელდება. ქვედა ნაწილში უკანასკნელ ხანებში (1972—1975 წწ.) გაშენდა გამარჯვების პარკი ჭარისკაცის საფლავით, რომლის ავტორებია არქიტექტორები ვ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ნახუციშვილი, მხატვარი ზ. წერცელი.

თბილისის ომის შემდგომი წლების ყველაზე დიდი მწვანე მასივია პარკი თბილისის ზღვასთან. ზემო სამგორის სარწყავი სისტემის თბილისის წყალსაცავს, რომელსაც ამჟამად „თბილისის ზღვას“ უწოდებენ, უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ამ წყალსაცავის სარწყავმა ქსელმა 80 ათასი ჰექტარი მიწა ნაყოფიერ ველად აქცია.

იგი ქალაქთან ახლოს მდებარეობს და უშუალო გავლენას ახდენს მის მიკროკლიმატზე (წყლის დიდი მასივი მის ირგვლივ ტყე-პარკის გაშენების პერსპექტივით). ყოველივე ამან განაპირობა თბილისის ზღვის — ქალაქის მცხოვრებთათვის დასვენების

ნების ერთ-ერთი საუკეთესო ადგილის — მნიშვნელობა.

„თბილისის ზღვა“ ქალაქის განაშენიანებისაგან საშუალოდ 5 კილომეტრით არის დაშორებული. ქალაქის ცენტრიდან „ზღვამდე“ 9 კილომეტრია, ხოლო მდინარე მტკვრისა და „თბილისის ზღვის“ დონეთა ვერტიკალურ ნიშნულებს შორის განსხვავება 158 მეტრს შეადგენს. წყალსაცავის სიგრძე 9 კილომეტრია, საშუალო სიგანე — 1,2 კილომეტრი (მაქსიმალური — 2,1 კილომეტრი), სიღრმე 45 მეტრია, სარკის ფართობი — 1 124 ჰექტარი. სამგორის წყალსაცავის შექმნა და მისი გამოყენება ქალაქის საჭიროებისათვის გათვალისწინებული იყო ქალაქ თბილისის განვითარების გენერალური გეგმით 1934 წელს. მშენებლობა ფაქტობრივად განხორციელდა თითქმის 20 წლის შემდეგ — 1952 წელს.

საპროექტო დავალება ითვალისწინებდა კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის, საწყლოსნო — სპორტული ბაზების, საზოგადოებრივი პლიაჟების, საგარაკო დასახლებათა, ტურიისტული ბაზების, მწვანე თეატრის, კაფე-რესტორნისა და სხვა ობიექტების შექმნას. ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტების დაპროექტებისას, ძირითადი განსაზღვრელი ფაქტორი იყო „ზღვა“. აქედან გამომდინარე პროექტი ითვალისწინებდა ქალაქისათვის ყველაზე დიდი წყლის მასივის მაქსიმალურ, ყოველმხრივ გამოყენებას.

თბილისის ზღვის ირგვლივ კეთილმოწყობილი ტერიტორიის საერთო ფართობი 850 ჰექტარია. ზღვის რაიონში თბილისის მშრომელებმა უკანასკნელ ხანს ათიათასობით ხე და ბუჩქი დარგეს, იგი არაერთი მნიშვნელოვანი ნაკვეთით დაშვებულა.



სოციალისტური თბილისის არქიტექტურის განვითარების გზების გამოვლენისათვის დამახასიათებელია საქართველოს სსრ მთავრობის სახლის კომპლექსი.

მთავრობის სახლის პირველი კორპუსი პროექტდებოდა იმ წლებში, როცა ყალიბდებოდა სოციალისტური თბილისის არქიტექტურა.

მთავრობის სახლის პირველი კორპუსის საფუძვლად (პროფესორი ვ. კოკორინი, არქიტექტორ გ. ლეყავას მონაწილეობით) მიღებული პროექტი განხორციელდა ნატურაში 1932 წელს და მშენებლობის მიმდინარეობისას ზოგიერთი ცვლილება განიცადა.

პირველი კორპუსის აგებით გადაწყდა მნიშვნელოვანი დაგეგმარებითი ამოცანები. მის არქიტექტურაში გამოყენებულია ცალკეული ორიგინალური მოტივები, რომლებიც გარკვეულად ავი-

თარბენ ქართული ხუროთმოძღვრების ფორმებს, მაგრამ ქალაქის მთავარი პროსპექტიდან — რუსთაველის პროსპექტიდან შენობის ხედი არახელსაყრელად მოჩანდა, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი შიდა ეზოს მხრიდან.

კორპუსის საერთო კომპოზიცია, თვალწარმტაცი კურდინერითა და ფართო კიბეებით, მზარდი ტერასების მსგავსი მოცულობების სახით, თუმცა ცუდად როდეს იყო ჩაფიქრებული, მაგრამ არ ქმნიდა არქიტექტურული მთლიანობის, რუსთაველის პროსპექტის ანსამბლში ორგანულად შერწყმული ერთეულის შთაბეჭდილებას.

პირველი კორპუსის მთავარი ნაკლოვანება იყო სტილური ერთიანობის უქონლობა; აქ იყო ერთ-ნული შემკვრელობის ფორმების არაკრიტიკული გამოყენება, მოდერნისტული სტილიზაციის, ეგრეთ წოდებული „აღმოსავლური მოტივების“

ელემენტები და კონსტრუქტივიზმის ზოგიერთი ნიმუშ-თვრისებები.

1946 წლის დამდეგს შედგა ახალი დაკვლევა მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის საესკიზო პროექტის შემუშავებისათვის და გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა არქიტექტორებმა, აგრეთვე პროფესორმა ვ. კოკორინმა — მთავრობის სახლის უკვე აგებული ნაწილის ატორმა.

მთავრობის სახლის ახალი, მთავარი კორპუსის დამარქეტების მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრასთან ერთად საპროექტო დავალება შეიცავდა უხეირო ფორმულირებას შენობის არქიტექტურის თვალსაზრისით. ნაგარაუდღეი იყო შენობის დამარქეტება „ვერობული კლასიკის სტილში“.

არქიტექტორების ა. ქურდიანისა და მ. მელიქს მიერ ქ. სოკოლოვს მონაწილეობით შედგენილი პროექტის პირველ ვარიანტში მთავარი ფასადი ვერტიკალურად დანაწევრებული იყო ხუთი სართულის სიმაღლეზე გაჭიმული სარტყლებით. ეს სარტყლები ძალზე ანაწევრებდნენ კედლების სიბრტყეს, ხელს უშლიდნენ შენობის არქიტექტურის მთლიან აღქმას, რაც თავის მხრივ ნაკლებად გამოსახველი იყო.

იმავე ავტორების პროექტის მეორე ვარიანტი, რომელიც მოგვაგონებდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქარაველოს ფილიალის არქიტექტურას, ასევე მთლიანად შენობას არ ანიჭებდა სათანადო მიმზიდველობას.

არქიტექტორმა ა. ქურდიანის მიერ (არქიტექტორებს მ. ნელასა და ქ. სოკოლოვას მონაწილეობით) შედგენილი პროექტის მესამე ვარიანტის არქიტექტურული კომპოზიცია იმეორებდა მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქარაველოს სსრ პავილიონის მოტივებს. თავისი დიდი მასშტაბების მიუხედავად, ამასთან უდიდესი გუმბათით დავერგვინებული ნაგებობა უფრო კოლოსალურ პავილიონს მოგვაგონებდა, ვიდრე მთავრობის სახლს.

მ. ნეპრინცევის პროექტი ფასადის აგების საერთო სწორი სქემის მიუხედავად, ვერ აღწევდა შესაბამის გამოსახველობას.

არქიტექტორმა ი. ჩხეველმა წარმოადგინა პროექტის ორი ვარიანტი. პირველი მათგანი გამოირჩეოდა განაშენიანების სქემის სიმარტივით, მაგრამ არ უბასტებდა მოთხოვნებს ნაგებობის მონუმენტურობის თვალსაზრისით. პროექტის მეორე ვარიანტი, ღია ეზოთი და დადამლებული ეზოს გარემომცველი ფრთებით თითქოსდა იმეორებდა პირველი კორპუსის მოცულობით გადაწყვეტას, მკვეთრად გამოყოფდა საერთო სილუეტის საფუძვლურ აგებულებას. არამასშტაბური და საერთო კომპოზიციასთან ნაკლებად შერწყმული კომპი ამცირებდა თავისი მოცულობებით და-

ნაწევრებული მთავარი ფასადის მხატვრულ გამოსახველობას.

არქიტექტორმა მ. შაიიშვილმა პროექტის თავის ვარიანტებში, განსაკუთრებით მესამეში, მიიღწია შენობის შედარებით წარმატებულ გეგმურ გადაწყვეტას, თუმცა ფასადები ორიგინალობით არ გამოირჩეოდა. განსაკუთრებით უხეირო იყო ფასადის შეწყული ხაზის გადაწყვეტა, რომელიც არ ითვალისწინებდა მოცემულ ნაკვეთზე განაშენიანების ხასიათს.

კონკურსზე წარდგენილი მასალების განხილვის შედეგად ყიურომ რეკომენდაცია მისცა პროფესორ ვ. კოკორინისა და არქიტექტორ გ. ლეჟავას პროექტს, რომელშიც სწორად იყო გადაწყვეტილი დასახული ამოცანა და შეიცავდა ორიგინალურ არქიტექტურულ ჩანაფიქრს (პროექტის შემდგომ დამუშავებაში მონაწილეობდა არქიტექტორი ე. ნასარიძე).

თუ მთავრობის სახლის 1932—1934 წლების კონკურსის მასალებს შევადარებთ 1946 წლის პროექტებს, შეიძლება შევნიშნოთ, რომ 1946 წელს არქიტექტორები მიუახლოვდნენ ამოცანის გადაწყვეტას, მონახეს უფრო რეალური მასშტაბები და მოხერხებული პროპორციები.

ვ. კოკორინისა და გ. ლეჟავას შემოქმედებით წარმატება განსაზღვრა იმან, რომ ისინი სწორად მიუღწენ შენობის არქიტექტურის გადაწყვეტას, მსოფლიო და ეროვნული ხუროთმოძღვრების მემკვიდრეობის გამოყენების ამოცანას და, ამ მხრივ, საგრძნობლად გადააჭარბეს როგორც მათ მიერ შედგენილ და თავის დროზე 1934 წელს მოწოდებული მთავარი ფასადის საკონკურსო პროექტს, ისე პირველი კორპუსის ფორმებსა და მოტივებს.

მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის შენობა (1946—1953 წლები) განლაგებულია რუსთაველის პროსპექტზე, მაგისტრალის წითელი ხაზიდან 13 მეტრის შეწყევით, გვერდითი ფრთებით, რომლებიც მიემართებიან ჩიტაძის და ჭიჭინაძის ქუჩების გასწვრივ. გვერდითი ფრთები ერწყმიან პირველი კორპუსის კიდეებს, ეზოში თალიანი შესასვლელებით.

სწორკუთხოვან ნაკვეთს (83×70 მ) აქვს მკვეთრი დახრილობა (დაახლოებით 10°) პროსპექტის მხარეს. კომპოზიციის ცენტრი გახდა ადრე არსებული დიდი ნახევრად ღია ეზო, რომლის ირგვლივ განლაგდა მთავრობის შენობის კორპუსები. ეზო ჩაიკეტა, მაგრამ არ დაუკარგავს დამაპყრობელი რგოლის მნიშვნელობა.

მთავრობის სახლის მთავარი კორპუსი შედგება თითქოსდა ორი მოცულობისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ცენტრში პროპორციული თაღებით, მონუმენტურ შესასვლელს რომ წარმოადგენს. პროპორციები ქმნიან შენობაში მონხერხებულ და სახეიმო შესასვლელს პროსპექ-

ტის მხრიდან, მკაფიოდ ავლენენ ნაგებობის ხასიათსა და დანიშნულებას. მოხერხებულად გადაწყვეტილმა ფუნქციონალურმა ამოცანამ, არქიტექტურულთან ორგანულ კავშირში, შენობას ნამდვილად მხატვრული გამომსახველობა მიანიჭა.

რუსთაველის პროსპექტზე მთავარი ფასადის წინა მონაკვეთი კეთილმოწყობილია ყუვილების აბრტერიოთ გამწვანებული ტერასებით და პროპილემებისაყენ მიმავალი მონუმენტური კიბით.

გამჭოლი სივრცობრივი ლერძი, რომელიც გადის მთავარ პროპილემებზე, ღია ეზო-ვესტიბიულზე, შუა დიდ ეზოზე, ტერასებზე და პირველ კორპუსში მცირე პროპილემებით მთავრდება, საგრძნობლად უწყობს ხელს კომპოზიციის ცალკეული ნაწილების ურთიერთდაკავშირებას.

პროპილემები განლაგებული მცირე ღია ეზო წარმოადგენს განმანაწილებელ ვესტიბიულს მთავარი კორპუსის შენობათა ორ ძირითად ჯგუფში შესასვლელების წინ.

გეგმური გადაწყვეტა რთული არ არის, თავისი კონფიგურაციით იგი წარმოადგენს კვადრატის ფორმასთან დაახლოებულ ორ ჩაყვრილ სწორკუთხედს (42×34 მ). მარცხენა ნაწილი შეადგენს მინისტრთა საბჭოს შენობათა ჯგუფს, მარჯვენა ნაწილი — უმაღლესი საბჭოს შენობათა ჯგუფს, სასესიო დარბაზით. შენობათა ეს ჯგუფები ერთმანეთთან დაკავშირებულია ლიბოსა და მეოთხე სართულით.

გეგმურ გადაწყვეტას საფუძვლად უდევს ოთახების პერიმეტრული განლაგება ვესტიბიულების ირგვლივ, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების ხერხებით ცნობილი ატრიუმის მსგავსად.

უმაღლესი საბჭოს ჯგუფის გეგმური გადაწყვეტა რამდენადმე განსხვავდება მინისტრთა საბჭოს ჯგუფის გეგმური გადაწყვეტისაგან: მასში ცენტრალური ადგილი უჭირავს უზარმაზარი ჭვარციანი კამარით გადახურულ ვრცელ ვესტიბიულს (226 კვ. მ.) და მის თავზე განლაგებულ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დიდ დარბაზს.

უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი (დაახლოებით 400 კვ. მ.) შედგება საკმაოდ მოზრდილი პარტერისაგან დეპუტატებისათვის, ლოჯებისა და აივნებისაგან სტუმრებისათვის. დარბაზთან გათვალისწინებულია ვრცელი კულუარები და დამხმარე სათავსები.

დარბაზი სიმალით ორ სართულს აღემატება და გადახურულია კესონური ჭერიით. დარბაზის განათება ზედა, შემინული ბრტყელი ჭერიდან ხორციელდება*.

მთავარი კორპუსის მთლიანად კარგად გააზრებული გეგმური გადაწყვეტას ცალკეული ნაკლოვა-

* 1982 წელს განხორციელდა სხდომათა დარბაზის ძირული რეკონსტრუქცია, რამაც მას მეტი გამომსახველობა მიანიჭა.

ნებებიც აქვს. უმაღლესი საბჭოს ჯგუფის მთავარი ვესტიბიული ცუდად არის განათებული, სანარადო კიბეებისა და მთავარი პორტალის ვიტრაჟის მხრიდან შუქი ძლივს აღწევს ამ დიდ შენობაში. გვევლება თავისი პროპორციებითა და ზომებით ექსლუატაციისათვის მოუხერხებელი სათავსები. მაგალითად, მინისტრთა საბჭოს ჯგუფში (ლიბოს და პირველი სართულები) არის ოთახები, რომელთა სიგანე 2,5—2,6 მეტრის ფარგლებში მერყეობს, სიღრმე კი — 6 მეტრამდეა.

არც ისე მოხერხებულად შეიძლება ჩათვალოს წიგნსასაცაისა და სამკითხველო დარბაზის ადგილმდებარეობა — ისინი განლაგებულია გასასვლელისა და ლიფტისაგან დაშორებით.

წარუმატებელია მეხუთე სართულზე ოთახების ერთი ჯგუფიდან მეორეში გადასასვლელების კომპოზიცია. გადასასვლელი საკმაოდ არ არის განათებული. ორმხრივი განაშენიანების გამო დაშენებული სართულის ტალანი პროპილემებში (ეზოს მხრიდან) არსებითად დაბნელებულია.

მთავარი ფასადის 15 მალიანი თაღები შედგება 14 მეტრიანი, გეგმით სწორკუთხა სვეტებ-საყრდენებისაგან, რომლებიც ნახევარწრიული თაღებით მთავრდება. თაღების სამი ცენტრალური მალის საყრდენები შესასვლელის უფრო მკაფიოდ გამოყოფის მიზნით გაგრძელებულია ლიბოს სართულის ხარჯზე.

სვეტებ-საყრდენები განლაგებულია ერთმანეთთან შედარებით ახლოს (ღერძებს შორის 5,3—5,74 მეტრის ფარგლებში) და დიდი სიმაღლის გამო საგრძნობლად ადიდებენ ნაგებობის მასშტაბს. ფასადის პროპორციები მთელ თაღებს მონუმენტურობასა და საზეიმო იერს ანიჭებენ. მიღებული ხერხის მეშვეობით მთავარი ფასადის ფრონტალური კომპოზიცია გაცხოველებულია და იკარგება მისი საგრძნობი სიგრძე (83 მ.).

მთავარ ფასადზე გამჭოლი თაღი წარმოქმნის კოლოსალურ ლოჯიას. თუმცა დასანანია, რომ მთავარი ფასადის (ჩრდილო-აღმოსავლეთი) ორიენტაციის გამო არ იქმნება ის შთამბეჭდავი შეუქრდილი, რომელიც შეიმჩნეოდა პროპილემების ნაწილში.

ფრთხილად შუაგულისაყენ თაღების ბიჯის უმნიშვნელო, თითქმის შეუმჩნეველი გადიდება, ლევაგარდანებისა და ზოლურების საფეხურიანი განლაგება, კლასიკური ფორმისადმი მიახლოებული ფრონტონის სახით შენობის სკულპტურული დასრულება, სამივე ცენტრალურ თაღზე გამავალი გამჭოლი სივრცობრივი ღერძი განსაზღვრავენ მთელი კომპოზიციის ენერგიულ მიმართულებას ცენტრისაყენ, მძლავრი პროპილემებისაყენ.

სწორკუთხოვანი საყრდენი სვეტები (განივი ჭრილი — 1,70×1,03 მ.) მოპირკეთებულია ისევე როგორც მთელი შენობა, ოქროსფერი ტონის

ბოლნისის ტყეფი. საყრდენების წახნაგების კუთხეები დამრგვალებულია ნახატის მიხედვით საინტერესო ლიკებით, რომლებიც სვეტებს მთელ სიმაღლეზე გასდევს. საყრდენები კუთხეებში მთავრდება ეროვნული ორნამენტის ფორმის ნახევარკამიტლებით. მძლავრი საყრდენების წახნაგებს კუთხეების წესბუნებებით, დამახასიათებელი კამიტელებით, გვეგში მრუდხაზოვანი აბაკები მონაწილეობს ფორმების დიდი პლასტიკურობა და მიხედნილობა.

საყრდენ-ბოძების ზედაპირი არ წყდება კამიტელებთან და გადადის კედლის ვრცელ სიბრტყეზე თაღების ქვეშ. ამით მიღწეულია ტექტონიკური კავშირი შენობის შუბლის ნაწილთან და მძლავრ საყრდენებზე დატვირთვის გადატანის ლოგიკური სიკმაღლე.

შენობის არქიტექტურულ გადაწყვეტაში ავტორები შემოქმედებითად იყენებენ ეროვნულ ხეობებს, მოტივებს, ფორმებსა და დეტალებს. შენობის არქიტექტურის შემოქმედებითი გადაწყვეტა გამოიხატა, კერძოდ, გვეგისა და ფასადის, გარეგანი და შიგნითა ფორმების ორგანულ კავშირში. ლავგარდანის ძირითადი ზოლურები თითქოსდა საერთოა მთელი შენობისათვის. თავისი პროფილით უბრალო და მკაფიოდ გამოყვანილი მარტივი ლავგარდანი ორნამენტული მოტივით გადადის გვერდითი ფასადების ნაწილზე, გრძელდება შენობის ფრთებზე და წყდება ფორნტონთან. მომდევნო, სიმაღლით ნაკლები და დამუშავებით უფრო მარტივი ზოლურა, თითქოსდა ყველა ფასადის გამაერთიანებელი ელემენტი, ცენტრალურა სამშალიანი თაღების თავზე წყდება და უფრო რთული ზოლურათი იცვლება ფორნტონის ქვეშ მცირე კონსტრუქციებით.

დაწყვილებული ფანჯრების საპირეებისა და ოპოსტების, ზოლურების, ლავგარდანებისა და ფასადის სხვადასხვა ნაწილში განლაგებული როზეტებს არქიტექტურულ დეტალურ დამუშავებაში ავტორები ტაქტიით იყენებენ ქართული მონუმენტური ხუროთმოძღვრებისა და ხალხური ფოლკლორის ორნამენტურ ფორმებსა და მოტივებს, ახდენენ მათ ტრანსფორმირებას, ანიჭებენ თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამის სახეს.

პროპილეების ეზოში განლაგებულ პორტალებს — მთავარ შესასვლელებს მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს სათავსების ჯგუფებში აქვთ ერთნაირი კომპოზიციური წყობა. ისინი გამოირჩევიან კარგად გამოხატული პროპორციებით.

მეტრებარისხოვან — ჩიტაძისა და ქიქინაძის ქუჩებზე გამოძაველი გვერდითი ფასადები დამუშავებულია უფრო მარტივად, ვიდრე მთავარი ფასადი. აქ ავტორები აგრეთვე იყენებენ ძირითად არქიტექტურულ მოტივს — თაღებს, გადმოგვიყვან მას მცირე სიღრმის თაღოვანი ნიშების სა-

ხით, რაც შეესაბამება გვერდითი ფასადების ხასიათს. ორივე გვერდითი ფასადი გადასი ქუჩებზე, რომლებიც ციკაბოდ ეშვებიან რუსთაველის პროსპექტის მხარეს. ავტორებმა შეძლეს კედლების სიბრტყეების კომპოზიციური წყობის შესამება ადგილმდებარეობის რელიეფთან.

გვერდითი ფასადების არქიტექტურულ დამუშავებაში ყველაზე ძველი ამოცანა იყო ახალი და ძველი კორპუსების შესამება. თუმცა ჩანაფიქრი — შექმნათ გადასასვლელი პირაპირებზე და ძველი და ახალი შენობა დაეკავშირებინათ მძლავრი გასასვლელი თალით — სწორი იყო, ერთიანობა მინც არ არის მიღწეული. ძველი კორპუსის გვერდითი ნაწილების — მ-სართულიანი მოცულობა კიბის უჯრედის შემინული ღიობების გამოვლილენით არ არის შესამებული ახალი კორპუსის გვერდითი ფასადების კედლებისა და გადასასვლელების მარტივ და პლასტიკურ ზედაპირთან. ერთადერთი დამაკავშირებელი რგოლია ეზოში შესასვლელი თალი, რომელიც, არსებითად, იმეორებს ჩიტაძის ქუჩაზე ძველი კორპუსის გვერდითი ფასადის ლოკია-თაღების მოტივს.

არ არის საკმარისი მთლიანობა, ერთიანობა მთავარი კორპუსის ეზოს ფასადის გადაწყვეტაში. მთავარი კორპუსის რთულ კომპლექსში წაწყვანი და შინაგანი სივრცის ხასიათის განმსაზღვრელი ელემენტებია სხდომთა დიდი და მცირე დარბაზების მთავარი ვესტიბიულების შენობები. ერთი იდეური შინაარსითა და საერთო არქიტექტურულ-სივრცობრივი ჩანაფიქრით გაერთიანებულ ამ შენობებში ყველაზე უარაბად არის პლასტიკა, რაც საყვებით შეესაბამება ავტორების მისწრაფებას — მიანიჭონ მათ მონუმენტური და შთამბეჭდავი ხასიათი.

მაგალითად, მინისტრთა საბჭოს შენობათა ჯგუფში შესვლისას შთაბეჭდილებათა თანდათანობით თანმიმდევრული ცვლა პროპილეების დიდ შენობათა ეზოდან რამდენადმე შემჭიდროებულ მცირე ჰოლისაკენ და, შემდეგ, კოლოსალური საპარადო ვესტიბიულისაკენ, უდიდეს ეფექტს ახდენს, რაც კომპოზიციის მთელ ჯაჭვს ზემოქმედების გასაოცარ ძალას ანიჭებს. შთაბეჭდილებათა ეს მონაცვლეობა განპირობებულია მასშტაბებისა და პროპორციების შეცვლით და მნახველი მთელ ინტერიერს აღიქვამს გარეგანი ფორმების არქიტექტურასთან საერთო კავშირში.

შინაგანი სივრცის კომპოზიციური წყობის თითქმის იგივე პრინციპს, მაგრამ უკვე კამარით გადახურულს, იყენებენ ავტორები უმაღლესი საბჭოს შენობების ჯგუფის ინტერიერებში.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის არქიტექტურა დიდი წვლილია სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღვრების განვითარებაში.

ომის შემდგომ პერიოდში თბილისში დიდი განვითარება პოვა საცხოვრებელი ბინების მშენებლობაში. არქიტექტორები მკიდროდ დაუხლოვდნენ შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტას მასობრივი ხასიათის ნაგებობათა — საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს.

მშრომლებისათვის ბინების პრობლემის გადაწყვეტაზე გულმოდგინე მუშაობა ნაკარნახევია საბჭოთა ადამიანების მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილების უზრუნველყოფის ამოცანით. მშრომელთა საბინაო პირობების ძირეული გაუმჯობესება, თავის მხრივ, გახდა საცხოვრებელი სახლის არქიტექტურის შემდგომი სრულყოფის სტიმული. ესაა ნაგებობათა ყველაზე მასობრივი ტიპი, ყველაზე გავრცელებული, ქალაქის განაშენიანებაში ხშირად შემხვედრი ელემენტია. საცხოვრებელ კვარტალთან ერთად იგი ქალაქის ორგანიზმის ძირითადი უჯრედი. ამიტომ ქალაქის არქიტექტურა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საცხოვრებელი კვარტალების, საცხოვრებელი სახლების განაშენიანების ხასიათზე, საბინაო მშენებლობის ხარისხზე.

საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა მთლიანად და სავსებით ნაკარნახევია საბჭოთა ადამიანზე, მისი საყოფაცხოვრებო და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვით.

საცხოვრებელი სახლების დაპროექტებასა და მშენებლობას საფუძვლად უნდა დაედოს მცხოვრებთათვის მაქსიმალური მოხერხებულობის პრინციპი. აქედან გამომდინარეობს საცხოვრებელ შენობათა ტიპური, ეკონომიკური პრექტების შექმნის, მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების ყოველმხრივი გამოყენების აუცილებლობა, არქიტექტურულ-სამშენებლო ტექნიკის მიღწევათა გამოყენება.

ომის შემდგომ წლებში თბილისში აიგო ახალი საცხოვრებელი სახლები, მათ შორის არქიტექტურულ-დაგეგმარებითი ღირსებებით უნდა აღინიშნოს საცხოვრებელი სახლების პეკუაძის პროექტისა და რიგის ქუჩის კუთხეში (1930 წ., არქიტექტორი რ. მუშუქლიანი), პლესხანოვის პროსპექტზე № 59; (1950 წ., არქიტექტორი ი. ჩხენკელი), მელიქიშვილის ქუჩაზე (1950 წ., არქიტექტორები: ი. კასრაძე, ა. თევზაძე), ჩელიუსკინელთა ქუჩაზე (1950—1954 წლები, არქიტექტორები: ზ. მინდორაშვილი, ლ. სუმბაძე), 123 ბინიანი საცხოვრებელი სახლი (1953—1955 წლები, არქიტექტორი მ. მელია), 200 ბინიანი საცხოვრებელი სახლი მარცხენა სანაპიროზე (1958—1963 წლები,

არქიტექტორები: შ. ყავლაშვილი, ლ. ხარაშვილი, გ. მელქაძე) და ა. შ.

ინდივიდუალური პროექტით აიგო 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლი ნ. ნიკოლაძის ქუჩაზე № 3*. სახლის მშენებლობა (ავტორი არქიტექტორი ა. მიმინოშვილი) ხორციელდებოდა 1944—1949 წლებში უწყების დაკვეთით. განაშენიანების ნაკვეთი, რომლის არჩევანი შემთხვევითია, განლაგებულია პეროვსკაის და ნ. ნიკოლაძის ქუჩების შერწყმასთან ახლოს და წარმოადგენს ძალზე შეზღუდულ ტერიტორიას. ნ. ნიკოლაძის ქუჩის სიგანე 15 მეტრს არ აღემატება და დაახლოებით 24 მეტრის სიმაღლისა და 22 მეტრის სიგანის საცხოვრებელი სახლი № 3 განიხილება ჩვეულებრივ დიდი რაქურსით. თავისი მოცულობით შედარებით მცირე 5 სართულიანი სახლი (7 250 კუბური მეტრი) განლაგებულია ორი სამსართულიანი საცხოვრებელი შენობების გარემოცვაში.

სახლის ჩრდილო (ეზოს) ფასადი მიმართულია დიდი მწვანე მასივისაკენ ს. კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკისაკენ, საცხოვრებელი სახლის გეგმური გადაწყვეტა თავისუფალი, კომპაქტურია, ძირითადად უპასუხებს ადგილობრივ კლიმატურ და საყოფაცხოვრებო პირობებს, გათვალისწინებულია გამჭოლი განიავება. ყველა ბინა ალჟურვილია იენებში, ხოლო ეზოს მხრიდან მიშენებული შემინული აივან-გალერეები, რომლებიც არსებითად წარმოადგენენ დამატებით საცხოვრებელ ფართობს, წელიწადის თბილ დღეებში (ე. ი. თითქმის 8—9 თვის მანძილზე) ცვლიან სასაღილოს, საძინებელს და ა. შ. აივან-გალერეასთან მოხერხებულად არის დაკავშირებული სასაღილო და სამზარეულო. საცხოვრებელი სექციის ეს სამი კომპონენტი (სასაღილო, სამზარეულო და აივან-გალერეა) ორიენტირებულია უფრო გრილ მხარეს (ჩრდილოეთით, დასავლეთისაკენ ერთგვარი გადახრით).

საცხოვრებლის ძირითადი ტიპია 3—4 ოთახიანი ბინა. იმისათვის, რომ შინაგანი დაგეგმვა გადაწყვეტილიყო საყოფაცხოვრებო თავალსარჩინით უფრო მოხერხებული სქემით, დამზარეულო ფართობი პარამლისა და ძირითადი სათავსებისაგან იზოლირებულია რაბით.

მთლიანი შინაგანი დაგეგმარების მოხერხებულობის მიუხედავად, სახლი არ არის უნაკლო. არქიტექტორმა ინტერიერის გაფორმებას არ დაუთმო სათანადო ყურადღება. თითოეული ბინის ინტერიერი არ გამოირჩევა მოპირკეთების მაღალ

* ამ სახლის არქიტექტურისათვის აღექვსი იაკობის ძე მიმინოშვილის 1950 წელს სსკ სხელ. მწიფო პრემია მიენიჭა.

ლა კულტუროთ. პარამლი თავისი პროპორციებით (4.80 მX1.70 მეტრზე) ქნის გრძელი დერეფნის ნობელებს: დამხარე სათავების (სანკანდი, სავუქნაო, საპაზანო) განლაგება ბლომდე არ არის მოფიქრებული. აივანზე გამომავალი სამხარელო სახადლოს უერთდება საძინებელი ალკოვო. რაც ამკარა უხერხულობას ქნის, რადგანაც იგი გადაქცეულია გასასვლელ სათავსად. ავტორი სექციის დამორექტებისას საგრძობლად ავარბებს საცხოვრებელი ფართობის ნორმებს.

50 კვადრატული მეტრი საერთო საცხოვრებელი ფართობის სამოთახიანი ბინა ყველა პირობას ქნის იმისათვის. რათა სავსებით ნორმალურად ეცხოვროს ოჯახი და კეთილმოეწყოს. აქ კი 3,5-ოთახიანი ბინის საცხოვრებელი ფართობი 80,31 კვადრატული მეტრის ტოლია, ხოლო 4,5-ოთახიანი ბინისა — დაახლოებით 100 კვ. მეტრისა.



ახლა საზოგადოების მშენებლობის ისტორიული ამოცანის გადაწყვეტაში დიდია ქალაქმშენებლობის როლი. საბჭოთა ადამიანების შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობები, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა უშუალოდ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ განხორციელდება ქალაქების დაგეგმარება და განაშენიანება, თუ როგორ დამორექტდება და აივება საწარმოები, საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობები, საინჟინრო და სატრანსპორტო ქსელო, სად და როგორ განლაგდება პარკები და სტადიონები. კურორტები და დასვენების ზონები.

საბჭოთა ქალაქმშენებლობა უნდა დაეჭევემდებაროს შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების საუკეთესო პირობების შექმნას, ჩვენი საზოგადოების ყველა წევრის ყოველმხრივ და ჰარმონიულ განვითარებას.

ომამღელ წლებში თბილისში შეიქმნა მნიშვნელოვანი მაგისტრალები და კვანძები, რომლებმაც შეცვალეს ქალაქის არქიტექტურული იერსახე. თუმცა დიდხანს სათანადო ყურადღება არ ეთნიშოდა მოედნებისა და მაგისტრალების მიზნობრივ არქიტექტურულ გაფორმებას. მხოლოდ ომის შემდგომ წლებში გაჩაღდა უმნიშვნელოვანესი გზაჯვარედინების რეკონსტრუქციისა და მოედნების რეორგანიზაციის სატრანსპორტო კვანძების ორგანიზაციის სამუშაოები: გაჩაღდა რუსთაველის სახელობის, ვაგზლის მოედნები; განხორციელდა ვ. ი. ლენინისა და კ. მარქსის მოედნების არქიტექტურული რეკონსტრუქცია. ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე 1956 წელს აღიმართა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს და-

გადიდებულია შენობის მოცულობა, გამოყენებულია დაგეგმარების არაეკონომიკური ხერხები, სახლის ფასადის მოპირკეთებისათვის ნახშირია ძვირადღირებული მოსაპირკეთებელი მასალა (ბოლნისის ტუფი), რაც სულაც არ იყო აუცილებლობით გამოწვეული.

მათავარი ფასადის კომპოზიციური ცენტრია მეხუთე სართულის ლოჯიების ლამაზი თაღები, რაც შესრულებულია ხალხური არქიტექტურული ტრადიციების ცოდნით და მთელ სახლს სიმსუბუქესა და აუზრულობას ანიჭებს. ამასთან შეუძლებელია ლოჯიურად და მიზანშეუწონლად მიეჩინოთ ლოჯიებისათვის აუცილებელი სიღრმის მიწებებისათვის ავტორის მიერ გამოყენებული ხერხი. ეს არქიტექტურულ-მხატვრული ამოცანა გადაწყვეტილია მეხუთე სართულის გარეკედლის მიგნით გადაადგილების გზით, რამაც კონსტრუქციული გართულება გამოიწვია.

მარსებლის ვ. ი. ლენინის ბეგლი (მოქანდაკე ვ. თოფურიძე, არქიტექტორები: შ. ყავლაშვილი, გ. მეღვაძე, გ. ხეჩუმიანი, კ. ჩხეიძე).

ქალაქის მოედნის საცხოვრებელი სახლებით კომპლექსური განაშენიანების ერთ-ერთი პირველი მაგალითია მარჯანიშვილის სახელობის მოედანი (არქიტექტორი მ. მელია), პლენანოვის პროსპექტი ქალაქის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ მდებარეა. იგი გადის მდინარე მტკვრის ნაპირის გასწვრივ იმ მიმართულებით, სადაც გასულ საუკუნეებში იყო გზა მდინარე არაგვისაკენ.

ეს მაგისტრალი წარმოიშვა მე-19 საუკუნის დამდეგს და ოდესღაც გადიოდა ხეხილის ბაღებისა და ბოსტნების ვრცელ მწვანე მასივებზე. მისმა განაშენიანებამ განსაკუთრებით ფართო გაქანება მიიღო თბილისი-ფოთის რკინიგზის მაგისტრალის გახსნის შემდეგ (1872 წ.).

პლენანოვის პროსპექტის სიგრძე 2 კილომეტრზე მეტია, ამასთან დაახლოებით 2 კილომეტრი სწორი მონაკვეთია. XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დამდეგს ეს მაგისტრალი შენდებოდა „მოდერნის“ სულისკვეთებით. მალე რკინიგზის მაგისტრალის გახსნის შემდეგ წარმოიშვა ვაგზლიდან ქალაქის ცენტრისაკენ უმოკლესი გზის საპირობება. ამის შედეგად, 1885 წელს ააგეს ვერის ხიდი, გაიყვანეს კირკის ქუჩა და ვერის დაღმართი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და განსაკუთრებით ომამდელი ხუთწლეულების მანძილზე ქალაქის სოციალისტური გარდაქმნის ერთიანი გეგმის შესაბამისად დაიწყო პლენანოვის

პროსპექტის რეკონსტრუქციაც. აქ გაჩნდა ახალი სახლები, აიღეს ტრამვაის ლინდაგები, ქუჩა ასფალტით დაიფარა, ტრამვაი ტროლეიბუსმა შეცვალა. დიდმა სამამულო ომმა ხელი შეუშალა მაგისტრალისა და მისი მიმდებარე მოედნებისა და ქუჩების ძირეულ რეკონსტრუქციას. ეს მუშაობა განახლდა მხოლოდ ომის შემდეგ და გაგრძელდა შემდგომ წლებში.

ქალაქის ორი მნიშვნელოვანი მაგისტრალის — რუსთაველისა და პლენანოვის პროსპექტების არქიტექტურულ-დაგეგმარებითი გადაწყვეტისაგან მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული თბილისის შემდგომი რეკონსტრუქცია. ეს ორი მაგისტრალი, რომლებიც ერთმანეთს უერთდებიან ცალკეულ პუნქტებში განლაგებული ქუჩებისა და ხიდების მეშვეობით, ქმნიან ქალაქის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან კვანძებს.

მარჯანიშვილის სახელობის ახალი მოედნის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი განლაგებით, პროსპექტის მარჯანიშვილის ქუჩასთან გადაკვეთაზე ორი — პლენანოვისა და რუსთაველის პროსპექტების, ხიდისა და ელბაქიძის აღმართის მეშვეობით შეერთების გზაზე.

თუმცა მარჯანიშვილის სახელობის მოედანი ჯერ კიდევ მთლიანად არ არის ჩამოყალიბებული; აქ უკვე განხორციელებული რეკონსტრუქციული ღონისძიებები უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ თბილისის ესოდენ მნიშვნელოვანი კვანძის კომპლექსური განაშენიანების უნარიან გადაწყვეტაზე.

ორი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი განლაგებულია სიმეტრიულად მოედნის გრძელი ღერძის მიმართ: კუთხის შევრილები ბელედელებით კეტავენ ანსამბლს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან და ხაზს უსვამენ პლენანოვის პროსპექტის მნიშვნელობას მოედნის მთელს განაშენიანებაში *.

ერთმანეთის პირისპირ განლაგებული ეს ორი ხუთსართულიანი რუსული ასო Γ-ს მსგავსი საცხოვრებელი სახლი თითქმის ერთმანეთის სარკისებურ გამოსახულებას წარმოადგენს. მოედნის გადაწყვეტის ძირითადი მოცულობით-სივრცობრივი იდეა გამომდინარეობდა ქალაქის სიცოცხლის უნარიანობისათვის ორი ქუჩის გადაკვეთაზე არსებული ამ კვანძის მნიშვნელობიდან. განაშენიანების ახალი კომპლექსი უნდა გამხდარიყო მთელი მაგისტრალისა და ქალაქის მარცხენა სანაპიროს ნაწილის შემდგომი რეკონსტრუქციის ამოსავალი წერტილი პლენანოვის პროსპექტისა და მისი მიმდებარე კვარტალის ფარგლებში.

* ამ სახლების არქიტექტურისათვის მიხეილ სიმონის ძე მელიას 1951 წელს მიენიჭა პირ კავშირის სახელმწიფო პრემია.

პირველი სახლის (№ 83—85) მშენებლობა დაიწყო 1946 წელს და დამთავრდა 1947 წლის დეკემბერში; მეორე სახლისა (№ 86—90) — 1947 წელს, დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაიყვანა 1949 წელს. ორივეს მშენებლობის დამთავრების შემდეგ ქალაქმა მიიღო დაახლოებით 5000 კვ. მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი და კეთილმოწყობილი მოედანი. 1959—1960 წლებში თბილქალაქპროექტის ადმინისტრაციული შენობის აგებით ჩაიკეტა მოედნის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი.

ფასადის კომპოზიციის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა მისი ვერტიკულურად სამნაწილიანი დაყოფა. შენობის ქვედა, უფრო მაღალი სართული, სულაც განლაგებულია მაღაზიები, დამუშავებულია რუხი ბაზალტის მეორე სართული (ნაგებობის მეორე სართული) მოპირკეთებულია ბათქაშით, რომლის თავზე აღმართულია ღია ყვითლად შეღებილი სამი ზედა სართულის ზედაპირი, რომელიც შენობის მესამე სართულს წარმოადგენს.

ფართოდ არის გამოყენებული საცხოვრებელი სახლისათვის დამახასიათებელი ატრიბუტები — აივნები და ლოჯიები, რაც განსაკუთრებით აუცილებელია სამხრეთის ჰავის პირობებში.

მთავარი ფასადის შედარებით დიდი სივანის (დაახლოებით 64 მ.) შემსუბუქებისა და ზედა სართულის ზედაპირის გაცხოველებისათვის ავტორი იყენებს არქიტექტურულ აქცენტებს მცირე ლოჯიების სახით.

სახლის ლაგარდანი თითქოსდა პარაპეტის საფუძველია, რომელიც შესრულებულია მცენარეული მოტივების გამოყენებით. ლაგარდანის ნახატის საერთო ხასიათი მოგვაგონებს XIX საუკუნის თბილისის სახლების აივნებს.

საცხოვრებელ სექციებში შესასვლელი განლაგებულია არქიტექტურული აქცენტების ღერძებზე. მარჯანიშვილის მოედანზე საცხოვრებელი სახლების კომპლექსი შეიცავს 98 ბინას — ერთ, ორ, სამ და ოთხოთახიანს. სახლების საერთო მოცულობა შეადგენს 60 000 კუბურ მეტრს. საერთო საცხოვრებელი ფართობი 4 716 კვადრატული მეტრია. საცხოვრებელ სექციებში კიბეები, როგორც წესი, ეზოში გადის, კიბის უჯრედები — გამოქვლია.

სამი და ოთხოთახიანი ბინებისაგან შექმნილი ტიპური სექცია ორგანიზებულია პარამალის გარშემო, რომელიც დაკავშირებულია ყველა საცხოვრებელ ოთახსა და დამხმარე სათაესთან. პარამალთან არის ჩაშენებული კარადა-გარდერობი. საცხოვრებელი სექციის შინაგანი დაგეგმარება ძირითადად უპასუხებს ადგილობრივ საყოფაცხოვრებო და კლიმატურ პირობებს. ბინაში ოთახების ორმხრივი განლაგებით (ერთოთახიანის გამოკლებ-

ბით № 83—85 სახლი) მიღწეულია ვაშკოლი განიავდა. მთავარი ფასადი გადის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს. ამიტომ ავტორი სასტუმრო და სანაღვრა ოთახს განალაგებს ქუჩის მხარეს, სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული საძინებელი კი ეზოს მხრიდან დაცულია საცხოვრებელი ავან-ლოჯიით. ჩამწვნილია კარადის, საკუბუჩაოს, ალკონის მემწვანაობა. რომლებიც გარკვეულ საზღვარს იქონიან. ბინები ვრცელია.

რამა პარალელის მეშვეობით საცხოვრებელ ოთახებს აკავშირებს დამხმარე სათავსებთან. სააბაზანოა და საპირფარეოს პირდაპირი განათება ხელს უწყობს უკეთეს ვენტლაციას. უბრალოდ მესრულეპული ინტერიერები, ოთახების კარგი პროპორციები სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებენ. წარმატებით არის განხორციელებული დამხმარე სათავსების ობოლაცია. ეზოს მხარეს მშობრთული ოთახი შეიძლება გამოიყენონ როგორც საძინებელი და როგორც სასადილო, ხოლო მასთან კარით დაკავშირებული ლოჯია ზაფხულის ცხელ დღეებში ფაქტობრივად ქმნის დამატებით საცხოვრებელ ფართობს.

ავტორმა შეძლო ბინების მოხერხებულ დაგეგმარებასთან ერთად შეემუშავებინა შენობის მარტივი კონსტრუქციული სქემა, შეძლებისდაგვარად მოეხდინა ცალკეული დეტალების ტიპიზაცია. განხორციელებულია ეზოების დაგეგმარება და კეთილმოწყობა. მალაზიებისაკენ მეორეხარისხოვანი ქუჩების მხრიდან მოწყობილია სპეციალური შესასვლელი ავტორტრანსპორტისათვის.

მარჩინიშვილის მოედანზე საცხოვრებელი სახლების კომპლექსი უნაკლო არ არის. ფასადის არქიტექტურულ გადაწყვეტაში შეიმჩნევა გარეგანი

მოხერხებითი მხარისაკენ მისწრაფების ტენდენცია. პირველი კორპუსის (სახლი № 83—85) მრუდ-ხაზოვანი ფორმები და წვეტები თავისი ფორმით ეკლექტიკურია. ცალკეული არქიტექტურული დეტალები უხეშად არის გამოყვანილი.

ბინების დაგეგმარებას, განსაკუთრებით № 83—85 სახლს აქვს ნაკლოვანებები. პარამალი თავისი პროპორციებით არცაა მთავად ვიწრო და გრძელ დეტალებს წარმოადგენს, სამშარეულოს ორიენტაცია სამხრეთ-დასავლეთისაკენ არახელსაყრელია, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. სამ და ოთხოთახიანი ბინების საცხოვრებელი ფართობი ნორმასთან შედარებით რამდენადმე გადიდებულია. წარუმატებლად არის გადაწყვეტილი კუთხის სექციების დაგეგმარება, სამი და ოთხოთახიანი ბინების საცხოვრებელი ფართობი (№ 1 ტიპის სამოთახიანი ბინა უდრის 63,65 კვადრატულ მეტრს, № 5 ტიპის ოთხოთახიანი ბინა — 76,80 კვადრატულ მეტრს) რამდენადმე გადიდებულია. სახლების კომპლექსი ნაწილში განლაგებული ბინები (მე-6 სართულზე) მოუხერხებელია ლიფტების უქონლობის გამო.

ომის შემდგომი პერიოდის მასობრივი საბინაო მშენებლობის დადებით მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ საცხოვრებელი სახლები ჩელიუსკინელთა ქუჩის № 11-ში. ავტორმა არქიტექტორმა ლ. სუმბაძემ ჩელიუსკინელთა ქუჩის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის შემდეგ მოცულობით ორი ერთნაირი ხუთსართულიანი სახლი განალაგა არქიტექტორ ს. დემჩინელის პროექტით ადრე აგებული საცხოვრებელი სახლის ორივე მხარეს. მშენებლობა დამთავრდა 1954 წელს.

§ 2. საბოთა ხაროთმოქმედების ძირეული გარდაქმნის პროგრამა

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თავიანთ გადაწყვეტილებებში არაერთხელ შეახსენებდნენ არქიტექტორის მოღვაწეებს, რომ ყოველგვარ გადახვევას რეალური სინამდვილისაგან, იდეურ-მხატვრული პრინციპების დავიწყებას საგრანობი ზიანი მოაქვს, მივყავართ ზერელე და პროექტებაზე, ეგრეთ წოდებული „ფასადომანიისაკენ“, უვარგის და მუენე ფორმათა ქმნაშდე, ფორმალისმადე. ამიტომაც იძენდა ფორმალისტურ გადახვევათა წინააღმდეგ ბრძოლა ძალზე დიდ მნიშვნელობას, რადგანაც ყოველგვარი არქიტექტურულ-მხატვრული ან საინჟინრო-სამშენებლო ნარკტი, ქვაში აღებული შეცდომა პრაქტიკულად გამოიწვევბეულია. ცნობილია, რომ არქიტექტურული პროექტია, ე. ი. აგებული შენობა, მხოლოდ ძალზე იშვიათ შემთხვევაში შეიძლება გადაკეთდეს, ისიც დიდი ჯაფითა და უზარ-

მაზარი სახსრებით, ამიტომ არქიტექტურაში განსაკუთრებით საჭიროა მაქსიმალური სიფხიზლე და მომთხვენელობა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დაემეს პრაქტიკა, როცა დაპროექტებასა და მშენებლობაში, განსაკუთრებით, საცხოვრებელი ბინებისა, უშვებდნენ კუსტარულობასა და ზედმეტობას, როცა მილიონობით მანეთი იხარჯებოდა უაზრო მორთულობისათვის ზოგიერთი არქიტექტორის მდარე გემოვნების საამებლად.

1954 წლის დეკემბერში მოსკოვში გამართული მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირი; სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 ნოემბრის დადგენილება „დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობათა აღმოფხვრის შესახებ“ მოასწავებდნენ ახალ ეტაპს მთელი საბჭოთა არქიტექტურ-

რის განვითარებაში, წარმოადგენდნენ საბჭოთა არქიტექტურის ძირეული გარდაქმნის პროგრამას.

როგორც ცნობილია, ზოგიერთი ხუროთმოძღვარი, რომელიც არქიტექტურის მხატვრულ ამოცანებს წყვეტდა მის მატერიალურ-ტექნიკურ საფუძველს, უგულვებელყოფდა ნაგებობათა პრაქტიკული მიზანშეწონილობისა და მოხერხებულობის, მათი ეკონომიკურობის მოსაზრებებს, არსებითად მოწყედა ცხოვრებას. ბევრი არქიტექტორი ძირითად ყურადღებას უთმობდა ნაგებობათა მხატვრულ მხარეს სხვა დანარჩენის საზიანოდ, რასაც, ბუნებრივია, უნდა გამოიწვევდა და გამოიწვია კიდევ არქიტექტურის მოწყვეტა მშენებლობის საარსებო ამოცანებისაგან. ზოგიერთი არქიტექტორი ცდილობდა ხუროთმოძღვრების ცალმხრივი, ესთეტიკური გავება გაემართლებინა კონსტრუქტივიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობით. ეს არქიტექტორები თითქოს კონსტრუქტივიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ და მეორე უკიდურესობაში ვარდებოდნენ: ფასადებს ამშვენებდნენ ზედმეტობებით, საეკვო დეკორატიული ელემენტებით, მხოლოდ აძვირებდნენ მშენებლობას, უმიზნოდ ფლანგავდნენ სახელმწიფო სახსრებს.

სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობათა აღმოფხვრის შესახებ“, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სხვა დოკუმენტებში მშენებლობისა და არქიტექტურის საკითხებზე, თანამიმდევრულად და ღრმად არის გამოხატული პარტიისა და მთავრობის ხაზი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმეში.

საბჭოთა არქიტექტორების მეორე სრულიად საკავშირო ყროლობამ (XII — 1955 წ.), რომელმაც პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის ძირეულად გარდაქმნის აუცილებლობით ჩაიარა, აღნიშნა, რომ დაპროექტებასა და მშენებლობაში დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებები უმეტესწილად აიხსნებოდა საბჭოთა არქიტექტურული მეცნიერების ჩამორჩენით, რაც ხუროთმოძღვრებს უბიძგებდა არქიტექტურის უმეტესად გარეგანი მხარეების გადაწყვეტისაკენ, გეგმარების მოხერხებულობის, ტექნიკური მიზანშეწონილობის, შენობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეკონომიკურობის საზიანოდ.

ასაკრები რკინა-ბეტონის დეტალების, კონსტრუქციების, მსხვილი ბლოკებისა და ახალი ეფექტიანი მასალების ფართოდ გამოყენება არის ის ახალი რამ მშენებლობის ტექნიკაში, რომელიც დაბეჭივებით მოითხოვს უარი ვთქვათ დაპროექტების მოძველებულ ხერხებზე.

მიუხედავად ამისა, თბილისის ზოგიერთი არ-

ქიტექტორი უკანასკნელ დრომდე სათანადოდ არ აფასებდა ტიპური დაპროექტების მნიშვნელობას, ნაკლებად ზრუნავდა მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების გამოყენებაზე.

ომის შემდგომ წლებში თბილისის ხუროთმოძღვრების მიერ მიღწეულ საგრძნობ წარმატებებთან ერთად, მათ საქმიანობაში შეიმჩნეოდა სერაოზული ნაკლოვანებები და შეცდომები.

უკანასკნელ წლებში თბილისში ფართოდ გაჩაღდა საბინაო მშენებლობა, სამრეწველო საწარმოთა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა აგება. ომის შემდგომი პერიოდის პირველ წლებში თბილისში აიგო საცხოვრებელი სახლები, რომელთა ფართობი 1 მილიონ კვადრატულ მეტრს აღემატება. მშენებლობის ესოდენ დიდი გაქანების მიუხედავად, არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ, რომ თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა დამტკიცებული იქნა მხოლოდ 1955 წლის ოქტომბერში. დაგეგმვის საკითხებისადმი ასეთმა მიდგომამ ის გამოიწვია, რომ რესპუბლიკის დედაქალაქში შეიმჩნეოდა შემთხვევითი განაშენიანების მკაღალი თები არა მარტო ვარუბნებში, არამედ ცენტრალურ მკვიდროდ დასახლებულ რაიონებშიც.

თბილისში აიგო ზოგიერთი შენობა, რომელთა არქიტექტურაში დაშვებულ იქნა ზედმეტობა, აღრეულია ფორმები და სტილები ისეთ ნაგებობებში, როგორიც არის მეცნიერ მუშაეთა საცხოვრებელი სახლი (1955 წ., არქიტექტორები ქ. სოკოლოვა, ი. ჩხეველი), საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა, რომელიც სასტუმრო „საბჭოთა საქართველოდ“ გადაკეთდა (1958 წ., არქიტექტორები გ. თავდგირიძე და ნ. ფორცხლაიშვილი) და სხვები. ამ ნაგებობებში ეკონომიკისა და შენობათა შინაგანი დაგეგმარების მიზანშეწონილობის საკითხები შეეწირა მორთულობას.

„შახტმშენისა“ და „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობის 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლი უნივერსიტეტის ქუჩაზე № 26/28-ში (1947 წ., არქიტექტორი ა. კოჩინაშვილი) იტალური რენესანსის მსგავსი ლავგარდანის მქონე კუთხის კოშკით, უხეშად დამუშავებული ფორმებითა და დეტალებით მოწმობდა, რომ საქმე გვაქვს ეკლექტიკურ ნაგებობასთან.

განსაკუთრებით ბევრი ზედმეტობაა ყოფილი „საქანაშირის“ ადმინისტრაციული შენობაში (არქიტექტორები მ. ჩხიკვაძე და კ. ჩხეიძე)* „საქანაშირის“ ადმინისტრაციული სახლის პროექტი გაჩნდა კონკურსის შედეგად. სახლის აგება რუსთაველის სახელობის ხელახლა შექმნილ მოედანზე ადგილმდებარეობის რელიეფის, მოედნის რო-

* აშკამად ამ შენობაში განლაგებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

გორე სტრანაპორტო კვანძის მნიშვნელობის ყოველხარეკ ვათვალწინებს მოთხოვნად.

„საქნახშირი“ სახლის პროექტის ავტორები მნიშვნელოვანი ქალაქმშენებლობის ამოცანის გადაწყვეტას კონკრეტული ვითარების გათვალისწინებულად მიუღწევენ და თუმცა ამ სახლის აგებნა რუსთაველის პროსპექტზე ამ ადგილზე 1.5-გეზრ და უფრო მეტად გაფართოვდა, ქალაქმშენებლობის ამოცანა გადაჭრული დარჩა. მოედანი შ. რუსთაველის ძეგლი „ჩახშულია“ სახლის უხარმხარო კუთხის კოშკით. „საქნახშირის“ ახლია დენქციონალურად გაუმართლებელი კოშკი (მაში მოთავსებულია მხოლოდ კიბის უჭრედო). მკვირვალად გამოიყურება იმ შენობის კომპლექსშიც კი, რომლის დამატებაც თვითონაა. „კონცნახ საქნახშირის“ აღმინისტრაციული შენობის მშენებლობისას ქ. თბილისში, — ნათქვამი იყო სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობათა აღმოფხვრის შესახებ“, — აგებულია დეკორატიული, პრაქტიკულად უსარგებლო 55 მეტრი სიმაღლი. სამი მილონი მანეთის ღირებულების კოშკი. ამ შენობის ფასადების მოპირკეთების ხარჯმა 8,1 მილონი მანეთი ანუ მშენებლობის საერთო ღირებულების 33 პროცენტი შეადგინა“.

დიდი ზედმეტობა იქნა დაშვებული თბილისის ვაგზლის შენობის რეკონსტრუქციისას, ნ. ნიკოლაძის №3-ში საცხოვრებელი სახლის და სხვა ნაგებობათა მშენებლობისას. მარტო თბილისის რეკონსტრუქციული ვაგზლის კოშკზე დაიხარჯა 4 მილიონზე მეტი მანეთი. ვაგზლის შენობის დიდი ღირებულების მიუხედავად, მასში არ იყო შექმნილი სათანადო პირობები მგზავრებისათვის. სწორედ ამიტომ გადაწყდა სადგურის ძველი შენობის დანგრევა და მის ნაცულად ახლის აგება, რაც ახლა მიმდინარეობს, კავშირგაბმულობის სახლის, ყოფილი ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის რეკონსტრუქციული შენობებში არის იჭირადღირებულ დეკორატიული ელემენტები, რომელთა უქონლობა არაერთხელ ზიანს არ მიაციენებდა ნაგებობებს.

სერიოზული ნაკლოვანება იყო საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივ ნაგებობათა ტიპური პროექტების უქონლობა. ტიპოზაციისა და სტანდარტიზაციის საკითხებს არაღამაკმაყოფილებლად აწესავდნენ, მაშინ როცა თბილისში მშენებლობის ტემპებისა და გაქანების ჩამორჩენის პირობებში ტიპური დაპროექტება და სტანდარტიზაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა. 1956 წლამდე თბილისში 4—5 სართულიანი სახლების მშენებლობა უმთავრესად ხორციელდებოდა ინდივიდუალური პროექტებით.

თბილისში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა

ქალაქებში, შეიმჩნეოდა „უნიკალური შენობების“ შექმნის ტენდენცია, გაზვიადებული ზედმეტობის, მოხერხებულობისა და კონსტრუქციული მიზანშეწონილობის საკითხებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ტენდენცია. ეს თავის მხრივ ამუხრუქებდა მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვას, იწვევდა მშენებლობის სამუშაოთა გაძვირებას, ხშირად ამკედრებდა მყვირალა ურემოვნობას შენობათა გარეგან და შინაგან მოპირკეთებაში. რთული ორნამენტული მორთულობით, მძიმე ლავგარდანებით, მაღალი პარაპეტებით, კოშკურა კომპოზიციებით გადაქარებულმა ვატაცებამ და ა. შ. ზედმეტობამდე მიგვიყვანა არა მარტო მშენებლობის ეკონომიკის, არამედ ნამდვილი სილამაზის თვალსაზრისითაც.

სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გადაჭრით დაგმეს არქიტექტურაში, დაპროექტებასა და მშენებლობაში დაშვებული შეცდომები, რომლებიც საგრძნობ ზიანს აყენებდნენ სახალხო მეურნეობას და ამუხრუქებდნენ მშრომელთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობათა აღმოფხვრის შესახებ“ განსაზღვრა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმის განვითარების მთავარი გზა და ყველა საბჭოთა არქიტექტორის, დამპროექტებისა და მშენებლის მოღვაწეობის საბრძოლო პროგრამა, საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში ახალი ეტაპი გახდა.

პარტიამ სხვა გრანდიოზულ ამოცანებთან ერთად დასახა დიდი ღონისძიებები საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მშრომელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრ გაუმჯობესებას, საბინაო მშენებლობის ტემპების განუწყვეტელ ზრდას. კომუნისტური პარტია ერთ-ერთ თავის მნიშვნელოვან ამოცანას ხედავს მშრომელთა საბინაო პირობების მკვეთრ გაუმჯობესებაში. მეექვსე ხუთწლედში საბინაო მშენებლობის მოცულობა ქალაქებში უნდა გადიდებულიყო მეხუთე ხუთწლედთან შედარებით თითქმის 2-ჯერ. მართლაც, ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ ბინების მშენებლობის ტემპი სერიოზულად ჩამორჩებოდა სახალხო მეურნეობის განვითარებას, ქალაქების, სამარეწველო ცენტრების ზრდას. ჩამორჩენა იყო თბილისშიც. თუმცა მეხუთე ხუთწლედში საექსპლუატაციოდ გადაიღა საგრძნობლად მეტი ახალი საცხოვრებელი ფართობი, ვიდრე მეოთხე ხუთწლედში, ზრდის ტემპი ჯერ კიდევ არ იყო დამაკმაყოფილებელი. განსაკუთრებით შეუძლებელი იყო შერჩეობდნენ საბინაო მშენებლობის გეგმების სისტემატურ შე-

უსრულებლობას, საცხოვრებელი ბინების საექსპლუატაციოდ გადაცემის ვადების გაკვიანურებას, რაც საგრძნობლად აძვირებდა მშენებლობას. ამოცანა ის იყო, რომ სერიოზულად გაუმჯობესებულიყო საბინაო მშენებლობის ორგანიზაცია, დაგეგმვები იგი ინდუსტრიულ რელსებზე, ფართოდ გაგვირავებინა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების, კომპლექსების, მასივების მშენებლობა და თბილისის პრაქტიკაში დაგვეწერა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მშენებელთა მდიდარი გამოცდილება. ამიტომაც საბინაო მშენებლობისათვის ყველაზე რაციონალური ტიპური სექციების დამუშავების საკითხებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ომამდელ წლებში თბილისის საბინაო მშენებლობაში გამოყენებული იყო საერთო საკავშირო ტიპური სექციები ზოგიერთი შესწორებებით, რომლებიც ითვალისწინებდნენ ადგილობრივ პირობებს. მაგრამ გამოცდილებამ ცხადყო, რომ მოსკოვში სსრ კავშირის სამხრეთისათვის საცხოვრებელი ბინების ტიპური სექციების დამუშავება, მათ შორის ამიერკავკასიისათვის, აბსტრაქტულად, განყენებულ ხასიათს ატარებდა, ხშირად არ ითვალისწინებდა ადგილობრივი გეოგრაფიული, კლიმატური და საყოფაცხოვრებო პირობების მრავალფეროვნებას.

ტიპური საცხოვრებელი სექციის 1946—1949 წლებში მოწყობილი კონკურსების შედეგად თბილისში რესპუბლიკის ფართო არქიტექტურული საზოგადოებრიობის, საუკეთესო შემოქმედებითი კოლექტივების, წამყვანი საპროექტო ორგანიზაციების მონაწილეობით გაჩნდა ერთსართულიანი, ორსართულიანი და 4—5 სართულიანი საცხოვრებელი სახლების რამდენიმე საინტერესო გადაწყვეტა. 1948—1949 წლებში საქართველოს სსრ რესპუბლიკისათვის დამტკიცდა ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლების ტიპური პროექტები (სერია 151, არქიტექტორები მ. ჰკადუა, ნ. სოლოვიოვა, ს. რევიშვილი, გ. თელია და ინჟინერი ი. ჭაფარიძე) და ორსართულიანი სახლებისა (სერია 209, არქიტექტორი ლ. სუმბაძე და ინჟინერი ი. ჭაფარიძე). ღია კიბეების აივნების ხერხმა, ადგილობრივი საშენი მასალების გამოყენებამ ხალხური ტრადიციებისა და ძველი თბილისის ნაგებობათა მოტივების შემოღებამ 209 სერიის პროექტს საქართველოსათვის დამახასიათებელი ეროვნული კოლორიტი შესძინა. აეტორებმა ხის კოჭების მხოლოდ სამი ტიპის გამოყენებით (2,6, 3,6 და 4,1 მალეებით) მიაღწიეს მრავალფეროვანი დაგეგმარებითი გადაწყვეტის საგრძნობ რაოდენობას სერიულობის დაცვით.

მეოთხე კლიმატური რაიონისათვის გათვალისწინებული საცხოვრებელი სექციების თავისებურებაა გამჭოლი ანუ კუთხური განიავება, საყოფა-

ცხოვრებო აივნების, ლოჯიების ან ვერანდების არსებობა, სანკვანძების მოწყობა, შეძლებისდაგვარად, პირველი შუქით და ა. შ.

4—5 სართულიანი სახლების საცხოვრებელი სექციების დამუშავებისას ორიგინალური გადაწყვეტა წარმოადგინეს არქიტექტორებმა ვ. კელიამ, გ. კანდელაკმა, ი. ჩხენკელმა, მ. შავიშვილმა და სხვებმა.

არქიტექტორმა ვ. კელიამ უარი თქვა სექციების გადაწყვეტის ჩვეულებრივ ხერხზე. სამშარშინი კიბე გამოიტანა სექციის მოცულობიდან და განალაგა ვერანდასთან თითქმის ერთ სიბრტყეზე ეზოს მხრიდან. კიბის უჯრედიდან შეიძლება მოხვედრა მისაღებში ან ვერანდაზე, რომელიც საზაფხულო სათავისა და ცხელი ჰაერის პირობებში ქმნის დამატებით საცხოვრებელ ფართობს. საერთო ოთახიდან მისაღები გამოყოფილია გასაშლელი ტიპის შემინული ტიხარით. ვერანდაზე გადის სამზარეულო და საერთო ოთახი. ვ. კელიას სექციის ნაკლოვანებად უნდა მივიჩნიოთ საერთო ოთახის ცუდი განათება, რომელიც არსებობდა გასასვლელად გადაიტყა. ასეთივე სათავსოდ იქცა სამზარეულოც. ნაკლოვანებებს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე სექციის შიდა დაგეგმარების უზუსტობა და არაკონომიკურობა.

არქიტექტორმა გ. კანდელაკმა სანკვანძი გადაიტანა ეზოს მხარეს, საერთო ოთახი განალაგა ისე, რომ იგი უერთდებოდა ვერანდასა და ქუჩის აივანსაც, მაგრამ საგრძნობლად ართულებს კონსტრუქციებს, რაც აძვირებს მშენებლობას.

არქიტექტორმა მ. მელიამ მისაღები დაუკავშირა ქუჩის მხარეს განლაგებულ ლოჯიას, ხოლო არქიტექტორმა ა. ნიკოლაიშვილმა საერთოდ უარი თქვა მისაღებზე, გამოდინარე იქიდან, რომ დასავლეთ საქართველოს ძველ გლეხურ სახლებს საერთოდ არ ჰქონდა იგი და საყოფაცხოვრებო აივანს დასავლეთი შეუძლია შეასრულოს მისაღების ფუნქციები.

ტექნიკურ-ეკონომიკური და დაგეგმარებითი თვალსაზრისით ყველაზე დამუშავებული იყო არქიტექტორ ი. ჩხენკელის საცხოვრებელი სექციები.

ი. ჩხენკელი იცავდა კიბის უჯრედის სექციის მოცულობაში განლაგების ჩვეულებრივ სქემას და საყოფაცხოვრებო აივანს აკავშირებდა მისაღებთან. ვერანდაზე გადის აგრეთვე სამზარეულოც. საერთოდ შინაგანი დაგეგმარება მკაფიოა. სექციის ნაკლოვანებებია: საერთო ოთახის გადაქცევა გასასვლელად, სანკვანძების მრავალტიპურობა, კიდურა და კუთხის სექციების არასაკმაო დამუშავება და ა. შ.

ტიპური საცხოვრებელი სექციის კონკურსების მასალების განხილვამ რესპუბლიკის არქიტექტურული საზოგადოების მიერ, ისევე როგორც არქიტექტორ ი. ჩხენკელის პროექტების განხილვამ,

მოსკოვში, სსრ კავშირის ყოფილი არქიტექტურის აკადემიის საცხოვრებელი პიანების არქიტექტურის ინსტიტუტში, ცხადყო, რომ თბილისში 4—5 სართულიანი საბინაო მშენებლობის ტიპურ დაპროექტებას ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდა. საჭირო გახლდათ ამ სამუშაოების გაგრძელება, რომ უახლოეს ხანში შექმნილიყო ყველაზე ეკონომიკური ტიპური სექციები სამშენებლო პრაქტიკაში მათი ფართოდ დანერგვისათვის.

თბილისს დიდი ხნის მანძილზე არ ჰქონდა 4 და 5 სართულიანი სახლის ტიპური პროექტი და დამპროექტებლები იძულებული იყვნენ გამოეყენებინათ მხოლოდ ტიპური სექციები. ღარიბი იყო სხვადასხვა ტიპის სკოლების, საბავშვო ბაღების, ბაგების პროექტების არჩევანი და ა. შ. არქიტექტურათა მეცადინეთა ამ მიმართულებით შესუსტდა, რის შედეგადაც მშენებლობის აღმოჩნდნენ საქარზო დამზადების საშენი ნაწარმის ერთიანი კატალოგით გაერთიანებული საცხოვრებელი სახლების ტიპური პროექტების საჭირო ნაკრების უქონლობის ფაქტის წინაშე.

ტიპური საცხოვრებელი სექციები თბილისისათვის, საქართველოს სსრ რესპუბლიკისათვის დამტკიცდა 1953 წელს. მათში გათვალისწინებული იყო მშენებლობის ზოგიერთი კლიმატური, ყოფითი და სხვა ადგილობრივი თავისებურებანი, ნაწილობრივ განხორციელდა მოცულობით-დაგეგმარებით ელემენტების უნაღვალა. მაგრამ ტიპურ სექციებს ჯერ კიდევ ჰქონდათ ნაკლოვანებები (კაბიტალური კედლების ზედმეტი გადატვიხვა, საერთო ოთახის შედარებით მცირე ფართობი და ა. შ.).

1955 წლის დამლევდამ ხორციელდება ენერგიული მუშაობა საქალაქო მშენებლობაში საცხოვრებელი სახლების ახალი ტიპური პროექტების შექმნისათვის. ამ მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისის, ბაქოსა და ერევნის წამყვანი საპროექტო ორგანიზაციები. შეიქმნა საცხოვრებელი სახლების ერთიანი პროექტები ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის. სსრ კავშირის სახმშენის დავალებით სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა „საქალაქმშენპროექტმა“ 1955 წელს შექმნა და 1956 წელს დაამტკიცა ახალი ტიპური საცხოვრებელი სექციები, რომლებშიც ყველა ძირითადი მოცულობით-დაგეგმარებითი და სტრუქტურული ელემენტები უნიფიცირებული იყო. საქართველოს სსრ რესპუბლიკისათვის ტიპური საცხოვრებელი სექციების შექმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 3—5 სართულიანი საცხოვრებელი სახლების ტიპური პროექტების სრულიად საკავშირო

კონკურსმა, რომელიც მოაწყვის 1956 წელს სახმშენმა და სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირმა „დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობათა აღმოფხვრის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად. განივი მზიდი კედლების მქონე ყველაზე ეკონომიკური სექციების პროექტისათვის კონკურსში მეორე პრემია მიენიჭათ არქიტექტორებს მ. შავიშვილს, ზ. ცეკიტიშვილს, ა. კირთაძეს და სხვებს. გამოვლი მზიდი კედლების მქონე ტიპური სექციების გადაწყვეტისათვის წამახალისებელი პრემია კონკურსში მიენიჭათ არქიტექტორთა ჯგუფს (ზ. ქურდიანი, ს. რევიშვილი, გ. თაუდგირიძე, დ. ჩოფიკაშვილი და სხვები).

ტიპური პროექტით თბილისში 1957 წელს აგებულ სახლებში პირველად იქნა გამოყენებული ასაკრები სამშენებლო ელემენტები, მათ შორის მსხვილი მსუბუქბეტონიანი საკედლე ბლოკები, ბუნებრივი ქვით გაფაქტურებული.

საინტერესო აღმოჩნდა სექციებიანი სახლები თბილქალაქპროექტის კომპაქტური მკაფიო კონსტრუქციული გადაწყვეტით, აგრეთვე საქსახპროექტის მიერ რუსთაფისათვის შემუშავებული საცხოვრებელი სახლების პროექტები (არქიტექტორები: ლ. სუმბაძე, ბ. სუმბაძე), დაპროექტებულია სახლ-ნაკვეთურები ისეთი ვარაუდით, რომ მათგან შესაძლებელი ყოფილიყო სხვადასხვა საცხოვრებელი კომპლექსების შედგენა.

პარტიასა და მთავრობის მიანდათ, რომ საბინაო მშენებლობის შემდგომი განვითარება ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავიანთ 1957 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებაში „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“ დასახეს ამოცანა — მოკლე ხანში მიეღწიათ საბინაო ფონდის საგრძნობი მატებისათვის, რომ უახლოეს 10—12 წელიწადში ჩვენს ქვეყანაში ბოლო მოღებოდა ბინების უქმარისობას. ჩვენს ქვეყანაში საბინაო მშენებლობის დასახული გრანდიოზული პროგრამის შესრულებისათვის დამატებით შესაძლებლობათა შექმნის მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1958 წლის ოქტომბერში მიიღეს დადგენილება აღმინისტრაციული, სასპორტო და სხვა საზოგადოებრივი შენობებზე და ნაგებობათა მშენებლობისათვის ფუნდური სახსრებისა და მატერიალური რესურსების ხარჯვის მოწესრიგების შესახებ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის შედეგად ქალაქი თბილისი დღით

დღე სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება. საქალაქო მეურნეობას ყოველწლიურად ხმარდება

უზარმაზარი სახსრები, რაც ასობით მილიონი მანეთით აღირიცხება. დიდდება კაპიტალდამზღვრებიანი საბინაო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების მშენებლობაზე. საკმარისია ითქვას, რომ 1962 წელს თბილისის საბჭოს აღმასკომის ხაზით საბინაო მშენებლობაში დაბანდებულ იქნა თითქმის 2,5-ჯერ მეტი სახსრები, ვიდრე 1956 წელს.

დიდი ყურადღება ეთმობა მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებას. 1940 წელს ქალაქის საცხოვრებელი ფონდი 1926 წელთან შედარებით გადიდა ორჯერ. თუ 1950 წელს ქალაქის განსახორციელებელი საბინაო ფონდი უზრუნველყოფილი იყო წყალსადენით 78,1 პროცენტით, კანალიზაციით — 76,2 პროცენტით, ცენტრალური გათბობით — 9,4 პროცენტით, 1980 წლის 1 იანვრისათვის წყალსადენით უზრუნველყოფილი იყო 100 პროცენტით, კანალიზაციით 97,5 პროცენტით, ცენტრალური გათბობით — საბინაო ფონდის 69,2 პროცენტით.

1957 წლის 1 მაისისათვის თბილისის დაამშენებანი ვარაზისხევის ახალმა კეთილმოწყობილმა მაგისტრალმა. ვარაზისხევის ქუჩის ტრასა გადის ხეგზე მდინარე ვერეს გადაკვეთით. იგი უმოკლესი გზაა ქალაქის ორ დიდ რაიონს ეკესა და საბურთალოს შორის, ი. ჭავჭავაძის პროსპექტს აკავშირებს საბჭოთა კავშირის გმირთა მოედანსა და ვავზლის მოედანთან. ახალი ქუჩის გაყვანით ვაკის რაიონის მცხოვრებლებმა მიიღეს ლამაზი და მოხერხებული მაგისტრალი. ამასთან საგრძნობლად განიტვირთა მელოქიშვილისა და ლენინის ქუჩები.

ახალი ქუჩის სიგრძე 500 მეტრია, სიგანე — 30 მეტრი, მათგან სამოძრაო ნაწილი 24 მეტრის ტოლია, ხოლო ტროტუარებს აქვთ სამი მეტრი სიგანე. განხორციელებულია ვარაზისხევის ფერდობების გზისა და ფიქრის გორას მიმდებარე უბნის კეთილმოწყობის სამუშაოები. აქ ძირითადად დარგულია მსხვილფეხიანი წიწვოვანი ჯიშები.

1957 წელს დიდი სამუშაოები განხორციელდა აგრეთვე ლენინის რაიონში ოქტომბრის ქუჩის გაფართოება-რეკონსტრუქციისათვის. გაფართოება ძირითადად მიღწეულია რკინიგზის ტერიტორიის და, ნაწილობრივ, ნაგებობათა ადების ხარჯზე. ოქტომბრის ქუჩის მონაკვეთი, ხუდადოვის ქუჩიდან რკინიგზის გზაგამტარამდე (ყოფილი მაღალკინის მოედანი), რომელიც ლენინის რაიონის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს, ძირითადი მაგისტრალია ქალაქის დიდი ადმინისტრაციული რაიონის კავშირისათვის.

მაგრამ არსებული ქუჩის სიგანე, რაც 16 მეტრს უდრდა, ტრამვაის მოძრაობისას ვერ აღიწერდა ავტოტრანსპორტის გაზრდილ ნაკადს. ამის შედეგად ხშირი იყო „საკობი“ ტრანსპორტის

მოძრაობაში, ფეხით მოსიარულეებს საფრთხე ემუქრებოდა. ქუჩის სიგანე ახლა 16-ის ნაცვლად 28 მეტრია. რეკონსტრუირებული მონაკვეთის სიგრძე — 900 მეტრი. ტროტუარის სიგანე განაშენიანების მხარეს 5 მეტრია. ქუჩის გასწვრივი დახრა შემსუბუქებულია 5 პროცენტამდე გზაგამტარის შესაყართან. ქუჩის გაფართოებამ რკინიგზის მხარეს მოთხოვა 10 მეტრი სიმაღლის საყრდენი კედლის აგება ქვის პარაპეტის მოწყობით.

1957 წელს თბილისში დაიწყო ქალაქის გაზიფიკაციის სამუშაოები თხევადი გაზის ბაზაზე ბალონებით გაზის მომარაგების ორგანიზაციისათვის. ამან საშუალება მისცა მოსახლეობას მომზადებულიყო ბუნებრივი გაზის მისაღებად. 1957 წელს ფართოდ გაიშვა სამუშაოები გაზგამანაწილებელი ქსელის გაყვანისათვის, სამარეველო ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების ნაწილის გაზიფიკაციისათვის; 1958—1959 წლებში კეთილმოეწყო ქუჩების საგრძნობი რაოდენობა, რომელთა შორისაა ესტაკადა ელბაქიდის სახელობის დაღმართზე, მოსკოვის პროსპექტი, გზა მთაწმინდის ფერდობებზე, გასწვრივი ქუჩა, რომელიც ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს დიდუბის ხიდან აკავშირებს, მაგისტრალური გზა ვაკე-საბურთალო და სხვა. დიდი სამუშაოები განხორციელდა სკოლების, საავადმყოფოების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და ფიზკულტურულ-სპორტულ ნაგებობათა ქსელის გაფართოების, ქალაქის გამწვანებისა და მოსახლეობის წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის.

ავტოტრანსპორტის საგრძნობი განვითარებისა და თბილისში სხვადასხვა ნაკადის ინტენსიური მოძრაობის ზრდის შედეგად ბევრ მოედანსა და მაგისტრალზე შეიქმნა არანორმალური მდგომარეობა. ერთ-ერთი ასეთი რთული კვანძი იყო რუსთაველის მოედანი. როგორც გამოირკვა, თვით მოედნის რეკონსტრუქცია არ განტვირთავდა მოძრაობისაგან ამ მნიშვნელოვან კვანძს და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გაესწორებინათ ელბაქიდის დაღმარითი და იგი ესტაკადით დაეკავშირებინათ რუსთაველის გამზირთან.

1958 წელს ესტაკადა მოეწყო მონაკვეთზე, სადაც ხევის სიღრმე 27—28 მეტრს აღწევს. ესტაკადა შედგება ერთმანეთისაგან 6 მეტრ მანძილზე ცალ-ცალკე მდგომი 8 პილონისაგან. ელბაქიდის დაღმარათის გასასწორებლად გამოიყენეს პილონების ორიგინალური კონსტრუქცია საყრდენი კედლის ნაცვლად, რამაც მნიშვნელოვანი სახსრები დაზოგა. ქალაქმა მიიღო ახალი მაგისტრალი, რომელმაც განტვირთა ტრანსპორტის თავმოყრისაგან რუსთაველის მოედანი. გზის აქვს საერთო სიგანე 27 მეტრი; სამოძრაო ნაწილის სიგანე 18 მეტრია, ტროტუარებისა — 4,5 მეტრი. გზის სრულ-

ლი სივრცე 279 მეტრია. ესტაკადის სივრცე — 48 მეტრი. გზა მთელ მანძილზე შემოღობილია ჩვეულებრივი ტიპის საურდენი კედლებით.

ამ ობიექტის მშენებლობის განხორციელებისას გათვალისწინებული იყო ისეთი მნიშვნელოვანი გარემოება, როგორც არის ქალაქის ამ ნაწილს სანიტარული მდგომარეობის მოწესრიგება, აგრეთვე ბარაკების აღება. რუსთაველის გამზირთან გაჩნდა ახალი მოედანი*.

ახალი ქუჩის — ვარაზიანხევის გაყვანის შემდეგ დაიწყო ვაკესა და საბურთალოს რაიონების დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალის მშენებლობა „ლოკომოტივის“ სტადიონთან ახლოს. ახალ გზა ერთმანეთთან აკავშირებს საბურთალოს მხრიდან პავლოვის ქუჩას, ხოლო ვაკის მხრიდან — ი. ჭავჭავაძის პროსპექტს ვაკის პარკის ათავაზ ნესესკულსა და ფიჭულბუჩის ინსტიტუტთან.

ამ მაგისტრალმა ერთმანეთთან დააკავშირა ქალაქის ორი რაიონი და საგრძნობლად განტვირთა ი. ჭავჭავაძის პროსპექტი.

გზის სიგანე 50 მეტრია, აქვს ცენტრალური ხეივანი (სიგანე 22 მეტრი), რომლის ორივე მხალეს მოწესრიგებულია 12 მეტრი სიგანის საშობარო ნაწილი და 2 მეტრიაანი ტროტუარები.

ცენტრალური ხეივნის გამწვანება ხდებოდა წიწვოვანი და ფოთლოვანი წიშის მსხვილდერობიანი ხეებით. ეს ერთ-ერთი პირველი მაგისტრალია ქალაქ თბილისში ფართო ცენტრალური ხეივით.

ქალაქის კეთილმოწყობისათვის დიდი საშუალებები განხორციელდა თბილისის 1500 წლის თავთან დაკავშირებით (1958 წლის ოქტომბერი). აქავე წერეთლის განზიარებულ ნიქლე ხანში აიგო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მდგრადი განვითარების პერიოდები. დამთავრდა ახალი აგროვაგზის მშენებლობა (არქიტექტორები ვ. ბერიძე, გ. ელკინი, გ. კრეკელიძე). მისი მიზნებზე ტერიტორია და გზა გააწვანდა და კეთილმოეწყობა. თბილისი გამდიდრდა ტრანსპორტის კიდევ ერთი სახეობით — ნუსხბრში ჩაღმა რუსთაველს ნოვლის ფუნქციონირების ზედა პლატოსთან დამაკავშირებელი საბაგრო გზა. ტრანსპორტის იაფი სახეობა — საბაგრო გზა თბილისის მთიანი რელიეფის პირობებში გადაადგილების ერთ-ერთი ეფექტური საშუალება გახდა. გზის სიგრძეს — 938 მეტრი — ეკუთვნის 3 წუთში ფარავნი. მთარე საბაგრო გზა აკავშირებს დიდუბისა და საბურთალოს რაიონებს. ნუსხბრ — ვაკე და კუს ტბას, მეოთხე — საბურთალოსა და ლისის ტბას.

ქალაქის ერთ-ერთი უღამანესი ახალი კუთხე შეიქმნა მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ორთაქალის პლანეტოლოგიისა და გეოლოგიის ინსტიტუტის პრობლემა*.

პირველი საშუალო სკოლის შენობასთან ახლად შექმნილ სკვერში რუსთაველის პროსპექტზე დაიდგა დიდი ქართული კლასიკოსების ი. ჭავჭავაძის და ა. წერეთლის ძეგლი (მოქანდაკეები შ. მიქაბაძე, ვ. თოფურიძე, არქიტექტორი გ. მელქაძე).

ქალაქ თბილისის 1500 წლის თავისათვის დამთავრდა სანაპირო მშენებლობა მტკვრის მარცხენა მხარეზე კ. მარქსის ხიდიდან მეტეხის ახალ ხილამდე. ხოლო მარჯვენა სანაპირო დაუკავშირდა ქუჩას.

თბილისში მტკვრის სანაპიროების მშენებლობას შეუდგნენ 1930 წელს: საბჭოთა ხელისუფლების დასაარსებლად მტკვრის ნაპირები წარმოადგენდნენ სიბინძურის თავმოყრის ადგილებს, ნაგავსაყრელ, ანტისანიტარიის კერებს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დასაარსების შემდეგ დაიწყო სანაპირო ზოლების კეთილმოწყობა მტკვრის ორივე ნაპირზე, რაც შეიცავდა სანაპირო საქალაქო მაგისტრალის შექმნას გამწვანებითურთ.

ბარათაშვილის ხიდიდან ორთაქალქესამდე მარჯვენა სანაპიროს მონაკვეთის მშენებლობა დაიწყო 1952 წელს პეისის მშენებლობასთან ერთად. არსებითად, ეს არის ქალაქის ცენტრში მდინარე მტკვრის გაწვლიანების კომპლექსის ნაწილი. 1958 წელს დაიწყო სამუშაოები სანაპიროს მონაკვეთის კეთილმოწყობისათვის ბარათაშვილისა და მეტეხის ხიდებს შორის, ამით საგრძნობლად განიტვირთა ლესელიძის ქუჩა. 1959—1961 წლებში რეკონსტრუირებული იქნა მონაკვეთი აბანოს ქუჩიდან ორთაქალქესამდე. განხორციელდა ბარათაშვილის, ფალაშვილის, პავლოვისა და ა. შ. ქუჩების კეთილმოწყობა.

1961 წლის მაისში საბჭოთა საქართველოს 40 წლის თავის ზეიმის დღეებში დაიდგა ობელისკი 300 არაგველის — თბილისისა და ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის 1795 წელს სოფელ კარწანისში დაღუპულ სახალხო გმირთა ხსოვნის პატივსაცემად (ავტორი — არქიტექტორი ა. ბაქრაძე). მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მოზრდილ საცხოვრებელ კომპლექსებს შორის წამოიშობა ა. გრიბოედოვის ძეგლი (მოქანდაკე მ. მერაბიშვილი, არქიტექტორი გ. მელქაძე).

მშენებლობა, განსაკუთრებით საბინაო, თბილისში უწყანასკნელ წლებში ფართო გაქანებას იძენს. კაპიტალური მშენებლობის ტემპების დაჩქარებაზე კეთილმოყოფელი გავლენა მოახდინა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ, წერილი, გაფანტული სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილებამ. თბილისში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში, სამშენებლო ორგანიზაციათა კონცენტრაციისა და გამსხვილების გამოცდილებამ ძალზე კარგი შედეგები მოგვცა. მრავალრიცხოვანი წერილი სამშენებლო

* რუსთაველის ნოვლის შესახებ ისილეთ რედაქციის ცენტრის პრობლემა*.

ორგანიზაციების გაუქმებამ, მათმა გამსხვილებამ და მძლავრი სამშენებლო სამმართველოს მთავართბილმშენის შექმნამ (1957 წლიდან) ხელსაყრელი გავლენა მოახდინა საბინაო მშენებლობის ტემპებზე. თუ მეხუთე ხუთწლეულში თბილისში აიგო 161 530 კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, 1956—1957 წლებში აიგო და საქეპსლოატაციოდ გადაიყა თითქმის 168 ათასი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი.

პარტიამ დასახა ჩვენს ქვეყანაში ახალი ეტაპის გრანდიოზული პროგრამა. ყველა რესპუბლიკაში, რაიონსა და ქალაქში ამ პროგრამის შესაბამისად გაჩაღდა არსებული მშენებლობა. 1956—1960 წლებისათვის დასახული სახელმწიფო საბინაო მშენებლობის გეგმა წარმატებით შესრულდა. ხუთ წელიწადში აიგო მეტი სახლი, ვიდრე წინა თხუთმეტ წელიწადში.

1962—1965 წლებში ჩვენს ქვეყანაში აიგო დაახლოებით 400 მილიონი კვადრატული მეტრი ბინა, ანუ 1,6-ჯერ მეტი, ვიდრე მეოთხე და მეხუთე ხუთწლეულებში ერთად აღებული. სოფელ ადგილებში აიგო 4 მილიონზე მეტი სახლი. შექმნილია ყველა პირობა პარტიის მიერ დასახული საბინაო მშენებლობის დიდი პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.

თბილისის ახალმშენებლობებზე სულ უფრო გაბედულად იყენებენ მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებს, ეძიებენ ახალ საშენ მასალებს, კონსტრუქციებსა და დეტალებს და ა. შ. შეიქმნა საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და სხვა საზოგადოებრივი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა უნიფიცირებული ტიპური პროექტები. 1956—1958 წლებში თბილისის სხვადასხვა რაიონში, განსაკუთრებით კომპლექსური განაშენიანების რაიონში — საბურთალოსში, აიგო მსხვილბლოკიანი საცხოვრებელი სახლები, საცხოვრებელი სახლები თბილქალაქპროექტისა და საქქალაქმშენპროექტის ტიპური პროექტებით და ა. შ. 1956 წელს საბურთალოში დაიწყო და 1961 წელს დამთავრდა დახურული სადემონსტრაციო 10 000-ადგილიანი დარბაზის — სპორტის სასახლის მშენებლობა (არქიტექტორები: ვ. მეხსიშვილი, ი. კასრაძე, ინიჩინერი დ. ქაჯაია).

თბილისის მშენებლობებზე უკანასკნელ ხანს, განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის ივნისის პლენუმის შემდეგ, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის კურსია აღებული. საბჭოთა კავშირის მსხვილი ქალაქების (მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, მინსკი) მოწინავე მშენებლობათა გამოცდილებამ გვიჩვენა მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების უდავო უპირატესობა. პროგრესული კონსტრუქციების გამოყენების გამოცდილება, მსხვილბლოკიანი და

მსხვილბლოკიანი სახლების აგების პრაქტიკა, ავტომატიზაცია სულ უფრო ფართოდ ინერგება რესპუბლიკის დედაქალაქის მშენებლობებსა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში. მთავართბილმშენის ქარხნებსა და ბაზებში მკვეთრად გაიზარდა გამოშვებული ასაწყობი რკინა-ბეტონის ნაწარმის მოცულობა.

თბილისში მარტო საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხაზით 1959—1965 წლებში აიგო 705 ათასი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი. ეს ნიშნავდა, რომ საშუალოდ ყოველწლიურად მარტო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხაზით გადაიყმოდა 150 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. მეტი ყურადღება დაეთმო ინდივიდუალური და კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობას მოსახლეობის სახსრების ხარჯზე და სახელმწიფო კრედიტის მეშვეობით.

საბინაო მშენებლობის დიდი პროგრამა შეიძლებოდა განხორციელებულიყო კომპლექსური განაშენიანების კვარტალებში, თავისუფალ ტერიტორიებზე, არსებული ბინების აულებლად, მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების გამოყენებით.

1959—1965 წლების გეგმით ყველა სახელმწიფო მშენებლობა თბილისში განხორციელდა ქალაქის 4 მოზრდილ მასივში — საბურთალოში, ღრმაღელეში, 26 კომისის რაიონში, დიღმის გზატკეცილის გასწვრივ.

ახალი საცხოვრებელი მასივი საბურთალოში გენერალური გეგმით შენდებოდა 1956 წლიდან. არსებითად, ეს იყო დიდი საცხოვრებელი მასივის კომპლექსური განაშენიანების პირველი ცდა (დაგეგმარების პროექტის ავტორები: ა. ბაქრაძე, დ. გრძელიძე, ი. ყავლაშვილი, შ. ყავლაშვილი). მასივის განაშენიანების ინტენსიური სამუშაოები დაიწყო 1957 წლიდან. თავიდან ტერიტორიის დიდი ნაწილი თავისუფალი იყო განაშენიანებისაგან. მხოლოდ 45 ჰექტარ ფართობის მონაკვეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი იყო დაკავებული სხვადასხვა ხასიათის ნაგებობებით. ეს იყო საბურთალოს აგურის ქარხანა, ტროლიბუსის დეპო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი და საცხოვრებელი სახლები, როგორც ერთსართულიანი, ისე 4—5 სართულიანებიც.

ამ ტერიტორიის 33,3 ჰექტარი იმ დროისათვის გამოუყენებელი იყო განაშენიანებისათვის (დელისის მთიანეთის ხეები და დამრეცი ფერდობები). უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის თანახმად მთის ფერდობები ტყე-პარკად გადაიქცა, რამაც თავის მხრივ გააუმჯობესა ახალი რაიონის მიკროკლიმატი.

ამგვარად, 370 ჰექტარი ტერიტორიიდან განა-

შენიანებისათვის გამოსადევი იყო მხოლოდ 265 ჰექტარი. მათგან მრავალსართულიანი განაშენიანებისათვის გამოიყო 100 ჰექტარი საერთო ფართობის კვარტალები. ინდივიდუალური განაშენიანებისათვის — 40. მრავალსართულიანი საბინაო მშენებლობა განლაგებულია ინდივიდუალური განაშენიანებისა და ტყე-პარკის მონაკვეთს შორის. ცნობლია, რომ თბილისში არსებული კვარტალები-ს ფართობი საშუალოდ 0,6 ჰექტარს არ აღემატება, საბურთალოს რაიონში კვარტალების ფართობი 10—11 ჰექტარს უდრის. ამ შემთხვევაში საგრძნობლად მცირდება ქუჩების რაოდენობა, გარდა ამისა, თანამედროვე ქალაქმშენებლობის პრაქტიკის შესაბამისად 10—11 ჰექტარი ფართობის კვარტალები ქმნიან საუკეთესო პირობებს შიდა კვარტალური სივრცის ორგანიზაციისათვის, მისი დიფერენციაციისათვის. მაგალითად, საცხოვრებელი შენობების გარდა, კვარტალებში არის გამწვანებული ტერიტორია მოზინადრეთა დასვენებისათვის, ტერიტორია სასპორტო და სათამაშო მოედნებისათვის, საცურაო აუზები. საცხოვრებელი კვარტალი იზოლაციის თვალსაზრისით მაქსიმალურად არის განტვირთული სხვა ტიპის ნაგებობებისაგან. კვარტალს გარეთ მოთავსებულ უბანზე განლაგებულია სკოლა და სხვა საბავშვო დაწესებულებები.

საბურთალოს რაიონში საბინაო მშენებლობის კომპლექსურ განაშენიანებაში განლაგდა თითოეული 5-დან 8 ჰექტარამდე ფართობის 7 გამსხვილებული კვარტალი, რომლებიც განაშენიანდა 4 და 5 სართულიანი სახლებით.

თავდაპირველად საბურთალოს საცხოვრებელ მასივში შენდებოდა ხუთსართულიანი მსხვილებლოიანი სახლები, შედგომში მასივის მთავარი ქუჩები განაშენიანდა რუსსართულიანი სახლებით, რომელთაც საფუძვლად უდევთ იმავე ხუთსართულიანი სახლის დაგეგმარება*.

საბურთალოს საცხოვრებელ მასივში, რომელიც ქალაქის მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს, ზევრი კარგი და საინტერესო გაკეთდა, მაგრამ მაინც აქ არ არის ის, რაც თბილისს, ამ მშენიერ ქალაქს შეეფერება. სოციალისტური ხუროთმოძღვრების ახალმა ხარისხმა, რომელშიც ჰარმონიულად შეირწყმოდა მოხერხებულობა, სილამაზე, ეკონომიკურობა, სიმტკიცე და მრავალფეროვნება, საბურთალოს საცხოვრებელ მასივში ვერ პოვა თავისი განხორციელება.

საბურთალოს საცხოვრებელი მასივის განხორციელებისას არ იყო შესრულებული პროექტით გათვალისწინებული ზოგიერთი გეგმარებითი წინადადება და ამან გარკვეულწილად გავლენა იქონია როგორც დაგეგმარების სტრუქტურაზე, ისე ახალი რაიონის სიერკონტრე-კომპოზიციურ წყო-

ბაზე. მონოტონურობას მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო იმან, რომ მასივის დიდი ნაწილი განაშენიანებულია დაბალი არქიტექტურულ-მხატვრული ღირსების ტიპური სახლებით**.

ნათლულში 26 კომისრის რაიონში კომპლექსური მშენებლობისათვის გამოყოფილია 60 ჰექტარი ფართობის ტერიტორია, რომელზეც განლაგდა თითოეული საშუალოდ 5 ჰექტარამდე 9 გამსხვილებული კვარტალი, მათგან 8 კვარტალი გამოიყო ტიპური, ეკონომიკური, მსხვილბლოკიანი 4 და 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, რომლებშიც 17 ათასზე მეტი მოზინადრე ცხოვრობს, ხოლო ერთი კვარტალი დაეთმო სპეციალურად სკოლის შენობასა და პოლიკლინიკას. აქაც, ისევე როგორც საბურთალოს რაიონში, მრავალსართულიანი განაშენიანების მასივის მიმდებარე 34,5 ჰექტარი ფართობის მთის ფერდობები გამოყოფილია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის.

კომპლექსური საბინაო მშენებლობის ორივე ამ რაიონში, ერთ მცხოვრებზე საცხოვრებელი ფართობი 9 კვადრატული მეტრია, ერთ ჰექტარზე მოსახლეობის რაოდენობა 470 კაცს შეადგენს, რაც შეესაბამება თანამედროვე ქალაქმშენებლობის ნორმებს.

დილოში ახალი საცხოვრებელი რაიონის (არქიტექტორი ა. ჯიბლაძე, ნ. მიქაძე, ი. მოსულიშვილი, ი. ჩხენკელი), დაგეგმვისა და განაშენიანებისათვის გამოიყო მონაკვეთის ტერიტორია დიდუბის ხიდიდან მდინარე მტკვრის დინების მარჯვენა მხარეს მცხეთის მიმართულებით 2200 ჰექტარი ფართობით.

გენერალური დაგეგმარების პროექტის თანახმად დილოში ამ ტერიტორიაზე განლაგებულია საცხოვრებელი კვარტალები, კულტურულ-საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მწვანე მასივები, მოედნები და ა. შ. 150 ჰექტარი ფართობის ტერიტორიისათვის შედგენილია განაშენიანების დეტალური პროექტი. ეს ცალკეული საცხოვრებელი რაიონი წარმოადგენს დილოში მთელი დაგეგმარების ერთ-ერთ ნაწილს, რომელიც განლაგებულია საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ. ეს ტერიტორია გამწვანებულია და თავისუფალია მოზრდილი ნაგებობისათვის.

ქალაქის ზრდისა და განვითარებისათვის ამ ტერიტორიის განაშენიანება ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი უშუალოდ არის დაკავშირებული თბილისის ბევრ რაიონთან.

* თ. კვიციანი. თბილისის არქიტექტურა. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1982, გვ. 130 (რუსულ ენაზე).

** იქვე.

კვარტალები იქმნება 4 და 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლებით, თავისუფალი განაშენიანების პრინციპით. დეტალური დაგეგმვის პროექტის თანახმად წარმოდგენილია 6 გამსხვილებული საცხოვრებელი კვარტალი. ტერიტორია დაყოფილია აგრეთვე უბნებად კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა შენობების აგებისათვის.

გაშენდა მაგისტრალები, ბუღარები და ქუჩები, მაგისტრალიდან დაწყებული არსებული ხეივანი, რომელიც დიდუბის ხიდს საქართველოს სსრ-ს ხედრო გზასთან აერთებს, დაკავშირებულია მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსის ტერიტორიასთან.

დღმის მასივი ოდესღაც მშენიერი, თავისი ისტორიული წარსულით შესანიშნავი ადგილი, თავისებური კარიბჭე იყო, საიდანაც იწყებოდა შემოსასვლელი ქალაქში ჩრდილო-დასავლეთიდან, რესპუბლიკის მთავარი მაგისტრალიდან — საქართველოს სამხედრო გზიდან, მეგობრობისა და ძმობის გზიდან. ეს მასივი, ისევე როგორც ამ ბოლო წლებში აშენებული ბევრი სხვა საცხოვრებელი მასივი, გამოიყურება უფერულად, ულახათოდ, სახეს უკარგავს მილიონიანი ქალაქის მთელ რაიონებს და რაც უფრო მეტი გაქანება ენიჭება საბინაო მშენებლობას, მით უფრო აუცილებელი ხდება საცხოვრებელი სახლების არქიტექტურის გაუმჯობესება.

თბილისი საქართველოს სახეა და ამიტომ მისი ცალკეული მიკრორაიონების არქიტექტურული ანსამბლების შექმნის დროს თავის დროზე საჭირო იყო, უფრო სრულად გამოეყენებინათ ის ხელშემწყობი პირობები, რომლებსაც ქმნის ადგილობრივი კლიმატის თავისებურება და ქალაქის ტერიტორიის რელიეფის მრავალფეროვნება, ყოველნაირად შეენარჩუნებინათ მისი ლანდშაფტის დამახასიათებელი თავისებურებანი, ახლებურად შეეხამებინათ საცხოვრებელი უბნების კომპოზიციასთან მწვანე მასივები, სპორტული კომპლექსები, მცირე არქიტექტურული ფორმები, დეკორატიული სკულპტურა და სიძველის ძეგლები.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში დედაქალაქის სამშენებლო ინდუსტრიის განვითარების მიზნით მილიონობით მანეთი დაიხარჯა, ამან ჯერჯერობით მაინც ვერ გამოიღო საჭირო შედეგი. ეს იმიტომ, რომ სახლთმშენებელი საწარმოების, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების შედგენის ვადები 7—8 წლით გაჭიანურდა. ამ საწარმოების მშენებლობის დამთავრების მომენტისათვის საპროექტო-ტექნიკური გადაწყვეტა და საქარხნო ტექნოლოგია უკვე მოძველდა და ვერ უპასუხებდა დღევანდელი მოთხოვნებს. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, კერძოდ, ლილოს № 1 სახლთმშენებელი

კომბინატი, რომელიც უშვებდა „№ 127“ სერიის სახლებს. ამ ტიპის საცხოვრებლების პროექტი დამუშავდა ჯერ კიდევ 1971 წელს, როცა ყველაზე პროგრესულად ითვლებოდა დაპროექტებია ზლო-სექციური სისტემა.

აქამად, იქმნება მსხვილბანელიანი სახლებისა და სახლთმშენებელი საწარმოების დაპროექტებისა და მშენებლობის ისეთი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ასალი, შედარებით ეფექტური სავარტო-რესპუბლიკური კატალოგის დანერგვას. ეს სისტემა უნდა მოიცავდეს სამ ძირითად მხარეს საპროექტო-სამშენებლო პროცესის: არქიტექტურულ დაგეგმარებას, ნაკეთობათა კონსტრუქციულ გადაწყვეტას, ტექნოლოგიურ დამზადებასა და მონტაჟს. ეს შესაძლებელი გახდის შედარებით მოკლე დროში ახალი კატალოგის მიხედვით ავთენისით მსხვილბანელიანი სახლთმშენებლობისათვის საჭირო ნაკეთობა და მის საფუძველზე დავაპროექტოთ სხვადასხვა კონფიგურაციის სახლები.

კომპლექსური განაშენიანების მასივებში მშენებლობის ფართო ინდუსტრიალიზაციის განხორციელების შედეგად 1958—1961 წლებში თბილისში აიგო 2,2-ჯერ მეტი საცხოვრებელი სახლები, ვიდრე შესაბამის წინამორბედ პერიოდში. მართლაც სამასივში აიგო და გადაიკა 200 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, რომელშიც ცხოვრობს 25 ათას კაცზე მეტი.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ნაყარაუდევია ქალაქის ცენტრალურ ნაწილშიც. 200 ბინიანი საცხოვრებელი სახლი სანაპიროზე (არქიტექტორები: გ. მეღვიძე, შ. ყავლაშვილი, ლ. ხარაშვილი. 1959—1964 წწ.). მარცხენა სანაპიროს განაშენიანება ვერისა და კ. მარქისის ხიდებს შორის ახალი სახლებით მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობდა საბინაო პრობლემის გადაწყვეტას.

ახალი საცხოვრებელი სახლები აშენდება ქალაქის ცენტრალურ ნაწილშიც, უმთავრესად, რეკონსტრუქციისათვის გათვალისწინებულ მონაკვეთზე მოძველებული ავარიული სახლების აღებით.

ახალი საბინაო მშენებლობის განხორციელება ძირითადად თავისუფალ მასივებში არსებულ გაფართოებასა და გაუმჯობესებასთან ერთად ითვალისწინებს ქალაქის კომუნალური მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის უზარმაზარმა პროგრამამ 1959—1965 წლებში დამპროექტებლებს დაუსახა ობტიმალური ტიპური პროექტების შექმნის ამოცანა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრების თანახმად, ბინების უქმარისობის ლიკვიდაცია უნდა განხორციელებულიყო უახლოეს ათ-

წლებში, მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების საშუალოდ 60—65 პროცენტის გაზრდით და 1965 წლის დამლევსათვის მშენებლობის ღირებულების 14 პროცენტით შემცირების გზით.

„საქსახქალაქმშენპროექტმა“ შემუშავა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ტიპური პროექტების სერია ეკონომიკური ბინებით № 1-319—ს, რომელიც ერთი ოჯახის ჩასახლება-ლად არის განკუთვნილი. შემუშავდა აგრეთვე გაღვივების ტიპის საცხოვრებელი სახლები მცირერიცხოვანი ოჯახებისათვის. კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა — სკოლების, ინტერნატების, საბავშვო დაწესებულებათა, აბანოების, სასტუმროების, კინოთეატრების, კლუბებისა და საავადმყოფოების ტიპური პროექტები. გამოცა საცხოვრებელი და სამოქალაქო შენობების ტიპური პროექტების კატალოგი. კატალოგში საცხოვრებელი სახლების ტიპური პროექტები გაერთიანებულია აღნიშნულ სერიაში 1-319—ს, რომელსაც საერთოდ დაგეგმარებითი და კონსტრუქციული სქემა, საქარხნო წესით დამზადებული უნიფიცირებული საშენებლო-ინჟინტერიული დეტალები აქვს. სერიაში არის ბინის ტიპის სახლები აბაზანებითა და უბაზანოდ, აგრეთვე გაღვივების ტიპის სახლები. სკოლების შენობათა, სკოლა-ინტერნატების კომპლექსისა და ა. შ. ტიპურ პროექტებს აგრეთვე აქვთ ერთიანი კონსტრუქციული სქემა და არქიტექტურულ-სამშენებლო დეტალები ერთგვაროვანი ნაგებობებისათვის.

საბინაო მშენებლობაში დადებითი როლი ითამაშა მსხვილბლოკებიანი სახლების მშენებლობამ (არქიტექტორი ზ. დავითაშვილი, კონსტრუქტორი ნ. მესხი, 1956).

1958 წელს დამტკიცდა ტიპური პროექტი (არქიტექტორები ზ. ქურდიანი, ს. რევიშვილი, გ. თავდგირიძე, დ. ჩოფიკაშვილი), რომელიც საფუძვლად დაედო რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობას.

1960 წლიდან ამ პროექტებით აშენებული სახლების სართულების გაზრდამ (სახლები 8 სართულიანი გახდა) შეცვალა მათი არქიტექტურული სახე. 60-იანი წლების ბოლოდან სართულიანობა გადიდდა 14 სართულამდე. პირველი მაღლივი 14 სართულიანი სახლი თბილისში აიგო 1967 წელს დიღმის მასივში. შემდეგ გაჩნდნენ 16 და 17 სართულიანი სახლები.

1969 წელს შეიქმნა ტიპური პროექტების ახალი სერია (არქიტექტორები: შ. ყავლაშვილი, ს. კაციტაძე, კონსტრუქტორი რ. შიოშვილი) ინდუსტრიულ ნაყოფობათა გამოყენებით მსხვილბლოკიანი სახლებისათვის.

ოთხსექციანი ოთხსართულიანი 48 ბინიანი საცხოვრებელი სახლის ტიპური პროექტი (ავტორები — არქიტექტორები: ზ. ქურდიანი, ს. რევი-

შვილი, გ. თავდგირიძე, დ. ჩოფიკაშვილი) დაპროექტებულია უსარდაფებოდ, ერთოთახიანი, ორ-ოთახიანი და სამოთახიანი ბინებით. ბინებს აქვთ სააბაზანოები, ცხელი წყლით მომარაგება, ცენტრალური გათბობა, წყალსადენი, კანალიზაცია და ა. შ. გათვალისწინებულია აგრეთვე სახლის გაზიფიკაცია.

ერთოთახიანი ბინის საშუალო სასარგებლო ფართობი 28,87 კვადრატული მეტრია, ოროთახიანი ბინისა — 51,23 კვადრატული მეტრი, სამოთახიანი ბინისა — 76,64 კვადრატული მეტრი, ერთოთახიანი ბინის საშუალო საცხოვრებელი ფართობი 16,06 კვადრატული მეტრია, ოროთახიანი ბინისა — 31,60 კვადრატული მეტრი, სამოთახიანი ბინისა — 48,72 კვადრატული მეტრი.

შენობის კედლები აგურისაა, ლიბოს სართული წარმოდგენილია ორ ვარიანტად: ყორბიტონისა და ასაკრები ბეტონის ბლოკებისაგან. ფასადები და ყორბიტონის ლიბოს სართული ბთქაშდება ტერაზიტის ხსნარით. გადახურვა კრამიტისაა, იატაკი პარკეტისა, სანკვანძებში მეთლახის ფილებია. შენობის მთელი კონსტრუქცია დაპროექტებულია ასაკრებად. კედლების გარდა (ასაკრები დეტალებისა და ნაწარმის ღირებულების ხვედრითი წონა ყველა მასალისა და ნაწარმის საერთო ღირებულებაში 54,8 პროცენტს შეადგენს). ფუნდამენტი მოცემულია ორ ვარიანტად: მონოლითური და ასაკრები. ნაწარმის კონსტრუქციები უპასუხებს საქარხნო დამზადების პირობებსა და მოთხოვნებს.

ბინების შიგნით ტიხრები შესრულებულია მცირე ზომის პეშა-ბეტონის ფილებისაგან, ხოლო ბინებშიორისი ტიხრებისათვის — დაწყვილებულია მათ შორის საპაერო ფენით.

ორმხრივი ბინები უზრუნველყოფილია გამქოლი განივებით, თითქმის ყველა ბინას აქვს აივანი მთავარი ფსადის მხრიდან ან საყოფაცხოვრებო ვერანდები ეზოს მხრიდან.

მთავარი ფსადის პორიზონტის ყველაზე ხელსაყრელ მხარეს ორიენტაციისას (ჩრდილო-აღმოსავლეთი) არახელსაყრელ მხარეს (სამხრეთ-დასავლეთი) იქნება მიმართული თითო საცხოვრებელი ოთახი (ორმხრივ ოროთახიან და სამოთახიან ბინებში). ამიტომ სახლის სექციის გადაწყვეტა ზემოთ აღნიშნული ორიენტაციით, სრულიად ნორმალურად უნდა ჩაითვალოს. სახლისათვის მიღებულია სამზარეულოსა და სანკვანძის ერთი ტიპი.

ბინების დაგეგმარებაში არის ნაკლოვანებებიც. ჩვენს შეხედულებით, სამზარეულოს ფართობი ყველა ბინაში (5,23 კვადრატული მეტრი) მცირეა, მოუხერხებლად უნდა ჩაითვალოს სააბაზანოსთან საპირფარეოს გაერთიანება, სანკვან-

ძები ყველა ბინაში გატანილია მისაღებში. დიდ ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ბინებში საკუჭ-ნაოვების უქონლობა. პირველი სართულის ერთ-ოთახიან ბინებს არა აქვს არც ვერანდა, არც აივანი.

საცხოვრებელ სახლებში კედლები მსხვილი ბეტონის ბლოკებისაგანაა. ფასადების შესრულება გათვალისწინებულია ცემენტის ხსნარით გაფაქტურებული ბლოკებისაგან. სართულების კედლები სრულდება პემზა-ბეტონის ღრუ ბლოკებისაგან. გარეთა კედლების სისქე მუდმივია: იგი 40 სანტიმეტრია, ხოლო შიდა კედლებისა — 30 სანტიმეტრი. საცხოვრებელი სახლის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1 696 800 მანეთია. ერთი ბინის ღირებულება (საშუალოდ) — 35 350 მანეთი, ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობისა — 1 098 მანეთი (ფასების ძველი მასშტაბით). დეტალებისა და ნაწარმის ღირებულების ხვედრითი წონა ყველა მასალისა და ნაწარმის საერთო ღირებულებაში 63,0 პროცენტს შეადგენს.

სამსექციანი ხუთსართულიანი 55 ბინიანი საცხოვრებელი სახლის ტიპური პროექტი (ავტორები: არქიტექტორი შ. დეკანოზიშვილი, არქიტექტორების გ. ნანობაშვილისა და ნ. თედორაშვილის მონაწილეობით) დაპროექტებულია უსარდაფებოდ, სახლში 15 ერთოთახიანი, 35 ოროთახიანი, 5 სამოთახიანი ეკონომიკური ბინებია ოჯახების ჩასახლებისათვის. ბინები აღჭურვილია სააბაზანოებით, აქვთ ცხელი წყლით მომარაგება, ცენტრალური გათბობა, საცხოვრებელი სახლის გვეგმა შედგება ერთი რიგითი და ორი გვერდითი სექციებისაგან.

ტიპური პროექტი ხასიათდება შემდეგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით: შენობის საერთო მოცულობა 9 080 კუბური მეტრია, სახლის საერთო საცხოვრებელი ფართობი 29,29 კვადრატული მეტრი, სახლის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება — 1 627 700 მანეთი. ერთი ბინის საერთო ღირებულება (საშუალოდ) — 29 600 მანეთი, 1 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულება — 1 010 მანეთი (ფასების ძველი მასშტაბით). ასაკრები დეტალებისა და ნაწარმის ღირებულების ხვედრითი წონა ყველა მასალისა და ნაწარმის საერთო ღირებულებაში 47 პროცენტს შეადგენს.

შენობის კედლები ავურისაა, გადახურვა — კრამიტისა. შენობის ყველა კონსტრუქცია დაპროექტებულია ასაკრებად, კედლების გარდა. ნაწარმის კონსტრუქციები უპასუხებენ საქარხნო დამზადების პირობებსა და მოთხოვნებს.

ყოველ ტიპურ სართულზე დაპროექტებულია 1 სამოთახიანი, 3 ერთოთახიანი და 7 ოროთახიანი ბინები. ოროთახიანი ბინების სიჭარბე უნდა

ჩაითვალოს სახლის კარგ მაჩვენებლად. ერთოთახიანი ბინის საშუალო სასარგებლო ფართობი 29,15 კვადრატული მეტრია, ოროთახიანი ბინისა — 50,60 კვადრატული მეტრი, სამოთახიანი ბინისა — 68,10 კვადრატული მეტრი, ერთოთახიანი ბინის საშუალო საცხოვრებელი ფართობი 16,06 კვადრატული მეტრია, ოროთახიანი ბინისა — 32,14 კვადრატული მეტრი, სამოთახიანი ბინისა — 48,66 კვადრატული მეტრი.

ერთოთახიანი და ოროთახიანი ბინების გარდა, კუთხის სექციებში ყველა ბინა უზრუნველყოფილია გამჭოლი განიავებით. ბინები მკაფიოდ არის გამოიჭნული საცხოვრებელ და დამხმარე სათავსებად. საცხოვრებელი ოთახები ნათელია თავისი დანიშნულებით. ბინებში დამხმარე სათავსების ბლოკი ერთი ტიპისაა.

სახლში თითქმის ყველა ბინა აღჭურვილია სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ვერანდებით ეზოს მხრიდან. ზოგიერთ ბინაში საკუჭნაო სათავსის, ჩაშენებული კარადების, ხოლო კიდურა სექციებში — ალკოვის არსებობა დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

ბინების დაგეგმარებას ნაკლოვანებებიც აქვს. ყოველი ტიპური სართულის 11 ბინიდან სამს არა აქვს გამჭოლი განიავება, ხოლო ოთხი მათგანა უზრუნველყოფილია კუთხის განიავებით. კიდურა სექციების ოროთახიანი ბინების საძინებელ ოთახში მოხვედრა შეიძლება მხოლოდ საერთო ოთახის მეშვეობით. ასევე არ არის საძინებელი ოთახის უშუალო კავშირი სანკვანძთან. ძალზე მოუხერხებელია მისაღები ერთ-ერთ ოროთახიან ბინაში (1,20×4,00 მეტრი).

მოუხერხებელია ოროთახიანი ბინების ცალმხრივი განლაგება გვერდით სექციებში. ყოველ სექციაში არის ოროთახიანი ცალმხრივი ბინები. ეს ქმნის უხერხულობას პორიზონტის მხარეების მიხედვით სახლის განლაგების დროს.

დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე აივნების უქონლობა რიგითი სექციის ერთოთახიანი ბინების ყველა სართულზე, კიდურა სექციების ერთოთახიანი ბინების პირველ სართულზე. თბილისში ზემოთ აღნიშნული ტიპური პროექტებით გაშენდა საცხოვრებელი მასივების კვარტალები საბურთალოში, ნავთლულში, დილოში.

300-ადგილიანი სკოლა-ინტერნატი (ტიპური პროექტის ავტორი მ. ლამბაროვა) შენობათა კომპლექსის მშენებლობისათვის მონაკვეთის ფართობი ორი ჰექტარია მიღებული. ინტერნატი წარმოადგენს საძინებელი კორპუსისა და სასადილოსაგან შემდგარ ბლოკს. საძინებელი კორპუსი სამსართულიანია, გვეგმაში სწორკუთხედიანი, სასადილო — ერთსართულიანია. დასაქდომი ადგილების რაოდენობა — 150 განსაზღვრულია მოსწავლეთა

ორკლასიანი განლაგებისაა. სკოლა კომპლექსში ორსართულიანია, შინობას ეკვრის ტანვარჯიშისა და საერთო დარბაზების ერთსართულიანი კომპლექსები ორივე მხარეს, გადასასვლელების შეწყობით. საცხოვრებელი სახლი პერსონალისათვის მ-ზინიანია ეკონომიკური სახლების სერიიდან.

ერთსართულიანი სამეურნეო კორპუსი აერთიანებს საქვავს, საპრეტხალს ღებამერთა და გარაჟით. ყველა შენობის კედლები აგურისაა. ყველა კონსტრუქცია სახურავების კედლებისა და სარდაფის შიდა კედლების გარდა, ასაყრები. გათვალისწინებულია ინდუსტრიული სამშენებლო ნაწარმის მონტაჟი მოედანზე.

სკოლა-ინტერნატის შენობათა კომპლექსში გათვალისწინებულია ტიპური სკოლა 500 მოსწავლესათვის (აუტორები ა. აბეზგუსი, ვ. ბერლინი, ა. დუბინი, რ. ფაიერშტეინი). ამ სკოლის ტიპური პროექტის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ხასიათდება შემდეგი მონაცემებით. შენობის სამშენებლო მოცულობა 13 083 კუბური მეტრია, მათ შორის სარდაფი — 2 267 კუბური მეტრი, შენობა ორსართულიანია. ფუნდამენტი ასაყრები ბეტონისაა, კედლები აგურისა, გადახურვა — პემზა-ბეტონისა, ღრუ ფენილები, — ტიხრები — ასაყრები პემზა-ბეტონისა, სახურავი ბრტყელი ასაყრები რკინა-ბეტონის ფენილისაგან.

პროექტის ნაკლოვანებად უნდა მივიჩნიოთ შენობის განაშენიანების დიდი ფართობი (50,0 X 69,80), რაც ამნელებს ნაკვეთის შერჩევას მთიანი ადგილმდებარეობის პირობებში.

ზემოთ აღნიშნული ტიპური პროექტები ადრე გამოყენებულისაგან გამოირჩევა ბინების უფრო მარტივი კონფიგურაციითა და უკეთესი დაგეგმვარებით. მაგრამ ეს არ გამოირჩევა მათ შემდგომ სრულყოფას. საბინაო მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების სწრაფი ტემპები, ახალი საკედლე და მოსაპირკეთებელი მასალებისა და მოწყობილობათა სახეობების შექმნა აყენებდა ახალი დაგეგმვარებითი და კონსტრუქციული გადაწყვეტის აუცილებლობას.

ამიტომ ტიპური პროექტებით მასობრივ საბინაო მშენებლობასთან ერთად საკმაოდ ფართო მასშტაბით უნდა მოწყობილიყო მოსკოვის მაგალითისამებრ საცხოვრებელი სახლების ექსპერიმენტული დაპროექტება და მშენებლობა.

1971 წლიდან თბილისში ყოველწლიურად შენდება ტიპური სასკოლო შენობები, რომლებიც გაანგარიშებულია 32 საკლასო ოთახზე 1256 მოსწავლისათვის. სასწავლო კორპუსის გვერდით მოთავსებულია დამხმარე შენობა სააქტო დარბაზით, სასადილოთი, სპორტული დარბაზითა და საცერაო აუზით (პროექტის ავტორია არქიტექტორი ლ. ხარაშვილი).

მსხვილპანელიანი სახლთმშენებლობა ახალი ეტაპი იყო მშენებლობის განვითარებაში. თბილისელ მშენებელთა მუშაობაში მთავარი მიმართულებაა შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, სამშენებლო წარმოების გადაქცევა საქარხნო დამზადების ზომამსხვილი ელემენტებისაგან შენობათა და ნაგებობათა აწყობისა და მონტაჟის მექანიზებულ ნაკადურ პროცესად.

ოთახის ოდენობის მსხვილი პანელების, გარეგანი და შიდა კედლების სართულშორის გადახურვათა პანელებისა და საქარხნო დამზადების სხვა გამსხვილებული ელემენტების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა საგრძნობლად შემცირებულიყო შენობათა აგების ვადები და მინიმუმამდე დაყვანილიყო შრომითი დანახარჯები სამშენებლო მოედანზე.

მაღალეფექტიანი თბო და ბეგრათსაიზოლაციო მასალების გამოყენება საშუალებას გვაძლევდა დამზადებულ შენობათა ამ ელემენტების გამოყენებით საგრძნობლად შეგვეცირებინა ნაგებობათა წონა, მასსადაამე საშენ მასალათა ხარჯავც.

მსხვილპანელიანი სახლები აგურის სახლებთან შედარებით შრომის დანახარჯებს დაახლოებით ორჯერ ამცირებს, წონას — ორ-სამჯერ და ლირებულებას — 10—15 პროცენტით. მსხვილპანელიანი სახლთმშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, საპროექტო ინსტიტუტმა „სახპროექტმშენინდუსტრიამ“ შეადგინა მსხვილი პანელებისაგან ტიპური საცხოვრებელი სახლის პროექტი საქართველოს რესპუბლიკაში მშენებლობისათვის (464-ე სერიის პროექტი).

„სოიუსდორპროექტის“ თბილისის ფილიალმა შეიმუშავა, ხოლო მთავართბილმშენმა საცდელი წესით განახორციელა საცხოვრებელი სახლის დამზადება და ბლოკ-ოთახების მონტაჟი, რომელსაც საფუძვლად უდევს ოთახების სივრცობრივი ელემენტების შექმნის პრინციპი. ქარხანაში აკრებილი და მოპირკეთებული ოთახების სივრცობრივი კოლოფები მიაქვთ სამშენებლო მოედანზე, სადაც მონტაჟდება სახლი. ამგვარად, სამშენებლო მოედანი სამონტაჟო მოედნად გადაიქცა.

1959—1965 წლებში კოქუნალურ მეურნეობაში სახეიწმინფო სახსრების ხარჯზე დაბანდებულ იქნა 2,3-ჯერ მეტი, ვიდრე 1952—1958 წლებში. 1959 წლის დამლევს თბილისმა მიიღო პირველი გაზი. გაზიფიკაცია თბილისის საქალაქო მეურნეობის ახალი უმნიშვნელოვანესი დარგი გახდა. მომდევნო წლებში გაზის გამანაწილებელმა ქსელმა მოიცვა ბევრი მომხმარებელი და თანდათან განდევნა გაზის ბალონის დანადგარები.

არსებული თბოელექტროცენტრალის გაფართოების სამუშაოთა დამთავრებამ მოგვცა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში დიდი რაოდენობის სახლე-

ბის თბოფიცირების შესაძლებლობა. გარდა ამისა, კომპლექსური განაშენიანების მასივებში აიგო კვარტალური საქვაბეები საცხოვრებელი სახლების გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგებისათვის.

გაუმჯობესდა თბილისის წყალმომარაგებაც. დამთავრდა სამგორის წყალსადენის მეორე რიგის მშენებლობის სამუშაოები, მწყობრში ჩადგა წამში 500 ლიტრი წყლის სიმძლავრის საგურამოს წყალსადენი.

შეამად, თბილისში ყველა ქუჩის, შესახვევის, ჩიხისა და გასასვლელის სიგრძის 18,0 პროცენტს არა აქვს ხელოვნური საფარი. უახლოეს წლებში გადაწყდება ეს ამოცანა — ქალაქში თითქმის არ იქნება არც ერთი ქუჩა მყარი საფარის გარეშე.

განხორციელდა კარლ მარქსისა და ბარათაშვილის სახელობის ხიდების რეკონსტრუქცია, აიგო ორი ახალი ხიდი — აკედუკი ორთაქალაში და ზიდი მდინარე გლდანზე ტრამვაის ლიანდაგის ავქალამდე — გასაგრძელებლად. ლენინის ქუჩასა და ჴოედანზე მოეწყო მიწისქვეშა გასასვლელები ფეხით მოსიარულეთათვის.

უკანასკნელ ხანს თბილისის ქუჩებში დაირგო პილიონობით ხე და ბუჩქი, ქალაქში გაშენდა ბევრი ახალი პარკი, ბაღი, სკვერი, შემდგომ წლებში

ქალაქის გამწვანებამ კიდევ უფრო ფართო გაქანება პოვა, ნავარაუდევია კულტურისა და დასვენების ახალი პარკების გაშენება ორჯონიკიძის (საჭურთალოში) და 26 კომისრის რაიონებში, განხორციელდა დიდი სამუშაოები კულტურისა და დასვენების პარკების კეთილმოწყობისათვის ლენინის რაიონში, ლისის ტბაზე, თბილისის ზღვაზე და სხვა. ძირითადად დამთავრდა ქალაქის მიმდებარე ფერდობების გატყიანება და საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და ქუჩების გამწვანება.

თბილისის განაშენიანებაში იყო სერიოზული ნაკლოვანებებიც. არ შემუშავებულა ქალაქის დაგეგმარების ხანგრძლივი პერიოდის გეგმა, ზოგიერთ მშენებლობაზე დაშვებული იყო პროექტიდან გადახვევა, ზოგჯერ არ ახორციელებდნენ პროექტით გათვალისწინებულ ყველა სამუშაოს. როგორც ახალი საცხოვრებელი კვარტალების, ისე ძველების კეთილმოწყობის მდგომარეობა, ყოველთვის ვერ უბასუხებდა ქალაქის განაშენიანების მოთხოვნებს. საბინაო მშენებლობის ახალ მასივებში კვარტალების კეთილმოწყობის სამუშაოები საგრძნობლად ჩამორჩებოდა საბინაო მშენებლობის ტემპებს. სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი საბინაო მშენებლობის ახალ მასივებში ყოველთვის არ იღვა სათანადო დონეზე.

თბილისის ხუროთმოძღვრება უკანასკნელ ოცწლეულში (1965—1984 წლები)

§ 1. ძირითადი მიმართულება დაპროექტებასა და მშენებლობაში

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ყუთადღების ცენტრში იყო და არის ზრუნვა ადამიანისათვის, პიროვნების ყოველმხრივი და პარონოლი განვითარების სულ უფრო ხელშემწყობი პირობების შექმნისათვის. ამ დარგში დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა უკანასკნელი სამი ზეაწოდის მანძილზე.

კომუნისტური პარტია, რომელიც თანამიმდევრულად ახორციელებს სკკპ ყრილობებზე შემუშავებულ ლენინურ კურსს, სადღეისოდ შექმნილი ქვეყნის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის წყალობით, წარმატებით წყვეტს კომუნისტური მშენებლობის ახალი დიდი მასშტაბის ამოცანებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ შვიდწლიანი გეგმის შემუშავებისას დაშვებული იქნა ზოგიერთი სუბიექტივისტური შეცდომა, აჩქარება. ასეთივე შეცდომა, აჩქარება დაშვებული იყო აგრეთვე კაპიტალურ მშენებლობაში, არქიტექტურაში, როგორც კავშირის, ისე რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის თბილისის მასშტაბით.

საბჭოთა მთავრობის ინიციატივით 1954 წელს დაწყებულმა პრინციპულმა და გადაჭრულმა ბრძოლამ საბჭოთა არქიტექტურაში გაბატონებულ, თანამედროვე არქიტექტურისათვის მიუღებელი ფორმალისტური მიმართულების წინააღმდეგ, რომელსაც ზედმეტობა ეწოდა, შესანიშნავი შედეგი გამოიღო. საბჭოთა არქიტექტურა, მათ შორის ქართული საბჭოთა არქიტექტურა, ამჟამად, ძირითადად, სწორი გზით მიემართება.

ის ფაქტი, რომ ტიპური პროექტების გამოყე-

ნება მშენებლობაში რესპუბლიკის მასშტაბით აღწევს 35%, მაჩვენებელია იმ დიდი მუშაობისა, რასაც ადგილი ჰქონდა წლების განმავლობაში.

1955 წელს აღინიშნა, რომ ტიპური პროექტების მოქმედების ვადა განისაზღვრებოდა 3—4 წლით და პარალელურად კი შემუშავდებოდა ახალი ტიპური პროექტები. სამწუხაროდ, პირობა პირობად დარჩა და ტიპური პროექტი ათი წლის შემდეგაც მოქმედებაში იყო და საქმე ისეთნაირად აეწყო, რომ კვლავ მოქმედებაში იქნებოდა 5—6 წლის განმავლობაში, თუ არა მეტი. ამის მიზეზია ტიპური პროექტირების სჰემის ცუდი ორგანიზაცია.

რესპუბლიკაში მოქმედი ტიპური პროექტების ნომენკლატურა სრულებით ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნილებებს. რესპუბლიკას არსებითად ჰქონდა საცხოვრებელი სახლის სამი პროექტი 5 სართულიანი და 8 სართულიანი — მსხვილი ბლოკებისაგან და 5 სართულიანი მსხვილი პანელებისაგან. ცხადია, ამ ნომენკლატურით გაშენებული ქალაქის მხატვრულ სახეზე ლაპარაკი კი ზედმეტი იყო. „ქალაქპროექტის“ მიერ დამუშავებულმა 8 სართულიანმა სახლებმა ოდნავი სიხალისე შეიტანეს ქალაქის განაშენიანებაში.

არქიტექტურის პრაქტიკაში ზოგჯერ არაჯანსაღ ტენდენციებს ჰქონდა ადგილი, თანამედროვე სამშენებლო ტექნიკა და არქიტექტურა მოწყვეტილი იყვნენ ერთმანეთისაგან. გადამწყვეტ როლს ასრულებდა კონსტრუქცია და არა, კონსტრუქციისა, ტექნოლოგიისა და მხატვრული პრობლემის ერთობლივი გადაწყვეტა.

დღეს ქალაქმშენებლობის განვითარება და პროგნოზები ემყარება სამეცნიერო-ეკონომიკური რეკლუციის მიღწევების ფართოდ გამოყენებას,

რასაც თავისთავად მოყვება ხარისხობრივი გარდაქმნები.

სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ 1969 წლის მაისში მიიღეს დადგენილება „საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში ნათქვამია: „საცხოვრებელი სახლებისა და ქალაქმშენებლობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. ტიპური პროექტები, რომლებითაც ხორციელდება მასობრივი მშენებლობა, არ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს და არ ითვალისწინებს საჭირო მოხერხებულობას მცხოვრებთათვის“.

თუ ვადავხედავთ უკანასკნელ პერიოდში საქართველოს არქიტექტურა მოღვაწეობას, დავრწმუნდებით, რომ ცოტა რამ შეიცვალა მშენებლობაში და პროექტების საქმეში. ბინის დაგეგმარების დონე და არქიტექტურული მხატვრული სახე დაბალია. დამუშავებულია 9 სართულიანი პანელოვანი საცხოვრებელი სახლების ახალი სერია. თავის დროზე ეს სერია პროგრესული იყო და სწრაფად დაინერგა წარმოებაში. დამუშავდა რესპუბლიკის სხვა ქალაქებისათვის 4 და 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო ბაღებისა და სხვა დანიშნულების ტიპური პროექტები.

უკანასკნელ ხანებში, სადაც ჯერ არს, გაიხსენეს, რომ ადამიანს სილაშაზე სჭირდება. ამ საქმეს, ცხადია, არქიტექტორები უნდა ჩასდგომოდნენ სათავეში და, ასეც მოხდა. საბჭოთა არქიტექტორები ვალდებული არიან აშენონ ისე, როგორც ეს შეეფერება ჩვენს დროს და ჩვენს ხალხს.

სკკ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა მუდამ ზრუნავდნენ იმისათვის, რომ გაზრდილიყო საბინაო მშენებლობის მასშტაბები. უკანასკნელი სამი ხუთწლიდის მანძილზე სსრ კავშირში 160 მილიონზე მეტმა საბჭოთა ადამიანმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები.

ჩვენი ქვეყანა ბევრს აშენებს და, მაინც, საბინაო საკითხი ყველაზე მწვავე სოციალურ პრობლემას წარმოადგენს. პარტია ამ პრობლემის გადაჭრას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და საჭიროდ თვლის, გადიდდეს ასიგნებანი აბინაო მშენებლობისათვის, გაფართოვდეს სამშენებლო ბაზა, გაუმჯობესდეს ბინების ხარისხი. სახელმწიფო დაბანდებებითა ერთად, ყოველი ღონისძიებით ფართოდება საბინაო კოოპერაცია.

საბჭოთა კავშირის დიდი ქალაქების (მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, მიწისკი) მშენებლობის გამოცდილებამ ცხადყო მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების უდავო უპირატესობანი. პროგრესული კონსტრუქციების გამოყენების გამოცდილება, მსხვილბლოკიანი და მსხვილპანელიანი სახლების პრაქტიკა, მექანიზაცია, სულ უფრო

ფართოდ ინერგება რესპუბლიკის მშენებლობებზე და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში.

პროგრესული იყო ტიპური ბლოკ-სექციების გამოყენება მსხვილ პანელიან სახლებში (არქიტექტორი დ. ცაბაძე, 1965 წ.). მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს თბილისში ვარაზისხევის (კ. კეკელიძის ქ.) განაშენიანება (არქიტექტორები რ. ბაიროშვილი, ნ. შოშიათიშვილი, 1968 წ.).

თბილისში აშენდა სასტუმრო „ფხახული“ (არქიტექტორი თ. შუბლაძე, 1962), „კოლხეთი“ (არქიტექტორები თ. თევზაძე, ნ. ჯობაძე, 1963), სასტუმრო დილოში (არქიტექტორები: თ. ქოჩიაძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაძე, 1962), კრწანისში აშენდა ზოოვეტინსტიტუტის შენობა (არქიტექტორი თ. თუხარელი, ვ. ბირკაიას მონაწილეობით).

60-იანი წლებიდან საქართველოს არქიტექტურაში ახალ ნიადაგზე აყვავებას იწყებს ტრადიციული დეკორატიული მოტივებისა და ელემენტების გამოყენების ტენდენცია, აღორძინებას იწყებს ქედურობა; ჯორჯინების სახლის ქედური პანოები (არქიტექტორები: შ. ყაველიშვილი, რ. კიკნაძე, მოქანდაკეები: გ. და ი. ოჩიაურები, 1965) და მუსიკალური თეატრის ინტერიერები (არქიტექტორები: ო. ლითანიშვილი, თ. მაჭავარიანი, მოქანდაკე კ. გურული, 1966).

ქართული საბჭოთა არქიტექტურის 60-იანი წლების მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომპლექსი (ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. ვაბაშვილი, 1967)*.

ბოლო პერიოდის არქიტექტურულ პრაქტიკაში გაჩნდნენ ნაგებობები, რომლებშიც საერთო არქიტექტურული სახე შედგება რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და შემინული სიბრტყეებისაგან, რაც თანამედროვე ხუროთმოძღვრების ხერხებს ემორჩილება. ასეთია ხელნაწერთა ინსტიტუტი მეცნიერებათა აკადემიის ქალაქში (არქიტექტორები: გ. ლუქავა, ვ. ცუხიშვილი, 1965); ტელეცენტრი (არქიტექტორი ა. ქურდიანი, 1966); ადმინისტრაციული სახლი სადგურის ქუჩაზე (არქიტექტორი გ. მეღვიძია, 1968). ზოგიერთ შემთხვევაში მინის სიბრტყეებით ზედმეტი გატაცება არ შეესაბამებოდა სამხრეთის კლიმატურ პირობებს და სერიოზულ საყვედურს იწვევდა.

კიროვის პარკშია განლაგებული საქადრაკო-ალპიური კლუბის შენობა (არქიტექტორები: ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. ლულუშაური, 1972 წ.).

* საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობისა და მეტროპოლიტენის სადგურის „ვ. ო. ლენინის მოედნის“ მიწისქვეშა ვესტიბიულის არქიტექტურისათვის არქიტექტორ ვ. შ. ალექსი-მესხიშვილმა 1971 წელს შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

აქ ფასადების ნოლიანი შეშენვა აძლიერებს ხედვას ქალაქის თითქმის მთელ პერიზაჟზე.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის გვერდით რუსთაველის პროსპექტზე აშენდა ცენტრალური ტელეგრაფის შენობა (1980-81 წწ., არქიტექტორები: ვ. ალექსი-მესხიშვილი, თ. მიქაშაიძე).

ქალაქთმშენებლობის საკითხების გადაწყვეტის სიახლოე გამოირჩევა გლდანის საცხოვრებელი მასონის დაგეგმარება და მშენებლობა (არქიტექტორი: თ. ბოქორიძე. 1968 წ.).

რესპუბლიკაში აშენდა არაერთი ახალი სასკოლო შენობა, კინოთეატრი, საბავშვო ბაღი, ბაგა, საზოგადოებრივი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაწარმების სხვა ობიექტი.

თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში ომის შემდგომ წლებში მონუმენტური პრობანდის ლენინური ფეგმის შესაბამისად არაერთი ძეგლი დაიდგა. მათ შორის აღსანიშნავია 300 არაგველის ობელისკი (არქიტექტორი ა. ბაქრაძე, 1961 წ.).

ა. ს. გრიბოედოვის ძეგლი (მოქანდაკე მ. მერაბიშვილი, არქიტექტორი გ. მეღვამე, 1961 წ.), ი. ჰუკუაძისა და ა. წერეთლის ძეგლი (მოქანდაკე ვ. თოფჩიძე, მ. მიქაშაიძე, არქიტექტორი გ. მეღვამე, 1958 წ.), თბილისის დამარსებლის ვ. გორგასლის ძეგლი (მოქანდაკე ე. ანაშუკელი, არქიტექტორი თ. კანდელაკი, დ. მორბედაძე, 1958 წ.), „ქართლის დედა“ (მოქანდაკე ე. ანაშუკელი, 1958 წ.), ზაქარია ფალიაშვილის ქანდაკება ოპერის ბაღში (1971 წ., ავტორი მ. ბერძენიშვილი, არქიტექტორი ა. ბაქრაძე), ვაჟა-ფშაველას ძეგლი მისი სახელობის პროსპექტზე (1973 წ., ავტორი გ. ოჩიაური, არქიტექტორები: რ. კიკნაძე და თ. მიქაშაიძე), ნიკო ფროსმანაშვილის ძეგლი გორგასლის ქუჩაზე (1975 წ., ავტორი ე. ანაშუკელი, არქიტექტორი ნ. მგალობლიშვილი), ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი მარცხენა სანაპიროზე (1976 წ., ავტორები ბ. ციხაძე, შ. ყვალაშვილი), სერგო ორჭონიკიძის ძეგლი დ. გურამიშვილისა და ი. პავლოვიძის ქუჩების გადაკვეთაზე (1977 წ., ავტორი კ. მერაბიშვილი, არქიტექტორი გ. ჯაფარიძე), ქანდაკება „მუზა“ ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის წინ (1977 წ., ავტორი მ. ბერძენიშვილი, არქიტექტორი ი. ჩხენკელი), ვლადიმერ მაიაკოვსკის ძეგლი მეგობრობის პროსპექტზე (1978 წ., ავტორი ვ. კორძასია, არქიტექტორი გ. ჯაფარიძე), გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი ჰუკუაძის პროსპექტზე (1980 წ., ავტორი ჯ. მიქაშაიძე, არქიტექტორები: ჯ. ჭიბლაძე, მ. გოგიშვილი), დიმიტრი გულიას ძეგლი მისი სახელობის მოედანზე (1981 წ., ავტორი ვ. ივამბა, არქიტექტორი ნ. ხვედელიანი), ოთხფეგურიანი კომპოზიცია „მეგობრობა“ 26 კო-

მისრის მეტროს წინ (1981 წ., მოქანდაკე დ. სისარულიძე, არქიტექტორები თ. ლითანიშვილი, ა. გურული), ფელიქს ძეგინის ძეგლი ელბაქიძის დაღმართზე (1982 წ., ავტორი თ. მელიქიშვილი, არქიტექტორი ჯ. დავითაია), კ. გამსახურდიას ძეგლი ზ. ფალიაშვილის ქუჩის სკვერში (ავტორი თ. კიკალიშვილი, არქიტექტორი თ. თევზაძე, 1983 წ.), ნ. მუსხელიშვილის ძეგლი (მოქანდაკე თ. ლვინიაშვილი, არქიტექტორი გ. ჯაფარიძე, IX 1983 წ.) და ა. შ.

რესპუბლიკისათვის ისტორიული მნიშვნელობის სკკ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილებაში „სკკ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ საცხებით სწორად იყო აღნიშნული, რომ თბილისში სისტემატურად არ სრულდება კაპიტალური მშენებლობის გეგმები. საცხოვრებელი სახლები, საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები ხშირად ბარდება სერიოზული ხარვეზებით. საჭირო შეიქმნა სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტებისა და სამმართველოების, სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა, სამეცნიერო და საპროექტო ინსტიტუტების მუშაობის გადაკრით გაუმჯობესება იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილიყო კაპიტალური მშენებლობის გეგმების აუცილებელი შესრულება, მისი ვადების შემცირება, ძირითადი ფონდების ამოქმედების დაჩქარება, სახსრებისა და მატერიალური რესურსების კონცენტრაცია გასაშვებ ობიექტებზე. ამ დადგენილებების მიღებლანამი წლის შემდგ პირველად შესრულდა საცხოვრებელი ფართობის საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმა.

თბილისის ტერიტორია თავის დროზე მეტად უყარათოდ იყო განიავებული. საუკეთესო საცხოვრებელი რაიონები — ვაკე და საბურთალო ერთ-ორსართულიანი ინდივიდუალური სახლებით გაშენდა და ამ, ე. წ. „თეორიას“ თავისი პრობანდისა და ჰყავდა. ახალი განაშენიანების ბევრი საცხოვრებელი რაიონი უღიმღამოა, ერთფეროვანი და იწვევს მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას. მიუხედავად განაშენიანების პროგრესული პრინციპებისა, სახლების სწორი ორიენტაციისა (ქარებისა და სხვა ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით), საბურთალოსა და, განსაკუთრებით, ნავთლულის მასივები უსახური გამოდგა. აქ ვერ არის გათვალისწინებული თბილისის გაშენების ტრადიციები და ხასიათი.

ქალაქთმშენებლობის დარგში სრულიად საკავშირო თათბირზე, რომელმაც განიხილა საკითხი

„სსრ კავშირში ქალაქმშენებლობის მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებები“, აღნიშნა, რომ ქალაქმშენებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ქალაქის ტერიტორიების ზომიერების პრობლემა, მათი, რაც შეიძლება მონერგებულად და ეკონომიკურად გამოყენებისათვის.

ქალაქის ტერიტორიების ეკონომიკის, კომუნიკაციების შემცირებისა და კეთილმოწყობის დონის ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, აკრძალულიყო ქალაქების საგრძნობ ნაწილში ერთსართულიანი და ორსართულიანი სახლების სახელმწიფო მშენებლობა, უფრო მეტად აგებულიყო 4 და 5 სართულიანი სახლების საცხოვრებელი კომპლექსები.

თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის 1950—1970 წლების პერიოდის გენერალური პროექტი უკვე მაშინ მოითხოვდა შესწორებას, რადგანაც გეგმის ძირითად პარამეტრებში დიდი ცვლილებები მოხდა. ამიტომ წარმოიშვა აუცილებლობა, შემუშავებულიყო ქალაქ თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ახალი პერსპექტიული გეგმა.

თბილისის განვითარების დამტკიცებული გეგმის თანახმად, ქალაქის მოსახლეობა 1970 წლისათვის 700 ათასი კაცით იყო ნავარაუდები, ხოლო საგარეუბნო რაიონებითურთ 750 ათას კაცამდე. 1959 წლას მოსახლეობის აღწერით თბილისში ითვლებოდა 694 ათასი კაცი, ხოლო საგარეუბნო რაიონის ჩათვლით — 750 ათას კაცზე მეტი. ამგვარად, ფაქტობრივად მდგომარეობამ 11 წელიწადში გაუსწრო მოსახლეობის რაოდენობას, რაც პერსპექტიული გეგმით იყო გათვალისწინებული. ამასთან დაკავშირებით, საგრძნობი ცვლილებები განიცადა საბინაო და კომუნალურმა მეურნეობამ, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელმა, ტრანსპორტმა და ა. შ.

გარდა ამისა, ქალაქის განვითარების არსებული გენერალური გეგმის საფუძველზე ერთ მცხოვრებზე ნავარაუდები იყო 9 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი; პერსპექტიული გეგმით ერთ მცხოვრებზე ნავარაუდებია 15 კვ. მ. საცხოვრებელი ფართობი. ამან მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა განაშენიანებული ტერიტორიების ბალანსში.

ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა აუცილებლობა, შემუშავებულიყო თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის პერსპექტიული გეგმა სახალხო მეურნეობის 20-წლიანი გეგმის შესაბამისად, ე. ი. 1961—1980 წლებისათვის, ერთ მცხოვრებზე 15 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის გათვალისწინებით.

თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის 1961—1980 წლების გენერალური პროექტში

გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო: ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, ტერიტორიის ფუნქციონალური განაწილება, შენობათა სართულიანობა, განაშენიანების ხასიათი, საქალაქო ტრანსპორტის განვითარება, მაგისტრალური და სატრანზიტო ქუჩების სქემა, სამუშაოთა მოცულობა კომუნალური მეურნეობის გაფართოებისათვის, კეთილმოწყობა, გამწვანება და ა. შ.

ქალაქის საზღვრებში შეტანილ იქნენ სოფლები: ბაგები, ოქროყანა, დიღობი, სოღანლული, ზემო და ქვემო ავჭალა. ისინი შესაბამისად მიეკუთვნება 9 ადმინისტრაციულ რაიონს, რომლებზეც თანაბრად ვრცელდება ქალაქის დაგეგმარებისა და განაშენიანების ნორმები და პრინციპები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 30 დეკემბრის ბრძანებულებით დამტკიცდა ქალაქ თბილისის ახალი საზღვრები, ეგრეთ წოდებული „დიდი თბილისის“ წრე. ამ ბრძანებულების თანახმად, იმ წლებში თბილისის ტერიტორია ახალ საზღვრებში 26 070 ჰექტარს შეადგენდა, რომელთაგან ქალაქს ეჭირა 14 250 ჰექტარი ფართობი. ადრე საგარეუბნო რაიონის საბჭოთა მეურნეობების კუთვნილი მიწებიდან თბილისის ტერიტორიას შეუერთდა 11 820 ჰექტარი.

ქალაქის დასახლებულ ნაწილს უშუალოდ ეკრის მთები. დიდი საშუალები ხორციელდება მათი ფერდობების გამწვანებისათვის. რამდენიმე წელიწადში ქალაქის ირგვლივ შეიქმნა მწვანე წრე, რომელიც თბილისის ჰავის გაჯანსაღების მნიშვნელოვანი ყვეა გახდა.

საგარეუბნო ზონის სხვადასხვა დანიშნულების ტერიტორიის ფუნქციონალური გაყოფის დროს უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული სატრანსპორტო კავშირი, მათ შორის, აგრეთვე, ეკონომიკური, ტექნიკური, სანიტარული, არქიტექტურული და სხვა მოთხოვნები.

თბილისის საგარეუბნო ზონის კლიმატური და ბუნებრივი პირობები შესაძლებლობას იძლევა ქალაქის დასახლებულ ნაწილიდან მშრომელთა დასვენებისათვის 10—15 კილომეტრით დაშორებულ ტერიტორიაზე გამოიყოს ადგილები, სადაც უნდა გაშენდეს პარკები და ტყე-პარკები, აიგოს პანსიონატები, დასასვენებელი სახლები, სასპორტო მოედნები და ა. შ.

განხორციელდა სამუშაოები ჩელიუსკინელებისა და დიღუბის ხიდებს შორის სანაპიროს გასაგრძელებლად, დიღუბის მასივის ტერიტორიაზე დამთავრდა წიგნის ფაბრიკის მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა და ა. შ.

თბილისში საჭიროა მკაცრად დაცვათ ქალაქმშენებლობის დისციპლინა; უქანასკნელ დრომდე მუდამ მოფიქრებულად როდი ხორცი-

ელდებოდა სპარჩველო სპარჩოთა და საცხოვრებელი სახლების განლაგება, არაეკონომიკურად განოყენებოდა ქალაქის ტერიტორიები. ნელა ინტეგრებოდა დაგეგმარებისა და განაშენიანების პროგრესული ხეობები. თბილისი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, მაგრამ იმ პერიოდში განაშენიანების საშუალო სართულიანობა იმ სართულს ვერ აღწევდა, გარდა ამისა, ეს განაშენიანება ვერ უზაჟუხებდა ქალაქთმშენებლობის მინიმალურ ნორმებს. განაშენიანების პროცენტი 60—80-ს უდრიდა, მაშინ როცა ქალაქთმშენებლობის თანამედროვე ნორმებით იგი 20—25 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

ეს გარემოება იწვევდა, ახალი ტერიტორიების ათვისებასთან ერთად, მოძველებული შენობების აღებას შეედეგა. ქალაქის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების აუცილებლობას (მტკვრის სანაპიროები, ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის პროსპექტები და ა. შ.).

ჩამორჩენა შეიძინებოდა აგრეთვე ცალკეული რაიონების დეტალური დაგეგმარების პროექტების შედგენაში. არადაჰაქმყოფილებდა ხორციელდებოდა ქალაქის ცენტრალური რეკონსტრუქცია. სათანადო ყურადღება არ ექცეოდა საგარეუბნო ზონის დაგეგმარებას, კეთილმოწყობასა და ა. შ.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უკანასკნელ წლებში საბჭოთა არქიტექტურაში მოხდა პრინციპული გარდაქმნა. განხორციელდა დიდი მუშაობა დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობათა აღმოსაფხვრელად. არქიტექტურთა საქმეანობის ძირითადი სფერო გახდა მასობრივი საზინაო მშენებლობა. მიღწეულია გარკვეული შედეგები ტიპური პროექტების განვითარებაში. არქიტექტორები სულ უფრო მეტად ითვისებენ მშენებლობის ეკონომიკისა და ინდუსტრიალიზაციის მოთხოვნებს.

თბილისი კოლოსალურად გაიზარდა, უკანასკნელ წლებში იგი 30-ზე მეტ კილომეტრზე გაიჭრა. ქალაქის შედგომა ზრდა გრძელდება მდინარე მტკვრის გასწვრივ. სიგანეზე ზრდის შესაძლებლობა კი მას არა აქვს. ქალაქის მრავალი კილომეტრით „დაგრძელება“ დაკავშირებულია დიდ უხერხულობასთან ქალაქის მოსახლეობისათვის და დამატებით ხარჯებთან საქალაქო მუერნობის განვითარებაში. ყოველივე ამის გამო, აუცილებელი იყო, არქიტექტორებს სერიოზულად ეფიქრათ ქალაქის არსებული ტერიტორიის გამოყენებაზე, რომელიც უკვე ათვისებულია, ამიტომ მომწიფდა აუცილებლობა, აშენებულყო მადალსართულიანი საცხოვრებელი სახლები. ეს უნდა ყოფილიყო თანამედროვე ტიპის სახლები, მობინადრისათვის ყველა აუცილებელი სიკეთით. ახალ სანაპიროზე აიგო 5—6—7 სართულიანი დიდი საცხოვრებელი

კომპლექსები. ექვეარეშეა, თავის დროზე ჰქონდათ შესაძლებლობაც ამ სახლების სართულიანობის ამალებისა, მაგრამ იგი ხელიდან გაუშვეს.

თბილისში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საკითხი უკვე იმ წლებში დაისვა პრაქტიკულად. ეს პრობლემა ძალზე სერიოზული იყო და მოითხოვდა დიდ მოსაზრებელ მუშაობას. საპროექტო და სამეცნიერო ორგანიზაციებს ყოველმხრივ უნდა შეესწავლათ და შეემუშავებინათ დაპროექტების საკითხები, შესაბამისი ანტიციკლიკური ღონისძიებები. ამასთან აუცილებელი იყო, გადაეწყვიტათ საკედლე მასალის ხასიათის, ტიპის და ამ შენობათა მაქსიმალური ასაწყობობის საკითხები.

სოციალისტური თბილისის უკანასკნელი წლების მნიშვნელოვან ქალაქთგეგმარებით ობიექტად უნდა მივიჩნიოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპლექსი (დაგეგმარების პროექტის ავტორები: არქიტექტორები შ. კაქკაივილი, ზ. კოპალაძე, ბ. მაშინაივილი, ნ. მგალობლივილი, ლ. მეძმარიავილი, ნ. მიქაძე, ს. რევივილი, ა. საბაშვილი, დ. ჩოფიკაშვილი, ინჟინერ-კონსტრუქტორი მ. ცენტერაძე), რომელიც დამტკიცდა 1970 წლის 30 დეკემბერს. კომპლექსი განლაგებულია ქ. თბილისის დასავლეთ საზღვარზე, საბურთალოსა და ზაგებინის რაიონში და მას 219 ჰექტარი უკავია. კომპლექსის გენერალური გეგმა ისეა გადაწყვეტილი, რომ მკაფიოდ არის ზონირებული მთელი ტერიტორია: იგი მოიცავს სასწავლო, სპორტულ, სამეურნეო, საცხოვრებელ და დასვენების ზონებს.

სასწავლო ზონაში ძირითად ნაგებობებს წარმოადგენენ სასწავლო კორპუსები, ცალკეული ფაკულტეტები. 1967—1968 წლებში აიგო კომპლექსის პირველი 12 სართულიანი მექანიკა-მათემატიკური და ეკონომიკური ფაკულტეტების შენობა (არქიტექტორები მ. შავივილი, შ. კაქკაივილი, ს. ბეჟანოვი, მ. შუბლაძე, კონსტრუქტორი ვ. ლომიძე). ამ ნაგებობის რიგში აღიმართება ქიმიის, გეოლოგიის, ბიოლოგიის, ფიზიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტები. ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტები დაპროექტებულია კორპუსებში, რომლებიც აიგება წყალსატევის მახლობლად.

კომპლექსის გენერალური გეგმის ძირითად ელემენტს წარმოადგენს მთავარი მოედანი — ფორუმი, რომლის გარშემო დაგეგმულია საერთო საუნივერსიტეტო შენობები — საქტო დარბაზი 1300 კაცზე რექტორატით, სამეცნიერო ბიბლიოთეკა 5 მილიონ ტომზე, უნივერსიტეტის მუზეუმი და სტუდენტთა კაფე-სასადილო.

სამეცნიერო ბიბლიოთეკა მთელი კომპლექსის ცენტრია. მთავარი ფასადით იგი გამოდის ფორუ-

მის მხარეს და მთავარი (აღმოსავლეთის) ფასადია მხრიდან მომსვლელისათვის ავეირგვინებს პერსპექტივას. სამეცნიერო ბიბლიოთეკას აქვს წიგნთსაცავები — სეიფები ძველი იშვიათი ხელნაწერებისა და უნიკალური გამოცემებისათვის. სამეცნიერო ბიბლიოთეკას ეკვრის უნივერსიტეტის მუზეუმის შენობა.

სააქტო დარბაზი 1300 ადგილით გადაწყვეტილია კომპლექსში რექტორატთან. რექტორატი გამოდის ფორუმისაკენ და აქვს შესასვლელი ავან-მოედნიდან, რომელიც მოთავსებულია უნივერსიტეტის ცენტრალურ შესასვლელთან.

სტუდენტური კაფე-სასადილო შედგება ორი დიდი დარბაზისაგან: კაფე-რესტორნის 250-ადგილიანი დარბაზისა, ესტრადითა და საცეკვაო მოედნით, და თვითმომსახურების 400-ადგილიანი სასადილო დარბაზისაგან. გარდა ამისა, არის შედარებით მცირე ზომის ბარი და ფართო ეზო საზაფხულო ტერასით.

პროექტი ითვალისწინებს მთელ რიგ ნაგებობათა მშენებლობას სპორტულ ზონაში, რომლის ფართობი 3 ჰექტარია. აქვია 4 სპორტული დარბაზი. სამი მათგანი ისეა დაპროექტებული, რომ შესაძლებელია მათი ხელახლა მოწყობა-გადაკეთება ერთ სადემონსტრაციო დარბაზად 1500 კაცისათვის. გარდა ამისა, სპორტულ ზონაში ნავარაუდევია, სტადიონი 6 ათასი მაყურებლისათვის, ღია და დახურული საცურაო აუზი, კალათბურ-

თის, ფრენბურთის, ჩოგბურთის, ტანვარჯიშის, ხელბურთის, სასროლო მოედნები.

უნივერსიტეტის კომპლექსის შემადგენლობაშია სტუდენტთა, ასპირანტების, ახალგაზრდა სპეციალისტების, პროფესორ-მასწავლებელთა და ჩამოსული სტუმრების საცხოვრებელი ზონა.

სასწავლო და საცხოვრებელი ზონები ურთიერთდაკავშირებული არიან ქვეითად მოსიარულეთა ხილთ წყალსაცავზე. იგი შეიქმნება ხევის წყლით ავსების შედეგად. ხილს კვეთს ხეივანი, რომელიც იწყება ფორუმთან, აკავშირებს მცირე ზომის მოედნების ანფილადს, ქმნის დასვენების ზონის მნიშვნელოვან ელემენტს — სტუდენტთა პარკს.

კომპლექსის შენობათა შორის დარჩენილი მთელი თავისუფალი სივრცე მაქსიმალურად გამწვანდება.

ჩვენი ქალაქები ის მატერიალური გარემოა, რომელშიც ცხოვრობს და მუშაობს საბჭოთა ადამიანი. მათ უნდა ასახონ ჩვენი ეპოქის იდეალები, საბჭოთა მრავალეროვანი კულტურის აყვავება.

საქალაქო მეურნეობის განვითარების გეგმისა და ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის განხორციელებამ თბილისი კიდევ უფრო კეთილმოწყობილი და ლამაზი გახადა. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული კომპლექსი, რომელიც თბილისს XXI საუკუნის მცხოვრებლებს შეახვედრებს, იქნება დედაქალაქის უნივერსიტეტის კომპლექსი.

§ 2. თბილისის მემორიალიზაციის ხაროთმოქმედაა. სხვა საზოგადოებრივი და სასოგადოებრივი შენობები

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშენებება მეტროპოლიტენი. იგი მსოფლიოში ოცდაშექვეყნა, საბჭოთა კავშირში მეოთხე და პირველია კავკასიაში*. 1951 წლის მეორე ნახევარში საკავშირო სადირექტივო ორგანოებმა მიიღეს დადგენილება საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში მეტროპოლიტენის აშენების შესახებ. თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებლობისათვის დაისახა ტრასა მეტროს გავილებაზე. მეტროპოლიტენის სათავედ „დიდუბის“ სადგურის ტერიტორია შეირჩა, ქსელში ჩაირთო ლენინის სახელობის რაიონი. ტრასაზე დაიგეგმა თერთმეტი სადგური, მათ შორის მანძილი, ძირითადად, ერთი კილომეტრით განისაზღვრა. 1952 წლის 2 იანვარს ფართო ფრონტით გაჩაღდა სამუშაოები. სამწუხაროდ, 1953 წელს მშენებლობა შეჩერებულ იქნა. 1960 წელს განახლდა მეტროპოლიტენის მშენებლობა. თბილისის მეტროპოლიტენის უნიკალური საინჟინრო და არქიტექტურული ნაგებობის მაღალი კონსტრუქციული და ხუროთ-

მოძღვრული თვისებები ნათლად გამოვლინდა მის სადგურებში, მიწისქვეშა დარბაზებსა და მიწისზედა ევსტიბიულებში, გვირაბებში, აქ ნათლად გამოიხატა საბჭოთა სამშენებლო ტექნიკის მაღალი დონე.

თბილისის მეტროპოლიტენის აგება გადაიქცა სახალხო მშენებლობად, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მშრომელები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა.

მეტროპოლიტენის მშენებლობის გენერალური მოიჯარადრე იყო „თბილგვირაბმშენი“, მის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქვემოიჯარადრე ორგანიზაციები, ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოები, მოკავშირე რესპუბლიკების ასამდე საწარმო, მოსკოველი, ლენინგრადელი, კიეველი კოლეგები და ა. შ. 1966 წლის 11 იანვარს. დილის 6 საათზე თბილისის მეტროპო-

* ა. კოკლავაშვილი, ო. ხიზანიშვილი, მ. ჩოჩოლაშვილი. თბილისის მეტროპოლიტენი. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1978, გვ. 14.

ლიტენის პირველმა ექვსმა სადგურმა ფართოდ გაუღო კარი მკვლევარებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 11 თებერვლის ბრძანებულებით, თბილისის მეტროპოლიტენის პირველი უბნის სამუშაოების წარმატებით დასრულებისთვის, საბჭოთა კავშირის სტრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „თბილგვირაბ-დენის“ სამმართველოს კოლექტივი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. თავდაპირველად სადგურ „დიდუბესა“ და „ვაგზლის მოედანს“ შორის ცალმხრივი მოძრაობა იყო დაწესებული. 1967 წლის 25 მარტს მწყობრში ჩადგა „დიდუბე“—„ელექტროდუბოს“ შორის არსებული გადასარბენი მეორე ხაზი. 1967 წლის 7 ნოემბერს მწყობრში ჩადგა პირველი რიგის მეორე უბანი — „რუსთაველის მოედანი“—„300 არაგველი“. ახალ უბანზე აიგო სამი სადგური: „მ. ი. ლენინის სახელობის მოედანი“, „26 კომისარის“, „300 არაგველი“; ახალი უბნის სიგრძე 4 კილომეტრია. 1970 წელს საექსპლუატაციოდ გადაეცა მიწისქვეშა რკინიგზა სადგურების „ელექტროდუბოსა“ და „ვაგზლის მოედანს“ შორის და მიუღეს ტრასაზე დაწესდა მატარებლების ორმხრივი მოძრაობა.

1971 წლის 10 მაისს — საბჭოთა საქართველოს 50 წლის თავის წინ, მწყობრში ჩადგა პირველი რიგის მესამე უბანი „300 არაგველი“—„სამგორი“.

1979 წლის 15 სექტემბერს მწყობრში ჩადგა თბილისის მეტროპოლიტენის საბურთალოს ექვსკილომეტრიანი ხაზი თავისი ხუთი სადგურით. ეს ხაზი ფაქტობრივად მეტროს პირველი რიგის გაგრძელებაა, მაგრამ მაინც დამოუკიდებელია. „დელიანისიდან“ წამოსული მატარებელი ჩაუვლის „კომკავშირულს“, „პოლიტექნიკურ ინსტიტუტს“, „წერეთლის გაშხირს“ და გაჩერდება „ვაგზლის მოედანის“ მეორე გადასასხლომ სადგურში. აქ ჩამოსული მგზავრი ამავე სადგურის ახალი საესკალატორო გვირაბით აივსა სასტუმრო „კოლხეთთან“, ხოლო ვისაც სურს გზის გაგრძელება „დიდუბის“ ან „სამგორის“ მიმართულებით, გაივლის 70 მეტრი სიგრძის მიწისქვეშა გასასვლელს, შვევა სადგურ „ვაგზლის მოედანის“ ევსტიბიულში და სასურველი მიმართულებით ჩაქდება მატარებელში.

დამთავრდა მეტროს მეორე რიგის მშენებლობა, მაგრამ მიწისქვეშეთთან ვიდილი კვლავ გრძელდება. ახლა კურსი აღდგულია გლდანისა და ვარკეთილის მასივებისაკენ. გლდანის მიმართულებით „დიდუბის“ გაგრძელებაზე 4 სადგური აიგება, „ღრმა დღე“, „თემქა“, „ფეხვლის გზატკეცილი“, „გლდანის“, ამ ტრასის სიგრძე 6,6 კილომეტრია. ვარკეთილის მიმართულებით „სამგორის“ გაგრძელებაზე ერთი სადგური „ვარკეთილი“ აშენდება (სიგრძე 1,7 კილომეტრია).

მეტროპოლიტენის მგზავრთა ნაკადის ზრდა

გამოიწვია დამატებითი საესკალატორო ჩასასვლელების მოწყობა. 1969 წელს ვაგზლის მოედანზე ლენინის რაიონიდან გაყვანილ იქნა საესკალატორო გვირაბი, რამაც მკვეთრად გააუმჯობესა ამ რაიონის მოსახლეობის სტრანსპორტო მომსახურება. ამავე წელს გაიხსნა ელექტროდუბოსა და ვაგზლის მოედანს შორის მეორე ხაზიც, ხოლო სადგურ „სამგორში“ პირველად ჩვესს ქვეყანაში ამუშავდა მოძრაი ტროტუარი, რომელმაც მეტროპოლიტენის ქსელში ჩართო ვარკეთილის მასივის მცხოვრებთა დიდი ნაწილი.

თბილისის მეტროპოლიტენის პირველი ორი საწყისი მიწისზედა ღია სადგურის „დიდუბესა“ (არქიტექტორები: გ. მოძმანიშვილი, ნ. ლომიძე, ინჟინრები: ი. როძევიჩი, მ. ქავთარაძე) და „ელექტროდუბოს“ (არქიტექტორები: გ. მოძმანიშვილი, ნ. ლომიძე, ინჟინერი ლ. კამკამიძე) არქიტექტურის გადაწყვეტა რთულმა რელიეფმა და რკინიგზის ხაზების სიუხვემ განაპირობა. სადგური „დიდუბე“ ლენინის სახელობის რაიონს უკავშირდება ოთხმეტრიანი ხილით ფეხით მოსიარულეთათვის, ხოლო პირველი მასის რაიონს — გვირაბით. სადგურის არქიტექტურაში ფართოდ არის გამოყენებული მინა, ალუმინი, პლასტიკატები, მარმარილო, გრანიტი, მოზაიკა, ორივე შემთხვევაში ქუჩისა და გზის ვაკისის სიმაღლეთა სხვაობამ უკარნახეს ავტორებს სადგურების კომპოზიციური გადაწყვეტა, ყურადღება გამახვილებულია ნაგებობათა კონსტრუქციებზე. სადგურ „ელექტროდუბოს“ ესტაკადა, რომელიც მიწის ზედაპირიდან ექვსი მეტრის სიმაღლეზეა, მთლიანად მონოლითური რკინა-ბეტონის საყრდენებზეა მოთავსებული, ბაქნები ოთხ ტიპისაა, გადაუხურავი.

სადგურ „ოქტომბრის“ ევსტიბიულის (არქიტექტორები: თ. თევზაძე, რ. კიკნაძე, ინჟინერი გ. მებუჯე) და სამგზავრო დარბაზის (არქიტექტორები: თ. თევზაძე, რ. კიკნაძე, ინჟინრები: ვ. დანდუროვი, მ. ბუჯა, ა. კურისკო) განლაგება მთავარ მაგისტრალსა და საცხოვრებელ შენობებს შორის და რელიეფი გამოყენებულია არქიტექტურის მეტი გამომსახველობის მისაღწევად. თითქმის მთლიანად შემინული ზედა ევსტიბიულიდან ქალაქის საინტერესო პანორამა გადაშლილი. სადგურის კედლები მოპირკეთებულია თეთრი მარმარილოს („კოელგა“) ფილებით. მცირე მოცულობის დარბაზში ყრუ კედლებზე ფერადი პანოა რეგოლუციის თემაზე (მხატვარი ნ. იგნატოვი).

„ვაგზლის მოედანისა“ და (რკინიგზის სადგურთან ევსტიბიულის ავტორები — არქიტექტორები: გ. მელქაძე, ე. კვერნაძე, ინჟინერი ი. კახიძე, ოქტომბრის ქუჩაზე ევსტიბიულის ავტორები: არქიტექტორი გ. მოძმანიშვილი, ინჟინერი კ. სტეფანიანი, სამგზავრო დარბაზის ავტორები: არქიტექტორი ვ. აბრამიშვილი, ინჟინრები: ვ. დანდურო-

ვი, მ. ბუკა, ა. ვინოგრადოვი) „მარჯანიშვილის მოედნის“ (ვესტიბიულის ავტორები: არქიტექტორი მ. მელია, ინჟინერი დ. ქაჭაია, სამგზავრო დარბაზის ავტორები — არქიტექტორები: გ. მელქაძე, ნ. ქვარცხავა, თ. მიქაშაიძე, ი. ყავლაშვილი, ინჟინრები: ვ. დანდუროვი, მ. ბუკა, რ. ასტვაცა-ტუროვი) არქიტექტორული სახე ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ მათ აქვთ ერთი საერთო ნიშანი. ყოველი მათგანის ვესტიბიული ორგანულად არის ჩასმული მაღალი ნაგებობის ქვემო სართულში. ეს შენობები სხვადასხვა დროსაა აშენებული და არქიტექტორებს მოუხდათ გაეთვალისწინებინათ ეს პირობები.

„უაგზლის მოედნის“ ვესტიბიული მოწყობილია დიდი შენობის პირველ სართულზე. ქვემო სადგურში გამოყენებულია თაღოვანი თემა, პილონები აქ მასიურია. პორიზონტალური დანაწევრება იატაკიდან თალისაკენ და სავენტილაციო ლუნეტები თვითონ თაღზე ქმნიან საერთო გაწონასწორებულ რიტმს. სვეტები მოპირკეთებულია მოვარდისფრო-მოთეთრო მარმარილოთი. ზემოთ თალი და ჰერი თეთრი ფერისაა. მარმარილოს ფერიდან მკვეთრად არის ამოვარდნილი მატარებლის სავალი ნაწილის კედლები, რომლებიც მოპირკეთებულია თეთრი კერამიკული ფილებით. სადგურის მხრიდან პირდაპირ კედელზე, თეთრ ფონზე, ქედური ნამუშევარია — თბილისის ემბლემა, მთაწმინდის ხედი. ამავე კედლის მეორე მხარეზე მოთავსებულია ქედური ნამუშევარი — ხმალი, თასით. აქვე სიმბოლური წარწერაა „ოდეს მაშვირალსა მოსწყურდეს“. მატარებლის სავალი ნაწილის ყრუ კედლებზე მოთავსებულია სხვადასხვა თემაზე შესრულებული ქედური მემდლიონები.

მეორე მხარეს, ოქტომბრის ქუჩის გასასვლელისაკენ ვესტიბიული მრგვალია, რომელიც თეთრი მარმარილოთა მოპირკეთებული და ეს ფერი ორგანულად აგრძელებს შემდეგ მიწისქვეშა გადასასვლელის მოვარდისფრო-მოთეთრო ფერის კედლის მოპირკეთებას, იქმნება გარკვეული განწყობა:

სადგურ „მარჯანიშვილის მოედნის“ მიწისქვეშა ვესტიბიულს აქვს თავისი სახე, რასაც განაპირობებს საერთო ტონალობა, შავისა და თეთრი ფერის კონტრასტულობა. ხაზები მკაცრი და სახეიმაო, აქაც თაღოვანი თემაა. თეთრი მარმარილოს ფონზე მკვეთრად გამოირჩევა შავი ფერის თაღების ღიობები ქვედა რიტმი — შავი სკამები, მუჭი იატაკი და მოვერცხლისფრო ქანდაკება.

მარჯანიშვილის პორელიეფი (ავტორი მ. ბერძენიშვილი) კედლის მარჯვენა მხარესაა ჩამატებული, ხოლო მარცხენა მხარეზე ოდნავ ქვემოთ რეჟისორის სიტყვებია: „ხელოვნების მიზანი უბრალოა, მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა“. ამ წარწერის წინაა ორი პატარა

ქედური ნილაბი. ყოველივე ეს ამ კედლის კომპოზიციას აწონასწორებს. მატარებლის სავალი ნაწილის ყრუ კედლებზე მოცემულია ინტერვალებით დაშორებული ოთხკუთხედში ჩასმული ქედური ნიღბები. ფერთა ასეთი დაპირისპირება, პორელიეფისა და ქედურობის ასეთი განლაგება, როგორც მხატვრული თვალსაზრისით, ისევე შინაარსობრივად, მკვეთრ ინდივიდუალურ სახეს ანიჭებს სადგურს.

მეტროპოლიტენის სადგური „რუსთაველის მოედანი“ (ვესტიბიულის ავტორი არქიტექტორი ო. კალანდარიშვილი, სამგზავრო დარბაზის ავტორი არქიტექტორი ლ. ჯანელიძე; ინჟინერ-კონსტრუქტორები: ვ. დანდუროვი, მ. ბუკა, ა. კურისკო, 1966 წ.) თითქოს სინთეზი გახდა თანამედროვე არქიტექტურისა და ქედურობის. „რუსთაველის მოედანი“ აგრეთვე შეიძლება ჩაითვალოს მიწისქვეშა მაგისტრალის საწყისად, რადგან ის ორგანულად ერწყმის რუსთაველის პროსპექტს, ბაღს და თვით რუსთაველის ძეგლს. მიწისზედა სადგურის შესასვლელის წინ, მარჯვნივ, მეზობელი სახლის ყრუ კედელზე წარმოდგენილია მხატვრული მოზაიკური პანო, რომელზედაც ძალზე პირობითადაა გამოსახული საბჭოთა საქართველოს რუკა.

მიწისზედა ვესტიბიული მრგვალიც, კედლის ქვედა ნაწილი მოპირკეთებულია თეთრი მარმარილოთი, ზედა კი — თეთრი ფერის ვერტიკალურად დანაწევრებული ხის მასალით. ჰერში მრგვალად განლაგებული განათება და კედლის ვერტიკალური დანაწევრება გარკვეულ რიტმს ქმნის. ამას ყველაფერს გადაეყვართ თითქმის მიწისქვეშა სადგურში, სადაც ყურადღებას იქცევს ქვემოდან ზემოთ გაფართოებული სვეტები, რომლებიც ახლებურად იმეორებენ ძველი ქართული „დარბაზის“ სვეტებს. ისინი ზემოთ ფართოვდებიან და ქმნიან არა მარტო მონუმენტურ შთაბეჭდილებას, არამედ ასრულებენ თავიანთ ფუნქციასაც, ზემო ნაწილი გამოყენებულია კონდიციური პაერისათვის.

კონსტრუქტორებთან და არქიტექტორებთან ერთად მუშაობდა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და შ. რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ელგუჯა ამაშუკელი, რომელმაც შექმნა ბარელიეფი სადგურის შესასვლელის თავზე და პორტრეტული ქანდაკება. მიწისქვეშა და სადგურის შესასვლელის ბარელიეფი, რომელიც ზემოთაა, კარგადაა ჩამჭარალი არქიტექტურაში. იგი შინაარსობრივად და მხატვრულად ხაზს უსვამს მეტროს ინდივიდუალურ სახეს. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ვესტიბიულის შიგნით, კედლის ზემო ნაწილში, გარკვეული ინტერვალებით ქედურ ოთხკუთხედში ჩასმული ვეფხვი, რომელიც მეორდება მიწისქვეშა სადგურის მატარებლის სავალი ნაწილის მხარეზე, ზემოთ გაფართო-

კმულ სვეტანზე. ესკალატორზე ჩასვლის დროს თეთრ ფონზე მოჩანს რუსთაველის ქედური პორტრეტი, ხოლო თეთრ კედელზე მოთავსებულია დინამიკური კომპოზიცია — ტარიელის და ვეფხვის გამობატულება, იგი გარკვევით მოჩანს დარბაზის ყოველი კუთხ-დან, საუბრებოდ არის მოფიქრებული ნასშტაბი და ქალზე გამომსახველია. მიწისქვეშა სადგურში სვეტლები და კედლები მოპირკეთებულია მოწითალო, წიყიანი მარმარილოთი. იატაკი და მატარებლის სავალი გზის კედლის ცოკოლი — მოშავო, ჭერი და კედლის ზედა ნაწილი თეთრია, ყველაფერი ეს როგორც შინაარსობრივად, ისე მხატვრული თვალსაზრისით, ერთ მთლიანობაშია მოცემული, ორიგინალურია აქ რუსთაველის სახე, მის შედევრზე შექმნილი კომპოზიციები მკვეთრად გამოხატავენ რუსთაველის პერსონაჟს და აძლიერებენ სადგურის ინდივიდუალურ სახეს.

სადგური „ლენინის მოედანი“ (ვესტიბიულის ავტორები — არქიტექტორები: რ. ბაირამაშვილი, დ. მორბედაძე, კონსტრუქტორი შ. გაბაშვილი; სამგზავრო დარბაზის ავტორები — არქიტექტორები: ვ. ალექსი-მესხიშვილი, ქ. კობახიძე, ინჟინრები: ვ. დანდეროვი, მ. ბუკა, ვ. ჩერნომ-ივანოვი. 1966 წ.) ორგანულად არის დაკავშირებული უნივერსალის შენობასთან. მიწისზედა სადგურის ვესტიბიული მრგვალია და თითქოს ორ ნაწილად იყოფა: ერთ მხარეზეა მოთავსებული სალაროები, მეორე მხარეზე კი სადგური. სალაროს მხარეს, სადაც ნხოლოდ შესასვლელია, კედელი მოპირკეთებულია ვერტიკალურად დაყოფილი ხის მასალაო, რასაც იმორებს თვით ვესტიბიულის კედლის ტუფით მოპირკეთებული ვერტიკალური დანაწევრება. ასე რომ, ეს ორივე ნაწილი ორგანულად გადადის ერთმანეთში და ქმნის ჩაყვრილ ყრვ სივრცეს, რომელიც თითქოს ფონს უქმნის გაქაუბათებული ქვედა პლატფორმის ღია ხალვათ სივრცეს. ვესტიბიულის სიდიდეს ხაზს უსვამს აგრეთვე ცენტრში მოთავსებული მრგვალი ჰალი და მთელი ინტერიერის ვერტიკალური დანაწევრება, რომელიც ამასთანავე გარკვეულ რიტმს წარმოქმნის.

როდესაც ჩავდივართ მიწისქვეშა სადგურში, თვალს გვჭრის ელიფსური კვეთის მაღალი და მეჩხერად დაყენებული თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებული სვეტების ორი რიგი. თეთრი მარმარილო ერწყმის მოწითალო კარნიზულ განათებას, რბილი შექვი, სიკვაცრე ნათელი ფერებისა და ხაზები ქმნიან სივრცობრივ ეფექტს. საერთოდ, ყველა კედელი, ისე როგორც სვეტები, მოპირკეთებულია თეთრი მარმარილოთი, ხოლო იატაკი და მატარებლის სავალი ნაწილის ცოკოლი წითელია გრანიტისა, რაც აძლიერებს არქიტექტურის საერთო მკაფიურ ელემენტობას. თეთრი და მოწი-

თალო ფერებისაგან, სვეტებისაგან გამოწვეულ რიტმს და მთავარი დარბაზის ყრვ კედლების ორივე მხარეზე მოთავსებულ თემატურ რელიეფებს, კიბეების საფეხურებს მივყავართ გვერდით კედელთან, სადაც მოთავსებულია დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის პორტრეტი, მაგრამ აღსაქმელად უკეთესი იქნებოდა, რომ რელიეფები, სადაც გამოხატულია ჯარისკაცი, გლეხი, რევოლუციონერი და მუშა, უფრო კარგად ყოფილიყო განთავსებული ან უკეთესად დამუშავებული. ფერთა შეხამება, მკაცრი, საზეიმო ფორმები, ქანდაკება, ზედა და ქვედა სადგურის ორგანული კავშირი სადგურს ანიჭებს მისთვის დამახასიათებელ მდიდარულ სახეს.

სადგური „26 კომისარი“ (ვესტიბიულისა და სამგზავრო დარბაზის ავტორები — არქიტექტორები: შ. ჩაჩანიძე, ს. რევიშვილი, ინჟინრები: ნ. მესხი, ვ. დანდეროვი, მ. ბუკა, ა. კურისკო) მიწისზედა საცხოვრებლის პირველ სართულს წარმოადგენს. დარბაზი ეყრდნობა ბურჯებს. ყრვ კედელზე ხუთი სიმბოლური ხელის მტევანია ამოკვეთილი. ვესტიბიულის კედელი ესკალატორის მხრიდან გაფორმებულია თოლიების სტილიზებული გამოსახულებით. საბჭოთა საქართველოს 60 წლის თავის ზეიმის დადებში მეტროპოლიტენის სადგურთან გაჩნდა 26 კომისარის ოთხფიგურიანი (ს. შალუმიანი, ი. ფიოლეტოვი, მ. აზიზბეკოვი, ა. ჯაფარიძე) კომპოზიცია (მოქანდაკე დ. სიხარულიძე, არქიტექტორი ო. ლითანიშვილი).

სადგური „300 არაგველი“ (ვესტიბიულის ავტორი არქიტექტორი თ. თევზაძე, ინჟინერი გ. ზამბახიძე, სამგზავრო დარბაზის ავტორები — არქიტექტორი გ. ბათიაშვილი, ინჟინრები: ვ. დანდეროვი, მ. ბუკა, ა. კურისკო) შესრულებულია ოთხკუთხა პავილიონის სახით, მთლიანად შემინული და გაფორმებულია ალუმინის ვიტრაჟებით, სამგზავრო სადგური პილონის ტიპისაა, მოპირკეთებული ბოლნისის ტუფით, მარმარილოთი, გრანიტით, ცენტრალური დარბაზის ყრვ კედელი დამუშავებულია სამასი არაგველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ქედური ბარელიეფით (ავტორი ფ. გიგაური), სადგურის ინტერიერი წარმოადგენს არქიტექტურისა და დეკორატიული ჰედლოგობის სინთეზის დადებით ნიმუშს. „ისანი“ (არქიტექტორი ნ. ლომიძე, ინჟინრები: ი. გელაძე, ლ. კამკამიძე, სამგზავრო დარბაზის ავტორები: არქიტექტორი მ. მომძანიშვილი, ინჟინრები: ვ. დანდეროვი, მ. ბუკა, მ. ბარსეგოვა) ორიგინალური გადახურვის თვის განსხვავდება სხვა სადგურებისაგან: ხუთი მრუდნაზოვანი ზედაპირის სახურავი ეყრდნობა ოთხ საყრდენს, დანარჩენი ნაწილი შემინულია. მიწისზედა სადგური ძველი რაიონის თავისებურ ორიგინალურ სახეს იძენს, სადგურის ირგვლივ ბაღია, რომელიც ორგანულად გადადის ინტერი-

ერში. ეს იმის შედეგად, რომ შესასვლელის პირდაპირ მოთავსებულ მოზაიკაში მუქ ლურჯ ფონზე ქარბობს ღია მოყავისფრო, მომწვანო-მოყვითალო ფერები, „ისნის“ მიწისქვეშა სადგური საკმაოდ გრძელია (100 მ.). ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ელიფსისებური კვეთის მოთეთრო მარმარილოსაგან მოპირკეთებული სვეტების რიტმი. სვეტების თეთრი მოპირკეთება, შვიდ იატაკი, უპირისპირდება კედლის მოშავო, მოთეთრო, მოვარდისფრო ფერს და ფერთა ეს გრადაცია ოდნავ სიჭრელეს ქმნის. ამ უზარმაზარი კედლის სიგრძეზე, ბაქნის პირდაპირ, ორივე მხარეს ჩამაგრებულია ჰედური ჩანართები, სადგურის გაფორმების კომპოზიციას აგვირგვინებს ვესტიბილის კედელზე მოთავსებული ტენირებული პანო (მოქანდაკე ს. ჭოიავა). ერთი მხრივ, ეს თითქმის ფუნქციურად გამართლებულია, რადგან ფარავს კომუნიკაციის კარებს, მაგრამ ფუნქციურობა ვერ ამართლებს არქიტექტურისა და ცალკეულ კომპოზიციებად დანაწევრებული ჰედური რელიეფის სხვადასხვა მასშტაბურობას. ყოველივე ამის გამო, პატარავდება და იყარვება მთავარი ნაწილის ტრასული კედელი, რომელიც ცარიელია და ვერ ქმნის ერთიან კომპოზიციას, ჰედურობა გოგირდისაგან ჩაშავებულია და ამოვარდნილია საერთო ტონალობიდან.

„სამგორი“ (არქიტექტორი ნ. ლომიძე, ინჟინრები: ა. კურისკო, ვ. სუკაჩოვი) პირველი მიწისქვეშა, ზედაპირული ჩაწოლის სადგურია. აქ არის სვეტებიანი სისტემა. გადახურვა პორიზონტალურია, კოჭებზე დაყრდნობით, სადაც შემალულია განათება.

გასასვლელი ორი მხრიდანაა: მოსკოვის პროსპექტისა და კახეთის გზატკეცილისაკენ, სვეტები მოპირკეთებულია თეთრი მარმარილოთი, რაც სიმსუბუქის შთაბეჭდილებას ქმნის, ამას აგრეთვე ხაზს უსვამს მოწითალო მარმარილოსაგან მოპირკეთებული კედლები. მატარებლის საეალი ნაწილის მოშავო ცოკოლის ზემოთ პორიზონტალური თეთრი ხაზი მიდის, მისი პარალელური თეთრი ხაზია კედლის ზემო ნაწილში, გარკვეული ინტერვალებით ხაზს წყვეტს თეთრი მარმარილოს ფილები. ყველაფერი ეს სადგურს ხალისიან, მსუბუქ იერს ანიჭებს, ამ ორ პორიზონტალურ ხაზებს შორის, კედლის შუა ნაწილში, არის თეთრი მარმარილოს ფილები, რაზედაც წარწერები მიმაგრებულია. აქაც, ისევე, როგორც სადგურ „ისანში“, ბაქნის პირდაპირ ორივე მხარეზე ჩამსულია ჰედური კომპოზიციები, რომლებიც ფარავენ კოჭუნიაკიებს, ფერით ისინი ორგანულად შეხამებულია კედლის ფერთან; მაგრამ ლითონზე გოგირდი ძლიერ მოქმედებს და უკვე იგრძნობა სიმაკროფორც ჩანს, არ არის მიზანშეწონილი მეტროს ასეთ ადგილებში ჰედურობის მოთავსება, რადგან

იგი მოითხოვს სპეციალურ დაკვირვებას, რაც მეტროში შეუძლებელია. გზავრს კი, რომელსაც ეჩქარება, თვალში არ ხვდება ჰედურობა და, ამგვარად, იგი მისთვის დაკარგულია. „სამგორის“ მიწისქვეშა სადგური, მსატრული თვალსაზრისით, თითქმის მოსკოვის პროსპექტის ჩასასვლელიდან იწყება. აქ მიწისქვეშა გადასასვლელი, რომელიც მოპირკეთებულია მოყავისფრო კერამიკის ფილებით (კერამიკული პანოების ავტორები: ი. ტაბიძე, რ. თორღია, ა. ხარებავა), ამოვარდნილია ვესტიბილის მოვარდისფრო-მოთეთრო მარმარილოს ფერისაგან.

საბურთალოს ექსპლიკაციური ტრასაზე გაშორჩევა სადგური „წერეთლის მოედანი“, რომლის სამგზავრო დარბაზი მიწის ზედაპირიდან მცირე ჩაღრმავებაზე მდებარეობს (ავტორები — არქიტექტორები: დ. მორბედაძე, ვ. აბრამიშვილი, ინჟინრები: მ. ბუკა, თ. ლორთქიფანიძე, გ. ბარსეგოვა, ვესტიბილის ავტორები — არქიტექტორები: შ. ყავლაშვილი, ს. კაციტაძე, ინჟინერი ლ. სიმონიშვილი). სადგური სამთალოვანია, სვეტებიანი, მოპირკეთებულია მალაზხანისხოვანი გრანიტითა და მარმარილოთი. დარბაზის შუბლის კედელს ამშვენებს თეთრი მარმარილო. ვესტიბილს განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს ე. ამაშუკელის მიერ შესრულებული მხცოვანი აკაიის სკულპტურული სახე. „პოლიტექნიკური ინსტიტუტი“ (ვესტიბილის ავტორები: არქიტექტორი დ. იოსავა, ინჟინერი ლ. კამაშიძე, სამგზავრო დარბაზის ავტორები: არქიტექტორი გ. მოძმანიშვილი, ინჟინრები: პ. ბოჩიაშვილი, ნ. დავიძევა, ბ. შოშიტიშვილი) ერთთალოვან გრანიტოზულ ნაგებობას წარმოადგენს, გამოირჩევა სინატიფითა და ორიგინალურობით. ყურადღებას იპყრობს ფიგურული ჰერი, რომელიც ამავე დროს წყალდამცავი ქონგურების მოვალეობასაც ასრულებს. სადგურის ბაქანი ნოპირკეთებულია კურსებისა და ბუეთის გრანიტით, კედლები — თეთრი მარმარილოთი. შუბლის კედლები მოხატულ-მოჩუქურთმებულია (მხატვრები: რ. თორღია, ა. ხარებავა, ი. ტაბიძე, თ. ცხომელიძე) დიდებული მოზაიკური პანოთი; აქ წარმოდგენილია ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები, ამ სადგურს ორი ესკალატორი აქვს. ერთი მათგანი მშვიდობის პროსპექტზეა, მეორე კი — სპორტის სასახლის წინ.

სადგური „კომკავშირელი“ (არქიტექტორები: დ. იოსავა, გ. მოძმანიშვილი, ნ. ლომიძე, ინჟინრები: პ. ბოჩიაშვილი, ლ. აბაშმაძე, მ. კაპანაძე) ახალგაზრდობის გმირულ შრომას ასახავს. სვეტებიანი დარბაზი ორი ვესტიბილისაგან შედგება. სასტუმრო „აფხაზეთის“ მხარეს დამონტაჟებულია პარალელურად მდებარე ორი მცირე ესკალატორი. ფერისა და სინათლის საშუალებით შე-

იქნა ახალგაზრდობის ვმირული ცხოვრების ამ-სახველი სურათი, სადგურის ძირითადი ტონი წი-ოელი ფერია.

სადგურ „დელისში“ (არქიტექტორი ნ. ლომი-ტე, ინჟინრები: პ. ბონიკაშვილი, ლ. რუხაძე) ყუ-რაღლებს იპყრობს გრანდიოზული ვესტიბიული, რომელიც მიწის ზედაპირიდან მცირედ არის ჩა-ღრმავებული. მას აქვს ორი ვესტიბიული, აქ

თბილისის ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვან შენაენს წარმოადგენს ფილარმონიის დიდი სა-კონცერტო დარბაზის შენობა, რომელიც აიგო 1969—1971 წლებში შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის დაურეატის, არქიტექტორი რ. ჩხენკელის პროექტით.

ნაახველს ხიბლავს ორიგინალური ფორმის, მინაში ჩამჭლარი ჰაეროვანი სასახლის მიმზიდვე-ლონა. ფართო საზეიმო კიბეებით შედინართ ვრცელ ვესტიბიულში. იატაკი მუქი ფერის ძვირ-ფასი ქვებით არის მოპირკეთებული, თეთრი ფე-რის სვეტები აძლიერებენ საერთო შთაბეჭდილე-ბას. ვესტიბიულის ბოლოს მორჩანს დეკორატიუ-ლი კედელი, რომლის ქვეს ბარლიფეზე ამოკვე-თილი გამოსახულება განასახიერებს თემას — „მუ-სიკის დაბადება“. შემოსასვლელში მნახველი შე-ნიშნავს სხვა მხატვრულ-დეკორატიულ ელემენ-ტებსაც. ვესტიბიულის გაფორმება ეკუთვნით ელ-გუჯა და შერაბ ბერძენიშვილებს.

მოთავარი ფსალის მარჯვენა მხარეს, დეკორა-ციულ აუზთან. ამდართლია მ მეტრი სიმაღლის ქანდაკება „მუზა“ (ავტორი მ. ბერძენიშვილი), რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს და შთამბეჭ-დავს ხდის მთელი ანსამბლის არქიტექტურულ-მხატვრულ სახეს.

ვესტიბიულიდან მყურებელი განიერი კიბე-ებით ზედება ვრცელ და ნათელ ფოიეში, რომე-ლიც დიდი დარბაზის პარტერს ეკვრის. ზედა ფო-იელან იაიანზე შეიძლება მოხვედრა. მყურებელ-თა დიდი დარბაზი მთლიანად 2317 კაცს იტევს. იგი ისეა გაანჯარიშებული, რომ მისი გამოყენება სხვადასხვა დანიშნულებისათვის შეიძლებაოდეს. აქ გათაღლისწინებულია როგორც კონცერტების გამართვა, ასევე თეატრალური დადგემების, საზე-იმო სწლოშების, კონფერენციების, ყრილობებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების მოწყობა. ამას ხელს უწყობს დარბაზის აკუსტიკური სისტემა, რომელიც თანამედროვე მითზოგნათა დონეზეა გადაწყვეტილი.

ორიგინალურად არის გადაწყვეტილი მყურე-ბელთა დიდი დარბაზის სტენის სისტემა. მას აქვს მოძრავი საორკესტრო ორმო, საქირთების შემ-

გზავარი მდიდრულად გაფორმებული ჩასასვლე-ლებით ხედება. მოქალაქემ ნაკლებად რომ შე-იგარძნოს მიწისქვეშეთი, მთელი ყურადღება გა-დატანილია განათებასა და ინფორმაციის საშუა-ლებების ორიგინალურ განლაგებაზე. ისევე, რო-გორც სხვა სადგურის კონსტრუქციული ნაწილი, „დელისიც“ დამუშავდა „კავგიპროტრანსში“.

თხვევაში შეიძლება მისი ზევით აწევა, რითაც მი-სი ფართობი კიდევ უფრო იზრდება.

ლენინის ქუჩის მხრიდან შენობის ქვედა ნა-წილში მოთავსებულია 622-ადგილიანი მცირე დარბაზი, რომელიც ბოლო ხანებში კინოთეატრ „ამირანს“ დაეთმო.

შენობის სულ ზემო ნაწილი, რკალისებური ფორმის ვრცელ ფოიეს წარმოადგენს, იგი იზო-ლირებულია მყურებელთა დარბაზებისაგან და იქ ასვლა შეიძლება როგორც ეზოს მხრიდან, ცალ-კე მოწყობილი ხვეული კიბით, ასევე სპეციალუ-რი ლიფტით. აქედან კარგად მოჩანს ქალაქის ლა-მანი ხედები, თბილისის შემოგარენი. ნაგებობის გადახრვის ქვეშ მოწყობილია კაფე-ბარი. მისი მთლიანი ფანჯრები რიტმულად არის ჩამჭლარი ლითონის ჩარჩოებში მთელ პერიმეტრზე.

დიდი დარბაზის შიდა კედლები გვირგვინდება ღია წაბლისფერი დაროვანი ხის პანელიანი ელემენტებით, რაც ქმნის მყუდროებას და მატებს ხა-ტოვანებას.

ახალი ნაგებობა აღჭურვილია კონდიციონერუ-ლი მხრის მოწყობილობით, რაც, სხვა სიყუთეს-თან ერთად, ზაფხულის პერიოდში დარბაზებსა და სათავსებში უზრუნველყოფს სასიამოვნო სი-გრილეს.

თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის პრო-ექტში გარდა უკვე აშენებული უზარმაზარი სა-კონცერტო დარბაზის შენობისა, ჩაფიქრებული იყო მნიშვნელოვანი ქალაქთმშენებლური სამუშა-ოები, მცირე, ამორტიზებულ ნაგებობათა დან-გრევა, მაგისტრალის გაგანიერება, მოედნისა და კიროვის სახელობის პარკის რეკონსტრუქცია, ახა-ლო ქუჩების გაყვანა და სხვა. მთელი ანსამბლი გააზრებული იყო, როგორც წამყვანი ელემენტი ქალაქის ცენტრალური ადგილისა, არსებითად კი, ქალაქის განაშენიანების მთელი სტრუქტურისა. მაგრამ არაერთარი ქალაქთმშენებლური ღონისძი-ებანი ამ რაიონში, სამწუხაროდ, არ განხორციე-ლებულია.

ომის შემდგომ პერიოდში სპეციალისტთა ჯგუფმა, არქიტექტორ რ. კალანდარიშვილის ხელ-მძღვეანელობით, გენერალური გეგმის თანხმად

შეიმუშავა რუსთაველის პროსპექტის ბოლო მონაკვეთის რეკონსტრუქციის პროექტი. პროექტის გეგმაზომიერი განხორციელება დაიწყო ელბაქიდის დაღმართის ზემო ნაწილის გაფართოებით, 50-იანი წლების ბოლოს აღმართმა მიიღო ახალი გასასვლელი პროსპექტზე. 1961—1963 წლებში „თბილქალქპროექტში“ განხორციელდა სასტუმრო „ივერიის“ პროექტირება (პროექტის ავტორი არქიტექტორი ო. კალანდარიშვილი, თანაავტორი არქიტექტორი ი. ცხომელიძე, კონსტრუქტორები: დ. ქაჭაია, თ. ქანჭალაიშვილი). სასტუმროს მშენებლობა დაიწყო 1963 წელს, დასრულდა 1967 წლის 7 ნოემბრისათვის, სასტუმრო 510 ადგილიანი, კვების ბლოკი ავთომატისწინებულა 1000 ადგილისათვის (სამი რესტორანი, საბანკეტო დარბაზები, კაფე-ბარი, აღმოსავლური დარბაზი, რესტორანი მე-20 სართულზე). სასტუმრო შეიცავს სააქტო დარბაზს, საცურაო აუზს მალღვიე კორპუსის სახურავზე. იგი პირველი 21 სართულიანი ნაგებობაა საბჭოთა საქართველოში. ესაა სრულიად ახალი ტიპის შენობა, რომლის ხორცშესხმაში ხელოვნებათა სინთეზმა (არქიტექტურა, ფერწერა, ჰედურობა, ქანდაკება, კერამიკა) უმაღლესი გამხატვლეობა პოვა. სასტუმროს თანამედროვე, ლოგიკურად ნათელ, მკაცრ არქიტექტურულ ფორმებს საფუძვლით შეესაბამება შენობის ინტერიერების დეკორატიული მორთულობა, პირველი სართულის პოლში ბუნებრივი ქვა ორგანულად ერწყმის ხეს, მინას, ლითონს, კერამიკას. სინათლის ძირითადი წყაროა ცენტრალური პოლის შემინული კედელი. აქედან იშლება ხედი შიდა ეზოსაკენ, სადაც დეკორატიული აუზი, ყურძნის ვაზი და გოგონას თეთრი მარმარილოს შიშველი ფიგურა გაზაფხულის სიმბოლოდ მოჩანს (მოქანდაკე გ. კორძაია). ეზოდან იშლება ქალაქის მარცხენა სანაპიროს შესანიშნავი პანორამა. სამხატვრო სამუშაოებში მონაწილეობდნენ არქიტექტორები: ა. ბაქრაძე, ნ. ჯობაძე, თ. ჩხეიძე; მხატვრები: გ. კორძაია, ბელა ბერძენიშვილი, ა. გორგაძე, კ. წერეთელი, გ. ყანდარელი, გ. ჯაფარიძე, გ. კალაძე, ვ. ქოქიაშვილი, რესტორნის კედელზე ფრესკა ხალხური ცხოვრების თემაზე შესრულებულია ბელა ბერძენიშვილის მიერ; ანთიმოზ გორგაძის მიერ შესრულებული ორმოცი მონუმენტური, ფოლკლორული მოტივებით შემკული ჰედური ფურცლები, ვახტანგ ქოქიაშვილის ვიტრაჟები ქართული ხალიჩების მსგავსი მოხატულობით, კერამიკული პანო ჭურჭლის გამოსახულებით და ბარელიეფი გულდა კალაძისა. მეტად საინტერესოა ანთიმოზ გორგაძის ნამუშევარი სასტუმრო „ივერიაში“ — ჰედური ტიხარი. ეს ტიხარი სასტუმროს ეგსტიბიულში ორ სათავსოს ნაწილობრივ გამოყოფს ერთმანეთისაგან, ქმნის ჩარჩოს გასასვლელისათვის ეგსტიბიულიდან მომსახურების

ბიუროს სათავსოში. გასასვლელის ორივე მხარეს, იატაკიდან ჰერამდე, ვერტიკალურად აღმართულია 1,20 მ-ის სიგანისა და სამი მეტრის სიმაღლის ჰედური „კედელი“. ტიხარს შეადგენს ჩარჩოში ჩასმული 10-10 ჰედური ფილა, ჰედური „სურათები“, რომლებიც ლითონის მსხვილ მავთულებს უჭირავს, თითქოს ორ-ორ „დაფზე“ ასმული.

ჰედური ფილები ტიხრის ორივე მხარეს არის ჩასმული, ამიტომ ტიხრის 20 უჯრას 40 კომპოზიცია ამკობს, აქედან 25 სრულიად განსხვავებულია, ხოლო 15 სარკისებურად იმეორებს მის უკანა გამოსახულებას. ის, რომ ჰედური ფილებსა და მის ხის ჩარჩოს შორის ღია სივრცეა, ტიხარს ინტერიერის ორგანულ ნაწილად აქცევს და ვიტრაჟის ფუნქციას ანიჭებს, ეს არის არქიტექტურისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სინთეზის კარგი მაგალითი. ეს არის პირველი ქართული ჰედურობის ნამუშევარი, რომელშიც ასახულია და შესანიშნავად არის განხორციელებული კონსტრუქციის თემა. ამ მონუმენტურმა ტიხარმა პოეტური ძლერალობა შემატა „ივერიის“ არქიტექტურას.

სასტუმრო „ივერიის“ აგებამ სათავე დაუდო მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მალაღვი ხრამის პირას ამფითეატრად განლაგებული კვარტალების სივრცობრივ ორგანიზაციას, ქალაქის სახის მართებულ ფორმირებას, დამახასიათებელი სილუეტის შექმნას.

სასტუმრო „ივერიის“ შენობამ რადიკალურად შეუცვალა ხასიათი მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ვრცელი ნაწილის განაშენიანების სივრცობრივი წყობის მასშტაბებს. მან პირველმა ააღორძინა ქალაქის გავლა მტკვრის ხეობისაკენ, რითაც საფუძველი დაედო ამ უბნის ორიენტაციას რაგორც დედაქალაქის მთავარი პროსპექტისა, ასევე მისი ძირითადი უბნებისაკენ, გაჩნდა ახალი ქალაქთგეგმარებითი მასშტაბი. საფუძველი ჩაეყარა ახალი მოედნის ჩამოყალიბების მეტად ორიგინალურ და გაბედულ არქიტექტურულ იდეას. 1972 წლის აგვისტოში ო. კალანდარიშვილს და ი. ცხომელიძეს (სპეციალისტებთან ერთად) სასტუმრო „ივერიის“ დაპროექტებისა და მშენებლობისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემია მიენიჭათ.

თბილისის ლენინის სახელობის „ღინამოს“ სტადიონის — საქართველოს ამ უდიდესი სპორტული ბაზის განახლება დაკავშირებულია მის თითქმის ძირეულ სახეცვლილებასთან. ზღორობა მოძღვრული და ფუნქციური სრულყოფილება, რეკონსტრუქციული და ქალაქმშენებლობითი სირთულეებით შეზღუდვის პირობებში რომ არის მიღწეული, ნაგებობის ავტორთა ხანგრძლივ ძიებებს, დიდ შემოქმედებით შრომას და ამ შრომის წარმატებით დაგვირგვინებას მოწმობს.

„დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციის პროექტირება დაიწყო 1956 წელს. სტადიონის ტევადობა ველარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებებს. უკვე 1960-64 წლების განცხადებიდან ჩანდა, რომ მატჩებზე დასწრების მსურველთა რიცხვი 100—120 ათას აღწევდა, ამიტომ პირველი რიგის ამოცანა იყო ტევადობის გაზრდა. სწავლასხვა ობიექტურ მიზეზთა გამო აუცილებელი შეიქმნა პროექტის რამდენჯერმე შეცვლა, არსებული ნაგებობის დიდი ნაწილის დაწვრთვა, ახალი არქიტექტურული სახის შემუშავება (1971—1976 წწ.). არქიტექტორები: არჩილ და გია ქერდიანი, ინჟინერი შ. გახაშვილი).

გაეროიანდა არსებული I და II იარუსი. ახლა იგი 24 000 მაყურებელს იტევს. ახალი, გადაჭრული II იარუსი კი — 51 ათას მაყურებელს. მეორე იარუსის ეს გადახურვა — 30 მეტრი სიგანის „ქუდი“ — მზისა და წვიმისაგან იცავს დაახლოებით 50 ათას მაყურებელს. 25 მეტრი სიგანის აივანი, რომლის კიბეები ცხრა მიმართულებით გაღის ქალაქში, დაახლოებით 12 წუთში ათავისუფლებს სტადიონს მაყურებლისგან. შეიქმნა ბაზის სპორტის თოთხმეტ სახეობაში, თორმეტი ჯიხვი ტელე და რადიოსაბარატურობით, სათავსები ბუნებებისათვის. რა შეიძლება ითქვას „დინამოს“ სტადიონის ე. წ. რეკონსტრუქციაზე, არსებობდა კი, ახალ მშენებლობაზე. იმისათვის, რომ სტადიონის შესანიშნავმა ნაგებობამ შეძლოს ნორმალური ფუნქციონირება ქალაქის სტრუქტურის რთულ ორგანიზმში, საჭიროა გიგანტური ქალაქთმშენებლური გარდაქმნები“. ახალი მშენებლობის გარდა, საჭიროა საცხოვრებელი სასლების მნიშვნელოვანი რაოდენობით დანერგვა, ქალაქის მსხვილი მაგისტრალური ხაზის დაგეგმვა, არსებული ნაკვეთის გაფართოება და მრავალი სხვა. სამწუხაროდ, სტადიონის რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ ქალაქთმშენებლური სამუშაოები ნაკლებად იქნა განხორციელებული.

ბოლო ხანებში, მას შემდეგ, რაც დამტკიცდა ქ. თბილისის ახალი გენერალური გეგმა 2000 წლამდე, სერიოზული ყურადღება ექცევა ქალაქთმშენებლობის პრობლემებს. საზოგადოებრივ ნაგებობათა კომპლექსში, რომელიც შეიცავს უნივერსიტეტის 450 სამუშაო ადგილთა, გრი-

ბოდოვის სახელობის თეატრსა და „ლენინის მოედნის“ მეტროპოლიტენის სადგურს (არქიტექტორები: ა. ბაიარამაშვილი, ლ. მექმარიამაშვილი, დ. მორბედაძე, დ. გორდენიანი), ახლებურად აამუშავებდა რუსთაველის პროსპექტის დასაწყისი. ამ შენობათა მოცულობებმა წარმოქმნეს შიდა ეზო, რითაც პროსპექტის ამ ნაწილმა სიღრმისეული განვითარება მიიღო და სამხრეთის ქალაქისათვის დამახასიათებელი კოლორიტი შეიძინა. მიუხედავად შენობათა სხვადასხვა ფუნქციური და მნიშვნელობისა, ავტორებმა შეძლეს შეექმნათ ხუროთმოძღვრების ერთიანი კომპლექსი, რომელიც საერთო კომპოზიციაში აერთიანებს მის ცალკე კომპონენტებს და თბილისის ქალაქთგეგმარების მნიშვნელოვანი შენაძენია.

გრიბოდოვის სახელობის დრამატული თეატრის განახლებული შენობის პროექტი ეკუთვნის არქიტექტორებს დავით მორბედაძესა და ლერი მექმარიამაშვილს (1977 წ.). შენობის ფსადას ამკობს დიდი ზომის ვიტრაჟი (ავტორი მხატვარი კიბონ ხუნდაძე).

ცენტრალური შესასვლელიდან მაყურებელი ხვდება ფართო ვესტიბიულში, სადაც განლაგებულია გარდერობი და ბუფეტი, პირველი, მეორე და მესამე იარუსების მყუდრო, ნატივად მოპირკეთებულ ფოიეებს ერთმანეთთან აკავშირებს მარმარილოს ფართო კიბე. მაყურებელთა დარბაზი 810 ადგილზეა გათვალისწინებული. დარბაზს ამკობს დიდი ჰალი, რომლის ავტორია მხატვარი ავთანდილ სპარსიაშვილი. საფეხურებისებურად განლაგებული გვერდითი ლოქები ოთხ კაცს იტევს. სცენა აღჭურვილია ტექნიკის უახლესი საშუალებებით. მექანიზებული და რადიოფიციციტებულია ყველა დამხმარე სათავსი. არის 190-ადგილიანი სარეჟისიო დარბაზი, მონეტრებელი სიმსახიობო საპირფარეშო.

სასტუმრო „აპარას“ (არქიტექტორი მ. მელია, 1976 წ.) მალღემა მოცულობამ „შეკრა“ საკმაოდ დიდი მოედნის ნაირსახოვანი განაშენიანება. მძლავრმა ვერტიკალმა კომპოზიციურად თითქოს ერთიან კომპლექსში „გააერთიანა“ სპორტის სასახლე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის კორპუსები და დიდი საცხოვრებელი სახლი მშენებლობის პროსპექტზე.

§ 8. ქალაქთგეგმარების მენიერული საფუძვლი

1978 წლის აპრილში თბილისში გაიმართა არქიტექტორთა საკავშირო თათბირი თემაზე „საზოგადოებრივ ნაგებობათა როლი ქალაქის ცენტრის

ფორმირებაში ამიერკავკასიის რესპუბლიკების დედაქალაქების მაგალითზე“. თათბირმა თავის რეკომენდაციებში აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივ ნაგებობათა პროექტირებაში და მშენებლობაში აშკარად შეიმჩნევა პროგრესული ტენდენცია, საზოგადოებრივ ნაგებობათა არ-

* ამის შესახებ უკვე ითქვა სტადიონის ტექნიკის თვალსაზრისით ავანსის დროს. იმ. გვ. 28—30.

ქიტეტიურა გადაწყვედის მჭიდრო კავშირში საერთო ქალაქთმშენებლურ იდეასთან, გარემოს არსებულ და პერსპექტიულ განაშენიანებასთან კომპლექსში, და მასთან ერთად, ყოველი ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებული დამახასიათებელი სახის შენარჩუნებით.

ქალაქების ანსამბლების ფორმირებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები არსებობს საზოგადოებრივ ცენტრებში, ამიტომ ამ ცენტრის გეგმარებაში და განაშენიანებაში აუცილებლად გასათვალისწინებელია მომავალი არქიტექტურულ-გეგმარებითი და ესთეტიკური განვითარების შესაძლებლობა. აღინიშნა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დედაქალაქებში მშენებლობის პრაქტიკაში ადგილი აქვს საზოგადოებრივ შენობათა აღმართვის შემთხვევებს მოუფიქრებლად შერჩეულ ნაკვეთებზე, კომპლექსურობისა და განვითარების პერსპექტივების გაუთვალისწინებლად.

ქალაქის სისტემაში წარმატებით განლაგებულ და მოცულობით-სივრცობრივად კარგად გადაწყვეტილ საზოგადოებრივ შენობათა რიცხვს თათბირმა მიიკეთა ქ. თბილისში — სასტუმრო „ივერია“, ავტოსადგომი, სახელმწიფო თილარმონის საკონცერტო დარბაზი.

საქართველოს არქიტექტორთა შემოქმედებით ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქალაქ თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის დამუშავება 2000 წლის პერსპექტიული ვადისათვის და მისი დამტკიცება (არქიტექტორები: ი. ჩხენკელი, ჟ. ჯიბლაძე, გ. ჯვარიძე, გ. შავდია, ეკონომისტები: ლ. ლორთქიფანიძე, ი. ბოლქვაძე. 1962—1969 წწ.).

ახალი გენერალური გეგმა, რომელიც რიგით მესამეა სოციალისტური თბილისის ისტორიაში, წინა გეგმებისაგან გამოირჩევა ჩანაფიქრის მასშტაბურობითა და ქალაქთმშენებლური იდეის სრულიად ახლებური გააზრებით.

თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის მესამე გენერალური პროექტი დაამტკიცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1970 წლის 27 აგვისტოს. ყველა ინსტანციის გადაწყვეტილებაში აღინიშნა გენერალური გეგმის პროექტის მაღალი არქიტექტურული ხარისხი და დამუშავებული მასალის სისრულე. გეგმების პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მეცნიერული შრომები და გამოკვლევები:

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საქართველოს სსრ საწარმოო ძალთა განვითარებისა და განვითარების საბჭოს მიერ დამუშავებული „შრომა — თბილისის სამრეწველო რაიონის განვითარების ჰიპოთეზა“.

2. სსრკ სახმშენთან არსებული მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტე-

ტის ქალაქთმშენებლობის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის მიერ დამუშავებული შრომები, სპეციალურად ქ. თბილისისათვის:

ა) ქალაქის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და გენერალური გეგმის დამუშავების მეთოდოლოგია და რეკომენდაცია.

ბ) სასოფლო-სამეურნეო მიწების შეფასების მეთოდოლოგია.

3. ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დამუშავებული შრომა — „ღიღი თბილისის“ კლიმატური მიკრორაიონების საკითხები.

4. თბილისის ტიპური და ექსპერიმენტული პროექტირების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ზონალური ინსტიტუტის მიერ დამუშავებული შრომები თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით:

ა) ქ. თბილისის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დადგენა და მისი დინამიკა საპროექტო ვადაში.

ბ) ქალაქის არსებული განაშენიანების რაიონების რეკონსტრუქციისა და ახალ ტერიტორიაზე მშენებლობის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა.

გ) ქ. თბილისის მოსახლეობის ოპტიმალური განსახლების ექსპერიმენტული ამოცანები.

5. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ზელოვნების ინსტიტუტის მიერ დამუშავებული შრომა — ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არსებული არქიტექტურული და ისტორიული ძეგლების გამოვლინების საკითხისათვის.

როგორია ახალი გენერალური გეგმით საბინაო მშენებლობის განვითარების ძირითადი პერსპექტივები?

დღეისათვის მუშავდება ცალკეული რაიონების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტები. საბინაო მშენებლობა ძირითადად წარმართება ახალ, ჭერ კიდეც აუთვისებელ ტერიტორიებზე. უახლოეს წლებში გათვალისწინებულია გლდანის რაიონის მშენებლობის დამთავრება და საქარხნო რაიონში 20 ათასი მცხოვრებისათვის ლოკინის ახალი საცხოვრებელი მასივის განაშენიანების დაწყება. ვაგრძელდება მშენებლობა ფონიჭალის რაიონშიც, სადაც კეთილმოწყობილ, თანამედროვე ბინებში იცხოვრებს 50—60 ათასი კაცი. გენერალური გეგმით გათვალისწინებულია ნუტუბიძის ქუჩის მიმდებარე ფერდობების განაშენიანება, სადაც შესაძლებელია დაახლოებით 20 ათასი მცხოვრები და ტერიტორიის ათვისება სოფელ ვაშლიჭვრის რაიონში საბურთალოსა და დილომს შორის. აქ წარმართება საცხოვრებელი მასივი 30 ათასი მცხოვრებისათვის.

ახალი საცხოვრებელი რაიონების განაწინააზრების სართულანობაც განსაზღვრულია გენერალური გეგმით და საშუალოდ 9 სართულს უტოლდება. ახლა, სპეციალური-ტექნიკური რეკონსტრუქციის ეპოქაში უფრო გაძედილად უნდა ავითვისოთ საცხოვრებელი სახლების ახალი ტიპები: კარკასული, მოცულობითი, ბლოკიანი, მონოლითური; ისინი დიდ შესაძლებლობებს ქმნიან ქალაქთმშენებლობისათვის.

განზოკიდდება კ. ცეტკინისა და კალინინის ქუჩების რეკონსტრუქცია, რათა ისინი დაუკავშირდნენ წერეთლის პროსპექტს, ხეთავროვისა და ბარათაშვილის ქუჩებს.

ხანგრძლივი დროის მანძილზე თბილისში ახალი საცხოვრებელი რაიონების მშენებლობა კომპლექსურად არ ხორციელდებოდა. სახლები შენდებოდა, იქ სახლებიდან ახალმოსახლენი, ხოლო მომსახურების სფეროს საწარმოები გეგმით არ იყო გათვალისწინებული. ეს გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა მცხოვრებთათვის. ამჟამად ახალი რაიონების მშენებლობა იგეგმება კომპლექსურად, გათვალისწინებულია მათში მომსახურების მსხვილი ცენტრების შექმნა, სადაც თავმოყრილი იქნება ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტები, კულტურის დაწესებულებები.

თბილისის გენერალური გეგმა ითვალისწინებს ქალაქის ტერიტორიის ფუნქციონალურ განაწილებას საცხოვრებელ და სამრეწველო რაიონებად, დასვენების ზონებად და ა. შ. მოსახლეობისათვის მაქსიმალური მოხერხებულობის შექმნისა და მათი მომსახურების გაუმჯობესების მიზნით თბილისი გენერალური გეგმით დაყოფილია 9 რაიონად, სადაც მომავალში უნდა შეიქმნას ყოველგვარი პირობები მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

თბილისის პირველი გენერალური გეგმა 1934 წელს დაწიკცდა და მას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მშენებლობას, პირველად ქალაქის ისტორიაში წინასწარი გააზრებული, გეგმიური ხასიათი ენიჭებოდა. მის საფუძველზე რადიკალურად გარდაიქმნა თბილისის მრავალი უბანი, განსაკუთრებით კი — ქალაქის ცენტრალური ნაწილი. მეორე გენერალური გეგმა 1951—1970 წლებზე იყო გათვალისწინებული. ამ წლებში ქალაქმა მნიშვნელოვნად იცვალა სახე, ტერიტორიულად გაფართოვდა. დროის ეს მონაკვეთი გამოირჩევა მშენებლობის კონცენტრაციით, ახალი ქუჩების შექმნის ხარკზე (ვარაზისხევი, ვაჟა-ფშაველას გზა და ა. შ.) საგრძნობლად გაუმჯობესდა კავშირი თბილისის ცალკეულ უბნებს შორის, განაწიდა ახალი, უცვლელი უბნები საპურთალოში, დიღომში, ნავთლულში. ახალი საცხოვრებელი რაიონები 50—100 ათას კაცზე იყო გათვა-

ლისწინებული. მიუხედავად ახალი საცხოვრებელი რაიონების სერიოზული ნაკლოვანებებისა, მათ ხელი შეუწყვეს თბილისის მშრომელთა საბინაო პირობების მკვეთრ გაუმჯობესებას. თბილისის მკვიდრნი და სპეციალისტებიც სამართლიანად უკიჟინებდნენ ამ რაიონებში აგებული საცხოვრებელი სახლების მოუხერხებელ დაგეგმარებასა და მშენებლობის დაბალ ხარისხს. ბოლო დროს არქიტექტორებმა დიდი შემოქმედებითი მუშაობა გასწიეს და დღეს უკვე დაიწყო ახალი საცხოვრებელი სახლების დანერგვა, რომლებიც გეგმარებითა და მხატვრული სახით გაცილებით უკეთესია.

თბილისი მარტო ტერიტორიულად როდი გაიზარდა, დღეს საქართველოს მოსახლეობის მეხუთედი თბილისში ცხოვრობს, აქ რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის 40 პროცენტი მზადდება, ხოლო წარმოებაში დასაქმებული მოქალაქენი 35 პროცენტს შეადგენენ.

თბილისში უკვე გაჩნდა სახლების ჯგუფები, სადაც მკაფიოდ ჩანს მხატვრული ჩანაფიქრის სიასლე. საგრძნობლად შეიცვალა ქალაქის მოცულობითი კომპოზიციური წყობაც. უკანასკნელ ხანს აგებულმა მალღიმამ შენობებმა ახალი იერი შემატა თბილისის სილუეტს, აღმოცენდა ახალი არქიტექტურული დომინანტები, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ მალღივი შენობებისათვის ადგილის შერჩევა ზოგჯერ შემთხვევით ხასიათს ატარებდა და მათი მოცულობები ჯერ არ არის ერთიან კომპლექსურ სისტემაში მოყვანილი.

საქართველოს არქიტექტორთა, მშენებელთა ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-13 პლენუმს, რომელიც 1978 წლის 27 ნოემბერს გაიმართა და რომელმაც კაპიტალური მშენებლობის კარდინალური საკითხები განიხილა. პლენუმზე ხაზგასმით ითქვა, რომ საჭიროა ვაშენოთ სწრაფად, ეკონომიურად, თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე, რათა დაეძლიოთ დიდი სიძნელები, რაც გვაქვს მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფაში.

1972 წელს სარდაფებსა და ბარაკებში ცხოვრობდა 85 ათასზე მეტი კაცი. საშუალოდ ქალაქის ერთ სულ მოსახლეზე განსაზოგადებული ფონდიდან 9,2 კვ. მეტრი ფართობი მოდიოდა და ამავე დროს 18 ათას კაცზე აშენებული ბინების რიცხვით რესპუბლიკა ბოლოდან მეორე, ე. ი. მე-14 ადგილზე იყო კავშირში. საბინაო მშენებლობაში გამოყოფილი სახსრების მთლიანად აუთვისებლობის გამო მარტო 1965—1972 წლებში დაიკარგა 1 390 ათასი კვ. მეტრი ფართობი.

პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის თაობაზე სკკპ ც-ის 1972 წლის 22 თებერვლის დადგინებების შემდეგ შეიქმნა სოლიდური, სერიო-

ზული საფუძველი — სამშენებლო წარმოების ბაზა, როგორც სამშენებლო ინდუსტრიის, ისე საშენ მასალათა ხაზითაც.

1968—1977 წლებში დაგეგმილი იყო სულ ხუთი ექსპერიმენტული საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელთაგან დადგენილ ვადაში ერთადერთი აშენდა, დანარჩენის მშენებლობას 7—8 წელიწადი მოუხდა. ერთი მათგანი, რომელიც სრიალა ყალიბით შენდებოდა, პირველი საბჭოთა დონეზე დააკონსერვოს.

პლენუმზე ითქვა, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ცუდად ითვისებენ სამშენებლო წარმოების საფუძვლის—დიდპანელიანი სახლმშენებლობის, ასაწყობი რკინა-ბეტონის, აგურის, წვრილი საკედლე ბლოკებისა და სხვა მასალების წარმოების არსებულ სიმძლავრეებს.

საქართველოში — ერთ-ერთ ყველაზე მცირე-მიწიან რესპუბლიკაში — მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს რაციონალურად და ეფექტიანად გამოვიყენოთ თითოეული მეტრი ფართობი, ყოველი მტკაველი მიწა. ამ მხრივ საგულისხმოა, პირველ რიგში, თბილისში მთის ფერდობების ათვისება და მალღივი შენობების აგება.

თბილისში ახალი ტერიტორია, მთ უმეტეს, წყნარი და სწორი, მეტად დეფიციტურია, ამიტომ ძალაუვნებურად უნდა ათვისებულყოფილი მთის კალთები, ხეობები, ეს კი საკმაოდ რთულია. ამ მხრივ გადადგმულია პირველი ნაბიჯები. საპროექტო ინსტიტუტმა „თბილქალაქპროექტმა“ დაამუშავა საცხოვრებელი სახლის პროექტი, მასზე მკაფიოდ ჩანს ქანობზე აგებული სახლების თავისებურებები (არქიტექტორები: თ. კალანდარიშვილი და გ. ფოცხიშვილი). აქ ორგანიზდა რაფიქრებული ცალკეული სახლების ურთიერთდაკავშირება ერთ, მაღალ მოცულობაში თავშეყრილ ლიფტებთან სხვადასხვა დონეზე განლაგებული ქუჩა-გადასასვლელების შემწეობით. სანტერესოა აგრეთვე „თბილზნიეპში“ დამუშავებული ბაგების საცხოვრებელი უბნის პროექტი, სადაც განაშენიანების ძირითად ერთეულს, ე. წ. „კასკადური კომუნიკაციური სახლი“ წარმოადგენს (საავტორო ჯგუფის ხელმძღვანელი ბ. მამინაშვილი).

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს კორპუსი (არქიტექტორები: გ. ჩახავა — ხელმძღვანელი, ზ. ჯალაღონია, ინჟინრები: თ. თხილავა, ა. კიმბერგი), რომელიც მთის რელიეფთან შენობის შეხამების თავისებურ ვარიანტს გვთავაზობს (1975 წ.), დედაქალაქის ორ მაგისტრალს შორის მდებარეობს და რელიეფის 33 მეტრის ვარდნილობას აღწესსავს. ამ ხვევა განსაზღვრა არქიტექტურული გადაწყვეტა შენობისა, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება თავისი იერსახით სხვა ნაგებობებისაგან. რელიეფის მკვეთრმა ვარდნილობამ შესაძლებელი გახადა შენო-

ბასთან მისასვლელები მოწყობილიყო პირველ, მეხუთე და მეთერთმეტე საბოლოოებზე.

თბილისში უკვე გამოჩნდა საცხოვრებელი სახლების დიდი ჯგუფები, სადაც ნათლად ჩანს მხატვრული ჩანაფიქრი. ამ მხრივ აღსანიშნავია მალღივი საცხოვრებელი სახლი ბარნოვისა და მცხეთის ქუჩის შესაყართან და ვარაზისხევის ქუჩის კომპლექსური განაშენიანება.

თბილისის სხვადასხვა უბანში აშენდა ახალი მსხვილბლოკური ტიპური საცხოვრებელი სახლები, რომლებიც გამოირჩევიან მოხერხებული გეგმარებით. აქ სხვადასხვა დამხმარე სათავსებია (სარეცხის საშრობი, ბავშვების სათამაშო და ა. შ.) სახლის ცალკეულ ბლოკებად დანაწევრება გაშენების მრავალფეროვან საშუალებას იძლევა. მისი გეგმარების პრინციპი კომპოზიციური ვარიანტების პირობებს ქმნის მთის ფერდობზეც.

მთიანი რელიეფის პირობებში კომპლექსური სახლები დიდი მანძილიდან და სხვადასხვა რაკურსებით აღიქმებიან და საკმაოდ ფართო სივრცის ორგანიზაციის როლი აქვთ. ამის თვალსაზრისით მაგალითია საპროექტო ინსტიტუტის „საქქალაქმშენ-სახპროექტის“ შენობა ჭავჭავაძის პროსპექტის დასასრულს (არქიტექტორები: თ. ბაგრატიონი, რ. რეიშვილი, ა. სამაშვილი, ზ. ხიზანიშვილი, თ. ჩოფიკაშვილი). სამწუხაროდ, მალღივი შენობების ურთიერთდაკავშირის, მათი ერთიან კომპოზიციურ წინასწარი გააზრების იგნორირება ხშირად განაპირობებს განაშენიანების სილუეტის, სერითო მოცულობრივი წყობის სტიქიურ ხასიათს.

თბილისის პრაქტიკაში უხეირო საბინაო მშენებლობისა და ქალაქთგეგმარების მავალითად შეიძლება მოვისწვიოთ დამახინჯებული „ეჭყის გორა“ ნახევრად განხორციელებული, ყველივით „მოჭრილი“ სახლით, „ლურჯი მონასტრის“ უბანი, შაუმიანის მოედანი, კ. ხეთავროვის ქუჩა, ჩვენი დედაქალაქის ლანდშაფტისათვის არადაძახსიათებელი, უხალისო, ოთხცილომეტრიანი, ლარივით გაჭიმული ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, უხეშად ჩაყვრილი კიბერნეტიკის ინსტიტუტის შენობით.

თავის დროზე სანაპიროების სახით, როდესაც ეს უზარმაზარი გრძივი მაგისტრალი კეთილმოეწყო, შეიქმნა ჩქაროსნული და სატვირთო გზა, თითქმის კარგი საქმე გაკეთდა. სამწუხაროდ, სანაპიროების ასეთი მაგისტრალის შექმნით გამოუსწორებელი შეცდომა იქნა დაშვებული.

საერთოდ სატრანსპორტო პრობლემას ახლა მთელ კავშირში მწვავე ხასიათი აქვს. განსაკუთრებით მწვავეა იგი ქალაქ თბილისში, სადაც უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემებით ათ მცხოვრებზე ერთი ავტომანქანა მოდის. გარდა ეკოლოგიური მნიშვნელობისა, სატრანსპორტო პრობლემის გადაწყვეტას დიდი სიფრთხილე და სიფიქ-

ზე სწორდება, თორემ შეიძლება გამოვიდეს ისეთი რამ, რაც გმირთა მოედნის რეკონსტრუქციის დროს მოხდა.

ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი სისხლსავსე სატრანსპორტო არტერია — გმირთა მოედანი დიდი ხანია ვერ ავსოფილებდა თანამედროვე დიდი ქალაქის მოთხოვნებს. ვერ აუღიოდა სატრანსპორტო საშუალებათა გაზრდილ ნაკადებს, ამიტომაც მრავალი წელიწადია ამ დარაგის სპეციალისტები, არქიტექტორები, დამპროექტებლები მუშაობდნენ გმირთა მოედნის რეკონსტრუქციის პროექტზე. ასეთი პროექტი ჯერ კიდევ 1974 წელს უკვე არსებობდა, მისი პირველი რაგის სამუშაოებს გვაქვს შესაბამისმა სადირექტივო ორგანოებმა დაამტკიცეს კიდევ.

როგორი იყო გმირთა მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი, უნასუბედა თუ არა იგი თანამედროვე მოთხოვნებს, ტრანსპორტის განვითარების პერსპექტივებს?

ეს საკითხი აღვლევდა ყველას, ვისაც გულწრფელად შეხტყვა გული ჩვენს დედაქალაქზე, ვისაც ნამდვილად სურს უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი იყოს იგი. ამიტომაც გაზეთმა „თბილისი“ ამ საკითხთან დაკავშირებით წამოიწყო დისკუსია. 1974 წლის 4 ივლისს „თბილისში“ გამოქვეყნდა წერილი „გმირთა მოედნის რეკონსტრუქციის საკითხისათვის“, რომელმაც ფართო გამოხმაურება პოვა. როგორც გამოქვეყნებულ იქნა დღესათვის წერილების ავტორებს ამოძრავებდა პატრიოტული გრძნობა — არ გამოვრეზულიყო ადრე ზოგიერთი ობიექტის დაპროექტებისა და მშენებლობის დაშვებული შეცდომები. ამ საქმეში, სავსებით სწორად აღნიშნავენ წერილების ავტორები, აჩქარება არ ვეარგებს, მას შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყვეს. ეს ნაგებობა რამდენიმე წლისათვის კი არ შენდებოდა, მან უნდა გაეძლოს ქალაქისა და ტრანსპორტის განვითარების მრავალი ათეული წლის გამოცდას. 1974 წლის 24 ივლისს საქალაქო საბჭოს აღმასკომში გაიმართა გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე წამოწყებული დისკუსიის შემაჯამებელი სხდომა. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა გმირთა მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ყველა საკითხის განხილვა. უფრო ადრე მოეწყო გმირთა მოედნის რეკონსტრუქციის ღია კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის უფლება ეძლეოდა ყველა მსურველს და ამიტომ პროექტების რაოდენობაც საკმაოდ ბევრი იყო. მაგრამ კომპეტენტური ფიურის მიერ არც ერთი მათგანი არ იქნა მიჩნეული სრულყოფილად, თუმცა ზოგიერთის გარკვეული მხარე ყურადღებას იმსახურებდა და სათანადოდაც აღინიშნა. შემდეგ გმირთა მოედნის რეკონსტრუქციის პროექტის შედგენა დაევა სახელმწიფო სა-

პროექტო ინსტიტუტს „თბილქალაქპროექტს“, რომელიც განხილულ იქნა პრესის ფურცლებზე და სათანადო შენიშვნების გათვალისწინებით დამტკიცდა.

გმირთა მოედნის რა სახის რეკონსტრუქციას ითვალისწინებდა მოწონებული პროექტი და რა მხარეებმა განაპირობეს მისი დადებითი შეფასება? პროექტი ითვალისწინებდა წრიული ესტაკადის მოწყობას, რომელიც არსებული დონიდან ზევით იწევდა 1,0—3,5 მეტრამდე (საცხოვრებელი სახლის ფარგლებში თითქმის ტროტუარის დონეზე). მის ქვეშ არსებული დონე კი უნდა შენარჩუნებულიყო ფეხით მოსიარულეთათვის. გმირთა მოედნის რეკონსტრუქციის განხორციელება დაიწყო 1974 წლის ზაფხულში და დამთავრდა 1978 წლის 1 მაისისათვის. მოედნის სრული კეთილმოწყობა და მიწისქვეშა გასასვლელების გაყვანა 1978 წლის 7 ნოემბრისათვის დამთავრდა.

ახლა გმირთა მოედანი წინანდელთან შედარებით თითქმის 2,5-ჯერ გაფართოვდა. ადრე თუ საათში 12 ათასი მანქანის გატარება უჭირდა, ამჟამად 30 ათასსაც ადვილად აუღის. გვირაბი 30 მეტრი სიგანისა და 150 მეტრი სიგრძისაა, რომელიც სანაპირო მხრიდან (სახელმწიფო ციხის მახლობლად) ლენინის ქუჩის მიმართულებით (11-სართულიანი სახლის მოპირდაპირე მხარეს) მოედნის შუაგულს გადაკვეთს. მის ქვეშ გადიან და მარტო იგი საათში ორმხრივ და 6 მწკრივად მოძრაობს 8—10 ათას მანქანას ატარებს. ტრანსპორტის დანარჩენი ნაკადი კვლავინდებურად ზევით დადის.

ჯერ 4 მიწისქვეშა გასასვლელის მშენებლობა მიმდინარეობდა, შემდეგ, მეხუთის (ჩელიუსკინელების ქუჩის გადაკვეთაზე) სამუშაოებიც დამთავრდა, მოედნის განტვირთვისათვის ხელი უნდა შეეწყო დიდუბისა და საბურთალოს დამაკავშირებელ ხიდსაც (ვახუშტი ბაგრატიონის ხიდი). ამავე მიზანს ემსახურება ჩელიუსკინელების ხიდის ყურესთან მოწყობილ სანაპიროზე ტრანსპორტის ჩასასვლელი.

გათვალისწინებული იყო მთელი მოედნის ტერიტორიის კეთილმოწყობა, ეს ადგილი უნდა გამხდარიყო არა მარტო დედაქალაქის ძირითადი სატრანსპორტო კვანძი და უნიკალურ საინჟინრო ნაგებობათა სრულყოფილი კომპლექსი, არამედ თავისი სილამაზითა და მხატვრულ-არქიტექტურული იერით თბილისის მშვენიერად უნდა ქცეულიყო. მოედნის ცენტრალურ კუნთულზე გათვალისწინებული იყო შადრევნები, მხატვრულ-სკულპტურული მცირე ფორმების მოწყობა, დეკორატიული მცენარეების დარგვა. სამუშაოებში, ასე არ მოხდა. ამ მოედანმა მაინც ვერ გადაწყვიტა სატრან-

სპორტო პრობლემა (პროექტის ავტორები: კ. ნახუტურიშვილი, ლ. ალექსი-მესხიშვილი).

ახლო მომავალში მოხდება გმირთა მოედნის მეზობლად მდებარე ლენინის ქუჩისა და ი. ქაქავაძის პროსპექტის რეკონსტრუქციაც, მათი ღებლ-მაგისტრალების შექმნა. პროექტით გათვალისწინებულია და როცა ეს საჭირო გახდება, ვარაზის-ხევიდან ჩელოუსკინელების ქუჩის მიმართულებით აშენდება სატრანსპორტო ესტაკადა, ხოლო სანაპიროსა და ვარაზისხევის შორის გაიყვანენ კიდევ ერთ სატრანსპორტო გვირაბს.

გმირთა მოედანი — ეს ქალაქის ცენტრალური კვანძი გადაიქცა მხოლოდ სატრანსპორტო მოედნად, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ტრანსპორტის მოძრაობის საკითხები აქ პრაქტიკულად გადაუწყვეტელი დარჩა. დროებით აიკრძალა ლენინის ქუჩაზე საბურთალოდან მომავალი ტრანსპორტის მოძრაობა, რამაც დიდი უხეზულობა შექმნა, საჭირო გახდა უზარმაზარი მოედნის შესაქმნელად ნარგავების დიდი რაოდენობით განადგურება, თუმცა მოედანმა მაინც ვერ გადაწყვიტა სატრანსპორტო პრობლემა. გმირთა მოედნის რეკონსტრუქციამ არ მოგვცა სასურველი ეფექტი.

გადაწყდა, შეიზღუდოს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისის მეტისმეტი ზრდა, მის გარშემო შეიქმნას ისეთი სამრეწველო კვანძები, როგორც არის კასპის, მარნეულის, გორის, ხაშურისა და სხვები.

ახალი გენერალური გეგმა დამუშავებულია იმ ვარაუდით, რომ თბილისი წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ, კულტურულ, სამეცნიერო და სამრეწველო ცენტრს. მაგრამ გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ახალი სამრეწველო საწარმოების მშენებლობის შეზღუდვა. რაიონული დაგეგმარების სტეპებით ამ მიზნისათვის გათვალისწინებულია სხვა ქალაქები და დასახლებული პუნქტები, რომელთაც აქვთ კარგი სატრანსპორტო კავშირთაფართობა და საკმაოდ ფართო სამშენებლო, მოედნები. თბილისში მრეწველობის სიმძლავრეების ზრდა გათვალისწინებულია ძირითადად წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ხარჯზე. ქალაქში აშენდება მხოლოდ ისეთი საწარმოები, რომლებიც გამოუშვებენ რთულ ელექტრონულ ხელსაწყოებს, გამოშვებულ მანქანებს და ა. შ. ხოლო სანტარიალი თვალსაზრისით მავნე საწარმოები გატანილი იქნებიან ქალაქიდან. ახალი გენერალური გეგმა გამოირჩევა აგრეთვე ქალაქის ზრდის მიმართულების არჩევითაც, ადრინდელ გენერალურ გეგმებში (1934 წლისა, 1970 წლისა) იცავდნენ მდინარე მტკვრის ხეობის გასწვრივ, ხაზობრივად საქალაქო სტრუქტურის განვითარების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციას. ცხადია, უთუოდ მი-

ზანშეწონილია, რომ ქალაქი ვითარდებოდეს სიგრძივ, მდინარე მტკვრის ხეობის გასწვრივ. თავის დროზე ქალაქის სიგრძის გადიდება (სიგრძე 35 კილომეტრი, სიგანე — 1,5—7 კილომეტრი) გამოწვეული იყო იმით, რომ არ ჰქონდათ გადაწყვეტილი განაშენიანებისათვის მთის ფერდობების ათვისების პრობლემა. ახალი გენერალური გეგმის ავტორებმა თუმცა არ უუთავდეს ქალაქის მეტყვის გასწვრივ განვითარების ტენდენცია (დიდი დიდი, სოლიდური განაშენიანების შექმნა), ამავე დროს წამოაყენეს პრინციპულად ახალი დაგეგმარებითი იდეა. მათ დასახეს აგრეთვე ქალაქის განივი განვითარების მიმართულება „თბილისის ზღვის“ გარშემო. უკანასკნელმა წლებმა ცხადყო „თბილისის ზღვის“ მხარეს საბინაო მშენებლობის განვითარების დადებითი პრაქტიკა.

თბილისის შემდგომშიაღივ განვითარდება, როგორც მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ცენტრი. არანაკლები მნიშვნელობა ექნება „ტურისტული ინდუსტრიის“ ზრდას. ასე, მაგალითად: 1967 წელს თბილისი ინახულა 6 ათასამდე უცხოელმა ტურისტმა, 1980 წელს მათი რიცხვი 160 ათასამდე გაიზარდა.

თბილისში ფართო მასშტაბით ხორციელდება და განხორციელდება საბინაო მშენებლობის დიდი პროგრამა, იგება სკოლები, საბავშვო, კულტურის, მეცნიერების, სასპორტო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებები. მარტო 1981 წელს საქსპლუბატციოდ გადაეცა 540 100 კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, 1982 წელს ჩაბარდა 560 ათასი კვ. მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, სულ მეთერთმეტე ხუთწლეულში გათვალისწინებულია საქსპლუბატციოდ გადაეცეს ... 2 მილიონ 750 100 კვ. მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი. სამწუხაროდ, საბინაო მშენებლობის ხარისხი ჯერ კიდევ მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს.

ჩვენი ხუროთმოძღვრები მუდმივად უნდა ავითარებდნენ და ნოვტორულად გაიზარებდნენ არქიტექტურის პროგრესულ ტრადიციებს, ამავე დროს, ცალკეული შენობებისა და ნაგებობების დაპროექტებისას ყოველთვის ასსოვდეთ და მხედველობაში ჰქონდეთ ამ შენობისა თუ ნაგებობის ადგილი და როლი ნთლიანი მხატვრულ-არქიტექტურული გარემოს სისტემაში.

ვაშენით კარგად, ხარისხიანად და ლამაზად — ეს არის უმნიშვნელოვანესი სოციალური მოთხოვნა, რომელიც წარმოადგენს მთავარს საბჭოთა ხუროთმოძღვრების განვითარებისათვის მეთერთმეტე ხუთწლეულში და 1990 წლამდე პერიოდისათვის. ჩვენ უნდა ვაშენოთ სწრაფად, ეკონომიურად, თანამედროვე ტექნიკურ და მეცნიერულ დონეზე. საბჭოთა არქიტექტურის შემდგომი განვითარება მოითხოვს არქიტექტურულ-სამშენებლო

მეცნიერების როლის ამაღლებას, მშენებლობის ნოქნივე გამოკიდების ფართო გავრცელებას, ზუროთომოქვართა მოქვანობაში მსოფლიო არქიტექტურის პრორგრესული მექვიდრეობის შემოქნელებით გამოყენებას.

საბჭოთა არქიტექტორები მოწოდებული არიან შექნან ზუროთომოქვრების ისეთი ნაწარმოებებო, რომლებიც ზელს შეუწყობენ აღუზარდონ ჩვენს ხალხს მაღალი იდეურ-ზნეობრივი თვისებები, უსაზღვრო სიყვარული სოციალისტურ სამშობლოსადმი, ანდირებდნენ მის სულიერ სამყაროს.

საბჭოთა არქიტექტურა როგორც დიდი სოციალური და იდეოლოგიური მნიშვნელობის შემოქნელება, უნდა ასახავდეს მაღალ ჰუმანურ იდეალებს, კომუნისტური მშენებლობის პათოსს.

როგორც წინა წლებში თბილისში სამუშაოებო ხორციელება საბინაო მშენებლობის ხაზით. 1971—1975 წლებში საექსპლუატაციოდ გადიცა 2005 ათასი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო 1976—1980 წლებში — 2480 ათასი კვადრატული მეტრი. ამჟამად დაგეგმარებული და ტექნიკურ-ეკონომიკური ამოცანების გადაჭრასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამედროვე საცხოვრებელი სახლების მხატვრულ გამომსაველობას. შენდება ახალი მხვილდლოკიანი და კარკასულ-პანელიანი სახლები ახალი სერიის ტიპური პროექტებით, ამენდა არაერთი ექსპერიმენტული საცხოვრებელი სახლი.

ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ამაღლდეს საბინაო მშენებლობის ტემპი. განუზრულად უნდა ვიხელმძღვანელოთ პარტიის მითითებით იმის შესახებ, რომ საბინაო მშენებლობა მუდამ უნდა იყოს ყურადღების ცენტრში.

საბინაო მშენებლობის ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემაა, მოენახათ გამოსავალი ტრაფარეტისაგან, ერთფეროვნებისაგან, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ არქიტექტურის პალიტრის გამდიდრებით, ინდუსტრიული ბინათმშენებლობის შესაძლებლობათა გაფართოების მეშვეობით.

მიუხედავად ტექნიკური სიძნელებისა, საჭიროა უკვე ახლა, უფრო ფართო მასშტაბით, საგნობრივად მოკვიდოთ ხელი მშენებლობას ფერდობებზე (ეს სამუშაოები უკვე ხორციელდება). ფერდობების ათვისებას კიდევ ერთი უპირატესობა აქვს, ეს არის „სანახაობრივი“ კომფორტის შექნა ქალაქის განაშენიანებაში.

„თბილისის ზღვა“ და მისი მიმდებარე ტერიტორია, ფერდობების მსგავსად, ქალაქის „ოქროს ფონია“. მისი განაშენიანება მაღალმხატვრული კომპოზიციური საშუალებებით მიაჩიკებს თბილისის განუყოფელ კოლორიტს. მეთერთმეტე მეთორმეტე ხეუწლებში საჭიროა, ალბათ, არ-

ქიტექტორთა ყურადღება გამახვილდეს ფერდობებისა და „თბილისის ზღვის“ მიმდებარე ტერიტორიის დაგეგმარებაზე, მისი მასშტაბების და განაშენიანების ხასიათის განსაზღვრაზე.

მშენებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მთის ფერდობების განაშენიანების თვალსაზრისით, მათი ათვისების აუცილებლობა. ამ მხრივ მიმდინარეობს სამუშაოები დედაქალაქის წამყვან საპროექტო ინსტიტუტებში. თბილისში ხორციელდება ფერდობის განაშენიანება, რომელიც ეკვრის ნუტუბიძის ქუჩას საბურთალოზე (არქიტექტორები: ო. კალანდარიშვილი, გ. ფოცხიშვილი). ქალაქთმშენსაპროექტში შემუშავებულია „არმაზი-77“ სერიის სამსართულიანი სახლების ახალი ტიპი (არქიტექტორები: გ. ოწყამიშვილი, დ. ჭაფარიძე, ე. ქართველიშვილი, ე. შერმაზანაშვილი, დ. გულვერდაშვილი), რომელიც შეიცავს სახლების 35 ტიპს. საცხოვრებელი ბლოკების დაგეგმარება მოქნილია, იგი ითვალისწინებს სათავსოთა ტრანსფორმაციის შესაძლებლობას ოქახის წვერთა რაოდენობის მიხედვით. კიბის უჭრედის გამოყენება სხვადასხვაგვარ ვარიანტებში შესაძლებლობას იძლევა, ავითვისოთ რელიეფი 25 პროცენტის დახრილობით.

თბილისის მოსახლეობამ უკვე გადააჭარბა მილიონის და სწრაფი ტემპით იზრდება. 2000 წლისათვის ქალაქში შესაძლებელია იყოს 1,5 მილიონი მცხოვრები, რაც ქალაქთმშენებლობის წინაშე აყენებს არაერთ პრობლემას.

განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურული მხარე, საუკუნეების მანძილზე შექმნილი ქალაქის თავისებური და განუყოფელი იერსახე, თანამედროვე ზუროთომოქვრების მისწრაფება, შეუარჩუნონ ქალაქი თბილისური იერი და დასახონ მისი განვითარების გზები მასობრივი ინდუსტრიული მშენებლობის მძაფრი ტემპის პირობებში, ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა თბილისის ქალაქთმშენებლობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს მინისტრთა საბჭომ 1975 წლის 25 თებერვალს მიიღეს დადგენილება „ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის შექმნის შესახებ“. დადგენილება ითვალისწინებს ამ ზონის ფარგლებს, აწესებს მის შიგნით საგანგებო რეჟიმს, კონკრეტულ ღონისძიებებს არსებული განაშენიანების დაცვა-აღდგენისა და მომავალი გამოყენების შესახებ.

საქართველოს კ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კ თბილისის კომიტეტისა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადებებს, ზუსტად არის დასახული როგორც პირველხარისხოვანი, ისე საერთო საკითხები, თბილისის ისტორიული ნაწი-

ლის დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ დადგენილებით გამოიყვანა მთავარი ამოცანა: ძველ თბილისს შეეუნარჩუნო საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული მხატვრული სახე და ამავდროს მაქსიმალურად კეთილმოვაწყეთ რეგენერაციის, რეკონსტრუქციისა და ადაპტაციის ჩატარებით. თბილისის ძველი ნაწილის, როგორც საუკუნეობით ჩამოყალიბებული ორგანიზმის (გეგმარებითი სტრუქტურა, განაშენიანების ხასიათი, მასშტაბი, ლანდშაფტი) შენარჩუნებას ფრიად დიდი ისტორიული, არქიტექტურული, ქალაქმშენებლური და მხატვრული მნიშვნელობა აქვს.

ახლა, როცა თბილისის ნაწილი ნაკრძალად გამოცხადდა, უდიდესი სამუშაოები ჩატარებული ძველი უბნების რეგენერაციის, რეკონსტრუქციისა და ადაპტაციის პროექტების შესადგენად და მათ განსახორციელებლად.

ზემოხსენებული დადგენილებების დამუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული ტალინისა და ვილნიუსის მდიდარი გამოცდილება. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოს შემადგენლობაში შეიქმნა სპეციალური ინსპექცია ქალაქის არქიტექტურული ძეგლების დასაცავად.

საკირო იყო თანამედროვეობის მქონდ რეზერვები წარსულის ტრადიციებთან. ამ მხრივ გადაიდგა კიდევ სერიოზული ნაბიჯები. თბილისის კიროვის რაიონში კარგად არის რეკონსტრუირებული კოლმეურნეობის მოედანი, სადაც დღეა კიდულაივინიანი ძველი საცხოვრებელი სახლები განახლებულია და მოედანს უბადლო კოლორიტს მატებს. წინათ ქალაქის ეს უბანტრონოდ მიტოვებული და უშნო კუთხე ახლა ყველას ყურადღებას იპყრობს, თვალს ახარებს.

მეცნიერ მუშაკთა რეკომენდაციებით ნშენებელთა და არქიტექტორთა ჯგუფმა ახალი სიცოცხლე შთაბერა ბარათაშვილის ქუჩას, კიბაღჩიის აღმართს, ანჩისხატის მშენიერ უბანს, კოლმეურნეობის მოედანს. განახლდა შავთელისა და ჩხრუხაძის ქუჩების ბევრი ეზო-სახლი, აშენდა ლალიძის წყლების ახალი საფირმო მფაზია. ორიგინალური ეროვნული რესტორანი, გაყვანილ იქნა შავთელის ქუჩისა და სანაპიროს დამაკავშირებელი მიწისქვეშა გვირაბი, გაფართოვდა ბარათაშვილის ქუჩიდან ქვევით ჩამავალი გზა. უკვე რამდენიმე წელია ამ უბნებში დიდი ზეიმითა და სიხარულით ეწყობა ხალხთა მეგობრობისა და ძმობის დღესასწაული „თბილისქალაქობა“, „თბილისობა“.

ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მისი მიმდებარე ქუჩების რეკონსტრუქცია მნიშვნელოვანი ეტაპია ქართული საბჭოთა არქიტექტურისა და ქალაქთდაგეგმარების ისტორიაში, თბილისის მხატვრული იერსახის ჩამოყალიბებასა და შემდგომ გაუმჯობე-

ლებაში. აღდგა ძველი თბილისის ზღუდე-გალავანი კოშკებითა და ბურჯებით, აივინიანი სახლებით. ამ რეკონსტრუქციის ავტორისა და სამუშაოთა ორგანიზატორების მიერ საისტორიო წყაროების, თბილისის ძველი გეგმა-რუკების შესწავლისა და ანალიზის შედეგად განახლდა თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბნის ისტორიული სახე, განუმეორებელი კოლორიტი. ქალაქ თბილისის ბარათაშვილის ქუჩის ისტორიული განაშენიანების რეკონსტრუქცია-რეგენერაციისათვის და კოლმეურნეობის მოედანის მიწისქვეშა გასასვლელის არქიტექტურისათვის საქართველოს სსრ დამსახურებულ არქიტექტორს შოთა ყავლაშვილს 1981 წლის მაისში შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ქალაქთგეგმარების პრობლემების განხილვამ, რომელიც მოიწყო ცენტრალური და რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე, დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო პროფესიონალებს შორის, არამედ მკითხველთა ფართო საზოგადოებრიობაში და ეს საესებით კანონზომიერია, რადგან ქალაქების დაგეგმარებისა და განაშენიანების ხარისხისაგან მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ადამიანების ცხოვრების, შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობები.

ახალი რაიონებისა და მთელი ქალაქის არქიტექტურულ იერსახეს განსაზღვრავს, უპირველეს ყოვლისა, მასობრივი საბინაო-სამოქალაქო მშენებლობა. ჩვენ გვაჯანსაღ საცხოვრებელი რაიონების დაგეგმარებისა და განაშენიანების კარგი მაგალითები, მაგამ, ისიც უნდა ითქვას, რომ ახალი რაიონების მნიშვნელოვან ნაწილს ნაკლებად გამოშახებული იერსახე აქვთ.

ამის ერთ-ერთი მიზეზი ბოლო დრომდე იყო ტიპური პროექტების მეტად შეზღუდული არქიტექტურული პალიტრა. მიუხედავად ამისა, რომ მათი რიცხტი საკმაოა, ფასადები, სართულიანობა და შენობათა სიგრძე ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

წარუმატებლობის არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი იყო დაგეგმარებისა და განაშენიანების დეტალური პროექტების უქონლობა.

უკანასკნელ ხანებში შეიძინეოდა არაკრიტიკული დამოკიდებულება უცხოეთის არქიტექტურული პრაქტიკისადმი. ეს გამოიხატებოდა მდლივი შენობის ზედმეტ, შემინული სიბრტყეების მეტისმეტ ვატცეებაში.

ჩვენ არა მარტო ვქმნით ახალ ქალაქებს, უბნებს, რაიონებს, არამედ გარდავქმნით ძველებსაც. ქალაქის ცენტრში განლაგდებიან მსხვილი საზოგადოებრივი ნაგებობები, იქმნება ყველაზე მნიშვნელოვანი არქიტექტურული ანსამბლები, საწყუხაროდ, ზოგჯერ ქალაქის ცენტრები ყალიბდება ისეთი ნაწარმოებებით, რომელთაც არ აქვთ დიდი

ქალაქთგვეგვარებითი ყვერადობა. ეს ხდება იმიტომ, რომ ყოველთვის როდი ექცევა სათანადო ყურადღება ანაბნელების შექმნასა და ნაოი სივრცობრივი სასტენების აგებულების პრინციპებს. ამის ნაკვალავ ხორციელდება ცალკეული შენობების უსისტემო პროექტირება და მშენებლობა.

უკანასკნელ ხანებში ქალაქების განაშენიანებაში ქალაქთგვეგვარების ღონისძიებათა კონცენტრაციამ ღრისფერი ადგილი დაიკავა. ბოლო დროს თბილისის არქიტექტურაში დიდი ყურადღება ექცევა ნაღვლი შენობების განლაგებას. ეს შენობები, როგორც წესი, კარგად „ჩაჯდნენ“ ქალაქის განაშენიანებაში, შექმნეს რესპუბლიკის დედაქალაქის ახალი თავისებური სილუეტი. სამწუბაროდ, ზოგიერთი მათგანი არასაკმაროდ ორგანიზდა დაუკავშირდა რელიეფსა და ლანდშაფტს.

ნაღვლი შენობები თბილისის სხვადასხვა უბანში ძალზე გვანან ერთმანეთს, ამით ისინი უსახურს ხდიან არქიტექტურას. არქიტექტორებმა უნდა გადაწყვიტონ რთული შემოქმედებითი ამოცანა. ნაღვლი შენობები, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ ქალაქის სილუეტების ჩამოყალიბებაში, არ უნდა იყვნენ ტრაფარეტული; საჭიროა შეიქმნას უნიკალური ვერტიკალური კომპოზიციები, განსაკუთრებული ქალაქის თითო-

ეული უბნისათვის, რომლებიც ეხმარებიან მისთვის დამახასიათებელ იერსახეს.

სწორი უნდა იყოს მალღივი შენობების, ძირითადად, მარცხენა, შედარებით დამრეც ნაპირზე, მშენებლობის წინადადება, რაც შეეხება მარჯვენა სანაპიროს ცენტრალურ რაიონებს (განსაკუთრებით მთაწმინდისა და ძველი თბილისის ფერდობებს), აქ რეკონსტრუქციისას საჭიროა ტაქტის გამოჩენა, რათა არ შევლახოთ ამ უბნების საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული სილუეტი და მასშტაბი.

დღესდღეობით კვლავ და კვლავ დღის წესრიგში დგას საკითხი: პროექტი, მშენებლობა, ხარისხი. თანამედროვე მშენებლობაში ერთ-ერთი ძირითადი ნაკლია სამეცნიერო-კვლევითი დამუშავების მიღწევების უკიდურესად ნელი ტემპით დანერგვა. განსაკუთრებით ხშირი დავის მიზეზი ხდება მონოლითური რკინა-ბეტონისა და აგურის გამოყენების საკითხი, რაზედაც, ძალზე ხშირად, უარს ამბობენ მშენებლები, ისინი დაბეჭივებით მოითხოვენ ანაკრები რკინა-ბეტონის ფართოდ დანერგვას, რაც მცირესართულიანი მშენებლობის დროს იწვევს სახარკათარციხვო ღირებულების გაღიდებას.

§ 4. დედაქალაქის ცენტრის პრობლემა

თბილისის ხაზობრივმა განვითარებამ მდინარე ცტკრის გასწვრივ ორივე ნაპირზე შექმნა ქალაქი ორი ხაზობრივი ცენტრი — რუსთაველისა და პლანაოვის პროსპექტები. ცხადია, რომ შემდგომში ამ ორ ცენტრულ ცენტრს დაემატა განივი განვითარება ქალაქის ახალი რაიონების მიმართულეზთ. ახალი ცენტრის შექმნით თბილისის მიემატა ხარისხობრივად ახალი კომპლექსი, რომელიც უკვე ათეული წლებია ასე მძაფრად სჭირდება ქალაქს — ახალი, თანამედროვე, მასშტაბური და ლამაზი ნოეღანი.

დიდი ხნის მანძილზე არ არსებობდა თბილისის ცენტრის განაშენიანების დეტალური პროექტი. უფრო მეტიც, არ არსებობდა არქიტექტურული კონცეფცია, თუ როგორი უნდა იყოს ეს ცენტრი. 1965 წლიდან „თბილქალკპროექტში“ მუშავდებოდა ქალაქის ცენტრის დეტალური დაგეგმარება. ჯერ კიდევ მაშინ მტკიცედ არავინ იცოდა, ქალაქის ცენტრი თბილისის ზღვისკენ განვითარდება თუ მტკვრის პარალელურად, ერთი რამ კი ცხადი იყო: ცენტრის ცენტრი იყო, არის და ყოველთვის იქნება რუსთაველის პროსპექტი.

ეს პროსპექტი დღეს უკვე ვეღარ იტევს ვერც ტრანსპორტს და ვერც ქვეითად მოსიარულეთ. აღბათ, სულ მალე მთელი მაგისტრალი მთლიანად

განიტვირთება ტრანსპორტისაგან. დიდი ხანია უკვე ეს პრობლემა დგას. წამოყენებული იქნა საინტერესო წინადადება. არქიტექტორ სოსო ზაალიშვილმა შემოგთავაზა ორიგინალური გადაწყვეტა — ტრანსპორტის მიწის ქვეშ გადაყვანა. ო. კალანდარიშვილმა დაამუშავა პროექტი, რომლითაც იხსნებოდა საქართველოს მუზეუმისა და „ინტურიტის“ სასტუმროს შენობათა პირველი სართულები და კეცხოველის ქუჩა ჩაერთებოდა პროსპექტის სივრცობრივ გადაწყვეტაში.

თბილისის ცენტრი, უდავოა, ადგილს არ შეიცვლის, იგი განვითარდება, გაიზარდება, ქუჩებისა და მოედნების მთელ სისტემას შემოიერთებს. ძნელადის ქუჩა რუსთაველის პროსპექტის დუბლიორი იქნება.

არქიტექტორთა ყურადღების ცენტრში იყო კოლმეურნეობის მოეღანი, სადაც, მთელ რიგ სარეკონსტრუქციო სამუშაოთა შედეგად, თბილისის ცენტრისათვის აუცილებელი, განაშენიანებისაგან თავისუფალი სივრცეები მივიღეთ. იგივე შეიძლება ითქვას მეტეხის ბორცვის შესახებ, რომლის ქვეშ, გვირაბში გაიხსნა ორი სატრანსპორტო მაგისტრალი, ხოლო მიწის ზედაპირი მთლიანად დაეთმოა ქვეითად მოსიარულეთ. აქ შეიქმნება მცირე არქიტექტურული ფორმები, შდარევენები, გამწევა-

ნება და სხვ. მშენებლები, არქიტექტორები გეგმარებით რეკონსტრუქციითა ჩატარებისას მრავალსიძნელეს წააწყდნენ თავისებური რელიეფის გამო, მაგრამ, მეორე მხრივ, რთული რელიეფი არქიტექტურულ გადაწყვეტას განუმეორებელ თავისებურებებს ანიჭებს, გაიხსნება მოულოდნელი და საინტერესო ხედები, ახლებურად გადაწყდება ორდინარული კვანძები და ა. შ.

ისტორიული უცვლელი ქალაქი შენდებოდა მდინარის, ზღვის ან ტბის პირას. თბილისიც მტკვარზე გაშენდა, მის მხატვრულ და ფუნქციურ ღერძად იქცა, მაგრამ, ამჟამად, მტკვარს თითქმის მთლიანად იზოლირებულა ქალაქის სისტემისაგან მძლავრი, ჩქაროსნული და სატვირთო ავტომავისტრატებით — სანაპიროებით. რკინა-ბეტონის ორ კედელში მომწყვდეული მდინარე გადაქცეულია არხად; სანაპირო ჯებირების მშენებლობა კვლავაც გრძელდება. დღეს მტკვარი პრაქტიკულად მოწყვეტილია ქალაქის განაშენიანებას. სამწუხაროდ, თბილისის ფარგლებში, სადაც მტკვარი ბეტონის სანაპიროებშია მომწყვდეული, შეუძლებელია რაიმე რეკონსტრუქციის ჩატარება, მაგრამ ქვემო და ზემო ნაწილებში მდინარე უნდა დაუბრუნდეს ქალაქს. მაგალითად, რუსთავისაკენ მიმავალი გზიდან ჩანს ჭალა, რომელზედაც უნდა აშენდეს საბავშვო პარკი. ტერიტორიის თითქმის 100 ჰექტარი დაეთმომა საკმაოდ დიდ ბაღს. სატრანსპორტო მაგისტრალები ამ ადგილიდან დაშორებულია და მტკვრის კალაპოტიც აღარ იქნება ისეთი ხისტი, როგორც ცენტრალურ ნაწილში. აქ შეიძლება შეიქმნას წყლის სარკეები. ამგვარადვე ავქალასა და დიღომს შორის მტკვრის კალაპოტიც გადაიქცევა ტყე-პარკად.

ორმოცდაათიანი წლების ბოლოს ქალაქთმშენებლობის პრაქტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის სატრანსპორტო სქემის ფორმირებას, ახალ მაგისტრალთა შექმნას, ძველი ქუჩებისა და მოედნების განახლებას, რეკონსტრუქციას. ამ თვალსაზრისით მოეწყო არაერთი კონკურსი, რომლებიც თბილისის სხვადასხვა კვანძების გადაწყვეტის გაუმჯობესებას ითვალისწინებდნენ. სწორედ მაშინ (1953 წ.) პირველად დაიბადა ყოფ. ტელეგრაფის შენობის მდამოკლები დედაქალაქის ერთ-ერთი საგულისხმო მოედნის ორგანიზაციის იდეა. ასეთი კონკურსები მოეწყო სადგურის, გმირთა მოედნის, რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციისათვის*.

რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციისადმი მიძღვნილი კონკურსი გაიმართა 1965 წელს. იგი ითვალისწინებდა სატრანსპორტო პრობლემის გადაწყვეტას არა მარტო მოედანზე, არამედ რუსთა-

ველის პროსპექტზე და მის გაგრძელებაზე მშენებარე ფილარმონიის საკონცერტო დარბაზამდე. კონკურსის უნდა გადაწყვიტა მოედნის გეგმარებით-სივრცობრივი კომპოზიცია, აღმინისტრაციული შენობის, მეტროპოლიტენის სადგურისა და სხვა ნაგებობათა დაგეგმარება. კონკურსზე წარმოდგენილი იქნა შემდეგი პროექტები: ა) „საქქალაქმშენსახპროექტის“ ინსტიტუტისა (ავტორები — არქიტექტორები: ვ. კეილა, გ. ცხაკაია, გ. ჯაბუა, გ. ავსაჯანიშვილი), ბ) „საქქალაქმშენსახპროექტის“ (არქიტექტორი ი. ზაალიშვილი, თ. გორგაძის, ა. ლომიძის, გ. ოწყაშვილის, თ. ქურდიანის მონაწილეობით), გ) „თბილქალაქპროექტისა“ (არქიტექტორები: ო. კალანდარიშვილი, გ. ფოცხიშვილი, ჯ. თუთუბერიძე), დ) „თბილზნიებისა“ (ე. ჩხეიძე)**.

კონკურსის შედეგად ჟიურიმ პირველი პრემია ი. ზაალიშვილის კოლექტივის პროექტს მიანიჭა. რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის პროექტის შემდგომი დამუშავებისათვის ჟიურიმ სხვა ავტორების წინადადებანიც მიიღო. საბოლოოდ რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის პროექტის დამუშავება ითავა „თბილქალაქპროექტის“ კოლექტივმა, სახელდობრ, მე-7 არქიტექტურულმა სახელოსნომ.

1979 წლის 27 დეკემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება რუსთაველის სახელობის მოედნისა და მიმდებარე მაგისტრალების რეკონსტრუქციის შესახებ და მოიწონა თბილისის საქალაქო საბჭოს მიერ წარმოდგენილი „თბილქალაქპროექტის“ მიერ დამუშავებული საპროექტო წინადადება ამ საკითხზე.

აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის არსებული მნიშვნელოვანი მაგისტრალები, გზაჯვარედინები და მოედნები, განსაკუთრებით მის ცენტრალურ ნაწილში, უკვე აღარ შეესაბამებინან ავტორთან-სპორტის მოძრაობის ინტენსიურობას და მისი რიცხვის სწრაფ ზრდას. ეს მოითხოვს მიღებულ იქნას გადაუდებელი ღონისძიებები მათი რეკონსტრუქციისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოძრაობის ოპტიმალური ორგანიზაცია ქუჩების გაფართოებით, ღუბლიორებისა და ისეთი სატრანსპორტო კვანძების შექმნით, რომლებიც არ გადაკვეთენ მოძრაობის ნაკადებს.

გარდა ამისა, აღინიშნა, რომ რესპუბლიკის დედაქალაქს არა აქვს სრულფასოვანი სააღლუმო მოედანი ოფიციალური სახალხო ზეიმების, პარადებისა და სხვა ხალხმრავალი ცერემონიების ჩასატარებლად. არსებული ვ. ო. ლენინის სახელობის მოედანი და ვ. რუსთაველის სახელობის პროსპექტი არც ვაბარიტებით, არც დაგეგმარების ხასიათითა და მიმდებარე ქუჩებთან კავშირით, ვერ უზრუნველყოფს შესაძლებლობას ხალხმრავალი ცერემონიებისა და განსაკუთრებით პარადებისა

* ნ. წანბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურა, განვითარების გზა. თბილისი, „ხელოვნება“, 1971, გვ. 388.

** იქვე, გვ. 389.

და დემონსტრაციების ჩასატარებლად მათი ნორმალური გამოყენებისათვის.

„თბილქალაქპროექტის“ მიერ დამუშავებული შ. რუსთაველის სახელობის მოედნისა და მიმდებარე მაგისტრალების საპროექტო წინადადებათა ვალისწინებდა ამ პრობლემის გადაწყვეტას. რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი დამუშავებულია სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის“ VII არქიტექტურულ სახელმანოში. საავტორო ჯგუფი: ჯგუფის ხელმძღვანელი და ავტორი: ო. კალანდარიშვილი; ავტორები: ინჟინერი გ. ჩუბინიშვილი, არქიტექტორი გ. ფოციანიშვილი, თანავტორები: ი. ნოსეწილი, მ. ბალარჯიშვილი, ლ. გიორგობიანი. კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია კონსტრუქტორ თ. ჭანჭავაძის მიერ.

პროექტის საფუძვლად დავდო საერთაშორისო სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებაში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ თბილისის ცენტრალურ ნაწილში დასაპროექტებელია მოედანი, სადაც შესაძლებელი იქნება ჩატარდეს სხვადასხვა ზეიმი და დღესასწაული, პარადი და დემონსტრაცია. ყოველივე ამასთან ერთად, საჭიროა, ამ უბანზე შესაძლებლობის ფარგლებში სატრანსპორტო პრობლემების მოწესრიგება. საავტორო ჯგუფმა გაანალიზა ამ დავალებასთან დაკავშირებული მთელი ის საპროექტო მასალა, რომელიც მიეძღვნა დასახულ პრობლემას.

განალიზებული იყო ორი რესპუბლიკური და ერთი საკავშირო კონსტრუქციის მასალები. ამ მუშაობის შედეგად ავტორების ჯგუფი მივიდა იმ დასკვნაზე, რომ ზემოხსენებული მოედნისათვის ყველაზე შესაფერისი ზონად უნდა ჩაითვალოს რუსთაველის მოედნის, სასტუმრო „ივერიისა“ და რუსთაველის პროსპექტზე მდებარე № 37 სახლის მიმდებარე ტერიტორია.

ამგვარი გადაწყვეტილება ჯგუფმა მიიღო შემდეგი მოსაზრებების გამო: აღნიშნული ტერიტორია სადღესიოდ თითქმის თავისუფალია და დაკავშირებულია ამორტორიზებული სახლების უმნიშვნელო ნაკრავსთან, აქ არსებული ბუნებრივი რელიეფი მეტისმეტად მომგებიანია გამოყენების თვალსაზრისით, ამ ზონაში მდ. მტკვარი ყველაზე ახლოს მიედინება რუსთაველის პროსპექტთან და მისი უშუალო შემადგენელი ნაწილი ხდება; აღნიშნული უბანი ტრადიციულია ქალაქის კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაზრისით: აქ თავა იყრის სუფა მაგისტრალური სატრანსპორტო მიმართულება, მომავალი მოედანი მკვიდრად „ჩაჯდება“ მთაწმინდის მეტყველ სილუეტში, ამ უბანში უკვე სადღესიოდ დისლოცირებულია ისეთი ობიექტები, როგორცაა სასტუმრო „ივერია“, ცენტრალური ტელეგრაფი, მეცნი-

ერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შენობა (ყოფილი „საქნაზღირის“ სახლი), მეტროპოლიტენის სადგური „რუსთაველის მოედანი“.

მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ უშუალო სახლოვეშია თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და, ბოლოს, ეს ზონა გარშემორტყმულია მკვიდრად დასახლებული უბნებით.

ის ვარაუდება, რომ მომავალი მოედანი ერთი გრძივი მხარით გაიხსნება შტეკრის მარცხენა სანაპიროებისაკენ, მეტად ცხოველხატულსა და თბილისურს გახდის ამ ადგილს. ყველა ამ პირობისა და მონაცემის გათვალისწინებით და, ამავე დროს, სატრანსპორტო ამოცანების გადაჭრით, შეიქმნა ისეთი მოედანი, რომელმაც მაქსიმალურად გასცა პასუხი საპროექტო დავალებას.

პროექტირების პროცესში ვიარკვა, რომ რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის ლოკალური ამოცანა საკმაოდ მკიდროდ არის დაკავშირებული ქალაქის სატრანსპორტო სქემის ერთიან სისტემასთან და, ამავე დროს, თხოულობს ამ პრობლემის სადღესიო გადაჭრას. ამასთან ერთად მიღებული გადაწყვეტილება ქალაქის ტრანსპორტის განვითარების არც ერთ ეტაპზე არ უნდა ქმნიდეს პერსპექტიული ზრდის შეზღუდულ პირობებს. სწორედ ეს პრინციპი დავდო საფუძვლად რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ სატრანსპორტო სქემის დამუშავების დედას.

ეს კი შემდეგნაირად გამოიხატა: დამუშავდა ძნელადის ქუჩისა და ელბაქიდის დაღმართის დამაკავშირებელი გვირაბი: დაისახა ძნელადის ქუჩის გაგანიერება, რაც საშუალებას მისცემს მომავალში ლენინის მოედნიდან ვაკე-საბურთალოსკენ მიმავალი ტრანსპორტო ძნელადის ქუჩაზე გავედეს. ეს იქნება იმის საწინდარი, რომ მეორე, ანუ ზედა დღეობის გაჩენის შემდეგ რუსთაველის პროსპექტი - მნიშვნელოვნად განიტვირთება ავტოტრანსპორტისაკენ.

ძნელადის ქუჩის რეკონსტრუქციისადმი მიძღვნილ სადღესიო და არსებული პროექტების ზორიერთ მასალაში გვხვდება ამ ქუჩაზე ტრანსპორტის ორმხრივი მოძრაობის ორგანიზაციის ვარიანტები. ავტორების მიერ წარმოდგენილ პროექტში მოცემულია პერსპექტიული საშუალება ძნელადის ქუჩის შემდგომი გაგანიერებისა და მასზედ ორმხრივი მოძრაობის ორგანიზაციისათვის, ეს შეთოდები ხორციელდება რეკონსტრუქციის რიგობით. ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქციის სატრანსპორტო ნაკადების ანგარიში უნდა გამომდინარეობდეს არა ტრანსპორტის განუზღვრელი ზრდის მონაცემებიდან, არამედ ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქის სტრუქტურისა და განაშენიანების მასშტაბიდან. ამ შემთხვევაში ხელუხლებელი რჩება ძნელადის ქუჩის ბოლოს განლაგებული საცხოვრებელი კვარტალი, სადაც განთვი-

სებულის ისტორიული და მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ნაგებობები. ხელუხლებელი ოპერის უკან განლაგებული რიგი სახლებისა, რომელთა ნგრევა გაუმართლებელია ეკონომიკური თვალსაზრისით. რაც შეეხება რუსთაველის პროსპექტის მომსახურებას, ძნელადია ქუჩაზე გამავალი ტრანსპორტით, აქ ეს პრობლემა მანქანების განვითარებული სადგომების ორგანიზაციითაა გადაწყვეტილი. ეს სადგომები განლაგებულია ქუჩის ორივე მხარეს (ყოფილი სამხედრო ყაზარმების ეზოში, კულტურის სამინისტროს შენობის უკან და სასტუმრო „ივერიის“ წინამდებარე მიწისქვეშა სივრცეში). ნაგარაუდევია საერთო ჯამში 1000 მანქანის სადგომი. ანალიზი ცხადყოფს, რომ ძნელადია ქუჩის გაბარიტები საათში 4400 ერთეულს გაატარებს (ამჟამად. ლენინის მოედნიდან ეკე-საბურთალოსკენ 2700 მანქანა მოძრაობს საათში). მიღებული მონაცემები პერსპექტივის თვალსაზრისითაც მეტად საგულისხმოა. მას შემდეგ, რაც რუსთაველის პროსპექტს გაუჩნდა ზედა განმტვირთავი ქუჩა, იქმნება საშუალება მთლიანად განიტვირთოს პროსპექტი მსუბუქი ავტოტრანსპორტისაგან.

რუსთაველის მოედნის სივრცობრივი გადაწყვეტილისათვის გათვალისწინებული იყო ის, რომ მოედნის მშენებლობისათვის დასახული ადგილი ხასიათდება რამდენიმე ფაქტორით, რაც განსაზღვრავს ახალი მოედნის გაბარიტებს: არსებულ შენობათა მასშტაბი და მათი ურთიერთგანლაგება, ადგილმდებარეობის გეოლოგიური დახასიათება და კონსტრუქციული შესაძლებლობანი, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე სახლის (37) არქიტექტურა და მისი დამოკიდებულება მომავალი მოედნის სივრცისადმი, მოედნის ქვეშ განლაგებული კულტურულ-საზოგადოებრივი ცენტრის ტევადობა და მასშტაბი:

დასახულ საზღვრებში იქმნება სივრცე, რომელიც თავისი აბსოლუტური გაბარიტებით სავსებით შეესაბამება ქალაქის მნიშვნელოვანი მოედნის მოთხოვნებს (200×75). ამგვარი მოედნის ფართობზე თავისუფლად ეტევა ფეხბურთის ორი სტადიონი. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ აქ შეიძლება ჩატარდეს ყველა სახის მასიური ღონისძიება.

მომავალი მოედნის ზუსტი გაბარიტების დადგენა შესაძლებელი იქნება დასავლეთი უბნის განაშენიანების რეგულირებით. მოედნის დასავლეთ ზონაშია ქიაჩელისა და პეროვსკაიას ქუჩების დასაწყისი. აქ დღეისათვის განლაგებულია 2—3 სართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომელთა ნაწილი წარმოადგენს ისტორიულ ღირებულებას (ნუტუბიძის, არაყიშვილის, ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმები და ა. შ.). პროექტში ეს უბანი დარტყვებულია რაიმე მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციის გარეშე.

აქ გათვალისწინებულია რამდენიმე ვარიანტი: უბნის თავისუფალ ზონებში ჩადგმულია მომავალი ნაგებობის ევრტიკალური ტრანსპორტის ძლიერი ბურჯები, ხოლო თვით შენობა ატაცებულია არსებული ნაგებობების თავზე. საკმაო სიღრმეზე, ამგვარი ხერხის გამოყენებით, შესაძლებელია დასავლეთ ზონაში მნიშვნელოვანი ფალანგირებული შენობის შექმნა, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი იქნება მოედნის მშენებლობის დამთავრების შემდეგ.

როგორ შეერწყმება მომავალი მოედანი ლენინის ქუჩის სივრცეს? წინა წლების პროექტებისაგან განსხვავებით, ამ ეტაპზე მიღებულია რამდენიმე გადაწყვეტილება. დადგინდა, რომ სახლი რუსთაველის პროსპექტზე № 37 წარმოადგენს მნიშვნელოვან არქიტექტურულ ძეგლს, ამდენად სასურველია მისი მაქსიმალური შენარჩუნება. ამან გაუღწია იქონია რუსთაველის მოედნის და ლენინის ქუჩის შემაერთებელი მონაკვეთის კონფიგურაციაზე. გაჩნდა პლასტიკური მოხაზულობის მონაკვეთი, რომელიც საკმაოდ ორგანულად შეერწყმა უბნის საერთო ხასიათს. თვით მოედანი ბევრად მყუდრო გახდა.

ლენინის ქუჩის გაბარიტები პროექტში დარტყვებულია არსებულის ფარგლებში, ამავდროს თავისუფლად იკუთვნებს მის ფეხსაფარს პ. კობახიძის ქუჩის საზღვრამდე, როგორც მეორე რიგის სამუშაო.

რუსთაველის მოედანი იქმნება არსებული ხევის გამოყენების გზით. შენდება ორსართულიანი საინჟინრო ნაგებობა, რომელშიც განლაგდება კულტურულ-საზოგადოებრივი ცენტრი (მაღაზიები, კინოთეატრი, ავტომატური სატელეფონო სადგური, საგამოფენო დარბაზები, დასვენების ობიექტი და ა. შ.).

მოედნის მშენებლობა დაიწყო ელბაქიძის დაღმართზე მდებარე ორი ამორტიზირებული სახლის № 3 და № 5 ადების შემდეგ. ე. წ. „სამაიას ბაი“ შეეყვანილია საერთო სივრცობრივ კომპოზიციასში.

კულტურულ-საზოგადოებრივი ცენტრი მიწისქვეშა გასასვლელებით უკავშირდება მეტროპოლიტენის პერსპექტიულ მეორე ამოსასვლელს, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი შენობას, სასტუმრო „ივერიას“, ტელეგრაფს და ბაღს.

თვით მოედნის შუაში გაჩნდება შადრევნების სისტემა შუქისა და მუსიკის ჩართვით. უმნიშვნელო ღონეთა სხვაობა გაამდიდრებს მოედნის პლასტიკას. მოედანი მოიკირწყლება გრანიტის კუბები. ღამის განათება შეერწყმული იქნება მხატვრული ლამპიონების სისტემასთან, რომელთა არქიტექტურამ უნდა შექმნას მოედნის ჩრდილო ნაწილის სივრცობრივი ჯებირი. მოედნის სიგრძე — 200 მეტრი, სიგანე — 75 მეტრი. კულტურულ-

საზოგადოებრივი ცენტრის პირველი სართლის ფართობია 3 444 კვადრატული მეტრი, მეორე სართლის ფართობია 11 700 კვადრატული მეტრი, ცენტრის ნოცულობა — 93 776 კუბური მეტრი. მოედნის სრულყოფილი იერის მისაღწევად განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს რუსთაველის პროსპექტზე მდებარე № 37 საცხოვრებელი სახლის უკანა ფასადის მოწესრიგებასა და ტრანზიტის მოწყობას.

აღნიშნული სახლის არქიტექტურა იმდენად მგეტყუელია და კონკრეტული სტილისტურად, რომ ნებისმიერი ახალი ნაგებობა, რომელიც მიმდებარეა მის უკანა მხარეს, მკვიდრად უნდა იქნას აღგავსო როგორც მასშტაბით, ასევე პლასტიკური პოზიციების გათვალისწინებით. საკითხს ამჟამურებს ის გარემოება, რომ ახლად აგებული კორპუსის ფუნქცია მრავალპლანიაა, ის ერთნაირად გამოსადეგი უნდა იყოს როგორც ტრიბუნებისათვის, ასევე სხვა მრავალფუნქციური მასობრივი ღონისძიების ჩასატარებლად.

რუსთაველის პროსპექტზე მდებარე № 37 საცხოვრებელი სახლის ცენტრალური კორპუსის უკანა ფასადი 15—30 მეტრიანი კურდონებით გამოდის ცენტრალურ ზონაში. დასახულია ამ სახლის შენარჩუნება, როგორც მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლისა, მაგრამ ფუნქცია მას შეეცვლება. ენობილია, რომ უკვე დღეს, ის ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე საცხოვრებელი სახლის მოთხოვნებს და უფრო მეტად შეესაბამება, როგორც დაგეგმარებით, ასევე ადგილმდებარეობით, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტს. ბუნებრივია, რომ ორ სატრანსპორტო მაგისტრალს შორის მოქცეული საცხოვრებელი სახლი ძალიან დიდ სირთულეებს შეუქმნის მაცხოვრებლებს. აღნიშნული სახლის ძირითად მხატვრულ ღირსებას წარმოადგენს წინა ფასადი, რომელიც პროექტის მიხედვით, რჩება უცვლელი. გარდაქმნას განიცდის უკანა ფასადის აივნების არქიტექტურა. ნაგარაუდევია, დაბალი მხატვრული ღირსების აივნების არქიტექტურა დაუმორჩილდეს მოედნის, სამხრეთ მხარეზე გათვალისწინებული ცენტრალური კორპუსის არქიტექტურას.

შენებარე მოედნის საზოგადოებრივი ზნაითი ითვალისწინებს იმგვარ ნაგებობას, რომელიც ხელს შეეწყობს მოედანზე ჩატარებული ყველანაირი მასობრივი ღონისძიების მოხერხებულად და სრულყოფილად განხორციელებას.

მომავალმა კორპუსმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სენის ფუნქცია, სადაც მოთავსდება ცალკეული მუშაკული, თვითმომკმდეებითი მხატვრული კოლექტივები. კორპუსი, გარდა

საზეიმო დღეებისა, ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა იყოს გამოსადეგი დასვენების, მოცალობის, სეზონური ვაჭრობის, გამოფენებისა და სხვა მრავალი მსგავსი ფუნქციებისათვის.

იმის გამო, რომ ყოველივე ზემოთ მოხსენებული მოვლენა საზოგადოებრივი და ოფიციალურია. ხასიათისაა, ბუნებრივია, რომ დასახული ნაგებობა ასევე ოფიციალურ, საკმაოდ საზეიმო და დიდებულ იერსახეს უნდა ატარებდეს.

რა თქმა უნდა, ამით არ განისაზღვრება მოედნის ცენტრალური კორპუსის არქიტექტურა. მომავალი შენობა, როგორც მოედნის ცენტრალური ობიექტი, მხატვრულად უნდა უქაასუხებდეს ისეთ ამოცანებს, როგორცაა: თანამედროვეობა, მკვეთრი ნაციონალური კოლორიტი, შექჩრდილთა და მზით განათების ოპტიმალური გადაწყვეტა, ქალაქ-გეგმარებითი პრობლემები, მასშტაბურობა, პლასტიკა და სხვა.

ყველა ზემოთ მოხსენებულ ამოცანათაგან განსაკუთრებით სპეციფიკური და საგულისხმოა მეტრისმეტად არამომგებიანი ორიენტაცია პორიზონტის მხარეების თვალსაზრისით. აღნიშნულ ადგილას განლაგებული ნებისმიერი ნაგებობა აღმოჩნდება ორიენტირებული ფასადით ჩრდილოეთის მხარეს, ამდენად მოკლებული იქნება მზის სხივებით განათების ტრადიციულ ეფექტს. როგორია ის ძირითადი მოთხოვნილებანი, რომელთაც უნდა უქაასუხებდეს მომავალი ნაგებობა: შენობა უნდა იყოს საზეიმო, ვარგისი ტრიბუნების მოსაწყობად და სანახაობათა ჩასატარებლად, გამოსადეგი ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ატარებდეს თანამედროვე იერსახეს, შეეგუოს არსებული საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუირებულ უკანა ფასადსა და მთელ მიმდებარე განაშენიანებას.

ავტორთა ჯგუფმა დაამუშავა მომავალი ნაგებობის მრავალი შესაძლო ვარიანტი. მოსინჯული იყო, როგორც მოცულობითი გადაწყვეტები შიდა სივრცეების გამოყენებით (საგამოფენო დარბაზები, მრავალსართულიანი ვალერეები, სააქტო დარბაზები და სხვ.), ასევე კოლონადებისა და თაღების მრავალი ვარიანტი.

საბოლოოდ ავტორებმა შეარჩიეს შვიდთაღიანი მრავალსართულიანი თაღები. იგი აგებულია კლასიკური კანონების ძირითად პრინციპებზე, ამავე დროს, სრულიად ახლებურად წარმოაჩენს კომპოზიციის თავისებურებას, ხაზგასმულია კომპოზიციის ცენტრი, თაღების ფლანგებს შენარჩუნებული აქვთ ავტონომიური აქცენტი და ამასთან ერთად ემორჩილებიან კომპოზიციის ერთიან ცენტრს. მთლიანი ნაგებობა ატარებს თითქოს ტრიუმფალური შვიდთაღიანი კონსტრუქციის იერს. ეს თაღ-

ნარი ერთგვარად კეტავს მოედნის სამხრეთი მხარის სივრცეს. თითოეული თალი ოთხიარუსიანია, რომლებიც ერთმანეთისაგან 3—6 მეტრითაა დაშორებული. ამ ხერხმა ამოხსნა ფაქტობრივად ამოცანის ერთ-ერთი უმძიმესი კითხვა. კორპუსს უკან მოქცეული მზის სხივები გამჭოლად გადიან თაღების იარუსებში და უხვი რეფლექსებითა და შექჩრდილთა თამაშით ქმნიან განათების მდიდარ პალიტრას.

თაღნარი მთლიანადაა განათებული მზის სხივებით. თაღების გარსიერი სტრუქტურა პირდაპირ მიანიშნებს ნაგებობის დღევანდლობაზე. ავტორების აზრით, მთელი კომპოზიცია და თაღნარის ზეაწეული პროპორციები ქართული მონუმენტური არქიტექტურის მხატვრული ხერხების ასოციაციას იწვევს.

ცენტრალურ სამ თაღს მოედნიდან 4 მ. სიმაღლეზე აერთიანებს გაშლილი აივანი, რომელიც შეასრულებს ტრიბუნების ფუნქციას, ხოლო ჩვეულებრივ დღეებში, არ აცდება არქიტექტურული აქცენტის მოკრძალებულ მოტივს. თაღნარს კრავს მონუმენტური საფეხუროვანი ცოკოლი, ასევე მონხერხებულად გამოსადგვი მყუთრებელთა ტრიბუნებისათვის. ნაგებობის საერთო იერსახე შეიძლება შევადაროთ. გაქვავებულ შადრევანს, წამით შეჩერებულს ამოხეთქილ ნაკადთან.

ავტორთა ჯგუფს მიაჩნია, რომ წარმოდგენილა კომპოზიცია გარკვეულ ასოციაციას იწვევს თბილისის წარმოქმნის ლეგენდის ფესვთან, ანუ თბილი წყლების გეოხერების თუხთუხთან. ეს მხატვრული შედარება თუ ალემგორიული ხერხი, საფუძვლად დაედო კომპოზიციის ძირითად სტრუქტურას.

იგულისხმება, რომ ეს თაღები აგებული იქნება მოუპირკეთებელი თეთრი ბეტონისაგან, ცენტრალური აივანი კი შეიმოსება თეთრი მარმარილოთი. ამ აივანზე აიგება მცირე თალი ბრინჯაოსა და მარმარილოსაგან მასშტაბის ხაზგასმით. თაღების სიმაღლე მეტყობს 22—36 მეტრს შორის, ხოლო მათი საწყისი ქვედა ეზოსთანაა დაკავშირებული. საცხოვრებელი სახლის უკანა რეკონსტრუირებული ფასადი დაექვემდებარება თაღნარის მხატვრულ იდეას. ამ მიზნით არსებული აივნები შეიცვლება ერკერების სისტემით, რომლებიც შეიძინება ოქროსფერი პოლაროიდი და ჟღერადი არეკლით დააკავშირებს ერკერების სისტემას თაღნარის არქიტექტურასთან.

თაღნარი გადასასვლელი აივნებით უკავშირდება საცხოვრებელი სახლის I და II სართულებს, რაც შექმნის მოხერხებულ ურთიერთკომუნიკაციებს.

სახლის ეზო, სარდაფი და I სართული დაექვემდებარება რუსთაველის მოედნის ქვედა სივრცის ერთიან ფუნქციონალურ სტრუქტურას და

გახდება მოედნის კულტურული ცენტრის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი.

ამრიგად, რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის ძირითადი გამოსავალი პოზიციები შემდეგია: ქალაქის ცენტრის სატრანსპორტო პრობლემის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რუსთაველის პროსპექტის ქვედა დუბლიორის შექმნა, პროექტში გათვალისწინებულია ზედა დუბლიორის რეალიზაციის პერსპექტივა, რაც გამოისახა ზედა და ქვედა დუბლიორების დამაკავშირებელი მაგისტრალის პრაქტიკულ ჩამოყალიბებაში, მაქსიმალური შესაძლებლობით გამოყენებულია ქალაქის ცენტრში არსებული ხევი, რის ანგარიშზეც ყალიბდება თბილისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოედანი, ხლო მის ქვეშ მოქცეული სივრცე სამიარუსიანი ასტაკადის სახით მოგვეცემს 20 ათას კვადრატულ მეტრზე მეტ სასარგებლო ფართობს, რომელიც გამოყენებული იქნება კულტურულ-საზოგადოებრივ ცენტრის მოსაწყობად. თვით მოედნის ფართობი 2 ჰექტარს აღემატება. ხევისა და რელიეფის გამოყენებამ განაპირობა სატრანსპორტო კვანძების მოწყობა 2—3 დონეზე, რაც ქალაქის ცენტრში ქმნის უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობის გარანტიას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ რუსთაველის მოედანი კი არ იმეორებს რომელიმე ცნობილ ანსამბლს, არამედ ყალიბდება სრულიად თავისებურ და თვითმყოფად გარემოში: მოედანი იქმნება სამი მხრიდან მოშენებული მნიშვნელოვანი თანამედროვე ნაგებობებით; იგი იგება ძველი და ახალი თბილისის გეოგრაფიულ მიჯნაზე, მოედნის ძირითად მხატვრულ შემადგენლებს თბილისის წარმოქმნილი ფაქტორები აყალიბებენ. ესენია: ყველაზე ახლოს მომდგარი მდ. მტკვრის ელასტიკური მოხაზულობის კალაპოტი, ტერასულად განლაგებული რელიეფი, მთაწმინდის მეტყველი სილუეტი, თბილისის მრავალბუნადიანი სივრცეები და კავკასიონის ცხოველბატული პანორამა.

მოედნის დამაკვივრებელ ნაგებობას შექმნის სატრიბუნო კორპუსი. ავტორებს იგი გადაწყვეტილი აქვთ საზეიმო, მდიდარ შექჩრდილებზე აგებული 7 თაღის სახით.

იგი წარმოადგენს თბილისის თბილი წყლების — გეოხერების სიმბოლურ კომპოზიციას. მოედანი მოიკირწყლება გრანიტით. გაჩნდება მოედნის შესაფერისი ელექტროგანათება, ქანდაკების ჯგუფები, შადრევნები, გამწვანება და მცირე ფორმები.

კვირასა და უქმე დღეებში მოედანი მთლიანად დაეთმობა ქვეითად მოსიარულეებს.

მოედნის ერთი ნაწილი მოძრავი სცენის ხასიათისაა, რაც გამოყენებული იქნება ღია ცის ქვეშ სპექტაკლების მოსაწყობად.

შ. რუსთაველის მოედნისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის პროექტების განხორციელებას „თბილისქალაქპროექტის“ ტექნიკური საბჭოს, ქალაქ თბილისის მთავარ არქიტექტორთან არსებული ქალაქგეგმარების საბჭოს, სხვა სადღირებელი ორგანიზაციებში, ცხადყო, რომ პროექტი არაბრუნად მოსაწონი იყო, მხოლოდ ექვს იწვევდა ოაღების რაოდენობა და მათი ფიზიკური

ზომები. აღნიშნავდნენ, რომ თაღების სისტემა უნდა იყოს უფრო გამომსახველი და არ ასრულებდეს შირმის როლს.

ახალი მოედანი კარგად ჩაეწყობა დედაქალაქის ლანდშაფტში, ლამაზად გამოჩნდება მარცხენა სანაპიროდან, ხოლო თვით მოედნიდან საკმაოდ კარგი, შესანიშნავი პანორამა გადაიშლება *.



დასვენების ადგილების, გამაჯანსაღებელი და წესებულუბებისა და ორგანიზაციების შესაქმნელად წინწინდელი საბჭოები მიმდინარეობს თბილისის მიდამოებში. მოსახლეობისა და სატრანსპორტო საშუალებების, განაშენიანების მნიშვნელოვანი სიმჭიდროვე, ატმოსფეროს დამტვერება, ხელოვნური საფარის დიდი ფართობები და ხანგრძლივი მცხუნვარე ზაფხული ღლის წესრიგში სვამს თბილისის გარშემო მასობრივი დასვენების ზონების შექმნის აუცილებლობას.

თბილისის საგარეუბნო ზონის ტერიტორია თითქმის ყოველი მხრიდან ქედებითა და ფერდობებითაა გარემორტყმული და მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთით აკრავს ველ-მინდვრები. ზღვის დონიდან 700 მეტრიდან 1500 მეტრამდე სიმაღლეზე განლაგებული ამ ფერდობებისა და ქედების ზონაში არსებულმა კეთილსასურველმა ჰავამ და ლამაზმა სანაპიროებმა განაპირობებს საგარეუბნო კურორტების (მანგლისი, კოჯორი, კიკეთი, წყნეთი, ბეთანია) შექმნა.

თბილისის მასობრივ ტერიტორიებზე, რომლებიც განლაგებულია ზღვის დონიდან 700—800 მეტრის სიმაღლეზე, არის დასახლებული ადგილები (გომბორი, საგარეო, მარტყოფი, თეთრი წყარო, კავთახევი, თიანეთი, დუშეთი და ა. შ.), სა-

დაც ქალაქის მოსახლეობა ზაფხულობით ისვენებს. მოკლევადიანი დასვენების ძირითად რაიონებს შეადგენენ ქალაქის მასობრივად არსებული წყალსატევები: „თბილისის ზღვა“, ლისის, კუს, ბაზალეთის ტბები, კოჯორი — ბეთანის ტყის მასივები, ქალაქი მცხეთა თავისი შემოგარენით.

არსებული წყლის სივრცეები, ტყეები, კარგი კლიმატური პირობები წარმოადგენენ ხელსაყრელ გარემოს თბილისის მცხოვრებთა მასობრივი დასვენების ზონების შესაქმნელად. მნიშვნელოვან დაგეგმარებით ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს მოკლევადიანი და ხანგრძლივი დასვენების ორგანიზაციისათვის კურორტოლოგიის თვალთახედვით ყველაზე უფრო ღირებული ტერიტორიების განსაზღვრა.

სიცი უნდა ითქვას, რომ დასვენების დაწესებულებათა და ადგილების არსებული ორგანიზაცია და მათი რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს დედაქალაქის მცხოვრებთა მუდმივად მზარდ მოთხოვნილებებს. ზოგჯერ ცალკეული კურორტებისა და დასვენების ადგილების ფუნქციონალური ზონირება არამყარია, რაც იწვევს ტერიტორიული რესურსების არარაციონალურ გამოყენებას. ძალზე ხშირად საკურორტო ადგილებში მშენებლობა ხორციელდება არაკომპლექსურად.

§ 5. პაკობით თბილისის მოგზაობა

თანხმად თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმისა, რომელიც 2000 წლამდე პერიოდს მოიცავს, გათვალისწინებულია დედაქალაქის ზოგიერთ რაიონისა და უბნის რეკონსტრუქცია. უკანსკელ ხანებში ახალი საზოგადოებრივი და სამხარო კომპლექსების დაპროექტება ხდება ქალაქგეგმარების მეცნიერულ საფუძველზე.

ახლა დაგეგმარებული და ნაწილობრივ აშენებული თბილისის უნივერსიტეტის კომპლექსი საბურთალოსზე. მასთან მიმდებარე ბაგების საცხოვრებელი კომპლექსი, ვაშლიჯრის საცხოვრებელი მასივი, აგ. ლის, გლდანის საცხოვრებელი რაი-

ონები, ზღვისუბნის საცხოვრებელი მასივი, აგ. შინის, ლოჭინის, ფონიჭალის, კრწანისის საცხოვრებელი რაიონები, დაგეგმარების პროცესშია და ნაწილობრივ ხორციელდება მდ. ვერეს ხევის, ვარკეთილის, იყალთო-ბაზტირონის, ვაზისუბნის, მუხიანისა და სხვა საცხოვრებელი კომპლექსები.

ბაგების საცხოვრებელი კომპლექსი გათვალისწინებულია 10 ათას კაცზე (ავტორი ბ. მამინაიშვილი, პ. ძიძიგურის, თ. ზედელაშვილის, ნ. კიკაბიშვილის, ნ. კოშაძის, ლ. დუღუშაურის, დ. თოფურაძის მონაწილეობით). კომპლექსის ტერიტო-

* ამჟამად იგი რესპუბლიკის მთავარ მოედანს წარმოადგენს.

რია განლაგებულია თბილისი—წყნეთის გზატკეცილის დასაწყისში და მოიცავს 23 ჰექტარ მიწის ტერიტორიას. პროექტის ავტორებმა პირველად ჩვენს პრაქტიკაში მოგვცეს მთავორიანი ტერიტორიის ათვისების საინტერესო გადაწყვეტა, ე. წ. კასკადური ტიპი, მიკრორაიონი გადაწყვეტილია საცხოვრებელი ბინების ცალკეული კომპლექსების ურთიერთკავშირის ისეთი ხერხით, რომელიც სამი სხვადასხვა ღონის ბუნებრივი ტერასის გამოყენებას ითვალისწინებს. ყოველი კომპლექსი წარმოადგენს შერეულ განაშენიანებას, რომელიც მოიცავს 10 სართულიან კოშკურა სახლებს, კასკადურსა და 4—5 სართულიან ტერასულ სახლებს.

ვაშლისჩვრის საცხოვრებელი რაიონი, რომელიც 253 ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს, განლაგებულია საბურთალოსა და დიღომს შორის, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. რაიონის დაგეგმარების პრინციპებზე გადაწყვეტი გავლენა იქონია ხეობით აღსავსე რთულმა რელიეფმა, რომლის დახრილობა მერყეობს 10°-დან 60°-მდე*.

განაშენიანების სივრცობრივ-კომპოზიციური წყობა ითვალისწინებს ნაგებობათა ტერასულ განლაგებას ფერდობზე. მთლიანად ვაშლიჩვრის საცხოვრებელი რაიონი გათვალისწინებულია 66 ათას მცხოვრებზე.

ავჭალის საცხოვრებელი რაიონი უშუალოდ ეკვრის ჩრდილოეთ მხრიდან თბილისის ზღვას. ტერიტორიის საერთო ფართობია 540 ჰა. სივრცობრივი კომპოზიციის შექმნაში გამოყენებულია 16 სართულიანი კარკასულ-პანელიანი სახლები. მთლიანად საცხოვრებელი კომპლექსი გათვალისწინებულია დაახლოებით 60 ათასი მცხოვრებისათვის.

გლდანის საცხოვრებელი მასივი (არქიტექტორი თ. ბოჟორიშვილი, ხელმძღვანელი ბ. გელდიაშვილი), რომელიც შეიცავს 750 ჰექტარს, განლაგებულია მდინარე გლდანის და ხევმარის შორის არსებულ ხეობებს შორის მდებარე ტერიტორიაზე. საცხოვრებელი კომპლექსის ძირითად ერთეულად მიღებულია 9 სართულიანი პანელიანი სახლები, რაიონის კომპოზიციურ აქცენტებს შექმნიან 16 სართულიანი კარკასულ-პანელიანი სახლები. მასივში იცხოვრებს 147 ათასი მცხოვრები, თითოეულ სულზე 9 კვ. მეტრი ფართობის გათვალისწინებით. საცხოვრებელი მასივი ძირითადად შედგება ცხრა მიკრორაიონისაგან. აქედან შეცბრე იქმნება ორსართულიანი ამორტიზებული სახლების რეკონსტრუქციის შედეგად.

ზღვისუბანი შემოსაზღვრულია ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან მთის ფერდობებით, აღმოსავლეთით ესაზღვრება თბილისის ზღვის დასვე-

ნების ზონას, სამხრეთიდან კი მას გაუვლის გენგეგმით გათვალისწინებული უწყვეტი მოძრაობის საქალაქო მაგისტრალი. საცხოვრებელი კომპლექსი (ავტორები — არქიტექტორები: ო. არველაძე, ი. სანაძე, გ. შავდია) გათვალისწინებულია დაახლოებით 60 ათასი მცხოვრებისათვის. განაშენიანების ძირითად ნაწილს შეადგენს ცხრასართულიანი სახლები, აქვე ამენდება 16 სართულიანი, 5 სართულიანი და კასკადურ-ტერასული სახლები. განაშენიანების ტერიტორიაზე არსებული ბორცვი გათვალისწინებულია რაიონის საზოგადოებრივ-საეპრო ცენტრად. გორაკის ორივე მხარეს მათთან კავშირი განხორციელდება გვირაბის მეშვეობით, რომელიც მეტროპოლიტენის სადგურს დაუკავშირდება.

დედაქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ მდებარე ტერიტორიაზე, რომელიც თბილისის ზღვას ეკვრის და ავშნიანის სახელით არის ცნობილი, „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტმა დაამუშავა ორი საცხოვრებელი რაიონის დაგეგმარება და განაშენიანების პროექტი (არქიტექტორები: ნ. მიქაძე, ო. მანჯავაძე, ვ. ნურუბიძე, დ. სვანიძე), სულ ეს საცხოვრებელი რაიონი გათვალისწინებულია დაახლოებით 60 ათასი კაცისათვის, ერთ სულ მოსახლეზე 12 კვ. მეტრი ფართობის გაანგარიშებით.

ყველა ზემოთ დასახელებული საცხოვრებელი რაიონებიდან თავისი მდებარეობით მეტად დასერილია, ე. წ. ლოკინის დასახლება, რომელსაც უკავია 110 ჰა ტერიტორია და მოთავსებულია დედაქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ლოკინის ხევის, კახეთის გზატკეცილსა და რკინიგზის ხაზს შორის. ამჟამად მთელი ტერიტორიის მხოლოდ 2 პროცენტია დაკავებული სამრეწველო განაშენიანებით.

ამ საცხოვრებელი რაიონის დეტალური დაგეგმარების პროექტი (არქიტექტორები: ო. არველაძე, გ. შელია) ტერიტორიას ჰყოფს ორ საცხოვრებელ კომპლექსად, მათ შორის საზოგადოებრივი ცენტრის განლაგებით. ამ საცხოვრებელ რაიონში, რომელშიც გათვალისწინებულია ძირითადად 9 და ნაწილობრივ 16 და 18 სართულიანი სახლები, იცხოვრებს დაახლოებით 17 ათასი მოსახლე.

ფონიჭალა წარმოადგენს სამრეწველო-საცხოვრებელ რაიონს და მისი ფართობი შეადგენს 800 ჰექტარს. რაიონის დაგეგმარების პროექტში (არქიტექტორები: მ. გოგიშვილი, ი. კოჩინაშვილი, პ. ტალიაშვილი) გათვალისწინებულია სამრეწველო ზონის კეთილმოწყობა, ამ ადგილზე მშენებნიანიტარიული ზოლის შემკველი საზოგადოებრივი ცენტრით, რომელიც რაიონულ პარკს შეუერთდება.

საცხოვრებელი ბინა გათვალისწინებულია სოფელ სოლანულში, რუსთავის გზატკეცილსა და რკინიგზას შორის და, ბოლოს, ზედა ბაქანზე სად-

* თ. კვიციანი. თბილისის არქიტექტურა. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1982, გვ. 166—171 (რუსულად).

გურ სოღანჯღის რაიონში. საბინაო მშენებლობის ძირითად ერთეულად მიღებულია 9 სართულიანი სახლი, სულ რაიონი გათვალისწინებულია დაახლოებით 19 ათასი მცხოვრებისათვის.

კოჩანის საცხოვრებელი რაიონი, რომელიც გათვალისწინებულია 5,4 ათასი მცხოვრებისათვის, განლაგებულია 10 გრადუსის დახრილობის ფერდობზე და ორი ტერასივან შედგება. აქ გათვალისწინებულია სახლების ორი ტიპი: 20 სართულიანი კომპერა და 12 სართულიანი გალერეის ტიპისა.

ბოლო ხანებში, ჩვენი არქიტექტურული საზოგადოებრიობა სერიოზულ ყურადღებას უთმობს ამა თუ იმ რაიონის, კვარტალის, უბნის კომპლექსურ დაგეგმარება-განაშენიანებას. ეს პრობლემა ნაყარნახევია. უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ჩვენი სახელმწიფო იმდენად მძლავრია ეკონომიკურად, რომ უნარი შესწევს, გადაწყვიტოს დიდი მასშტაბის ქალაქთგეგმარების სივრცობრივ-კომპოზიციური ამოცანები, რომლებიც სოლიდურ თანხებს მოითხოვენ. ამაზე მეტყველებს ზემოდასახელებული კომპლექსების დაგეგმარება-განაშენიანების სამუშაოები, ამაზე მეტყველებს რუსთაველის მოედნის გენერალური რეკონსტრუქცია, რომელიც 1980—1983 წლებში განხორციელდა*. ამ მოედნის რეკონსტრუქციის პრაქტიკულად განხორციელებას დღეი დრო დასჭირდა. ქვე კიდევ 1952 წელს „თბილქალაქპროექტმა“ დაამუშავა პროექტი, რომელიც ერთგვარად წყვეტდა ჩვენი დედაქალაქის ცენტრის პრობლემას. დრომ ცხადყო, რომ აუცილებელია განხორციელდეს ის პროექტი, რომელიც ძირითად მიზანხაზებში 30 წლის წინათ იქნა დამუშავებული.

ასეთივე ბედი ეწია კ. მარჯანიშვილის მოედნისა და ქუჩის რეკონსტრუქციას. კ. მარჯანიშვილს მოედნის რეკონსტრუქცია ქ. თბილისის მნიშვნელოვანი ქალაქთგეგმარებითი ამოცანის კომპლექსური გადაწყვეტის ერთ-ერთი პირველი ცდა იყო და არცთუ ურავო. 1947—1949 წლებში ქალაქ თბილისის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული პირველი რიგის სამუშაოების შესაბამისად კეთილმოეწყო მარჯანიშვილის სახელობის მოედანი. ამ მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ ნაწილებში განლაგებული ძველი სახლების ნაცვლად იიგო მრავალსართულიანი ადმინისტრაციული და საცხოვრებელი შენობები**. ამით შეიქმნა მოედნის კომპლექსი, რომელიც თითქმის მესამედი საუკუნეა ელოდება მისი დასრულებული სახის დაბრუნებას. გარდა ამისა, თითქმის ამდენივე ხანია გათვალისწინებული იყო

* ტექსტის მოედნის რეკონსტრუქციაზე იხილეთ დედაქალაქის ცენტრის პრობლემა, გვ. 28—29.
** კ. მარჯანიშვილის მოედნის რეკონსტრუქციაზე იხილეთ გვ. 44—46

მარჯანიშვილის ქუჩის ჩრდილოეთი მხარის რეკონსტრუქცია.

1980 წლის 15 დეკემბერს ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის“ კოლექტივმა, შიდა კონსტრუქციის შედეგად, შეარჩია მარჯანიშვილის მოედნისა და ქუჩის ჩრდილოეთ მხარის რეკონსტრუქცია-განაშენიანების პროექტი. ავტორებმა (არქიტექტორები: ლ. ბოკერია, ვ. ქურთიშვილი, თანაავტორები — არქიტექტორები: ზ. ისაკაძე, ზ. ფილიშვილი) გაითვალისწინეს ის, რომ ამ ტერიტორიის მოშენება, არსებული სიტუაციის შესაბამისად, გულისხმობს მარჯანიშვილის ქუჩის მეფილი სივრცის — მოედნიდან ხიდამდე, რეკონსტრუქციის ოქტომბრის რაიონში მდებარე ზოლის ჩათვლით.

ამ სამუშაოთა ჩატარების აუცილებლობა გამოიწვია არა მარტო საცხოვრებელი ფონდისა და საინჟინრო კომუნიკაციების ბუნებრივმა ცვეთამ, არამედ იმ ფუნქციის დაქვეითებამ, რაც აკისრია აღნიშნულ ზონას ქალაქის ცენტრის სისტემაში და დღევანდელ მოთხოვნებთან ტრანსპორტის მოძრაობის სრულმა შეუსაბამობამ.

ამგვარად, რეკონსტრუქცია-განაშენიანების მიზანია ჩამოყალიბდეს ქალაქის ცენტრის ახალი უბანი, სადაც კომპლექსურად იქნება გადაწყვეტილი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი და პლასტიკურ-სივრცობრივი საკითხები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საეკოლო და საინჟინრო უზრუნველყოფის, ტრანსპორტით მომსახურების პრობლემები. მარჯანიშვილის მოედნისა და ქუჩის სარეკონსტრუქციო ზონა რუსთაველის მოედნის ახალი კომპლექსის ბუნებრივი გაგრძელებაა ქალაქის განივი მიმართულებით და თავისი მასშტაბით წარმოადგენს გადაწყვეთ ელემენტს ქალაქის ცენტრის განვითარების გეგმით გათვალისწინებულ მსხვილ ქალაქთგეგმარებით სტრუქტურებს შორის.

თბილისის ცენტრის განვითარების თვალსაზრისით ტერიტორიის მეტად საპასუხისმგებლო მდებარეობის გამო, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კომპლექსის მხატვრულ-ესთეტიკურ მხარეს, მსხვილი ქალაქების სარეკონსტრუქციო უბნებში დამუშავებული სიმჭიდროვის ზღვრული ნორმებისა და დემოგრაფიული პირობების გათვალისწინებით.

საქართველოს არქიტექტორთა მე-9 ყრილობამ (1970 წლის მისი) დიდი ყურადღება დაუთმო თბილისის ცენტრის პრობლემას. როგორც ცნობილია, თბილისის საერთო არქიტექტურულ-მხატვრული სახის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება გენერალური გეგმით დასახული ქალაქის ცენტრის დაგეგმარებით და სივრცით კომპოზიციებს. ცენტრის საზღვრებშია ქალაქის არსებული ცენტრალური დასახლებული ტერიტორია — მეტყვის მარჯვენა მხარეს — კომპაგვირის

ხეივანსა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომ-
პლექსს შორის, მარცხენა მხარეს — პლენარის
პროსპექტის მიმდებარე ტერიტორიები მეტესსა
და „დინამოს“ სტადიონს შორის, შემდგომ ცენ-
ტრი ვითარდება ჩრდილო-აღმოსავლეთით „თბი-
ლისის ზღვის“ მიმდებარე ფერდობებისა და ტე-
რიტორიების ათვისებით და „თბილისის ზღვა“ ჩა-
ერთდება ქალაქის საერთო დაგეგმარებით სისტე-
მაში. გრძივ ღერძთან ერთად შეიქმნება ქალაქის
ძლიერი კომპოზიციური განივი ლერძი. გენგეგმით
დასახული ქალაქის ცენტრის კომპოზიციური გა-
დაწყვეტა, გაერთიანებული დაგეგმარებითი რაი-
ონის ქვეცენტრების სისტემაში, იძლევა ქალაქის
საერთო დაგეგმარებით სტრუქტურის სრულყო-
ფილ სახეს და მის საერთო მოცულობით და სიე-
რით გადაწყვეტაში ჩართვა ყველა იმ საინტე-
რესო ქალაქზე გაბატონებული ბუნებრივი მდილი-
ვი ადგილებისა (მთაწმინდა, თელეთის პლატო, მა-
ხათის მთა, თბილისის ზღვა და მისი მიმდებარე
ფერდობები, მუხათგვერდი, ლისის ტბის ფერდო-
ბები და სხვა), განაკუთრებულ თავისებურ განუ-
მეორებელ მხატვრულ სახეს მისცემს ჩვენს დე-
დაქალაქს და, რაც მთავარია, შეუნარჩუნებს თბი-
ლისს „თბილისურ სახეს“.

მარჯანიშვილის ზოგანისა და ქუჩის რეკონ-
სტრუქცია-განაშენიანება დედაქალაქის ცენტრის
შექმნაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი იქ-
ნება.

რეკონსტრუქციის პროექტი მიზნად ისახავს,
მარჯანიშვილის ქუჩის ისტორიულად ჩამოყალი-
ბებული ტერიტორიისა და ხასიათის შენარჩუნე-
ბით, შეიქმნას საცხოვრებელი ზონა, საეპრო და
საზოგადოებრივი ობიექტებით, ტრანსპორტის
მოძრაობის დღევანდელ მოთხოვნათა გათვალის-
წინებით.

ისტორიულად ჩამოყალიბებულ დიდ ქალაქებ-
ში ერთ-ერთ ძირითად პრობლემად იქცა ტრან-
სპორტისა და ფუნქციების იზოლირება. ამ ამო-
ცანის გადასაწყვეტად წარმოიშვა აზრი იმის შე-
სახებ, რომ მარჯანიშვილის ქუჩაზე გაყვანილი იქ-
ნას გვირაბი. ეს იძლევა საშუალებას გვირაბის
ზონაში შეიქმნას ფუნქციონალთა ქუჩა, რაც აადვი-
ლებს და მოხერხებულს ხდის საეპრო და საზო-
გადოებრივი ობიექტების განთავსებას. თვით გვი-
რაბის დონეზე მოეწყობა საზოგადოებრივი ტრან-
სპორტის გაჩერებები და მეტროპოლიტენის სად-
გურის მეორე ამოსასვლელი. გვირაბის ცენტრალ-
ური ნაწილი განვითარდება მალაქების და სხვა
ობიექტების მოსაწყობად. ამავე დონეზე გათვა-
ლისწინებულია პირდაპირი კავშირი განვითარებუ-
ლი მიწისქვეშა გადასასვლელების სისტემასთან
მარჯანიშვილის მოედანზე. გვირაბი შესაძლებელს
გახდის შენარჩუნებული იქნას მარჯანიშვილის
თეატრის პორტალი, რაც მნიშვნელოვნად შეამცი-

რებს თეატრის სარეკონსტრუქციო სამუშაოების
მოცულობას. საყურადღებოა ისიც, რომ უნივერ-
სიტეტის არქიტექტურის შენარჩუნებითა და გათვა-
ლისწინებით ეს გადაწყვეტა საინტერესო ელემ-
ენტს შექმნის ქუჩის საერთო იერში. მომავალ-
ში თეატრის შენობის განვითარების აუცილებლო-
ბის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება კამოს ქუ-
ჩაზე თეატრის გასწვრივ მდებარე 1 და 2 სართუ-
ლიანი საცხოვრებელი სახლების დანგრევით გა-
მონთავისუფლდეს ტერიტორია.

გათვალისწინებულია მარჯანიშვილის ქუჩაზე
უნივერსიტეტის გასწვრივ განლაგებული ამორტიზი-
რებული და არქიტექტურულად უსახური ნაგებო-
ბების დანგრევა, ხოლო დანარჩენი, რეკონსტრუ-
ირებული და ადაპტირებული იქნება. პროექტი
თვალისწინებს ამ სახლებზე მანსარდის საათუ-
ლის დამუშავებას. მარჯანიშვილისა და კამოს ქუჩის
კუთხეში, დანგრეული ამორტიზებული სახლების
ადგილზე, უნივერსიტეტის წინ, შეიქმნება პატარა
მოედანი, რომელიც უკეთ წარმოაჩენს უნივერსი-
ტეტს და თეატრით შექმნილ არქიტექტურულ ან-
სამბლს.

ქუჩის მოპირდაპირე მხარეს განთავსებული
სახლები არქიტექტურულ ფასეულობას არ წარ-
მოადგენენ და ამორტიზებული არიან. გათვალის-
წინებულია მათ ადგილზე, ქუჩის მასშტაბის შესა-
ბამისად — 4—5 სართულიანი, მანსარდიანი სა-
ცხოვრებელი სახლების დაპროექტება. მარჯანი-
შვილის ქუჩის ორივე მხარეს პირველ სართულზე-
ში მოეწყობა საეპრო და საზოგადოებრივი და-
ნიშნულების ობიექტები. პროექტი თვალისწინ-
ებს ხდისა და მარჯანიშვილის ქუჩის შესართავ-
თან, წიგნის სასახლის მოპირდაპირე მხარეს, უსა-
ხური სახლების ადგილას და მათ ნაცვლად ახალ
მსხვილ ნაგებობათა აშენებას. ძირითადი საცხოვ-
რებელი კვარტალი მოქცეულია მარჯანიშვილის
ქუჩაზე, თეატრის გასწვრივ განლაგებული სახ-
ლების რიგსა და არსებულ 9 სართულიანი სახლის
გასწვრივ ხაზს შორის. კვარტალი გაშენებული იქ-
ნება 6—16 სართულიანი ინდივიდუალური საცხოვ-
რებელი სახლებით, გათვალისწინებულია საბავ-
შვო ბაღიც.

საცხოვრებელ კვარტალში ტრადიციული, თბი-
ლისური, შიგა ეზოების გარემოს შექმნის მიზნით
მალასართულიანი სახლების I და II სართუ-
ლებში დაპროექტდა, ე. წ. დუპლექსის ტიპის ბი-
ნები, რომლებშიც სექციური სახლის ბინებთან
განსხვავებით, მოხვედრა ხდება უშუალოდ ეზო-
დან, ხოლო წითელ ხაზზე დაპროექტებულ 5—6
სართულიან სახლებში დუპლექსები გააერთიანე-
ბენ ზედა სართულებსა და მანსარდებს.

ამავე სახლების I სართულზე მო-
ნაკეთებში იქნება გახსნილი II სართულზე
განთავსებული საცხოვრებელი კვარტალისათვის

საქირო ყველა საინფორმაციო თუ საყოფაცხოვრებო მომსახურება. კვარტალში გათვალისწინებულია 1, 2, 3, 4 და 5 ოთახიანი ბინების მოწყობა, მათი სავარაუდო რაოდენობა 350 ბინაა. სამანქანო გზები დაფარება ასფალტ-ბეტონით, ფენხავალთა ზონა მოპირკეთდება ფილაქანით, მოწყობა ბავშვთა სათამაშო და სპორტული მოედნები. თავისუფალი ტერიტორიები გამწვანდება, მრავლად იქნება გამოყენებული დეკორატიული მალრეწვები. კვარტალის შიგნით არქიტექტურულ ფორმებში (ჭუჩის სანათები, საფოსტო ყუთები, ტელეფონის ჭახურები, სავაჭრო კიოსკები, სტენდები, სარეკლამო ფირნშები, ქუჩის სკამები და ა. შ.) — ინტენსიურად იქნება გამოყენებული ფერი. კვარტალისათვის პროექტი გულისხმობს ერთიანი დინამიკური გარემოს შემუშავებას.

პროექტებისა და მშენებლობის წარმოების გრაფიკის შედგენის დროს გათვალისწინებულია სარეკონსტრუქციო უბნის სპეციფიკა, მისი მდებარეობა ქალაქის ცენტრში, ტრანსპორტისა და ფუნქციონალური მოძრაობის ინტენსივობა.

პროექტებისა და მშენებლობის წარმოების მთლიანი პროგრამა, სამუშაოთა სპეციფიკის, ვადების ხანგრძლივობის გათვალისწინებით, დაყოფილია ცალკეულ ობიექტებად.

ქალაქგეგმარების ნიშნულზე აღებული ჩენი რესპუბლიკის დედაქალაქში წარმოადგენს სადგურის მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის-კეთილმოწყობა. თეთრ რკინიგზის ვაგზის შენობა ნაგებობების კომპლექსია, რომლებიც აშენდა სხვადასხვა კონსტრუქციული სქემითა და სხვადასხვა მასალით 1871, 1890, 1918, 1953 და 1964 წლებში, 1965 წლიდან ვაგზის შენობამ განიცადა დეფორმაცია და შექმნა საფრთხე მგზავრებისათვის. ამის შედეგად ზოგიერთი ნაგებობა გაუქმებული იქნა.

თავის დროზე რკინიგზის ვაგზის მშენებლობისას (1870) ქალაქის განაშენიანება ამ რაიონში განლაგებული განლადათ რკინიგზის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, ამიტომაც იგი მთავარი ფასადით ქალაქის მხარეს იყო, რასაც გააართლება ჰქონდა. შემდგომში დაიწყო რკინიგზის (ლიანდაც) გაღმა არსებულ ტერიტორიების ათვისება და ვაგზის შენობა აღმოჩნდა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. ამჟამად, ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (რკინიგზის გაღმა) სახლობს 330 ათასი მცხოვრები, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში — 700 ათასი.

ქ. თბილისის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმით 1968—2000 წლებისათვის ქალაქის ძირითადი ტერიტორიული განვითარება გათვალისწინებულია „თბილისის ზღვის“ მხარეს, რომელიც რკინიგზის ხაზის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს (გლდანის, ავშნიანის, ავკალოს, ლოტყინის გორის, ვარკეთილისა და სხვა რა-

იონები) და მისი მოსახლეობა გადიდება 550 ათასამდე, ხოლო სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის მოსახლეობის რაოდენობა არ შეიცვლება.

სადგურისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის პროექტის ავტორებმა (არქიტექტორები: რ. ბაირამაშვილი, ი. ყავლაშვილი, გ. შავდია, ა. ჯიბლაძე, კონსტრუქტორი შ. გაზაშვილი) გაითვალისწინეს ის მდგომარეობა, რომ ვაგზის კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, რკინიგზის ხაზის გასწვრივ, გადის ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგისტრალი — ოქტომბრის ქუჩა, რომელსაც უშუალო კავშირი არა აქვს ვაგზის შენობასთან.

რკინიგზის ვაგზის სატრანსპორტო არტერიებს, რომლებიც აკავშირებენ მას ქალაქის სხვადასხვა უბანთან, წარმოადგენენ ჩელიუსკინელთა, ორჯონიკიძისა და ფიროსმანის ქუჩები. ყველა ისინი განლაგებული არიან ვაგზისპირა მოედნის მხარეს. ფიროსმანისა და ორჯონიკიძის ქუჩების ძალზე უმნიშვნელო გამტარუნარიანობამ, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოთა ჩატარების სირთულემ, ვაგზისპირა მოედნის განტვირთვის და მგზავრებისათვის მაქსიმალური მოხერხებულობის შექმნის აუცილებლობამ ავტორთა ჩვეუმი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ დაეკავშირებინათ ვაგზის შენობა ოქტომბრის ქუჩასთან და ნაგებობის ნაწილი მოეთავსებინათ რკინიგზის ლიანდაგების თავზე, ვაგზის შენობა განლაგდება ორ სატრანსპორტო მოედანს შორის. ნიშნულობის სხვაობა ამ მოედნებს შორის 13 მეტრამდეა. შემდგომში პროექტით გათვალისწინებულია ამ რაიონის ისეთი რეკონსტრუქცია, რომ ოქტომბრის ქუჩაზე მდებარე მოედანი განვითარდება და სრულფასოვან სატრანსპორტო კვანძად გადაიქცევა.

ვაგზისპირა მოედანი წარმოადგენს სხვადასხვა სახის საქალაქო ტრანსპორტის ურთულეს კვანძს, რამაც აიძულა ავტორები დამუშავებინათ მისი დაგეგმარების პრინციპული სქემა და სატრანსპორტო კვანძის სქემა.

სატრანსპორტო კვანძების დამუშავებისას ავტორები ხელმძღვანელობდნენ შემდეგი ძირითადი მოსაზრებებით:

• აუცილებლად შეექმნათ საქალაქო ტრანსპორტიდან ვაგზალში და, პირიქით, მგზავრთა გადაყვანის საუკეთესო პირობები, დროულად განეტირათ მოედანი საქალაქო ტრანსპორტისაგან, რომელიც დაკავშირებული არ იყო მგზავრთა მომსახურებასთან, უკვე უშუალოდ მოედანზე გარკვეულიყო მიზანშეწონილობა მგზავრთა დაყოფის, მომსახურების და წამსვლელ კონტიგენტად.

• ავტორებმა გამოიყენეს ადგილმდებარეობის რელიეფი და მგზავრთა და ტრანსპორტის ნაკად-

ბის უკეთესი განტვირთვის მიზნით ვაგზლისპირა მოედანი გადაწყვიტეს ორ დონეზე.

მოედნის ზედა ნაწილი იქმნება ესტაკადის მოწყობით, პანდუსით. იგი გაანგარიშებულია წამსვლელი მგზავრების მომსახურებისათვის და აუცილებელ ფრონტს ქმნის საქალაქო ტრანსპორტის მოსვლისა და მოკლევადიანი გაჩერებისათვის. უფრო ფართო ქვედა ნაწილი, რომელიც ზედა ნაწილზე ხუთი მეტრით დაბლაა, განკუთვნილია მომსვლელი მგზავრებისათვის, ტაქსების, ინდივიდუალური მანქანების გასაჩერებლად. მომსვლელი მგზავრებისათვის მომსახურე საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება გათვალისწინებულია როგორც მოედნის მარცხენა მხარეს (მეტროს სადგურის მახლობლად), აგრეთვე, მის მარჯვენა მხარეს ფიროსმანის ქუჩაზე.

1975 წლის 10 ივლისს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოკყო მიწის ნაკვეთი ორჯონიკიძისა და აბასთუმნის ქუჩების კუთხეში უნივერსიტეტის „ბავშვთა სამყაროს“ შენობის ასაშენებლად.

მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ერთსართულიანი, ძველი ამორტიზებული შენობები აღებულ იქნენ. ნიშნულების სხვაობა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ შეადგენს 2—2,5 მეტრს. ჩრდილო-აღმოსავლეთის ტერიტორიას ესაზღვრება ბორჯომის ვაგზალი, სამხრეთ-აღმოსავლეთით აბასთუმნის ქუჩის მეორე მხარეს — სასტუმრო „კოლხეთი“, სამხრეთ-დასავლეთით — ორჯონიკიძის ქუჩა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს მეტრო „ვაგზლის მოედნის“ გადასაჯდომი სადგურში ჩაასვლელები.

ეს პროექტიც „თბილქალაქპროექტში“ კონკურსის შედეგად შეირჩა. ავტორთა ჯგუფმა (არქიტექტორები: ვ. ქუთიშვილი — ხელმძღვანელი, ზ. ისაკაძე, მ. ყავლაშვილი, გ. ტყემალაძე, ა. თოთიბაძე, კონსტრუქტორები: გ. ზამბახიძე, ნ. ბოლქვაძე) გაითვალისწინა ის, რომ უნივერსიტეტის „ბავშვთა სამყარო“ შენობა თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილში, რთულ სატრანსპორტო კვანძთან. უნივერსიტეტის მდებარეობამ ასეთ კვანძში განაპირობა მისი როგორც აზრობრივი, ისე ფუნქციური ფორმირება. შენობას აქვს ორი მთავარი შესასვლელი — ერთი ვაგზლის მოედნიდან, მეორე ორჯონიკიძის ქუჩიდან, ასევე არის ბორჯომის ვაგზლიდან დაკავშირების საშუალებაც. საზოგადოებრივი ტრანსპორტი უნივერსიტეტის მიუღებია ორჯონიკიძის ქუჩიდან, ტაქსების სადგომი და ხალხის მოსაცდელი კუნძული შექმნილია აბასთუმნის ქუჩაზე.

შენობის არქიტექტურულ-გეგმარებითი გადა-

წყვეტილის მისი სახის ჩამოყალიბებაზე გავლენა მოახდინა ვაგზლის მოედნის, როგორც არსებულმა, ასევე პერსპექტიულმა განაშენიანებამ.

ფასადების ყურ ნაწილები მოპირკეთებულია თეთრი ეკლარის ქვით, ვიტრაჟები დამზადებულია ანოდირებული ალუმინისაგან. საეკრო დარბაზები 7 დონეზეა. თითოეულს უკავია 640 კვ. მ. ფართობი. მეორე დონეზე განლაგებულია 270 ადგილიანი მსაუბრეებლთა დარბაზი, ხოლო მეცხრე დონეზეა კაფე-სასადილო.

უნივერსიტეტის მომარაგება საქონლით იწარმოებს ავტომანქანებით და კონტეინერებით დებარკადერის საშუალებით.

ახალი საეკრო კომპლექსი „ბავშვთა სამყარო“ გაიხსნა 1983 წლის 6 ნოემბერს. დამპროექტებლებმა გაიაზრეს ყველა წერილობანი, რომლებიც ითვალისწინებს მალაზიის ძირითადი მომხმარებლების — ბავშვებისა და მათი მშობლების სპეციფიკას.

იმ მიზნით, რომ განმტკიცებულიყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მატერიალური ბაზა და გაუმჯობესებულიყო სამეცნიერო, საგამოყენო და საგანმანათლებლო სამუშაოები, რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოებმა მიიღეს მუზეუმის შენობის რეკონსტრუქციის გადაწყვეტილება. ამისათვის მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გამოყენებულიყო ფურცელადის, კეცხოველის, ვაჩნაძის ქუჩებისა და რუსთაველის პროსპექტს შორის განლაგებული მთელი ტერიტორია.

ე. წ. „მუზეუმების კომპლექსის“ პროექტის ავტორებმა (არქიტექტორი ვ. ქუთიშვილი, ნ. სარალიშვილის და ნ. ქვარცხანას მონაწილეობით) 1977 წელს მიიღეს გადალება. როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი არის რესპუბლიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-კვლევითი და სამუშეუშო დაწესებულება. მასში თავმოყრილია საქართველოსა და კავკასიის ბუნებისა და ქართული ერის ისტორიის მსახველი მასალების უძვირფასესი კოლექციები. ფონდებში დატული მილიონამდე ექსპონატის მოვლას, შესწავლას და გამოყენას ემსახურება 3 საბუნებისმეტყველო, 7 ჰუმანიტარული და 6 სპეციალიზებული განყოფილება და უჯრედი, სადაც 300-დე თანამშრომელი მუშაობს.

მუზეუმი მდებარეობს ქ. თბილისის კალინინის რაიონის ცენტრალურ ნაწილში, სადაც მას უკირავს ერთი კვარტალი, შემოსაზღვრული რუსთა-

ველის პროსპექტით. ფურცელაძისა და კეცხოველის ქუჩები და კეცხოველის შესახვევით. ამ კვარტალში, რომლის ფართობი უდრის 7 700 კვ. მ-ს, შედა ეზოს ირვლევი განლაგებულია 6 შენობა; 1. საგამოფენო ოთხსართულიანი კორპუსი, რომელიც ფადალი გადის რუსთაველის პროსპექტზე, ფრთებით კი ფურცელაძის ქუჩაზე და კეცხოველის შესახვევში; 2. საგამოფენო კორპუსის ექვსსართულიანი ფლიგელი, რომელიც გაღის კეცხოველის ქუჩის შესახვევში; 3. საფონდო ორი კორპუსი — კეცხოველის ქუჩაზე, რომელთაგან ერთი აგებულია 1912 წელს, როგორც მუზეუმის დროებითი ნაგებობა, მეორე კი — ყოფ. ქალთა გინზახია — აგებულია XIX საუკუნის პირველ ნახევარში; 4. ყოფ. № 2 სტამბის სამსართულიანი შენობა ფურცელაძისა და კეცხოველის ქუჩების კუთხეში; 5. ყოფ. ქალთა გინზახის ეკლესია, აქააღ, დროებით დაკავებული მასწავლებელთა სახლის მიერ.

მუზეუმის მიერ ამ შენობებში ამჟამად დაკავებული სასარგებლო ფართობი უდრის დაახლოებით 11 000 კვ. მ., აქედან ფონდსაკავებისათვის გამოყოფილია 1 400 კვ. მეტრი, სამუშაო, დამხმარე და აღმნიშნატაციულ-სამეურნეო უჯრედებისათვის — 5 000 კვ. მ., ექსპოზიციებისათვის — 4 600 კვ. მ. მუზეუმი განიცდის ფართობის უკიდურეს ნაკლებობას, რაც შეუძლებელს ხდის მის ნორმალურ მუშაობას.

შენობები ძლიერ მოძველებულია და ოდნავადაც არ უპასუხებს მუზეუმის დღევანდელ საჭიროებას, რომ აღარაფერი ვთქვათ უახლოეს მომავალზე, საფონდო ორივე კორპუსი, ყოფ. № 2 სტამბისა და ეკლესია — „მასწავლებლის სახლის“ შენობები სრულიად გამოუსადეგარია, მათგან პირველი ორი სიძველისაგან ავარიულ მდგომარეობაშია და უნდა დაინგრეს. საგამოფენო კორპუსსა და მის ფლიგელში უნდა მოხდეს შინაგანი რეკონსტრუქცია, დასანგრევი შენობების ადგილას ასაგებ კორპუსებთან ორგანულად დაკავშირებისა და ტექნოლოგიური პროცესის სწორად ორგანიზაციის მიზნით, მხოლოდ ისე, რომ საგამოფენო კორპუსის ფადადი რუსთაველის პროსპექტის მხრიდან ხელუხლებელი უნდა დარჩეს*, რადგან იგი ქართული საბჭოთა ხელოვნების უნიკალურ ძეგლს წარმოადგენს.

იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად დაკავებული აქვთ განათლების მუშაკთა სახლს და ყოფილ № 2 სტამბის შენობას ფურცელაძისა და კეცხოველის სახელობის ქუჩებზე, პროექტების ავტორებმა გაითვალისწინეს საფონდო კორპუსის მშენებლობა, ამასთან მხედველობაში იქნა მიღე-

ბული, ვინაიდან სახელმწიფო მუზეუმის შენობების რეკონსტრუქცია განხორციელდება თანდათან, ამიტომ აღნიშნული საფონდო შენობა უნდა დაგეგმარდეს ისე, რომ წარმოადგენდეს მთლიან შენობას, მაგრამ მისი მშენებლობის განხორციელება შესაძლებელი იყოს ორ დამოუკიდებელ ნაწილად, ერთი ნაწილი განათლების მუშაკთა სახლის ტერიტორიის ფარგლებში და მეორე ნაწილი ყოფილი № 2 სტამბის ტერიტორიაზე.

საფონდო კორპუსებში უნდა შეიქმნას სათანადო რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფს ხანგრძლივ და საიმედო შენახვას ყველა ფონდებისას.

რეკონსტრუქციული ტექნიკუმის ყოფილი შენობის პირველ სამ სართულში გათვალისწინებულია განლაგდეს ვესტიბული, კომენდატურა, შიდა სატელეფონო სადგური, საკითხველო დარბაზი, ბუფეტის 50 კაცზე, კომენდატურა და საშვთა ბიურო, პარტიბიურო და ადგილკომი, აღრიცხვისა და შენახვის განყოფილება, აღმნიშნატაცია, ტანისამოსის დასაიდგელი, ფოტოკაბინეტი ფოტოტექნიკით, ბიბლიოთეკა და წიგნთსაცავი. დანარჩენი სართულები მთლიანად გათვალისწინებულია საფონდო ოთახებისათვის.

ახლად ასაგებ შენობების ქვეშ ეწყობა ორსართულიანი სარდაფები, სამეურნეო და სხვა სახის საწყობებისა და დამხმარე უჯრედებისათვის.

არსებულნი მთავარი ფასადის არქიტექტურის შენარჩუნების მიზნით საგამოფენო კორპუსის და შენება გათვალისწინებულია მხოლოდ ცენტრალურ ნაწილში და ისიც არა რუსთაველის პროსპექტზე გამავალი ფასადის კედელზე, არამედ მისგან დაახლოებით 4 მეტრით შენობის სიღრმეში არსებული რკინა-ბეტონის ჩარჩოს სიბრტყეში.

რეკონსტრუქციის შედეგად მოხდება მუზეუმის ყველა შენობისა და მათში მოთავსებული უჯრედებისა და განყოფილებების ორგანული დაკავშირება ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობათა რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები ჩვენი დედაქალაქის იმ მნიშვნელოვანი ტერიტორიის კეთილმოწყობას ეხება, რომელიც ცნობილია, ე. წ. „სამუზეუმო მოედნის“ სახელით და ქალაქის ცენტრის პრობლემასთან არის უშუალოდ დაკავშირებული.

საუბარი თბილისის მომავალზე გვინდა დავასრულოთ დედაქალაქის გარშემო შემოსავლელი გზის მშენებლობით. თბილისის მოსახლეობა 1983 წლის 1 იანვრის მონაცემებით ერთ მილიონს აღარაღწევს. ასეთ ქალაქში სწრაფად იზრდება აგრეთვე პირადი საარსებლობის ავტომობილების რაოდენობაც. თუ ამას დაემატებთ მთელი ქალაქის ავტოპარკს, აგრეთვე იმ სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც ყოველდღიურად სერავენ

* საქართველოს მუზეუმის პირველი რეკონსტრუქციის შესახებ იხ. ამ წიგნის გვ. 15—17.

თბილისის არამართო რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან, მივიღებთ საკმაოდ დამაჯერებელ ციფრს. იმ მიზნით, რომ შემციოდეს სატრანსპორტო ნაკადი, გადაწყდა თბილისის გარშემო მოეწყო შემოსავლელი ავტომაგისტრალი. მთელი ტრანსპორტი, რომლისთვისაც თბილისი სატრანზიტო პუნქტს წარმოადგენდა, შესძლებს რესპუბლიკის დედაქალაქში გავლის გარეშე იმოდროს საჭირო მიმართულებით. შემოსავლელი ავტომაგისტრალის მარშრუტი იწყება რუსთავეის გზატკეცილის მე-17 კილომეტრიდან, გადაკვეთს მდინარე მტკვრის დაბა აკტაკლიას, სოფელ გამარჯვების მიმართულებით და შეუერთდება კახეთის გზატკეცილს, აქედან გზა გავა სოფელ ნორიოს მიმართულებით, შემდეგ შემოუვლის თბილისის ზღვას და გლდანის ხეობით გამოვა ავჭალის გზატკეცილზე აგურის ქარხანასთან.

ამ მეტად საჭირო ავტომაგისტრალის მშენებლობის სამუშაოები უკვე მიმდინარეობს და მისი დამთავრება გათვალისწინებულია მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოსათვის. ამავე დროს ქ. თბილისის რეკონსტრუქციის ახალი გენერალური გეგმით დიდი სამუშაოები წარმოებს კახეთის გზატკეცილისა და ოქტომბრის ქუჩის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის უახლოეს მომავალში განსახორციელებლად.

მოქველებული და ამორტიზებული, ისტორიულ და მხატვრულ ღირებულებას მოკლებული სახლების ადგილზე წამოიჭიმება დიდი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების კომპლექსები, რის შედეგად შეიქმნება მძლავრი, მსხვილმასშტაბური მაგისტრალი — ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა, რომელიც მოედნიდან ხილზე გავლით დედაქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპოზიციური განი-

ვი ღერძი გახდება თბილისის ქალაქთგეგმარების სტრუქტურაში.

უკანასკნელი პერიოდის თბილისის არქიტექტურის მნიშვნელოვანი ობიექტია ბავშვთა აღმზრდელი-გამაჯანსაღებელი კომპლექსი „მზიური“ (არქიტექტორები: ბ. აბულაძე, ლ. კალაძე, ი. მასხარაშვილი, ბ. ჩიგოგიძე).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1975—1976 წლებში მიიღო დადგენილებანი პიონერული ქალაქის — „მზიურის“ მშენებლობის შესახებ. მისი მშენებლობა დაიწყო საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის წინ. 1982 წლის 29 ოქტომბერს გაიხსნა კომპლექსის პირველი რიგი. ამ კომპლექსის მთავარი ამოცანაა ყოველნაირად შეუწყოს ხელი პიონერთა და მოსწავლეთა ყოველმხრივ ჰარმონიულ ჩამოყალიბებას, შრომითს, ზნეობრივ, ესთეტიკურ, ფიზიკურ აღზრდას;

კომპლექსი განლაგებულია მდ. ვერეს ხეობაში, გმირთა მოედნისა და ბეთანიის მონასტერს შორის. აქ მწვანე ხეობა, უნიკალური ლანდშაფტით, სოლიდით არის შეჭრილი ქალაქის სტრუქტურაში და აკავშირებს მის ცენტრს მიმდებარე სარეკრეაციო ზონასთან. პროექტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპლექსში ზოოპარკის ტერიტორიის აქტიურ ჩართვას: ერთდროულად მას შეუძლია მიიღოს 30—40 ათასი კაცი. კომპლექსის შიგნით გადაადგილების საშუალებად მიღებულია აერობუსი (ანუ მონორელსი), რომლის გამოყენება შეუნარჩუნებს მდ. ვერეს ხეობას ეკოლოგიურ გარემოს. გმირთა მოედნიდან „თავისუფალი დროის ქალაქამდე“ მანძილს — 13 კილომეტრს მგზავრი გაივლის 15—20 წუთში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრავლად განხორციელების შედეგად, საქართველოს სსრ, მისმა დედაქალაქმა თბილისმა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში საწარმოო ძალების დიდ განვითარებას, ეკონომიკისა და კულტურის მძლავრ აღმავლობას მიღწიეს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება თბილისის არქიტექტურის ნაპღვილი აღმავლობა. სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღვრება ენახებრება ხალხს, მონაწილეობს მის ბრძოლაში უკეთესი მერმისისათვის, კომუნისზმისათვის.

დაულალავი ზრუნვა ადამიანებზე, როგორც ყველაზე ძვირფას კაპიტალზე მსოფლიოში, მათი მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებაზე, სოციალისტური წარმოების მიზანია და უშუალო გამონატულებას პოულობს არქიტექტურაში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდან თბილისის მოწინავე ხუროთმოძღვრები ეზმებიან საბჭოთა წყობილების მიერ არქიტექტურის წინაშე დასახული პრობლემების გადაწყვეტაში. ისინი თანდათან თავისუფლდებიან ძველი, ბურჟუაზიული იდეებისაგან, მუშაობენ ახალი ტიპის საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა შექმნაზე, რომლებიც ახდენენ საბჭოთა ადამიანების შრომის, ყოფა-ცხოვრების, სწავლისა და დასვენების ორგანიზაციას. ნაგებობათა ეს ახალი ტიპები თავდაპირველად იქმნებოდა საბჭოთა ადამიანების ახალი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებებისა და ესთეტიკური მოთხოვნების სათანადო გათვალისწინების გარეშე.

კაპიტალისტური წყობილებისაგან მემკვიდრეობით მიღებული არქიტექტურული ნაგებობის საგრძნობი უმეტესობა ეკლექტიზმის დღის ატარებდა; ეროვნული მონუმენტური ხუროთმოძღვრების ძეგლებსა და თბილისის ახალ, საბჭოთა არქიტექტურას შორის ჯერ კიდევ არ იყო ნაპოვნი მემ-

კვიდრობითი კავშირი. ყოველივე ამას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში თბილისის არქიტექტურის მდგომარეობაზე.

საბჭოთა არქიტექტურის სოციალისტური შინაარსი ყალიბდებოდა ცხოვრების სოციალური წესის გავლენით, მაგრამ მხატვრულ ფორმაში, ახალ ნაგებობებში ამ შინაარსის გამოხატვის წესს პირველ ხანებში ჯერ კიდევ არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა საბჭოთა ადამიანის მოთხოვნები.

სოციალისტური შინაარსის განვითარების, საბჭოთა ადამიანების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდის შედეგად იხვეწებოდა ხუროთმოძღვრათა პროფესიული ოსტატობაც, მაღლდებოდა არქიტექტურის ხარისხი.

ახალი არქიტექტურული ნაგებობების შესაქმნელად საჭირო იყო მონუმენტური და ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლა, მემკვიდრეობიდან ყოველივე ძვირფასის კრიტიკული შერჩევა და პრაქტიკაში მისი შემოქმედებითი გამოყენება, ამიტომ ეროვნული ხუროთმოძღვრების ტრადიციების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური თბილისის არქიტექტურის შექმნისათვის.

პირველი, მოზრდილი არქიტექტურული ნაწარმოები — ზაპესის ნაგებობათა კომპლექსი თბილისის მახლობლად (1923—1927) მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, საერთოდ, სოციალისტური თბილისის არქიტექტურის და, კერძოდ, სამარეწველო არქიტექტურის განვითარებაში.

შრომელთა მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან ერთად, ზაპესის ნაგებობათა კომპლექსის არქიტექტურა ამაღლებს, აკეთილშობილებს საბჭოთა ადამიანის, ახალი ცხოვრების მშენებლის შემოქმედებით შრომას.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის რეკონსტრუქცია (1928—1929 წლები) ხელს უწყობდა სოციალისტური თბილისის არქიტექტურის განვითარებას. ამ ნაგებობაში ახლებურად იყო გადაწყვეტილი ეროვნული მემკვიდრეობის პროგ-

რესული ელემენტებისა და ხერხების გამოყენების საკითხები. ეროვნული მემკვიდრეობის ათვისებისას, განსაკუთრებით პირველ ხანებში შეიმჩნეოდა საბჭოთა არქიტექტურის ძირითადი შინაარსის, საბჭოთა ადამიანების მხატვრული მოთხოვნების დავიწყებით გამოწვეული შეცდომები. ეს შეცდომები გამოიხატებოდა წარსულის არქიტექტურული სახეების არააკრიტიკულ გადმოღებაში.

საბჭოთა არქიტექტურის წამყვანი საწყისი — მისი სოციალისტური შინაარსის დავიწყებას და ბურჟუაზიული იდეების გავლენას პირველ ეტაპზე სტილიზატორბამდე, ეკლექტიკასა და ფორმალიზმამდე მივყავდით.

ფორმალისტური დამახინჯებები თავს იჩენდა ან წარსული ეპოქების არქიტექტურული სახეების იდეალიზაციის შედეგად (ნაგებობანი, ეგრეთ წოდებულ „ქართულ სტილში“ — თბილისის კინოსტუდიის შენობა, საცხოვრებელი სახლი ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების გასაყართან და სხვა), ან მსოფლიო და ეროვნული არქიტექტურული მემკვიდრეობის ნიპილისტური უარყოფის შედეგად (კავშირგაბმულობის სახლი თბილისში), აგრეთვე სხვადასხვა ეპოქისა და ხალხის სტილების ეკლექტიკურ აღრევაში („ზარია ვოსტოკას“ შენობა, საცხოვრებელი სახლი უნივერსიტეტის ქუჩაზე და ა. შ.).

ყველა ამ შემთხვევაში სათანადოდ არ სწავლობდნენ და ითვალისწინებდნენ ცხოვრებისეულ მოთხოვნებს, ადგილობრივ საშენ მასალებს, გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებს და ა. შ.

თუ პირველ ხანებში თბილისის ხუროთმოძღვრები მიმართავდნენ ეროვნულ არქიტექტურულ მემკვიდრეობას, ხელმძღვანელობდნენ უმთავრესად გარეგანი მოტივებით, სათანადო კრიტიკული შეფასების გარეშე, ხშირად საბჭოთა არქიტექტურის არსს, მის სოციალისტურ შინაარსს სცილდებოდნენ, შემდგომში თანდათანობით შეუმუშავდათ შემოქმედებითი მიდგომა მემკვიდრეობისადმი, ცალკეული ფორმებისა და დეტალების უბრალო გადმოღებას ცვლიდნენ წარსულის არქიტექტურის მხატვრული ხერხებითა და პროფესიული ოსტატობის კრიტიკული გააზრებით.

ზოგიერთი არქიტექტორის ცდას, მექანიკურად გადმოეღო ჩვენს სინამდვილეში ეროვნული არქიტექტურის მემკვიდრეობის ფორმები, ფორმალისტურ დამახინჯებამდე, ესთეტიკური გემოვნების გაღარიბებასა და არქიტექტურაში არქაიზმამდე მივყავდით, მეორე მხრივ არქიტექტორები, რომლებიც უგულვებელყოფდნენ ეროვნულ თავისებურებებს, ეროვნულ მემკვიდრეობას, ფაქტობრივად ზღუდავდნენ საკუთარ თავს.

ეროვნული ფორმა არქიტექტურაში არ არის რაიმე გაყინული, „მუღმივი“, უცვლელი. საბჭო-

თა არქიტექტურის ეროვნული ფორმა პროგრესული ფორმაა, რომელიც, შემოქმედებითად გადამუშავებულ ტრადიციასთან ერთად, შეიცავს იმ ახალსაც, რაც შევიდა ჩვენი ხალხის სულიერი მოთხოვნებისა და ესთეტიკური წარმოდგენების თვალსაწიერში.

როგორი დამახასიათებელი ეროვნული ფორმებითაც არ უნდა გამოირჩეოდეს ამა თუ იმ შენობის არქიტექტურა, იგი არ იქნება საბჭოთა ხუროთმოძღვრების ნამდვილი ნაგებობა; თუ მასში, მაგალითად, მოუხერხებელია ცხოვრება, მუშაობა, არ არის გათვალისწინებული საბჭოთა ადამიანის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნები, შენობათა ეკონომიკურობისა და ნორმალური ექსპლუატაციის მოთხოვნილებები.

არქიტექტორები შემოქმედებითად სწვდებიან საბჭოთა ხუროთმოძღვრების არსს და იყენებენ მდიდარ გამოსახველ მხატვრულ საშუალებებს და, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული არქიტექტურული ფორმების ხატოვან პალიტრას, რომ უფრო სრულად გვიჩვენონ საბჭოთა არქიტექტურის წამყვანი საწყისი — სოციალისტური შინაარსი.

ეროვნული ფორმა ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში თანდათან თავისუფლდება ყოველგვარი ჩამორჩენილისაგან, რომელიც ხშირად ძველი არქიტექტურის გარეგანი ფორმებიდან არ გამომდინარეობს და მდიდრდება პროგრესული ტრადიციებით, ხერხებით, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ხალხის მიერ შექმნილი ქართული არქიტექტურის პრინციპებითა და ფორმებით.

ომამდელ წლებში სოციალისტური თბილისის არქიტექტურაში იწყება ხუროთმოძღვრების ხალხური საწყისების ღრმა მეცნიერული შესწავლა და ამის საფუძველზე ჩნდება ახალი ფორმების, მოტივებისა და ხერხების შექმნაში მათი ნოვატორული გამოყენების გაბედული ცდები. იმავე პერიოდში ცალკეული არქიტექტორები ისწრაფვოდნენ უმთავრესად კლასიკის სახეების, უწინარეს ყოვლისა, საბერძნეთის, რომის, რენესანსის, რუსული კლასიკის ფორმებისა და ხერხების ფართოდ გამოყენებისაკენ.

დადებით შედეგებთან ერთად ომამდელ წლებში შეიმჩნეოდა ეროვნული კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების საკითხისადმი არასწორი მართულობითი მიდგომა, რის შედეგადაც უკვე იმ დროს აღმოცენდა რესტავრატორული და ეკლექტიკური ფორმალისტიკის ყლორტები.

ბინების არქიტექტურა, განსაკუთრებით ომის შემდგომ პერიოდში, აღინიშნა ახალი შემოქმედებითი მიდწევებით. გულმოდგინედ მუშავდება საბინაო სექცია, როგორც საცხოვრებელი სახლის ძირითადი ელემენტი. საცხოვრებელი პრობლე-

მის მენეჯერებისას ხუროთმოძღვრები ამოცანად ისახავდნენ გ. დანაშვილიანს ქუჩის, რაიონის, ქალაქის. კომპლექსური განაშენიანების რაიონული პრობლემა.

ქალაქ თბილისის არქიტექტურულ დაგეგმარებაში ომის შემდგომ პერიოდში შეიმჩნევა ერთგვარი გარდატეხა: ქალაქმშენებლობის ამოცანები ისახება დაწყდება უფრო გაზრდილი სახით. წინააღმდეგობა შეეშა მშენებლობის უწყისეობის საბინაო მშენებლობის განმასხვავებელი ნიშან-თვისებასა საცხოვრებელი ობიექტების კომპლექსური განლაგებაზე გადასვლა, მოზრდილი საცხოვრებელი მსივების თავმოყრა ერთ ადგილას. თბილისში ისახება და ნაწილობრივ წყდება ახალი კვარტალები. ნოვლები და ანსამბლების შექმნის ამოცანები.

საბჭოთა არქიტექტურის განვითარება კი არ გამოიხატება. არამედ ვარაუდობს ხუროთმოძღვრებას მსხვილად შემოქმედებითი ინიციატივის მაქსიმუმის გამოვლენას და ფართო შეჭობრებას მათ შორის. ამიტომ ისეთ პაექრობებს, როგორც იყო კონსტრუქციები მთავრობის სახლზე, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობაზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შენობათა კომპლექსზე და ა. შ., აღდი მნიშვნელობა ჰქონდა ხუროთმოძღვართა პროფესიული ოსტატობის ამაღლებასა და სოციალისტური თბილისის არქიტექტურის შემდგომი განვითარებისათვის.

არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ სოციალისტური თბილისის არქიტექტურის განვითარება მომდინარეობდა უღრტკინეულად, შეცდომებისა და შემოქმედებით ჩავარდნათა გამოვლენის გარეშე. ეს მოვლენები შეიმჩნეოდა თითქმის ყველა ეტაპზე.

ზოგიერთი არქიტექტორის ნაწარმოებებში გაჩნდა არქაიზებული ფორმები და სახეები, შეიმჩნეოდა ზედმეტობით გატაცება, ეგრეთ წოდებული „ფასადომანია“, წარსული ეპოქების ნიმუშებისადმი არაკრიტიკული მიზაძევა, რამაც თავის მხრივ მშენებლობის რეალური მოთხოვნებისაგან მოწყვეტაშე, სტილიზაცია, ეკლექტიკისა და ფორმალისმიერ მიიყვანა მათი ავტორები.

წარსულის არქიტექტურული მემკვიდრეობის ათვისების თაობაზე არასწორად გაგებულმა თეზისმა იქამდე მიიყვანა ზოგიერთი არქიტექტორი, რომ ომის შემდგომი პერიოდის ბევრ ნაგებობაზე გაჩნდა კოშკები, რომლებიც ძვირად დაუქდა სახელწოდება, მათი ერთადერთი დანიშნულებაა „დაამშვენოს“ შენობები.

ზოგიერთი არქიტექტორი ამცირებდა ფანჯრების ზომებს იმისათვის, რათა შეექმნა კედლების დიდი სიბრტყე, რომელიც თითქოსდა ავრთვე ერთნეული არქიტექტურის თავისებურებაა. ამით

საგრძობლად უარესდებოდა საცხოვრებელი და სამუშაო ოთახების განათება. მალალი პარაპეტები, დამზადების თვალსაზრისით რთული ლავარდანებით, შენობათა ზედმეტად „უარება“ ორნამენტული დეკორითა და სხვა არქიტექტურული დეტალებით ზოგჯერ ცდილობდნენ გაემართლებინათ ეროვნული ტრადიციების მოშველიებით. ამასთან, ცნობილია, რომ ეროვნული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლებში სილამაზე მიიღწეოდა უწინარეს ყოვლისა პროპორციების პარამონიულობით, დეკორის უნარიანი გამოყენებით, სამუშაოთა შესრულების ჩინებული ხარისხით.

ზოგიერთმა არქიტექტორმა არასწორად, ცალმხრივად გაიგო ლოზუნგი მემკვიდრეობის გამოყენების აუცილებლობაზე და სრულიად დაივიწყა დებულება იმის თაობაზე, რომ არქიტექტურა უნდა ექვემდებარებოდეს ჩვენი საზოგადოების საარსებო მოთხოვნებს, რომ საჭიროა არქიტექტურა უფრო მჭიდროდ დაეუკავშიროთ თანამედროვე საშენებლო ტექნიკის ყველა რგოლში, ფართოდ გავაჩაღოთ არქიტექტურაში შემოქმედებითი ინიციატივა, ნოვატორობა. სტილის შეცვლა, ახალი მხატვრული ხერხებისა და ფორმების გამოვლენა არქიტექტურის ისტორიაში; მუდამ განპირობებული იყო საშენებლო ტექნიკის განვითარებით.

მშენებელთა ომის შემდგომი საკავშირო თათბირების შედეგები არქიტექტორებს ორიენტაციას აძლევდა შემოქმედებითაც დაუფლებოდნენ მხატვრული გამომსახველობის საშუალებებს, რომლებსაც შეიცავდნენ ახალი მასალები და კონსტრუქციები, თვით ინდუსტრიული მშენებლობის სპეციფიკა. ნამდვილი სილამაზე არ მოითხოვს მნიშვნელოვან დამატებით ხარჯებს. უშუალოდ სამშენებლო ტექნიკასთან დაკავშირებული ახალი სტილისტური ნიშან-თვისებებისა და კომპოზიციური ხერხების შექმნა სტიმულს მისცემს თვით სამშენებლო ტექნიკის განვითარებას, ამ ამოცანაში ჩააბამს არქიტექტორ-ნოვატორთა შემოქმედებით აზრს.

სკკ ენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გადაჭრით დაგმეს არქიტექტურის გარეგანი; მოჩვენებითი მხარე, რომელიც სავსე იყო ზედმეტობით, უგულვებელყოფდა ეკონომიკის მოთხოვნებს, მოსახლეობისათვის მოხერხებულობის შექმნას.

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში მორთულობისა და ზედმეტობის არქიტექტურა დაგმობილ იქნა. არქიტექტორებს მოუხდათ ეფიქრათ იმაზე, თუ რა გზით განვითარდებოდა საბჭოთა ხუროთმოძღვრება. ზოგიერთი თეორეტიკოსი თვლიდა, რომ საჭიროა დაეიწყეთ 20—30-იანი წლების იმ დადებითი მაგალითებიდან, რომელთა საფუძველზე ყალიბდებოდნენ საბჭოთა ხუროთ-

მოდერების განვითარების დადებითი ტენდენციები. არქიტექტურა მიაჩნდათ მშენებლობად და არა ხელოვნებად. თავის დროზე ლე-კორბიუზის ფრაზამ „სახლი — ეს საცხოვრებელი მანქანაა“ — თავისი უარყოფითი კვალი დაამჩნია; ჩვენი ქალაქები და ქუჩები „დაამშვენა“ შეუხედავმა, უსახურმა საცხოვრებელმა კოლოფებმა, რომლებიც ტყუპისცალივით ჰგავდნენ ერთმანეთს.

გავიდა ათი წელი და 1965 წელს არქიტექტურა დაუბრუნდა ხელოვნებას. ამ ხნის მანძილზე მსოფლიოს არქიტექტურაში მკვეთრი ცვლილებები მოხდა. ახალი საინჟინრო კონსტრუქციები, მასალები, ახალი არქიტექტურული ფორმები მნიშვნელოვანი შემოქმედებითი აზროვნების შედეგად წარმოიშვა.

ზოგიერთმა არქიტექტორმა ბრძალ მიბაძა უცხოეთის პრაქტიკას და ამჯერად აღორძინების ხანის ოსტატების უვრადებისა და რუსული კლასიციზმის შენობათა ფოტოსურათების ნაცვლად ხუროთმოძღვრათა მაგიდაზე გაჩნდნენ უცხოური ქურნალები. ასეთი „ფორმათა ქმნის“ შედეგებმა არ დააყოვნეს. გაჩნდნენ „სახლები — წიგნები“ და არამარტო ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მივბაძით ვარსულს, ვავიშორით ძველი ნიმუშები. აუცილებელია შევქმნათ ორიგინალური ვერტიკალური თანამედროვე კომპოზიციები, რომლებიც დაფუძნებული იქნება უახლეს საინჟინრო კონსტრუქციებზე.

არქიტექტურა მძლავრი იდეოლოგიური ზემოქმედების ხელოვნებაა. მას ძალზე მოახდინოს აღამიანზე ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილებები: ძალისა და სიმსუბუქის, სიმკაცრისა და ლირიკულობის, კარჩაკეტილობისა და დემოკრატიულობის, ბუნებასთან კავშირისა და მისდამი დაპირისპირების გრძნობები. თავისი მხატვრული ნაწარმოებებით არქიტექტორი ზემოქმედებას ახდენს აღამიანის გონებასა და გრძნობებზე, ქმნის ამა თუ იმ არქიტექტურულ გარემოს: ხუროთმოძღვრება არსებითად აყალიბებს მნახველის ემოციებს, ესა თუ ის საზოგადოება შეგნებულად და მეტისმეტად მიზანმიმართულად იყენებს არქიტექტურის ამ თვისებებს.

საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ტენდენცია მოითხოვს ღრმა დაფიქრებას, ჰუმანიტარულ შემოქმედებას. არ შეიძლება მივეცეთ თვითონებას, რადგან ეს გამოიწვევს არა მარტო განვითარების პროცესის შეფერხებას, არამედ უსახო, ანტიმხატვრული შენობების აგების გაგრძელებას, რაც საკმაოდ მეტია ჩვენში.

ჩვენს ხუროთმოძღვრებს შეუძლიათ და კიდევაც უნდა მოუღონ ბოლო განაშენიანების ერთფეროვნებას, უღიმღამო არქიტექტურულ გადაწყვეტას. საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს კიდევ ერთხელ, რომ არქიტექტურა, ქალაქგეგმარებიდან

დაწყებული და დამთავრებული უბრალო ხუროთმოძღვრული დეტალის დამუშავებამდე, ხელოვნებაა, დიდი ხელოვნება და მას სათანადო სიფაქიზით უნდა მიდგომა, რადგან ნატურაში განხორციელებული პროექტის დანგრევა წარმოუდგენელია, „მოხსნა“ ან „შენახვა“ არ შეიძლება, ხოლო გადაკეთება დიდი მატერიალური და სულიერი ძალების გახარჯვით არის შესაძლებელი.

წინათ, საზოგადოებრივი შენობები იგებოდა ცალკე, საერთო გეგმარებითი სქემის გაუთვალისწინებლად, ახლა არქიტექტორები ცდილობენ მათ გადაჯგუფებას ფუნქციური ნიშან-თვისებებით (ვეცნიერება და განათლება, კულტურა და ხელოვნება და ა. შ.), რაც შესაძლებელს გახდის მოკლე დროში შეიქმნას საერთო-საქალაქო მნიშვნელობის ანსამბლები. ეს უკვე ცხადყოფს, რომ ქალაქგეგმარებაში მეცნიერული საფუძვლები იკიდებენ ფეხს.

არაერთი ბეობა „საერთოდ“ XX საუკუნის ერთიანი არქიტექტურის შესახებ, ჩვენი აზრით, არ არის მართებული. ჩვენმა თეორეტიკოსებმა უნდა საკმაოდ ნათლად გამოხატონ სოციალისტური საზოგადოების არქიტექტურის ყველა თვისებებზედა. თავისი შინაარსით საბჭოთა სოციალისტური არქიტექტურა კარგა ხანია დამოუკიდებელ, თავისებურ მოვლენად იქცა. ჩვენი არქიტექტურისათვის ორგანული, შინაარსობრივი, ობიექტურად დამახასიათებელი ნიშნების გარდა (მიწაზე კერძო საკუთრების არ არსებობა, ქალაქგეგმარების მეცნიერული საფუძვლები, გეგმიური ხასიათი, უძლიერესი გარდამქმნელი ფენომენი, შენობათა ახალი ტიპები და ა. შ.), საბჭოთა სოციალისტური არქიტექტურა უნდა ეძიებდეს და საბოლოო შედეგში პოეებს თავის ფორმებს, რომლებიც უპასუხებენ მის ღრმა იდეურ შინაარსს.

ამჟამად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხელოვნებათა სინთეზი, ურთიერთდაკავშირებული შემოქმედებითი თანამეგობრობა არქიტექტურისა და მონუმენტური ხელოვნების, რაზელიც ხელს უწყობს ჩვენი ქალაქებისა და სოფლების არქიტექტურულ-მხატვრული იერსახის ფორმირებას, აღამიანისათვის ღამაში გარემოს შექმნას.

სკკ XXVI ყრილობის მიერ დასახული პროგრამის შესასრულებლად, კოლოსალური ამოცანების გადაწყვეტა მოუწევთ არქიტექტორებსა და მშენებლებს. ახალი ეფექტიანი მასალებისა და კონსტრუქციების, მოსაპირკეთებელი მასალების დანერგვას, მშენებლობის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესების საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ იმითაც, რომ საკითხთა მთელი ეს კომპლექსი უშუალოდ არის დაკავშირებული საბჭოთა არქიტექტურის შემოქმედებითი მიმართულების ძირეულ გარდაქმნასთან, ზედმეტობებთან და მორთულობათა წინააღმდეგ ბრძოლასთან, ახლის, სოცია-

ლისტური არქიტექტურული სტილის ძიებასთან. ჩვენს ქვეყანაში არსებული ქალაქების სოციალისტური რეკონსტრუქცია და ახალი ქალაქების წარმოშობა ხელს უწყობს საბჭოთა არქიტექტურის შემდგომ განვითარებას. ახალი საზოგადოებრივი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა შენობების გამოჩენა აშლიდრებს ქალაქების ანსამბლებსა და კომპლექსების არქიტექტურულ გადაწყვეტას.

საბჭოთა ხუროთმოძღვრებმა, რომლებიც ემყარებიან გეგმიური სოციალისტური მეურნეობის უპირატესობაზე, ქალაქთმშენებლობის დარგში გონივრულად, შრომელთა ინტერესების სრული გათვალისწინებით უნდა წარმართონ განაშენიანება, რაიონული დაეგმვარების მეცნიერულად დასაბუთებული პროექტებისა და ქალაქების გენერალური გეგმების საფუძველზე. არქიტექტურაში ახალი მიმართულების მნიშვნელოვანი თავისებურება გამოიხატება ქალაქთმშენებლობის საფუძველზე ყველა ამოცანის გადაწყვეტისადმი კომპლექსურ მიდგომაში, ამიტომ საბჭოთა არქიტექტურის ძირითადი შემოქმედებითი ამოცანა ხდება ქალაქის პრობლემა.

აშკარად ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშენებლობაში ტექნიკური პროგრესის დანერგვას, მისი ღირებულების შემდგომ შემცირებას. ახლა, როგორც არასდროს, განსაკუთრებულ ყურადღება უნდა დაეთმოს მთლიანად ასაწყობ მსხვილბანელიან სახლთმშენებლობას, რომელიც ინდუსტრიული მშენებლობის განვითარებაში მთავარი მიმართულებაა. მშენებლობის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა უნდა გახდეს გადაუდებელი კანონი ყველა არქიტექტორისა და ინჟინერ-მშენებლისათვის.

„კაპიტალური მშენებლობის ძირითადი ამოცანაა, — ნათქვამია „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებში“, — ქვეყნის საწარმოო პოტენციალის შემდგომი ზრდა ახალ ტექნიკურ საფუძველზე, ბინებისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობა“.

სკკპ XXVI ყრილობამ მოითხოვა გაუმჯობესდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმე, განხორციელდეს მშენებლობა ყველაზე პროგრესული და ეკონომიკური პროექტების მიხედვით. ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ამ პროექტების კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენებისა და მოწინავე გამოყვანილების გავრცელების, მასალებისა და შრომის დაზოგვის საფუძველზე, აუცილებელია ამაღლ-

დეს დაეგმვარების არქიტექტურული და სამშენებლო გადაწყვეტების ხარისხი, გაიფიქრეს შენობა-ნაგებობების, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ღირებულება, შემცირდეს ხედრითი კაპიტალური დაბანდებიანი ერთეულ ასამოქმედებულ სიმძლავრეზე გაანგარიშებით, რაციონალურად იქნეს გამოყენებული მიწები მშენებლობისას.

სკკპ XXVI ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ამაღლდეს სამშენებლო წარმოების ინდუსტრიალიზაციის დონე და სამშენებლო კონსტრუქციებისა და დეტალების საქარხნო მშაობის ხარისხი, გაფართოვდეს ახალი ეფექტიანი კონსტრუქციების გამოყენება, უფრო სრულად იქნეს გამოყენებული ადგილობრივი საშენი მასალები. ყრილობამ მიუთითა, რომ საჭიროა შემდგომ განვითარდეს სახლთსაშენებლო და ქარხანათსაშენებლო კომბინატები, ტექნოლოგიურად განახლდნენ ისინი, უფრო სრულად უნდა იქნეს გამოყენებული მათი სიმძლავრენი, საბინაო მშენებლობის საერთო მოცულობაში უნდა გაიზარდოს დიდბანელიანი და მოცულობით-ბლოკიანი საცხოვრებლო სახლების მშენებლობის წილი.

მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის ახლანდელ პირობებში სრულიად ახლებურად უნდა დაისვას და გადაწყდეს ნაგებობათა, ქალაქებისა და დაბების მხატვრული გამომსახველობის ამოცანა. ჩვენს თანამედროვე არქიტექტურაში, რომელიც ემყარება ახალ მატერიალურ საფუძველს, როცა მშენებლობაში მასობრივი მასშტაბით გამოიყენება საქარხნო დამზადების ელემენტები, კვანძები და ნაწილები, არ შეიძლება მექანიკურად გამოიყენოთ წარსულის არქიტექტურული ფორმები.

საბჭოთა არქიტექტურის ძირითადი შინაარსი განისაზღვრება საბჭოთა ადამიანზე — კომუნისტური საზოგადოების მშენებელზე ზრუნვით, მისი მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნაობების, ესთეტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ზრუნვით. ეს შინაარსი არის არქიტექტურის საფუძველი და ნაგებობათა სარგებლიანობისა და სილამაზის მთავარი კრიტერიუმი, მთავარი საზომი. მიზანშეწონილობისა და ეკონომიკურობის, სარგებლიანობისა და სილამაზის ორგანული შერწყმა მისი მთავარი ამოცანაა.

საბჭოთა არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშან-თვისება ის არის, რომ იგი მთლიანად და სავსებით ჩაყენებულია ხალხის სამსახურში, კრიტიკულად იყენებს ყოველივე ძვირფასს, რაც წინამორბედი თაობებისაგან არის შექმნილი და გამოიჩინეა ხერხებისა და ფორმების, ფერებისა და სტილისტური თავისებურებათა სიმდიდრით, მრავალფეროვნებით, სოციალისტური შინაარსის ერთიანობასთან ერთად. მხოლოდ საბჭოთა არქიტექტურას ძალუძს კომპლექსურად გადაწყვიტოს სა-

ზოგადოებრივი, სამრეწველო, საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და მშენებლობის სხვა საკითხები.

სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღვრების, ისევე როგორც ყველა საბჭოთა არქიტექტორის წინაშე დგას კეთილშობილი და საპატიო ამოცანა, მშენებლებთან შემოქმედებითი თანამეგობრობით შექმნან ხარისხობრივად ახალი არქიტექტურა, რომელიც რაც შეიძლება სრულად დააკმა-

ყოფილებს საბჭოთა ადამიანების საარსებო მოთხოვნებს და ერთდროულად გაითვალისწინებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერსპექტიულ ამოცანებს.

სოციალისტური თბილისის არქიტექტორები და მშენებლები, მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად, ძალასა და ენერჯიას არ დაიშურებენ გრანდიოზული ამოცანების შესრულებისათვის.

ბ ი ბ ლ ი ო ბ რ ა ფ ი ა

1. ამიერკავკასიის რესპუბლიკების არქიტექტურა. მოსკოვი. არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სახელმწიფო გამოცემლობა, 1951 (რუსულ ენაზე)

2. ნ. ბაღრაძე ი. თბილისი. 1958.

3. ნ. ბარანოვი. ქალაქის ცენტრის კომპოზიცია. მოსკოვი, 1964 (რუსულ ენაზე)

4. ვ. ბერიძე. ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრება. თბილისი, 1961 „საბჭოთა საქართველო“.

5. ვ. ბერიძე, ზ. ქურდიანი, ლ. რჩეულიძე ი. თბილისი, მოსკოვი, 1951 (რუსულ ენაზე)

6. ლ. გედევანიძე ი. ნ. გვალაძე ი. თბილისის უნივერსიტეტის კომპლექსი. თბილისი, 1973 (რუსულ ენაზე)

7. მ. ილინა. თბილისის არქიტექტურა. ალბომი. სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის გამოცემა. 1940 (რუსულ ენაზე)

8. თ. კვიციანი. თბილისის არქიტექტურა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1982 (რუსულ ენაზე)

9. ს. კინწურაშვილი. საბჭოთა საქართველოს არქიტექტურა. მოსკოვი, „სტროინზდატი“, 1974 (რუსულ ენაზე)

10. გ. კულაგა. თბილისის მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის შენობის არქიტექტურა. მოსკოვი, 1951 (რუსულ ენაზე)

11. ბ. შამინაიძე ი. რთული რელიეფის პირობებში საცხოვრებელი რაიონების პროექტირებისა და მშენებლობის გამოცდილება. მოსკოვი, 1974 (რუსულ ენაზე)

12. შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე. თბილისის ისტორია. თბილისი, 1958

13. მსოფლიო არქიტექტურის ისტორია თორმეტ ტომად. ტომი მე-10. მოსკოვი, 1972 (რუსული გამოცემა)

14. მსოფლიო არქიტექტურის ისტორია თორმეტ ტომად. ტომი მე-11, მოსკოვი, 1973 (რუსული გამოცემა)

15. მსოფლიო არქიტექტურის ისტორია თორმეტ ტომად. ტომი მე-12, წიგნი პირველი, მოსკოვი, 1975 (რუსული გამოცემა)

16. საბჭოთა არქიტექტურის ისტორია. 1917-1958. მოსკოვი, 1962 (რუსულ ენაზე)

17. საბჭოთა საქართველოს არქიტექტურა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს არქიტექტურითა და კავშირით, მოსკოვი-თბილისი, 1958 (რუსულ ენაზე)

18. ა. შჩუხევი. თბილისის მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის არქიტექტურა და მშენებლობა. მოსკოვი, სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის გამოცემლობა, 1940

19. გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი. ქართული არქიტექტურის განვითარების გზები. თბილისი, 1936.

20. გ. ჩუბინაშვილი — ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. I, თბილისი, სახელგამი, 1936

21. ი. ციციშვილი. ქართული არქიტექტურის ისტორია. თბილისი, 1955

22. გ. ხუციშვილი. ჩემი თბილისი ქალაქი. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი. 1980

23. ნ. ჭანბერიძე — ქართული საბჭოთა არქიტექტურა. განვითარების გზა. თბილისი, „ხელოვნება“, 1971

24. ნ. ჭანბერიძე, ი. ციციშვილი. საქართველოს არქიტექტურა, დასაბამიდან დღემდე. მოსკოვი, „სტროინზდატი“, 1976 (რუსულ ენაზე)

25. ნ. ჭაშჩა. სოციალისტური თბილისის არქიტექტურა თბილისი, 1963 (რუსულ ენაზე)

შ ი ნ ა ა რ ს ი

	შესავალი	3—7
თ ა ვ ი	1. სახალხო მეურნეობის აღდგენის, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და პირველი ხუთწლედის (1921—1925 წლები) პერიოდის ხუროთმოძღვრება	8—24
	§ 1. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების არქიტექტურა	8—12
	§ 2. ზემო ავქალის ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგური (ზაპესი). საქართველოს მუზეუმის რეკონსტრუქცია	12—17
	§ 3. ფორმირებისა და ზრდის სიძნელეები	17—24
თ ა ვ ი	II. მეორე და მესამე ხუთწლედების (1926—1931 წლები) არქიტექტურა	25—36
	§ 1. დედაქალაქის სოციალისტური რეკონსტრუქცია. კონკურსი მთავრობის სახლზე, ილინაშოს“ სტადიონზე	25—30
	§ 2. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობა	30—33
	§ 3. სხვა საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობების დაპროექტება და მშენებლობა	33—36
თ ა ვ ი	III. ხუროთმოძღვრება იმის შემდგომ პირველ ოცწლეულში (1930—1934 წლები)	37—59
	§ 1. დედაქალაქის შემდგომი რეკონსტრუქცია. მთავრობის სახლის მთავარი კორპუსი	37—42
	§ 2. საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა. ახალი ეტაპი თბილისის ხუროთმოძღვრების განვითარებაში	43—46
	§ 3. საბჭოთა ხუროთმოძღვრების ძირეული გარდაქმნის პროგრამა	46—59
თ ა ვ ი	IV. თბილისის ხუროთმოძღვრება უკანასკნელ ოცწლეულში (1935—1934 წლები)	60—93
	§ 1. ძირითადი მიზართულება დაპროექტებასა და მშენებლობაში	60—65
	§ 2. თბილისის მეტროპოლიტენის ხუროთმოძღვრება. სხვა საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობები	65—72
	§ 3. ქალაქთგეგმარების მეცნიერული საფუძვლები	72—80
	§ 4. დედაქალაქის ცენტრის პრობლემა	80—86
	§ 5. გაკერით თბილისის მომავალზე	86—93
დასკვნა	94—99
ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა	100